

საქართველოს დამოუკიდებლობის იღეა
1917-1918 წლების ქართულ პრესაში
„საქართველო“, „სახალხო საქმე“,
„ალიონი“, „ერთობა“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსულად ვაშაკიძე

საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა

1917-1918 წლების ქართულ პრესაში

„საქართველო“, „სახალხო საქმე“,
„ალიონი“, „ერთობა“

ხელმძღვანელები: პროფ. დალი ჩიკვილაძე
პროფ. მანანა კაკაბაძე



ნაშრომი, წარდგენილი უურნალისტიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, იძეჭდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციით. დისერტაციის სტილი დაცულია.

დისერტაციის საჯარო დაცვა შედგა 2009 წლის 20 მარტს

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009
ISBN 978-9941-13-124-0

სარჩევი

შესავალი	7
I თავი – საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა და 1917-1918	
წლების გაზეთი „საქართველო.....	14
26 მაისი და „საქართველო“	25
გრიგოლ რობაქიძე	32
ტიციან ტაბიძე	41
გიორგი ლეონიძე	47
მიხეილ ჯავახიშვილი	50
II თავი – გაზეთი „სახალხო საქმე“ ერის უფლებისა და თავისუფ- ლების შესახებ (1917-1918წ.)	62
26 მაისი და „სახალხო საქმე“	78
კონსტანტინე გამსახურდია	85
ლევან მეტრეველი	90
ვახტანგ კოტეტიშვილი	93
III თავი – გაზეთი „ალიონი“ პოლიტიკური ავტონომიიდან დამოუ- კიდებლობის დეკლარაციამდე (1917-1918წ.)	103
26 მაისი და „ალიონი“	118
ივანე გომართელი	120
თაგუნა (შალვა შარაშიძე)	127
ლეონ ქიაჩელი	132
IV თავი – 1917-1918 წლების გაზეთი „ერთობა“ საქართველოს თა- ვისუფლების შესახებ	146

26 მაისი და „ერთობა“	160
დასკვნა	171
დამოწმებული ლიტერატურა	175
პერიოდიკა	178

შესავალი

ქართული უურნალისტიკის, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევართათვის XX საუკუნის პირველი ოცი წელი არ არის მხოლოდ სიმბოლიზმის, რეალიზმისა თუ პოლიტიკური პლურალიზმის ეპოქა. მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა, როცა რუსეთის ბოლშევიზმი დედამიწის ერთ მეექვსედს განითლებით ემუქრებოდა, ქართველი პუბლიცისტები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი თავისუფლების იდეას ქადაგებდნენ და საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ცდილობდნენ.

1917-1918 წლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების პირველი პერიოდია. მან დასაბამი მისცა დემოკრატიულ პრინციპებზე სახელმწიფო ბრიობის ჩამოყალიბებას. არჩევანის უფლება მისცა ქართველ ხალხს და საფუძველი ჩაუყარა ქართულ პარლამენტარიზმს.

სამოცდაათნლიანი კომუნისტური რეჟიმისაგან ტაბუდადებულ ისტორიას პირველად XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაწყებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ მოჰყონა ნათელი. შეიქმნა არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ნარკვევი და გამოკვლევა ამ პერიოდის შესახებ, დაიბეჭდა ცნობილ პოლიტიკოსთა მოგონებები, ქართველ ემიგრანტთა ნაწარმოებები.

განსაკუთრებულია ეს ეპოქა ქართული უურნალისტიკის ისტორიისთვის. 1917-1918 წლების საქართველოს დემოკრატიული პერიოდული პრესისა და ქართველი პუბლიცისტების და მწერლების ამ პროცესში მონაწილეობის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომი დღემდე არ შექმნილა. ცხადია, რომ ამ წლების პერიოდიკა თავისთავად ჩვენი ქვეყნის ისტორიის უტყუარი წყაროა, რომელიც გვაცნობს იმდროინდელ პოლიტიკურ ძალთა ბალანსს, პარტიათა მოღვაწეობას, ქარ-

თულ საზოგადოებრივ აზრს, ასევე, მთავარ საერთაშორისო მოთამაშეებს, ევროპასა და რუსეთში მიმდინარე პროცესებს.

ათეულობით გაზიეთი გამოდის ქართულ და რუსულ ენებზე 1917-1918 წლების საქართველოში. პრესა ეხმაურება ყველა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენას, არის ეროვნული საქმეების შუაგულში და უკომპრომისოდ მოუწოდებს არსებულ ხელისუფლებას დამოუკიდებლობის გამოცხადებას, იმ რევოლუციური ბურუსიდან გამოსვლას, რითაც ქართული სოციალ-დემოკრატია იყო მოცული.

1917-1918 წლების ქართული პრესა, რომელშიც, ბუნებრივია, დომინირებს პარტიული ინტერესები და მიზნები, ასახავს საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე არსებულ მრავალ დაბრკოლებასა და ხელის შემშლელ ფაქტორს. საქართველო არ იყო ერთიანი და უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა ქვეყნის მთლიან სახელმწიფოებრივ ერთეულად გადაქცევა. ქართველი მწერლები და პუბლიცისტები სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობდნენ. მათ საგაზეთო პუბლიკაციებში, სტატიებსა და ნარკვევებში ნათლად ჩანს ის სიძნელეები, რომლებიც თავისუფლებისაკენ საქართველოს წინსვლას აფერხებდნენ და ეს, მნიშვნელოვანწილად, პოლიტიკური ძალების მოქმედებისა და დაქსაქსულობის შედეგი იყო. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში სამი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, დაარსდა ქართული უნივერსიტეტი და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო 26 მაისის აქტით.

1917-1918 წლების ქართული პრესა ნათლად ადასტურებს, რომ ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენები დიდი განსჯის, ცხარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი დებატების შედეგია. პრესის ფურცლებზე თვალში საცემია პოლიტიკურ ძალთა შორის რადიკალური დაპირისპირებები, არათანმიმდევრულობა, პრინციპებსა და სტრატეგიულ მიზნებს შორის მკვეთრი სხვაობა. განსაკუთრებით ეს სხვაობა მმართველ პოლიტიკურ ძალასა და უმცირესობას შორის შეინიშნება.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, წარმოვადგინოთ ოთხი წამყვანი გაზეთი „საქართველო“, „სახალხო საქმე“, „ალიონი“ და „ერთობა“ და მათ მაგალითზე ვაჩვენოთ საქართველოში იმსანად არსებული პუბლიცისტური მიმართულებები, პროფესიული სტანდარტები, ტაქტიკური მიდგომები და გამოვკვეთოთ, რა ტენდენციები ჭარბობდა წამყვან ქართულ გაზეთებში, რაზე კეთდებოდა აქცენტები, რამდენად პლურალისტული იყო პრესა და შეეძლო თუ არა საზოგადოებას ალტერნატიული არჩევანის გაკეთება; ასევე, როგორ დაიწყო პოლიტიკური დებატების ისტორია პრესის ფურცლებზე და რამდენად ადეკვატური იყო იგი საზოგადოების მოთხოვნებთან; რა როლს ასრულებდნენ ქართველი პუბლიცისტები და მწერლები 1917-1918 წლებში და რა იდეოლოგიური საქმიანობა ჰქონდათ გაჩაღებული.

კვლევის მიზანია, ვაჩვენოთ რამდენად გამოკვეთილად ასახებოდა საგაზეთო სტატიებში ქართველი ხალხის სულისკვეთება და მისწრაფებები. ნაშრომის პიპოთეზაა, დამტკიცდეს, რომ 1917-1918 წლების ქართული პრესა იმ პერიოდისთვის მაღალი პროფესიული სტანდარტით გამოირჩევა და ალტერნატიული აზროვნების საშუალებას აძლევს მკითხველს, რომ 26 მაისის დამოუკიდებლობა ქართველი უურნალისტების, პუბლიცისტებისა და მწერლების უდიდესი დამსახურებით მოვიდა. კვლევა ამტკიცებს დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულებასა და ევროპული ორიენტაციის უალტერნატივობას.

ბევრი დაწერილა ქართველი პუბლიცისტების მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ, მაგრამ 1917-1918 წლების პრესის ტენდენციებზე, აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციაზე, არსებულ პოლიტიკურ დისკუსიაზე ნაკლებად მსჯელობდნენ და თუ რომელიმე ავტორის შემოქმედება ხდებოდა კვლევის მიზანი, აღნიშნული პერიოდი ნაკლებად შეისწავლებოდა, ან საერთოდ შეუმჩნეველი იყო.

პრესის ანალიზთან ერთად მთავარ ავტორებზეა ყურადღება გამახვილებული. ასეთი კონტექსტით მათი განხილვაც პირველი ცდაა. საინტერესოა ის პროფესიული დამოკიდებულება, ის მსჯე-

ლობა და ანალიზი, რასაც გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა ამირეჯი-ბის, სამსონ ფირცხალავას, ვახტანგ კოტეტიშვილის, ლეო ქიაჩე-ლის, თაგუნასა და სხვათა სტატიებში ვხვდებით.

თუ ქართველმა ისტორიკოსებმა, ასე თუ ისე, ვალი მოიხადეს ისტორიოგრაფიის წინაშე და შეავსეს ეს ტაბუდადებული პერიო-დი, მიუძღვნეს გამოკვლევები და შეისწავლეს იმდროინდელი პო-ლიტიკური ისტორია, ქართული უურნალისტიკისა და ლიტერატუ-რის მკვლევრები ნამდვილად ვალში არიან ამ გარდასული, ერთ დროს აკრძალული, მეტად საყურადღებო პუბლიცისტური მემ-კვიდრეობის შესწავლის მიმართ. გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტა-ბიძის, შალვა ამირეჯიბის, სამსონ ფირცხალავას, კონსტანტინე გამსახურდიას, ვახტანგ კოტეტიშვილის, ივანე გომართელის, ლეო ქიაჩელის, თაგუნასა და სხვათა შემოქმედება შეუძლებელია წარ-მოიდგინო 1918 წლის 26 მაისის აქტისა და იმ პერიოდის პრესაში მათი მოღვაწეობის გარეშე. რომ არა ზემოხსენებულ ავტორთა სტატიები და დაუზინებული მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებ-ლობის გამოცხადებისა, საქართველოს დამფუძნებელი კრება ვერ შეძლებდა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას. ქართული პრესის მესვეურებმა დიდი იდეოლოგიური სამუშაო გასწიეს ამ მიმართულებით.

ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოს მწერალთა კავშირის დაარსება, სიმბოლისტების მოღვაწეობა. „ქართველ მწერალთა კავშირის“ ერთ-ერთი ინიციატორი ტიციან ტაბიძეა. მაშინდელ რუსეთის იმპერიაში ასეთი გაერთიანება პირველი იყო. ქართველმა მწერლებმა იმთავითვე დაისახეს მიზნად, თავიანთი შემოქმედე-ბისთვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დატვირთვა მიენიჭები-ნათ, რაც მკვეთრადაა გამოხატული ქართველი მწერლების მოწო-დებაში, რომელიც წამყვანმა გაზეთებმა დაბეჭდეს. ეს მოწოდება შეიცავს ბრძოლის კონცეფციას და დარაზმვის მოწოდებას საქარ-თველოს თავისუფლების იდეის გარშემო. საქართველოს ისტორი-ის ხატოვანი ექსკურსის შემდეგ მწერლები რუსეთის ბატონობის

დღოს განადგურებულ ქართულ კულტურას მისტირიან: „ისე მა-ინც არასდროს არ შემოღამებულა, როგორც მთელი წარსული საუ-კუნის განმავლობაში, რუსთა ბატონობის დღოს. შენი ტაძრები ჩა-მოინგრა, საუცხოვო ნაგები ციხე-დარბაზი განადგურდა და გაუქ-მდა, კედლის ძვირფასი მხატვრობანი წაიმალა და შეიბლალა. ...ბე-ქა ოპიზარისა და მისებრ მაღალ-ნიჭიერ ხელოვანთა მიერ ნაჭედი და ჩამოსხმული განძეულობანი გაიბნა და წარტაცებულ იქნა, სხე-ული მოხდენილ და მორგებულ სამოს-სამკაული მივიწყდა, სიმღე-რა და ცეკვაც გადაგვარდა. თვით ენაც წმინდა და ფაქიზი შეირ-ყვნა და მწერლობამაც იწყო აზროვნება სხვისებური, უცხოური, დაჰკარგა თავის-თავადობა. ხელოვნებაში მშვენების ღმერთის წაცვლად მოძალადე დეზებიანი ვინმე წამოჯდა მაღალ კვარ-ცხლბეკზე“ (160).

ქართველ მწერალთა გულისტკივილი არის ის, რომ საქართვე-ლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით ქვეყანამ თავისი სახე დაკარ-გა და უსახური გახდა, რაც ყველა მის მიერ გაღებულ მსხვერპლზე უსაშინლესია. სულიერი მონობა – აი პრობლემა და ტრაგედია ქარ-თველი ერის: „იმის გარდა, რომ უზარმაზარ რუსეთის დამცირე-ბულ გუბერნიად იქეც, შენ სულიერადაც მის პროვინციად შეიქმნა, რადგანაც ჩრდილოულის ქუსლ-დალურსმული, ტლანქი წარა მოხ-ვდა შენს ახოვან მკერდს, წაგაქცია და საკორტნავათ თვით-მპყრო-ბელობის ორთავა არწივიც მოგენოო“ (160).

სწორედ ეს მწერლები, რომლებმაც დააარსეს მწერალთა კავ-შირი და აირჩიეს პირველი თერთმეტკაციანი საბჭო ტიციან ტაბი-ძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, კოტე მა-ყაშვილის (კავშირის პირველი თავმჯდომარე), სამსონ დადიანის, აკაკი ბაბავას, ლეო ქიაჩელის, შალვა დადიანის (კავშირის პირველი წესდების შემდგენელი), პაოლო იაშვილის, პავლე ინგოროვას, და-ვით ლიხელ-სულიაშვილის შემადგენლობით, იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე მოღვაწეობდნენ – იყვნენ კორესპონდენტები, პოლი-ტიკური მიმომხილველები, გამომცემლები და რედაქტორები.

მათმა მოღვაწეობამ პრესაში გამოიწვია ის, რომ საზოგადოე-

ბის ცნობიერებაში თანდათან უფრო მძლავრად იკიდებდა ფეხს თავისუფლებისთვის ბრძოლა და დასავლეთთან ინტეგრაციის აუ-ცილებლობა. ეს კი ილიას გზის გაგრძელება იყო. ისინი აღვივებ-დნენ ბრძოლას დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნება და დამოუკიდებელი სახელმწი-ფოებრივი ერთეულის ჩამოყალიბება იყო მათი მთავარი მიზანი.

რატომ შევარჩიეთ ეს ოთხი გაზეთი? მიზეზი მარტივია – გაზე-თების რეიტინგულობა, ამასთან, ოთხივე გაზეთი ოთხი მთავარი პოლიტიკური ძალის მიერ გამოიცემოდა: „საქართველოს“ გამოს-ცემდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, „სახალხო საქმეს“ – სო-ციალ-ფედერალისტები, „ალიონს“ – სოციალ-დემოკრატების „ალიო-ნის“ ჯგუფი, ხოლო „ერთობას“ მმართველი პოლიტიკური ძალა – სოციალ-დემოკრატიული პარტია. რომელიმე პარტიის ორგანოდ არსებობა უკვე აკნინებს პრესის თავისუფლების იდეას, მაგრამ თუ მთლიანობაში განვიხილავთ ამ პერიოდს, თუ ვიტყვით, რომ ოთხივე გაზეთი სხვადასხვა რაკურსით გადმოსცემდა და აღწერდა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენას, მაშინ 1917-1918 წლები დემოკრატიული პრესის განვითარების ერთ-ერთ სერიოზულ ეტაპად შეგვიძლია ვა-ლიაროთ და გამოხატვის თავისუფლების იმ ტრადიციის გამგრძე-ლებლად, რომელიც ილიას თაობამ XIX საუკუნეში დაიწყო. დემოკ-რატიული ლირებულებების დამკვიდრება იყო მთავარი მიზანი, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარეშე ვერ მიიღწეოდა.

ვფიქრობთ, ქართული უურნალისტიკის ისტორია გამდიდრდე-ბა კიდევ ერთი საინტერესო და ნაკლებად შესწავლილი პერიოდით. ჩვენი მიზანია, უყურადღებოდ არ დარჩეს არც ერთი პერიოდი და შევავსოთ ის სივრცე, რომელიც კომუნისტებმა დაგვიხურეს და ლუქი დაადეს.

ამასთან დავამტკიცოთ, რომ 1918 წლის 26 მაისი არ არის მხო-ლოდ ისტორიკოსთა და პოლიტიკოსთა კუთვნილება, ეს თარიღი ქართული პრესის, ქართველი უურნალისტებისა და მწერლების უკომპარომისო და დაუდალავი მოღვაწეობის შედეგია. დამოუკი-დებლობის დეკლარაციის მომზადებაში პრესამ ერთ-ერთი გადამ-

წყვეტი როლი შეასრულა.

ამბიციური განცხადება არ იქნება თუ დავსძენთ, რომ 1917-1918 წლების ქართული პრესის, კერძოდ, გაზეთების „საქართველოს“, „სახალხო საქმის“, „ალიონისა“ და „ერთობის“ განზოგადება და კვლევა აღნიშნულ კონტექსტში სიახლეა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

| თავი

საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა და 1917-1918 წლების გაზეთი „საქართველო“

საქართველოს თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა გაზეთ „საქართველოს“ ირგვლივ შემოკრებილ ავტორთა იდეური საფუძველია. მწერლისა და პუბლიცისტის იდეების შესწავლისას ყოველთვის ვანალიზებთ, თუ რა ეპოქაში და რა ვითარებაში წერდა იგი, ვის ინტერესს ემსახურებოდა და რა დამოუკიდებულებას გამოხატავდა ისტორიული პროცესებისადმი.

გაზეთ „საქართველოში“ მოღვაწე მწერალთა და პუბლიცისტთა ჯგუფის მემკვიდრეობა ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. XX საუკუნის უურნალისტიკა და პუბლიცისტური აზროვნება სამოციანელთა პრინციპებიდან ყალიბდება. გაზეთ „საქართველოს“ გარშემო შემოკრებილ ქართველ მწერალთა პირთვს მრავალმხრივ საინტერესო პუბლიცისტები, მეცნიერები, სასულიერო პირები და ილიას თაობის მემკვიდრეები წარმოადგენენ.

ილია ჭავჭავაძე მუდამ მიუთითებდა: „თუ უურნალს უნდა კეთილსინდისიერად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აპყვეს ანინდელ ცხოვრებას, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს, ყოველი აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრებას წინ ფეხის გადადგმის გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. რამდენადაც ცნობიერად და ვრცლად... მიაგნობს და შეატყობს ცხოვრების მაჯის ცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებასა, რამოდენადაც ნათლად განარჩევს ცხოვრებისაგან მოგუბებულ მასალასა, იმოდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნა-

ყოფიერი ცხოვრებისათვის ... ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მისცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი თუ მაღალი, ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველას უნდა ვუშველოთ...“(66).

ილიას მკვლელობის შემდეგ ილიას იდეების ამსახველი გახდა ყოველკვირეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ლიტერატურული უურნალი „კლდე“, რომლის პირველი ნომერი 1910 წლის 16 სექტემბერს გამოვიდა. უურნალის დაარსების ინიციატორი, ძირითადი დამფინანსებელი და ორგანიზატორი დავით ვაჩინაძე იყო, ხოლო ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი, მისი კორექტორი, საქმის მწარმოებელი, გამავრცელებელი რევაზ გაბაშვილი. უურნალი საჯაროდ აცხადებდა, რომ ეროვნული იდეა საკითხია „ქართული ენისა, ქართული ტერიტორიისა, ქართული ეკლესიისა, ქართულის კულტურისა“.

გაზეთი „საქართველო“ სწორედ უურნალ „კლდის“ საფუძველზე დაარსდა, რის შესახებაც რევაზ გაბაშვილი წერდა: „მართალია „კლდის“ გამოსვლისთანავე გაგვიჩნდა დარაზმული მტერი და მათი რაზმიც ისევე იზრდებოდა, როგორც ჩვენი მომხრეებისა, მართალია ისიც, რომ არც „საქართველოს“ მოაკლდებიან, მაგრამ ეს არ გვაშინებს, ვინაიდგან ჩვენს ეკლიან გზას ვარდნი რწმენისანი ალამაზებენ. იშვიათად გვხვდება დაფასება, ან მადლობა, მათრახითაც წამოგვწვდებიან, მაგრამ ვით ღვთის წინაშე სანთელი გზას არ დაჰკარგავს, ისე სამშობლოს წიაღში წვრილმანნიც არ გაჰქრებიან“ (74).

გაზეთ „საქართველოს“ პირველი ნომერი გამოვიდა 1915 წლის 24 მაისს სანდრო შანშიაშვილის რედაქტორობით. რედაქცია თბილისში, მოსკოვის ქუჩა 4-ში მდებარეობდა. გაზეთი 4-6-გვერდიანი იყო. პირველი ნომრის სარედაქციო წერილში გაზეთის მესვეურნი მკითხველს მიმართავენ, თუ რა მძიმე ვითარებაში იწყებენ ისინი გამოცემას. დასავლეთ ევროპა, რუსეთი და საქართველოც ომის ალშია გახვეული. „ჩვენი ეროვნული ენერგია, დაქსაქსული იმთა-

ვითვე, დღეს ულმობლად ნიავდება ომის ასპარეზზე... სადღეისო საკითხი ეროვნული ძალების თავმოყრა და დარაზმვაა. ხვალ მათი ამოძრავება დაგვჭირდება დიადი კულტურული შემოქმედებისათვის... ჩვენი გაზეთი არ იქნება არც ვიწრო კლასობრივი, არც ვიწრო ჯგუფობრივი. ის ეცდება კერძო ინტერესები ეროვნულ ინტერესებს ანაცვალოს, პარტიულ მართლმორნმუნებას სულიერ ხალვათობას და მუდმივს იჭვიანობას თავისუფალი ძიება დაუპირდაპიროს..." – ვკითხულობთ გაზეთ „საქართველოს“ საპროგრამო წერილში (იქვე), რომლის ავტორი თავად რედაქტორი უნდა იყოს, რადგან სარედაქციო სევტებს ძირითადად სანდრო შანშიაშვილი წერდა. ეს იყო, ფაქტობრივად, გაზეთ „საქართველოს“ კონცეფცია, მისი მოღვაწეობის მიზანი.

პირველი სარედაქციო სტატია შეიძლება ჩაითვალოს გაზეთის საპროგრამო დებულებად. გაზეთი მთელი ქართველი ხალხის მოვალეობად თვლის ქვეყნის ტერიტორიის დაცვას, ეროვნული მეურნეობის, წარმოების და აღებ-მიცემობის განვითარებას, სულიერი კულტურის ამაღლებას, ქართული ენის დაცვას, მწერლობა-მხატვრობის, ხუროთმოძღვრების განვითარებას.

„თანამედროვე კულტუროსანი ერი გმირ-დევთა ციხე-სიმაგრეს ჰავავს, სხვადასხვა ლოდისაგან აშენებულს. ეს ციხე-სიმაგრე საფრთხეში ჩავარდება, თუ რომელიმე კოშკი მოიშალა... გათვით-ცნობიერებულ ერს ფხიზელი დარაჯი უნდა ჰყავდეს ყოველ ადგილას“ (იქვე), აცხადებს გაზეთი და თავად ცდილობს გახდეს „ფხიზელი დარაჯი“ საქართველოს გათავისუფლების გზაზე. ამ იდეალს „საქართველო“ უკანასკნელ ნომრამდე ემსახურება.

1916 წლის პირველი იანვრიდან „საქართველო“ ყოველდღიური „საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო გაზეთი“ გახდა. მის ფურცლებზე უკვე ჩანს ცენზურის ხელი, ცარიელი ადგილები ნომრიდან ამოღებულ მასალებზე მიუთითებს. 1917 წლიდან „საქართველო“ აფიციალურად აცხადებს, რომ იგი არის „ეროვნულ-დემოკრატიული“ მიმართულების.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს

ძირითად დაბა-ქალაქებსა და სოფლებში, აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში. ამ პერიოდისთვის თანამშრომელთა რიცხვი გაიზარდა. მის ფურცლებზე ბევრი ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის გვარი გამოჩნდა. საინტერესოა რედაქციის თანამშრომელთა არასრული, მაგრამ მაინც ვრცელი სია: არქ. ამბროსი ხელაია, ა. ასათიანი, ალ. ახმეტელი, ვ. ბარნოვი, ეკ. გაბაშვილი, რ. გაბაშვილი, განდეგილი, გ. გვაზავა, ს. გორგაძე, გ. გორდეზიანი, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. ედილი, ი. ვართაგავა, გრ. ვეშაპელი, ე. თაყაიშვილი, ინ. ბანი, პ. ინგოროვა, ჩ. კაპანაძე, დ. კასრაძე, პ. კარბელაშვილი, დ.გ. კარიჭაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ს. კედია, დეკ. პ. კეკელიძე, ეპისკოპოსი ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. მარგველაშვილი, კ. მაყაშვილი, დუტუ მეგრელი, შ. მლვიმელი, ნ. ნიკოლაძე, გ. რობაქიძე, თ. სახოკია, ტ. ტაბიძე, ი. ფერაძე, შ. ქარუმიძე, ს. ქვარიანი, გ. ქიქოძე, ნ. ყიფიანი, ს. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, შ. შალამბერიძე, ვ. შალიკაშვილი, პროფ. ა. ცაგარელი, ზ. ჭიჭინაძე, ს. ჭრელაშვილი, მ. ჯანაშვილი, შალვა ამირეჯიბი „ფარსმან ფარუხის“ ფსევდონიმით, ალექსანდრე ყიფშიძე „ფრონელის“ ფსევდონიმით.

1917 წელს „საქართველო“ კვლავ სანდრო შანშიაშვილის რედაქტორობით გამოდის, ხოლო 90-ე ნომრის შემდეგ გაზეთის რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი ხდება. 1918 წლიდან გაზეთს გერონტი ქიქოძე რედაქტორობს(56).

„საქართველო“ იწყებს ყოველდღიურ ფიქრსა და მსჯელობას ეროვნულ საკითხზე, სახელმწიფოებრივ მოწყობაზე. რ. ინგილო სტატიაში „ძველი ფიქრები ახალ წელს“ მწვავედ აყენებს ეროვნულ საკითხს და, მწარე ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, იმედს გამოთქვამს, რომ „ომის შემდეგ, რომელმაც შეინირა ყველაფერი, რაც რამ ძვირფასი ებადა ქართველ ხალხს, შევიქმნებით იმ თავისუფალი ცხოვრების ლირსი, რომელსაც პატარა ერებს დიდი სახელმწიფოები ჰპირდებიან.ფხიზლად უნდა იყოს ქართველობა, რომ ესოდენ განსაკუთრებულ დროს არ იქნეს უღირსი თავისი სამშობლოსი... ამ სპეტაკ აზრით განმსჭვალული, გულმოდგინეთ ვემსახუროთ საქართველოს დიდებას, და ეს იქნება უღრმესი მი-

ლოცვა, რომლითაც მივმართავთ ქართველ ხალხს ახალი წლის და-
საწყისს“(75).

რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაზეთის ფურ-
ცლებზე გაჩნდა რუბრიკა „ქართველებო, შეგნებულათ, შეერთებუ-
ლათ, დინჯათ!“ აქ მოთავსებულ წერილებში ისევ და ისევ ერთი მი-
ზანია – საქართველოს თავისუფლება, გაერთიანება და ხალხის და-
რაზმვა ქვეყნის გადასარჩენად. „საქართველოს სახელით შევერ-
თდეთ! ნულარ იქნება პარტიულ-წოდებრივი განსხვავება. ნულარ
იქნება მუშა, ბურჟუა, თავადი, აზნაური, გლეხი, ერისკაცი და სამ-
ღვდელოება! იყოს მხოლოდ ქართველი და ქართველობა“(78).

„საქართველო“ რუსეთის თებერვლის რევოლუციას მიესალმა
საქართველოს გათავისუფლების იმედით. გაზეთს სწამს, რომ თა-
ვისუფალი რუსეთი საქართველოს თავისუფლებას მოუტანს. გაზე-
თი თებერვლის რევოლუციის შეფასებაში მისალმებასთან ერთად
სიფრთხილესაც იჩენს. 1917 წლის 12 მარტის „საქართველო“ პირ-
ველ გვერდზე აცხადებს: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს, გაუ-
მარჯოს თავისუფალ საქართველოს!“(78).

სპირიდონ კედია, „საქართველოს“ ფურცლებზე წერს: „გასუ-
ლი თებერვლის მიწურულში დაემხო რეჟიმი, რომელიც ასე მტარ-
ვალურად მოექცა საქართველოს, განდევნეს დინასტია, რომელმაც
ფიცი და ხელშეკრულება დაარღვია და საქართველო სისხლისაგან
დაცალა. დიდი აქტია ეს აქტი. თავისუფლება სიტყვისა, წერისა,
კრებისა და სინდისისა, აი, რა მოაქვს რევოლუციას, საყოველთაო,
ფარული და სხვა საარჩევნო უფლება, აი, რა აღიარა რევოლუცი-
ამ... მოისპონ წოდებრიობა, საუკუნოებით განმტკიცებული. არ იქ-
ნებიან დაბადებით უფლებითა და უპირატესობით მოსილნი, არ იქ-
ნებიან დაბადებით დამცირებულნი და უფლებაახდილნი.... პირადი
ლირსება, პირადი კაცად-კაცობა, აი ამიერიდან ახალი საზომი პი-
როვნების მნიშვნელობისა და გავლენისა... ჩვენი სალამი, ჩვენი აღ-
ტაცებული სალამი ამ რევოლუციას. დღეგრძელობა რუსეთის
ახალ რეჟიმს. მაგრამ... და აი სწორედ აქ იწყება განსხვავება ჩვენსა
და რუსებს შორის“(79).

ირკვევა, რომ თებერვლის რევოლუციამდე გაზეთი „საქართველო“ თავს იკავებდა ეროვნულ-დემოკრატთა პარტიული საქმიანობის „გამუღავნებისგან“. ცხადია, ორგანიზაცია არალეგალურ საქმიანობას ეწეოდა. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ დამფუძნებელი კრება მოგვიანებით ჩაატარა(11) და ოფიციალურად გაფორმდა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, თუმცა ჯერ კი-დევ პირველი მსოფლიო ომის წინ სოციალ-ფედერალისტების რიგებში გამოიკვეთა ეროვნულ-დემოკრატთა ბირთვი. 1917 წლის იანვარში „საქართველო“ ოფიციალურად აცხადებს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისაა. ფაქტია, რომ გაზეთის თანამშრომელთა უმრავლესობა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები იყვნენ და ისინი საოცარ სიფრთხილეს იჩენდნენ, რათა თავიანთ ბეჭდვით ორგანოს პრობლემა არ შექმნდა. სპირიდონ კედიას სიტყვებიდან ირკვევა, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატებმა ოფიციალური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყეს და გაზეთი „საქართველო“ მათი პერიოდული ორგანო გახდა.

საინტერესოა, რას გულისხმობს სპ. კედია ქართველებსა და რუსებს შორის განსხვავებაში: „აქ იწყება განსხვავება საქართველოსა და რუსეთს შორის. ეს განსხვავება უნდა შევიგნოთ. თავისუფალი რუსეთისთვის ეს მოქალაქეობრივი ნორმები საკმარისია, რომ ფრთა ვაშალოს, რაც რომ ფარული ძალა, შემოქმედება შესწევს, უკლებლივ გამოსთქვას. საქართველოსთვის ეს არ კმარა. მოქალაქეობრივი უფლებრიობა თავისუფალ ერშია შესაძლებელი. თუ ერს თავისი საკუთარი მთავრობა არა ჰყავს, თუ ერის სამართალი მის შვილებისაგან არ იწერება, თუ ერის მართვა-გამგებლობა გადამთიელის ხელშია და არა მის შვილებისა, ფუჭია ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლება. ერის სული შებორკილია, მისი არსებობა შებოჭილი, მისი ძალა შემოქმედებისა სუსტია და წარმატება შეუძლებელია... ამიტომაც, რომ თანაბრად კეთილისმყოფელი იყოს, დღევანდელმა რევოლუციამ უწინარეს ყოვლისა საქართველოს ეროვნული თავისუფლება უნდა მოუტანოს. რევოლუცია მხოლოდ

მაშინ იქნება სრული, როცა თავისუფალ საქართველოში ქართველი ხალხი საკუთრივ მოაწყობს და განამტკიცებს მართვა-გამგეობის დემოკრატიულ რეჟიმს. საქართველოს განახლება მოქალაქეობრივ-უფლებრივ ნორმების გამოცხადებით ვერ დაიწყება, არა-მედ მისი ეროვნული თავისუფლების აღდგენით. ეს უნდა მოხდეს ეხლა, ან არასოდეს“ (79).

გაზეთი „საქართველო“ ის მძლავრი პერიოდული ორგანო იყო, რომელმაც ასე მძაფრად და ნათლად, არგუმენტირებულად დააყენა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი. გაზეთის ფურცლებზე მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ პერმანენტულ ხასიათს იძენს.

1918 წლის დასაწყისში საქართველოში პოლიტიკური მოვლენები გამძაფრდა, რასაც სრულად გადმოსცემს გაზეთის სარედაქციო წერილი: „ყოფნა-არყოფნის საკითხი აქვს გადასაჭრელი ქართველ ერს. არა წვრილმანი ანგარიშებისათვის უხდება მას საბრძოლველად დარაზმვა, არა პარტიული, ჯგუფური მისწრაფებისათვის, არამედ ეროვნული მიწა-წყლის, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნული არსებობისათვის. ოსმალეთმა არაფრად ჩააგდო ამიერკავკასიის მთავრობა, მისი სეიმი და საზავო დელეგაცია. ოსმალეთმა არაფრად მიიჩნია ე.წ. „ამიერკავკასიის დემოკრატია“ (113). სტატიაში მოწოდებაა ეროვნული გაერთიანებისა და ეროვნული მთავრობის შექმნისაკენ.

გაზეთი „საქართველო“ აჩქარებს ხელისუფლებას დამოუკიდებლობის გამოცხადებას და მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბოლშევიკებთან კავშირის გაწყვეტასა და ეროვნულ ნიადაგზე დადგომისაკენ მოუწოდებს: „ბოლშევიზმი რუსეთში გადაიქცა ხულიგნობის, დარბევის, აკლების და ყოველივე გონიერების უარყოფის სინონიმად. იგი გადაგვარდა, სოციალისტური იდეისგან იშვა ბარბაროსული ანარქია, რომელმაც სრულიად დაღუპა რუსეთი მენშევიზმის სისუსტესთან ერთად ხელიხელჩაკიდებულმა. და აი... ამ დროს ჩვენი „მმართველი პარტია“ ეხვენება ამ ჯალათს მოდი და გვიშველეო. ეს პარტია ჩვენს ერს ბოლშევიკების მოწვევით

უმასპინძლდება... მათ არა აქვთ ჩვენი დაცვის არც შეძლება, არც სახსარი, თუნდაც რომ სურდეთ და ეს მათ არცა სურთ“ (114).

სრულიად ნათელია, რომ „საქართველო“ იმთავითვე გრძნობდა ბოლშევიზმის საფრთხეს ჩვენი ქვეყნისთვის და რეალურად აფასებდა მოვლენებს. თუმცა, გაზეთს ისიც გააზრებული ჰქონდა, რომ სახელმწიფო ბრიობის დაცვა რომელიმე ძლიერ ქვეყანაზე დაყრდნობით უნდა განხორციელებულიყო. გაზეთის თანამშრომელი ტიტე მარგველაშვილი თავის პუბლიკაციაში „ჩვენი ორიენტაცია“ ხმამაღლა აცხადებს – საქართველომ უნდა აიღოს გერმანიისკენ ორიენტაცია, რადგან „გერმანეთმა საჯაროდ განაცხადა იმავე ბრესტ-ლიტოვსკში, რომ ჩვენ გვცნობს დამოუკიდებლათ. საზავო მოლაპარაკების გამართვა ტრაპეზუნდში ზედმეტი დადასტურებაა იმავე დებულებისა. აქედან ცხადია, რომ შუა ევროპის სახელმწიფოების გეგმას არ ენინააღმდეგება ჩვენი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი არსებობა... ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა გერმანეთის ეკონომიკურ კავშირში შესვლა და ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა“ (115).

სტატიის ავტორის აზრით, ინგლისისა და რუსეთისკენ ორიენტაცია საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებას ვერ მოუტანდა, რადგან საფრანგეთი და ინგლისი თავისი მოკავშირე რუსეთის ქვეშევრდომი პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობას ხელს არ შეუწყობდა. მათი ქმედება ჩაითვლებოდა ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევად, რაც ერის ეკონომიკურ დაუძლურებას უდრიდა. დარჩენილი იყო გერმანიისაკენ ორიენტაცია, რაც ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას უწყობდა ხელს და ეკონომიკურადაც უკეთეს პირობებს ჰქონდებოდა. ამიტომ გაზეთი „საქართველო“ ამ მიმართულებით მუშაობდა და გადაუდებელ ამოცანად თვლიდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება მაშინ არის ერისთვის სასურველი და სასარგებლო, როდესაც ის უზრუნველყოფს ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას, როდესაც დაცულია მოქალაქეობრივი თანასწორობა და თავისუფლება, როდესაც ქვეყა-

ნას განაგებს კანონი, სამართალი და არა ძალმომრეობა და თვით-ნებობა, როდესაც უზრუნველყოფილია ერის ეკონომიკური განვი-თარება. შეეძლო კი საქართველოს საკუთარი ძალებით სამარ-თლებრივი სახელმწიფოს შექმნა? რედაქციის თანამშრომელი ა. ასა-თიანი სტატიაში „გერმანეთის მფარველობა“ აღნიშნავს, რომ ძლიე-რი სახელმწიფოს შექმნისთვის მრავალნაირი სახსარია საჭირო – გონიეროვი, ზნეობრივი, ქონებრივი, პოლიტიკური აღზრდა და დის-ციპლინა. „ჩვენ ვფიქრობდით, რომ ყოველივე ეს უხვად მოგვეპოვე-ბოდა... რომელი გარეშე ძალა შეიძლება, რომ დავიხმაროთ ჩვენი ეროვნული შენობის ასაგებად და მოსართავად? ის ქვეყანა, რომე-ლიც დაიხმარა ამ მიზნისთვის პოლონეთმა, უკრაინამ, ლიტვამ და ფინლანდიამ – გერმანიაა... დღეს ჩვენი ეროვნული ცხოვრება დაქ-საქსული და დაშლილია. საქართველოს ეროვნული სხეული შუაზედ არის განკვეთილი და ჩვენ არ ვიცით, კიდევ რამდენს მოუნდომებენ ჩამოჭრას საქართველოს ეროვნულ სხეულს... ჩვენს ეროვნულ თვი-სებებზე გერმანული სიმტკიცისა და დისციპლინის დამყნით და და-სავლეთიდან ჩვენს ქვეყნისაკენ მომდინარე ეკონომიკური ტალღების ჩვენთვის სასურველი მიმართულების მიცემით, მოემზადება ნიადა-გი ძლიერი საქართველოსი და იქნება მახლობელმა თაობებმა იხი-ლონ საქართველოს მეორე ოქროს ხანა“ (116).

„საქართველო“ დიდ იმედებს ამყარებდა გერმანიაზე და ეროვ-ნულ-დემოკრატებისთვის, როგორც მემარჯვენე ოპოზიციონერე-ბისათვის განსაზღვრული იყო – საქართველოს სახელმწიფოებრი-ვი მშენებლობის დასაწყისი ეტაპი გერმანიას უნდა მინდობოდა. მა-შინ, როცა სოციალ-დემოკრატები ამიერკავკასიის ფედერაციულ მოწყობაზე პროექტებს ადგენდნენ, სოციალ-ფედერალისტები და სოციალ-რევოლუციონერები ამიერკავკასიის კონფედერაციული მოწყობის გეგმას ამზადებდნენ, ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მოითხოვა საქართველოს ამიერკავკასიიდან გამოყოფა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მისი გამოცხადება. ა. ასათიანის საგაზეთო სტატიაში „საქართველოს პოლიტიკური წყობილება“ ვკითხულობთ: „როგორი საერთო საგარეო პოლიტიკა შეიძლება

ჰქონდეს სომხებს, თათრებს და ქართველებს, როდესაც ერთი ჩრდილოეთისკენ მიიწევს, მეორე სამხრეთისაკენ და მესამე კი და-სავლეთისაკენ? არც სასარგებლო, არც სასურველი და არც შესაძლებელია ამიერკავკასიის ხანგრძლივად ერთ კონფედერაციად არ-სებობა, რის მაგალითს საკმაოდ იძლევა ერთი წლის მოღვაწეობა ამიერკავკასიის მთავრობისა და სეიმისა. საქართველო უნდა მოეწყოს ცალკე სუვერენულ სახელმწიფოდ. მან უნდა აწარმოოს საკუთა-რი და დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა...“ (117).

გაზეთის მოწოდება დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გა-მოცხადებისა დღითი დღე მძაფრდება და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგებს. ამ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ დებატებში მონაწილეობენ ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

„გაგონილა სადმე და ოდესმე, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს უცხო სახელმწიფოს პარტია ჰქმართავდეს?“ – სამართლიანად კითხულობს გაზეთი „საქართველო“ (121).

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა მაშინ გამოცხადდა, როცა ეს საკმაოდ დაგვიანებული იყო. ამ დროისთვის ქართველებს, სომხებსა და თათრებს საკუთარი სახელმწიფო ერთეულები უნდა ჰქონდათ. „ამიერკავკასიის პოლიტიკური ხუსულა დაირღვა და დაი-ფერფლა თავის თავად და მალე იშვება ახალი საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ როდის?“ (122).

გაზეთი წუხს, რომ დაგვიანებული დამოუკიდებლობის გამოცხადებით ძლიერ ცოტა რამ თუ გამოსწორდება. თავიანთ უხერხულობას კი ხელისუფლება ერთი სიტყვით გაამართლებს: „გვაიძულეს“ (იქვე).

საყურადღებოა 1918 წლის 18 მაისის ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია „დამოუკიდებელი საქართველო“. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური ცხოვრება ახალ ეტაპზე გადადის.

ამიერკავკასიის რესპუბლიკა უდღეური გამოდგა და გარეშე ძალის ზეგავლენით ისევე იშლება, როგორც აშენდა. თუ ამიერკავ-

კასიის რესპუბლიკამ, როგორც სახელმწიფომ, კრიზისი განიცადა, გაზეთი ამის მთავარ მიზეზად ოსმალეთს ასახელებს, რომელმაც თავისი აგრესით თითქმის მთელი სამხრეთ ამიერკავკასია ხიშტებზე „წამოასკუპა“.

გაზეთი „საქართველო“ სწორად განსაზღვრავს საქართველოს ისტორიულ აუცილებლობას და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას ერთადერთ გზად სახავს: „სრული და დაუყოვნებლივი დამოუკიდებლობა საქართველოსი მაინც ის ერთადერთი გზაა ხსნისა, რომელიც გამოიყვანს მას უკიდურესი მდგომარეობიდან... ამიერკავკასიის რესპუბლიკას უკვე ჰქონდა ომი ოსმალეთთან. ამ ომში საქართველომ წააგო. თუ სომეხ-ოსმალთა ომი აუცილებელია, საქართველომ, თავისი დამოუკიდებლობა რომ არ აღიაროს, კიდევ წააგებს. საქართველოს სრული გამოყოფა და დამოუკიდებლობა ამ ახალს განსაცდელს აგვაცდენს“ (123).

მოულოდნელად ოსმალეთის ლაშქარი ბორჩალოს მაზრაში შეიჭრა. საზავო მოლაპარაკებას ბათუმში აჭიანურებდნენ. ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება ცენტრალურ სახელმწიფოთა მიერ ახალ-ახალ დაბრკოლებებს ხვდებოდა. ოსმალეთი და გერმანია არ ჩქარობდა მოლაპარაკების შედეგიანად დამთავრებას. ამ ვითარებაში გაზეთი „საქართველო“ განგაშს ტეხს: „დახანება შეუძლებელია, ის ჯგუფები, რომელთაც ჩვენი ქვეყანა ამ გარემოებამდის მიიყვანეს, ვალდებული არიან მიიღონ ყოველგვარი ზომა და ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებებთან შეთანხმებით, იხსნან ჩვენი ხალხისათვის და მისი მომავლისათვის ის, რისი ხსნაც კიდევ შეიძლება“ (იქვე).

რედაქციის თანამშრომელი ს. იმერი თვლის, რომ ქართველი ხალხი დგას უდიდესი საფრთხის წინაშე, შეიძლება ერმა დაკარგოს ყოველგვარი შესაძლებლობა ერის თავისუფალი განვითარების, პოლიტიკური და კულტურული აღორძინების, ყველაფერი ის, რისი იმედითაც სუნთქავდა რუსეთის მონობისა და უსაშინლესი ეროვნული დევნის დროს ერის საუკეთესო ნაწილი.

„საქართველოს“ ფურცლებიდან სრულიად ნათელია, რომ და-

მოუკიდებლობის აქტის გამოცხადების წინა დღეებში ხელისუფლება მოვლენათა სტიქიურ მსვლელობას მიენდო. გაზეთი აკრიტიკებს ხელისუფლებას და აცხადებს, რომ არსებული მდგომარეობის შექმნაში მას უფრო მეტი დანაშაული მიუძღვის, ვიდრე ოსმალეთის ლაშქარს და ბოლშევიკების ამბოხებას, რომ მთავრობას არავითარი ძალა არ აღმოაჩნდა თავისი სამშობლოსა და ეროვნული თავისუფლების დასაცავად. „შინაური ძალების დაშლა და დაქსაქსვა, ეროვნული მთლიანობის დარღვევა, ერთის მხრივ, და ჩვენს გარეშე მოქმედ ძალთა ანგარიშის გაუწევლობა – აი, რა ახასიათებდა ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკას ამ ერთი წლის განმავლობაში“ (124).

გაზეთი პარტიებს სთხოვს, უარი თქვან რუსულ პოლიტიკაზე, რადგან „სწორედ რუსულ ძაფებს მოჰყავს საქართველოში ოსმალეთის ჯარი, რადგან ოსმალეთი ისევე სდევნის ამ რუსულ პოლიტიკას ამიერკავკასიაში, როგორც რუსეთის ჯარებს“ (იქვე).

მწვავე კრიტიკული ტონი სულ უფრო ძლიერდება 26 მაისამდე. სრულიად ნათელია, რომ „საქართველოს“ ირგვლივ გაერთიანებული ჯგუფი სწორად განსაზღვრავდა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და ერთგვარად საფუძველს ჰქმნიდა 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის.

26 მაისი და „საქართველო“

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

„საქართველო“ ბეჭდავს აქტის ტექსტს და აღფრთოვანებით ესალმება ამ ფაქტს. სარედაქციო სტატიაში, რომლის სათაურია „დამოუკიდებელი საქართველო აღდგა, გაუმარჯოს საქართველოს!“ ვკითხულობთ: „დღეიდან საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღდგენილია. გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ ერს! საქართველოს ყოველი ნაწილი, ქართველი ერის ყოველი საზოგადოებრივი წრე, ჯგუფი ქედს

მოიხრის საქართველოს აღდგენილი თავისუფლების წინაშე... ქართველი ხალხი – სოფლის მეურნე, ქალაქის მუშა, ხელოსანი, თუ ვაჭარ-მრენველნი ერთსულოვნად უნდა შემოკრბენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმშენებლობისათვის...“ (125).

გაზეთის აზრით, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ოსმალეთთან და მის მოკავშირეებთან, ყველა მეზობელ ერებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას.

გაზეთი არ კარგავს იმედს, რომ გერმანია საქართველოს პოლიტიკურ მფარველობას გაუწევს და ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება, რომ გაძლიერდება საქართველოს ჯარი და ქართული მხედრობა ღირსეულად გააგრძელებს სახელმწიფო წინაპართა გზას: მტკიცედ დაიცავს ის საქართველოს მიწა-წყალს, მის თავისუფლებას და ეროვნულ მთავრობას.

სტატია საკმაოდ ომახიანად მთავრდება:

„საქართველოს მამულიშვილნო! საშინელ მსოფლიო ქარტებილში, შინაურ და გარეშე ბრძოლაში საქართველოს თავისუფლება იშვა. შევიკრიბოთ ყველანი მის დასაცავად, ასაყვავებლად.

გაუმარჯოს განთავისუფლებულს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ ერს!“ (იქვე).

გაზეთი მოუწოდებს მთელ ერს სახელმწიფო აღმშენებლობისაკენ.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულმა საქართველოს დამოუკიდებლობამ დიდ აღფრთოვანებასთან ერთად უამრავი საზრუნავი გაუჩინა ყველას. ეს ფაქტი გაზეთის ფურცლებზე განიხილება, როგორც ქედის მოხრა საქართველოს დროშის წინაშე, დაგვირგვინება და დადასტურება იმ აზრისა და მიმართულებისა, რომელსაც განსაზღვრავდნენ და ყოველდღე იმეორებდნენ „საქართველოში“ მოღვაწე პუბლიცისტები. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია საქართვე-

ლოს დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლის წინაპირობად იქცა. ამ დეკლარაციით საქართველო მიუერთდა დასავლურ სამყაროს და დემოკრატიული ფასეულობები აღიარა – საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოს სახელმწიფო იცავს მუდმივ ნეიტრალიტეტს. იმ პერიოდში არ არსებობდა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები, რომელშიც განევრიანების პოლიტიკური სურვილი გაჩნდებოდა. ერთადაერთი, რაზეც მაშინ ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში პოლიტიკური ნება გაჩნდა, ერთა ლიგაში მოხვედრა იყო, თუმცა ეს სურვილი სურვილად დარჩა და არც ერთა ლიგის იდეა აღმოჩნდა ხანგრძლივი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ვუდრო ვილსონის კეთილშობილურ სურვილს მსოფლიო დიდი აღტაცებით არ შეხვედრია.

გაზეთი არჩეული პარლამენტის მთავარ ამოცანად მიიჩნევს კონსტიტუციის შემუშავებას და სოციალური რეფორმების განხორციელებას. „ცხოვრებამ მთლად ამოსწურა რევოლუციური გზა და ეხლა იგი სიტყვას საპარლამენტო კანონმდებლობას, ევოლუციურ შემოქმედებას აძლევს“ (126).

ამ დღიდან გაზეთმა „საქართველომაც“ ამონურა რევოლუციური გზა. მიაღწია იმას, რისთვისაც წლების მანძილზე კალმითა და სიტყვით იბრძოდა. ცხადია, ადვილი არ იყო ეს გზა. ათასჯერ გაზომილი და აწონილი სიტყვის უკან დიდი რისკი და გამბედაობა იდგა.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ „საქართველო“ ადგილს უთმობს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებს, განსაკუთრებით, ქვეყნის ძირითად კანონზე – კონსტიტუციაზე მუშაობას. როგორი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუცია? ამის შესახებ გაზეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საუბრობდა და შემდეგაც არაერთი საინტერესო ანალიტიკური წერილი მიუძღვნა.

როგორ გამოქმაურნენ 26 მაისის აქტის გამოცხადებას ქართველი მწერლები და პუბლიცისტები? ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის ლექსის გამოქვეყნება „საქართველოს“ ფურცლებზე, რომელიც 6 ივნისის ნომერში გაზეთმა ექსკლუზიურად დაბეჭდა:

26 მაისი

„ვამაყობ როგორც გულზვიადი მეისრაბარი
დასისხლულ მარჯნით იჭედება ჩემი სახელი,
ცხელ არმაზიდან ატირდება შავი ძახილი,
აცეცხლებულა ტოპაზებით ამაყი სახლი.
მზე პერანგს იცვამს ყირმიზისას – მთებში ნაფარი;
რკინის კვნესაში ხმალსა ჰკვერავს მეისრაბარი!
საწყალ აჩრდილებს, რომ სდიოდათ სუნი მიწისა,
აღარ აცვიათ ტურნირებზე თეთრი რძიანა;
აღარ ანახლებთ ხმა სოლომონ ლეონიძისა –
დგებიან როგორც კეისარი ვესპასიანე.
შვინდის დროშებით გავაგიშებ ყომრალ მოედანს.
– დდევანდელი მზე საქართველოს ისევ მიიტანს.
ნელდება ცეცხლის კოშმარებში ოდრიკალები –
თეთრი ფიქრები მახვევია მადრიგალერად...
და გორგასლანის მელანდება შავი სურათი.
მისრეთი... ჰინდი... ბაბილონი და ასურეთი...
ჩემსკენ მოჰქრიან იალქებით: სპარსი, აბაში,
ჩემი სახელი დაიხევა აღტაცებაში,
დღეს სიხარული – ვით ცეკვაში მთვრალი სალომე
როგორც ეთერის სარეცელზე აბესალომი!
ქართლოსის ლანდი ბრნეინვალებით გამეთარეშა –
არმაზისაკენ!

ნულარ წაგალთ ლეგა ზამთარში!“ (127)

აი ასეთი მუხტით სუნთქავდა „საქართველო“ 1918 წლის 26 მაისის დღეებში. ეს ლექსი პოეტის საბჭოური პერიოდის კრებულებში შეტანილი არ იყო. ჩვენ პირადად, პირველად ათი წლის წინ, ე.ნ. „იმელის“ ბიბლიოთეკაში დაცულ არქივში წავიკითხეთ ლეონიძის „26 მაისი“. ეს ლექსი არის საზოგადოებრივი მანიფესტი და ხმამაღლი განაცხადი იმისა, თუ როგორ შეხვდა და მიესალმა ქართული მწერლობა დამოუკიდებლობის აღდგენას. გიორგი ლეონიძე ამაყია იმ ფაქტით, რაც საქართველოს ხელისუფლებამ და ხალხმა გა-

დაწყვიტეს. მისი პოეტური ნიჭი და მხურვალე ემოციაა ჩატეული ამ ლექსში, რითაც „საქართველოს“ ერთ-ერთმა ერთგულმა ავტორმა მთელი ქართველი ხალხის სიხარულის ყიფინა გამოხატა. 2000 წელს გამოიცა გიორგი ლეონიძის წიგნი „საქართველოს ცრემლები“ (რედაქტორი და გამომცემელი გიორგი ქავთარაძე), სადაც შესულია ლექსი „26 მაისი“ (34). იგივე ნანარმოებია შესული 2001 წელს გამოცემულ კრებულშიც, რომელიც შეადგინა ფილო-ლოგის მეცნიერებათა დოქტორმა თამარ ბარბაქაძემ (35).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ცნობილი მოღვაწე რევაზ გაბაშვილი დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით იგონებს: „მენშევიკები, როგორც ყოველთვის, წინააღმდეგი იყვნენ, ჩვენ, პირიქით, ამ დიდი ხნის ოცნების, ომითა და რევოლუციებით შექმნილ ხელსაყრელ გარემოებათა გამო, დაუინებით მოვითხოვდით გამოცხადებას. მაგრამ, რასაკვირველია, მარტო შიგნიდან დანოლით ვერ დავძლევდით ინერციასა და მენშევიკების წინააღმდეგობას, გარედან გერმანიასა და ოსმალეთსაც რომ არ მოეთხოვა იგივე. ამ ორმაგმა წნეხმა შიგნიდან და გარედან აიძულა მენშევიკები 25 მაისს დაეყენებინათ ეს საკითხი „ეროვნულ საბჭოში“. ქართველი ხალხის სასიქადულოდ უნდა ითქვას, კრებამ ერთხმად (გარდა რამდენიმე „თავდაჭერილისა“ და ერთად ერთი „ხელგასახმობის“, მგონი გერონტი ქიქოძე იყო, რომელმაც ხელი ასწია წინააღმდეგ) მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება – ხვალ, 26 მაისს“.

მაგრამ, როგორ მოხდა, რომ 36 – „სოციალ-დემოკრატიის“, 10 – „სოციალ-ფედერალისტის“, 10 – „სოციალისტური რევოლუციის“ და მხოლოდ 9 – „ნაციონალ-დემოკრატის“ კრებამ მიიღო ასეთი „უცნაური დადგენილება“?

ნათელია, რომ „საბჭოს“ დასაწყისიდანვე, არც ერთი საკითხი იქ არა წყდებოდა, სანამ „სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ საიდუმლო კრება სადღაც ჯურლმულიდან არ მოიტანდა თავის საკუთარ გადაწყვეტილებას. აქ კი მოხდა სასწაული. ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ, რა მოხდა იმათ კრებაზედ. ვინ იყო მომხრე, ვინ წი-

ნააღმდეგი?.. მაგრამ ერთი არაჩვეულებრივი ამბავი კი მომხდარა: პირველად, რაც კი ეს „ტერორისტული“ და „არადემოკრატიული“ პარტია არსებობს, ნება მიუციათ წევრებისათვის, ხმა მიეცათ ყველას თავისი ნებით და არა „უმრავლესობის“ დამორჩილებით „უმცირესობისა“. იმ საღმა უმრავლესობამ, ე.ი. ხალხმა, „ეროვნულ საბჭოში“ მოიტანა ქართული ინდივიდუალური ხმები, და არა „მენ-შევიკური პარტიისა“ და 26 მაისი ყველა ამ ზემოაღნიშნულ რთულ გარემოებათა ჯამი იყო.... უზემოდ იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება და ეს აღიბეჭდა კიდეც, საუბედუროდ, მენშევიკურ „დამოუკიდებლობის აქტში“, საცა აღფრთოვანების მაგიერ, ტირილი და ბოდიშებია.... რუსეთის წინაშე“ (9).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევინწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩენენ რა თვისი ძალლონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყ-

რობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკა.
3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.
7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძლვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

„საქართველოში“ მოღვაწე ქართველმა უურნალისტებმა და მწერლებმა, უდიდესი წელილი შეიტანეს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაში, გამოხატვის თავისუფლებაში. საგაზეთო პუბლიკაციებში ნათლად იკვეთება ერთი მთავარი პრინციპი: სვლა ჩრდილოეთისკენ პროგრესს არ იძლევა, მათი გეზი დასავლეთის-

კენაა მიმართული. დიდ ევროპასთან ინტეგრაცია კი პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად დიდ შინაგან ტრანსფორმაციას მოითხოვს. არის კი მზად საქართველო და თითოეული მოქალაქე თავისი ბედი დამოუკიდებლად განაგოს და მისი წილი პასუხისმგებლობა იტვირთოს. ისინი არ იყვნენ არსებული რეჟიმის მხოლოდ დაუძინებელი ოპონენტები, არამედ ქმნიდნენ იმ პოზიტიურ ძალას, რომელიც აფუძნებდა ახალ, მიმზიდველ ალტერნატივებს დემოკრატიისა და თავისუფალი ურთიერთობების სახით და წარმოადგენდა ევროპულ სტრუქტურებთან კავშირის ინიციატორს.

გრიგოლ რობაქიძე

1917-1918 წლებში გრიგოლ რობაქიძე „საქართველოს“ აქტიური ავტორია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართულებას უჭერს მხარს. გაზეთის ფურცლებზე იგი მთელი სიმძაფრით იწყებს „ევროპეიზებული“ კულტურის წარმოჩენასა და რეკლამირებას. XX საუკუნე საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი უღელტეხილით დაიწყო, რაც მოდერნიზმის იდეოლოგმა გრიგოლ რობაქიძემ ქართული რენესანსის ჩასახვად შეაფასა: „მისტიური სიმბოლო ქართული რენესანსის ჩასახვის წინამურის ველია: ქართველმა მოჰკულა საქართველოს მძლავრი მხედარი, ხოლო სისხლით შეფერილს ხელს რო დახედა, მკელელმა საქართველოს სახე დაინახა. ილია ჭავჭავაძე მსხვერპლია, შეუცნობლად შენირული საქართველოს საყოფელო სახის ხილვისთვის. და მართლაც: „მგონი, არასოდეს ისე მძაფრად არ უგრძვნია ქართველს საქართველო, როგორც ამ ტრაგიკულ წამს... ქართველმა იგრძნო საქართველო და ამ გრძნობიდან ისახება ქართული რენესანსი“(95).

გრიგოლ რობაქიძის დაკვირვებით, სხვადასხვა შემოსევები, მონღოლური, არაბ-სპარსული, ბიზანტიური თუ რუსული, „მეტ-ხორცად მიეკრა“ ქართულ კულტურას და ქართული რენესანსის წინააღმდეგ აღიმართა.

გრ. რობაქიძეს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველო გათავი-

სუფლდება, გაერთიანდება და გამთლიანდება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები უფრო იმპულსის ხალხია, ვიდრე გრძნობის, მაინც სწავლას, რომ ნამდვილი და ღრმა გრძნობა სხვაგვარ შემოქმედებას გააღვიძებს საქართველოში. „გრძნობა უკანასკნელს წვეთამდე, – აი რა არის ჩვენთვის თავი და თავი. განსაკუთრებით ახლა, ქართველმა უნდა იგრძნოს რაინდული შემოქმედებით საქართველო. მხოლოდ ამ შემთხვევაში აყვავილდება ქართული რენესანსი. ასეთ გრძნობას, ხან და ხან მისტიურობამდე აყვანილს, ვერა სიძნელე ვერ გადაეღობება წინ; იგი ყოველს ზღუდეს გადალახავს, განსაკუთრებით ეს პმართებს ქართველ ხელოვანს: იგი თანვე რაინდიც უნდა იყოს სულიერი, რომ მთელი ქართველობა ამოსწუროს მის ისტორიულობაში და გამოჰკვეთოს მისგან ნამდვილი ქართული სტილი“ (იქვე).

„ნამდვილი ქართული სტილის“ დამკვიდრება – გრიგოლ რობაქიძის „საქართველოს“ პერიოდის მთავარი კრედოა. „ნურცა გონია ვინმეს ვითომ დამბლის ნიშნები იყოს ჩვენი სხეულის ხერხემალში. მანკიერსა და ხინჯიანს ჩვენსას ჩვენვე შევაჩვენებთ. არც სიკვდილის გვეშინია, თუ რაინდულად ხმალში გაგვიწვიეს. შესაძლოა, „სისხლის გამოშვება“ გვჭირდებოდეს: დიდი ხანია, რაც არის დაგუბებული. მაგრამ თუ გამოუშვეს – ქართველი ხმალი მაშინ მზის ტევრებში აპრიალდება“ (105).

სიკვდილისა და „მრავალუამიერის“ თემას გრიგოლ რობაქიძე „საქართველოს“ რამდენიმე ნომერში გამოქვეყნებული წერილების სერიაში გვთავაზობს: „დიონისოს კულტი და საქართველო“. საქართველოს ისტორია დიონისური მისტერიაა: „სიკვდილი და სიცოცხლე, გაქრობა და ალდგენა – მგონი, ჩვენზე უფრო მკვეთრად სხვა ხალხს არ განუცდია“, – წერს იგი (93).

საქართველო-ევროპა-აზია – ასე დაიწყო რობაქიძისეული კულტურათა ულელტეხილი (36). აქვეა რუსეთიც, რომელიც ინსტიქტების ანარქითაა მოცული, სადაც არ არის არავითარი სიმტკიცე: არც აზრის, არც რწმენის, არც იდეალის, არც ზნეობის. ეს მწარე სინამდვილე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოიწევს:

„მთელი რუსეთის ცხოვრება იმ მაგიდას მოგვაგონებს, საცა ბაქქა-რას თამაშობენ. რამდენად უფრო ძლიერდება ეს თამაში, იმდენად უფრო სიმძრაფით იმართება „შემთხვევა“, მთელი ენერგია კულტურისა, პიროვნებაში თავმოყრილი ინგრევა და იბნევა, მოთამაშე ათასწლობით უკან იხევს და ბიოლოგიურს საშინელებას უახლოვ-დება, იღვიძებს მასში ნამდვილი „მხეცი“, ხოლო რამდენად უფრო მძვინვარდება ეს საშინელი „მხეცი“ მოთამაშეში, იმდენად უფრო ძლიერდება უკანასკნელში თამაშის ჟინი: „შემთხვევის“ გამოწვევა, „პედის“ შებრძოლება...“ (76).

მწერალი „საქართველოს“ მკითხველს და მთელ საზოგადოე-ბას პირადი ტალანტის გამოსავლენად მოუწოდებს, მხოლოდ დაწე-რილი პროგრამები გზას ვერ გვაპოვნინებს. „თუ მოგებული ვერ გამოვალთ, თავს მაინც გადავირჩენთ“, –ამბობს იგი.

„ანარქიის სტიქიონი“ კი ჩრდილოეთშია, რაც საქართველოს გათავისუფლებას ხელს უშლის. ნ. ბერდიავის დებულებაა, რომ „რუსეთის ისტორიის გულ-ნება აპოკალიპსია, მისი სული მიმარ-თულია აბსოლუტურისა და უკანასკნელისკენ. რეალიტიკურსა და საშვალოში იგი პირიქით, სუსტია და უმწეო...“ ვ. ივანოვის აზრით: „რუსეთის ხალხს, ნახევრად თავხედური და ნახევრად ბუნდისტუ-რი შეცნობა ახასიათებს. რუსეთის სულს სწყურია მხოლოდ უთუო რამ, სათუოს კი გვერდს უხვევს ყოველთვის“ (91).

დოსტოევსკის სიტყვებია, რომ „რუსის ხალხს უყვარს პირლია უფსკრულთან თამაში“, რაც სათავეა რუსეთის ტრაგედიის. აბსო-ლუტიზმისაკენ და „უთუოსკენ“ სწრაფვაში რუსეთმა თავისი სული დაადგინა. ძველი ტრაგიკოსებისა და შექსპირისაგან განსხვავე-ბით, დოსტოევსკიმ დანაშაულის პრობლემა სხვაგვარად წამოაყე-ნა. ეს ტრადიციები ანდრე ბელიმ განაგრძო. თუ აბსოლუტურის ძიებაში და აპოკალიპსური სულის დამყარებაში რუსეთმა ვაჟკა-ცური ძალა გამოიჩინა, „საშუალოს შექმნაში“ სუსტი აღმოჩნდა. დიდი თვითმპურობელობიდან დიდ ანარქიაში გადავარდა. „მისი სული ეხლა მხოლოდ ქაოსის ფრთხებზე ქანაობს“ (იქვე).

რუსეთის თემა საკმაოდ ფართოდაა გაშლილი გრიგოლ რობა-

ქიძის წერილებში. ბოლშევიკების აჯანყებიდან დაწყებული ესერების პარტიით დამთავრებული, ავტორი ეხება და განიხილავს ყველაფერს, რაც კი ქართულ სინამდვილესთან კავშირშია. რუსეთის სულიერი განწყობა – პოლიტიკურ გადაწყვეტილებამდე „საქართველოს“ განხილვის თემაა. ამიტომ გრ. რობაქიძე სხვა მწერლებთან ერთად გვიჩვენებს, ერთი მხრივ, დოსტოევსკისა და ანდრეი ბელის რუსეთს და, მეორე მხრივ, ანარქისტების ხელში მყოფს. ეს ორი რუსეთი ყოველთვის წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთმანეთან, ან ერთმანეთს ავსებდა.

„რუსი დაბადებით „ბოლშევიკია“. რამდენადაც ეს მაქსიმალიზმი სულის მანიფესტაციაში ცნაურდება, იმდენად რუსის ერი ნიჭიერია და ძლიერი. მაგრამ კულტურა მარტო სულის ცნაურობით არ არის: იგი ნივთთა და სოციალურ ნაკვთთა შემოქმედებაა... რუსი გვაგონებს იმ ადამიანს, რომელმაც ავტომობილი უარჲყო, მხოლოდ მისთვის, რომ ჰაეროპლანი არ შესთავაზეს, და ახლა ურმით მიხოხავს. ეს მაგალითი, მგონი, ამოსწურავს რუსეთის უმწეობას სახელმწიფო შემოქმედებაში. რუსეთი დღეს ანარქიულია და ქაოსის ფრთხილით უფსკრულის პირას დაფრინავს. ძლიერ საეჭვოა გამარჯვებული გამოვიდეს ამ საშინელი განსაცდელიდან“ (91).

მაშინდელი რუსეთის სამ ფაქტორს გამოჰყოფს მწერალი: კადეტურს (ბურჟუაზიული დემოკრატია), ბოლშევიკურს (სოციალისტურს) და მენშევიკურს. ყველაზე ძალისმიერად ამ ელემენტებში ბოლშევიკური მიაჩნია და თან აფრთხილებს ქართველ საზოგადოებას: „ნუ ვიქნებით უბრალო მორჩილნი იმ ფანტაზიებისა, რაიც პეტროგრადის ნისლში მოელანდათ. ჩვენ ჩვენი საკუთარი გზა გვაქვს და ვეცადოთ ძალების შემოკრებას, რომ რევოლუციაში შობილი ეროვნული განთავისუფლების გზა ანარქიით არ მოვისპოთ“ (92).

რევოლუციის შემდეგ პეტერბურგი მისთვის „ფანტასმების ქალაქად იქცა“, ყოველი დღე იქ რაღაც ახალი ზმანება იბადება და ამ ზმანებით უნდათ არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი სამყაროს გარდაქმნა. ამ წადილში უთუოდ არის ერთგვარი ფსიხოზი, რუსე-

თის სულის ქაოსით ნაშობი, სინამდვილის გრძნობის დაკარგვა და სოციალური ფანტაზიის ციებ-ცხელება“ (იქვე). ასეთია რობაქიძის-თვის პეტერბურგი, „ჭაობის ნისლებისგან შობილი ქალაქი“. პეტრე დიდმა პეტერბურგით „რუსეთის სტიქიონი“ გამოკვერა. პეტერბურგი კი დოსტოევსკის გარეშე წარმოუდგენელია.

გრ. რობაქიძისთვის სოციალისტურ იდეალს ყალბი საფუძველი აქვს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ყველაზე ეროვნულ ძალად მიაჩნია. დასავლური კულტურაც მისთვის იმიტომ არის მიმზიდველი, რომ ადამიანის „მე“ მეტად იკვეთება. დასავლურ ცნობიერებაში გაბატონებულია ინდივიდუალისტური მომენტი. „თუ გინდ ათასმა ბოგდანოვებმა გვიმტკიცოს, რომ წარმოების განსაზოგადოებასთან ერთად ვითომ ადამიანის ფსიქიკაც განზოგადდეს და აღარ იქნეს „შენ“, „მე“, „ის“ და იქმნეს მხოლოდ უპირობო „ჩვენ“, კლასიკურ პასუხად დარჩება ყოველი სოციალისტის მიმართ კლემანსოს სიტყვა ჟორესისადმი: თქვენი კონცეპცია ერთ მუხლში სცდუნებს: ადამიანი, რომელიც დაგჭირდებათ თქვენი იდეის განსახორციელებლად, ჯერ არ არსებობს, თუ გინდ თქვენი თეორია კიდეც განხორციელდეს“... (102).

„მე“ არ უნდა გარდაიქმნას „ჩვენ“-ად! ასეთი სასწაულის გრიგოლ რობაქიძეს არ სჯერა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეალი უფრო მართებულად მიაჩნია და, ამდენად, არ სჭირდება სოციალური სასწაული. მისი მთავარი საგანი ისეთი პირობების შექმნაა, სადაც ყოველ ინდივიდს შექძლება გამოამჟღავნოს და განამტკიცოს ინდივიდუალური პოტენციური სიმდიდრე. ინდივიდუალური თავისუფლება – სოციალური იდეალის მიზანია.

გრ. რობაქიძისთვის სოციალიზმის ფსიქოლოგიით სახელმწიფოს მართვა შეუძლებელია. ქართული სოციალ-დემოკრატიის აკვანს გურიაში მოიაზრებს. „ინგოროვანინოშვილი, ნოე ჟორდანია, მახარაძეები – ოთხი რამიშვილი, ცინცაძეები, ლომთათიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ბენია ჩხიცვიშვილი, დოლიძეები“... ეს გრ. რობაქიძის არასრული ჩამონათვალია წერილიდან „გურია და სოციალიზმი“ (97). წერილს გურიის ხატოვანი ბუნების აღწერით იწყებს.

გურიის მხატვრული დასურათხატების შემდეგ ავტორი პოლიტიკური დატვირთვის შტრიხებზე გადადის. მისთვის უცნაურია, როგორ თავსდება ასეთ ბუნებაში სოციალიზმისათვის მზაობა. თუმცა, გურულები სოციალისტური სამოსელით გვეჩვენებიან, მათი ფსიქიკა მაინც აზნაურულია: „ყველაფერი შეიძლება ამოშალოთ გურულში, მაგრამ „წარჩინებულობის“, „რჩეულობის“ გრძნობას მათში ვერავინ ამოშლის: გურულის სიამაყე – „პათოსია მანძილის“ (იგულისხმება: „ჩემსა“ და „სხვებს“ შორის) (იქვე).

გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გრიგოლ რობაქიძემ არა-ერთი საინტერესო წერილი უძღვნა ცნობილ ქართველ მოღვაწეებს, მწერლებსა და ისტორიულ გმირებს. მისი არაჩვეულებრივი ესსე „თამარ!“ „საქართველოში“ დაიბეჭდა დამოუკიდებლობის გა-მოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე. თამარ მეფე, ბესიკი, ალექ-სანდრე ჭავჭავაძე, გიორგი შარვაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, ტიცან ტაბიძე, ნიკო ფიროსმანი და სხვ. გრიგოლ რობაქიძის „საქართვე-ლოს“ პერიოდის შემოქმედების მთავარი გმირები არიან. მათი გახ-სენება კი ერთ მთავარ მიზანს ემსახურება – ეროვნულ იდეას, თა-ვისუფლებას, როგორც ინდივიდუალიზმის არსა და ფუნდამენტს.

თამარის სახელი იდუმალია ქართველთა წარმოდგენაში. ეს სა-ხელი აერთიანებდა ერის სხეულის განყვეტილ სულს. თამარი ქარ-თული სულის გამაერთიანებელი მარადიული საწყისი, ღვთაებრივი ალმაფრენაა, რაც შეუცნობლად, „უხილავად“ აერთიანებს საქარ-თველოს ეროვნულ, ისტორიულ რეალს. თამარ მეფის პიროვნება „ჯადოსნური ძალის ნაკადულია, რომლის ძლიერება ძნელად გად-მოსაცემი და გადაუთარგმნელია“.

თამარის ღვთაება და თამარის ეპოქა დღესაც ასხივებს საქარ-თველოს ისტორიას. XII საუკუნე კულტურული თუ პოლიტიკური მნიშვნელობით მიუწვდომელი რჩება აქამდე. ეს ის რაინდული სა-ქართველოა, რომელიც ასე ძალიან ენატრება გრიგოლ რობაქიძეს 26 მაისის დამოუკიდებლობამდე ცოტა ხნით ადრე, თამარის ხსენე-ბის დღეებში. ამიტომაც სიმბოლურია მისი წვდომა XII საუკუნის ღვთაებასთან, რომლის ჯადოსნური ძალის გასაღებს მის „მარად-

ქალწულ“ ბუნებაში პოულობს: „თამარ ქალწული იყო ბუნებით და მთელი მისი არსი ნათელ ჭურჭელს წარმოადგენდა ღვთიურობის ნაკადისთვის, სწორედ მარად ქალწულობის სხივით იქცა თამარი თვალისმომჭრელ ლეგენდად“(118). თამარი რობაქიძისთვის „თეთ-რგულა ლოტოსი“. „ლოტოსი“, იგივე წყლის შროშანი, ქრისტიანული ხედვით, სიწმინდის სიმბოლოა და მეფე-ქალის, ვითარცა ქალ-ლმერთის, სისპეტაკეზე მიუთითებს.

„რაინდული საქართველოს“ თემის გაგრძელებაა გრიგოლ რობაქიძის ნარკვევი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“. ალექსანდრე ჭავჭავაძე ის ადამიანია, რომელშიც სამივე სახის არისტოკრატობა იყრიდა თავს – „გვარული, ბიოლოგიური და სულიერი... იგი ნამდვილი დენდი იყო ქართულ-აღმოსავლეთური დარღიმანდობით“...

ალ. ჭავჭავაძეს გრ. რობაქიძე ბესიკის მემკვიდრეს უწოდებს. მან სპარსულთან ერთად ქართულ პოეზიაში ევროპულიც შემოიტანა და დაამკვიდრა. თუმცა, ბესიკი აღმოსავლეთის შვილია. ის სალექსო ტექნიკა, რაც ბესიკმა განავითარა, რობაქიძის დაკვირვებით, ერთი საუკუნის შემდეგ ფრანგმა სიმბოლისტებმა პრინციპად აიღეს. ეს კი მწერალს სრულ უფლებას აძლევს, რომ ბესიკი აღმოსავლეთის მაცოცხლებელიცა და თანამედროვე ევროპელი პოეტიც დაინახოს.

ქართული ლექსის პრინციპებს მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ არაერთი ლიტერატურულ-მხატვრული კვლევა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე. რა არის „სამკაული“, რიტმი და რითმა? ვინ უფრო ვირტუოზია – გრიშაშვილი თუ ტაბიძე? რა არის ქართული სონეტის ნაკლი და მშვენება? – გრ. რობაქიძის მთავარი საკამათო თემებია.

„რაინდული საქართველოს“ თემას განაგრძობს გრიგოლ რობაქიძე ლიტერატურულ ნარკვევში „გიორგი შარვაშიძე“(104), რომელიც მან ქართველი რაინდის გარდაცვალებას მიუძღვნა.

„ცხენოსანი ნამდვილი მხედარი: მოხდენილი ჯდომა, – თითქო მპრძანებელი მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ თითქო მას ძალას არც კი ატანს, – მარჯვე დაკავება სადაცის, ხოლო, სიარულია თა-

ვისუფალი, – რიტმით მიშვება ცხენის სიარულის, გარნა არც თუ ძარღვებდაჭიმულობა მხედრის: ყოველი, რაც რომ სამხედრო ჯიშის მემკვიდრეობით გადაუცია ადამიანისთვის. გამახსენდა არჩილ ჯორჯაძის სიტყვა: ქართველი ბელეტრისტისთვის ისიც არის საკმაო, რომ რომელიმე აბხაზის ცხენოსნობა ასწეროსო.

გადმოხტა, გავიცანი: „გიორგი შარვაშიძე, შვილი აბხაზეთის უკანასკნელი მთავრისა“ (იქვე).

მწერალს მოსწონს ამ მოხდენილი და განათლებული ვაჟკაცის მთავარი უნარი – თავისუფლების შეგრძნება და აუცილებლობა. „არავითარი კომპრომისი, სრული თავისუფლება“ – ეს სიტყვები შარვაშიძის მსგავსი რაინდებისგან უფრო მნიშვნელოვანია და ამიტომაც განსაკუთრებით აუღერებულია იგი ქართველი მწერლის ნარკვევში.

ასეთივე თბილი და საინტერესო აღნერა მიუძღვნა მან კიტა აბაშიძეს (99). მისთვის წარმოუდგენელია ძლიერი საქართველო ძლიერი და შემოქმედებითი ქართველების გარეშე. კიტასთან შეხვედრები ისეთივე პათოსის და ემოციის მატარებელია, როგორც არჩილ ჯორჯაძესთან აუდიენცია. მწერალი მაშინ ესტუმრა საზოგადო მოღვაწეს, როცა არჩილ ჯორჯაძე მძიმე სენით იყო დაავადებული. ყველა დროის, ყველა თაობის ადამიანების ფიქრი ერთი საკითხის ირგვლივ ტრიალებდა, რა მოხდება ხვალ? რა მოელის საქართველოს? ქართველი შემოქმედი მუდმივად იდგა შიშნარევი ალტერნატივის წინაშე: „ან ეხლა ან არასოდეს!“ საქართველოს თავისუფლება არ იყო შორს, მაგრამ მტერი იყო ძლიერი. ეს კი გარკვეულწილად თრგუნავდა ყველას, მიუხედავად მათი მხრიდან სულიერი უდრეკელობისა და სამშობლოსადმი თავგანწირვის დემონსტრირებისა. „შევედი. წევს. სიცხე აქვს ნელი. ჩამოვარდა ლაპარაკი „წყეულ საკითხებზე“, უეცრად წარმოსთქვა: თუ პირადი უკვდავება არ არსებობს, იმ შემთხვევაში სისულელეა ყველაფერი, – სისულელეა საქართველოს თავისუფლებაც. გავკვირდი ძლიერ. შესაძლოა, ეს მხოლოდ ერთი ამოძახილი იყო მის სულში წარმოებული ბრძოლისა, საინტერესო იყო აქ არა ეს დაბეჯითებითი მტკიცე-

ბა: არა: აქ იყო სულის წამების ამოთქმა, რომელიც რჩეულთა ხვედრია (ყველაფერი გადაჭრილი მხოლოდ იდიოტებისთვის თუ არსებობს). შესამჩნევი იყო აქ საქართველოს მოყვანა: თუკი ყველაფერი სისულელეა, მაშინ რასაკვირველია საქართველოს სისულელეც იგულისხმება და მისი დასახელება საჭირო არ არის, – მაგრამ აქ ალბათ სილლოგიზმის ჩამოსხმას მისი სული არ ეძებდა: საშინელს გადაწყვეტაში პირველადვე ყველაზე უფრო საყვარელმა არსებამ იყლვა მის ფიქრში, – და ეს საყვარელი არსება მისთვის ხომ საქართველო იყო“ (110).

„საყვარელი არსების“ დამოუკიდებლობის დღეს ვერც არჩილ ჯორჯაძე მოესწრო, ვერც კიტა აბაშიძე და ვერც გიორგი შარვაშიძე. თუმცა, 26 მაისი, როგორც თავისუფლების დღესასწაული, მათმა რჩმენამ და ბრძოლამ მოიტანა.

„ცრემლების ღვრისა და ქვითინის პათეტიკა დამღუპველია ქართული ეროვნული ცნობიერებისთვის“, – ნერდა არჩილ ჯორჯაძე (73), რომელმაც გრიგოლ რობაქიძეს ქართულ ლიტერატურაში დასამკვიდრებლად ერთგვარი დასტური მისცა. 10-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურის განახლებისა და ევროპეიზაციის პროცესი დაიწყო, საიდანაც ქართული მოდერნიზმის ისტორიაც აითვალა. ახლებური აზროვნება და ახლებური ხედვა ლიტერატურაში საზოგადოებრივი ცხოვრების პარალელიზმში მიმდინარეობდა. ნოვატორებისთვის კი თავისუფლების იდეა უმთავრესი მუზა იყო ახალი შედევრების შესაქმნელად. არჩილ ჯორჯაძე გრიგოლ რობაქიძეს „ახლებური აზროვნების“ შემომტანად მიიჩნევს: „გრიგოლ რობაქიძე, ადამიანი ნიჭით დაჯილდოვებული, ხოლო ამასთან იმგვარი ტიპისა, რომელიც დღემდე გამოუცნობი რჩება ქართველი საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკური ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი და რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის სრულიად ახალი და დღემდე თითქმის უცნობ მოვლენად ჩაითვლება“ (იქვე).

„საქართველოს“ პერიოდი რობაქიძის ახლებური აზროვნების რეალიზაციის პერიოდია. ინდივიდუალური თავისუფლება, სტერე-

ოტიპების მძიმე ტვირთის დაძლევა, კრიტიციზმის დამკვიდრება, აზრისა და იდეების პლურალიზმი, წარსულის გაანალიზება არა იმისთვის, რომ მას მივეჯაჭვოთ, არამედ ახლებურად შევაფასოთ და გადავაფასოთ, სრული რეფორმაცია და ცვლილებები – ასეთია გრიგოლ რობაქიძე გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე.

ტიციან ტაბიძე

1917-1918 წლების გაზეთ „საქართველოში“ აქტიურად მოღვაწეობს **ტიციან ტაბიძე**. გაზეთში იპეჭდება მისი ლექსები, ლიტერატურული ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები. საგაზეთო კორესპონდენციებს ტიციანი სპეციალურად „საქართველოსთვის“ მოსკოვიდანაც აგზავნის. სწორედ იქ, მოსკოვში წერს მეტად მნიშვნელოვან წერილს რუსეთის თებერვლის რევოლუციაზე, სადაც ხაზს უსვამს რუსეთის ერთფეროვნებასა და გასაოცარ უნარს ისტორიული ფაქტების გაყალბების შესახებ. ძიება და ლოდინი ახალი, უფრო ლიბერალური რუსეთისა აისახა ტიციანის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებში. „რუსეთი ყოველთვის იყო რაღაც გამოურკვევლობის მისტიურ შიშის ნისლში. ყველა უცხოელი, ვისაც გაუვლია ამ ქვეყანაში, სცდილობს მისცეს რუსეთს ზღაპრული იერი. რასაკვირველია, რუსეთი მოკლებულია ზღაპრის იმ ბრწყინვას, რომლის სხივით ანათებს ძველი არაბული სტილი. აქ არ არის სიჭრელე სახეების, საღებავების კივილი, მაგრამ მუდამ მოსაწყენი თოვლის უდაბნო ველები ჩრდილოეთის განათებით და მკვიდრის ხალხით ალადგენს ხსოვნაში და დამატებით ხატავს ისტორიის ფრაგმენტებს სკვითების გადასულ ყოფიდან, რომელსაც ემატება მონალიური ნიაღვრის ნაწვეთები. თუ საზოგადოდ მესიანიზმი ხელოვნური შერჩევაა საღებავების და ხანდისხან გულწრფელი გაყალბება ისტორიული ფაქტებისა, რუსეთის მესიანიზმს ამ შემთხვევაშიც უპირატესობა აქვს“ (84).

ტიციანი ირონიულად წერს, რომ ისე არსად არ დაახლოებია ისტორია ზღაპარს, როგორც რუსეთში. არც გასაკვირად მიაჩნია,

რომ „ევროპელებისთვის რუსეთი ერთი ულამაზესი სფინქსია, მოკლებული საიდუმლოების იმ პოეზიას, რომელიც ეგვიპტელებმა დამარხეს თავისთავთან“ (იქვე).

ტიციანი ფიქრობს, რომ რუსეთი თვითონ რუსებისთვისაა ამოცანა. „სკვითური დაშინებით ცდილობს რუსი მწერალი ჩაწვდეს მის სიღრმეს და გაანათოს მღვრიე სული... მაგრამ აქ მეორდება ძველი და მტანჯველი ამბავი, როცა უფსკრულში ჩახედავ, უფსკრულიც შეგხედავს თვალებში. ამ უფსკრულის საბედისწერო შეხედვით არიან გაგიუებულნი, ვისაც ბევრი უფიქრია რუსეთზე. პეტრე ჩაადაევს ვერ უშველა ფხიზელმა ჭკუამ და ფრანგულმა სკეპტიციზმა, სიგიჟით გაათავეს გოგოლმა, დოსტოევსკიმ და ჩვენს თვალწინ ამთავრებს ამ ციკლს ანდრეი ბელი, რომელმაც ომის წინ იწინასწარმეტყველა დღევანდელი ამბები. „თუჯის მხედარი“ იქცა ახალი რუსეთის სიმბოლოდ“ (იქვე).

ტიციან ტაბიძე გრძნობს, რომ რუსეთში კატასტროფას ისე მოელიან, „როგორც დამის შემდეგ დღეს“. თებერვლის რევოლუციის კრახი თანდათან ბოლშევიკური ოქტომბრის რევოლუციის აჩრდილს აახლოებდა. რუსეთს გამოცდის პერიოდი ედგა, რასაც ქართველი პოეტიც სულით ხორცამდე განიცდიდა, რადგან იცოდა, რომ მოსკოვში დაწყებული პროცესები საქართველოს ბედთან იყო დაკავშირებული. დიდი ინტერესით აკვირდებოდა ახალი რუსეთის დაბადებას და საფრანგეთის კომუნის დღეებს იხსენებდა. საფრანგეთის რევოლუციებს ტიციანი არაერთხელ იგონებს თავის წერილებში, მაშინაც კი, როცა იგი ქართველ მწერლებს ღია ბარათით მიმართავს (84) და მოუწოდებს, აიღონ ფრანგი პოეტების, მწერლებისა და მხატვრების მაგალითი. სამასზე მეტმა ყველაზე ნიჭიერმა ფრანგმა შემოქმედმა თავისი სიცოცხლე რევოლუციებში გალია და საფრანგეთშიც შეეჩივნებ აზრს, რომ 50 წელი იქნებოდა სამწერლო კრიზისი.

ტიციანი ერის სახელით საუბრის უფლებას მწერლის საღვთო მოვალეობად თვლის და ქართველ მწერლებს პრძოლისა და დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებს (64). ტიციანის შეძახილი საკმა-

ოდ ომახიანია და რევოლუციური. თავისუფლება – აი, მიზანი, რომლისკენაც თითოეული ქართველი მწერალი უნდა მიიჩნევდეს. „დღევანდელმა სასტიკმა ომმა გამოაჩინა, რომ არ არი სიტყვა უფრო წმინდა და ძვირფასი, როგორც სიტყვა „სამშობლო“... მონობაში დაბადებულ და აღზრდილ ქართველებს გვეძლევა დღეს საშუალება გავიმეოროთ წინათქმა, რომლითაც მემატიანე იწყებს „ქართლის ცხოვრებას“ და რომელსაც გრძელ ისტორიულ ცხოვრებაში ამართლებდა ქართველი ერი.

– არავის ვეყმოთ, არც ვემონოთ გარეშე ღვთისა დამბადებლისა... თავისუფალი და ბედნიერი საქართველო ჩვენ შეგვაერთებს“ (85).

უფსკრულის თემას კიდევ უფრო ავთარებს ტიციან ტაპიძე თავის ლიტერატურულ წერილში, რომელიც მან ანდრეი ბელისა და „პეტერბურგს“ მიუძღვნა. „რამდენიმე დღის წინ ანდრეი ბელიმ თანამედროვე ცხოვრება შეადარა იმ მატარებელს, რომელსაც გაუგიუდა მემანქანე და უფსკრულისკენ შეუჩერებლივ მიჰქრის... ზოგ მგზავრს ეს ვერ შეუმჩნევია, მაგრამ ზოგი იხედება ფანჯარაში, და გიუდება შიშით, ფანჯარაში მოჰქრის არყოფნის ქარი და სდგას კორიანტელი საშინელი. იმან უკანასკნელი შემოქმედების უესტად მიიჩნია გაგიუდებული გოგოლის ბუხარში დაწვა თავის სულის „მკვდარ სულებთან“ ერთად.

შეიძლება ეს დასკვნა იყოს მართლა რუსეთის სულის?

ანდრეი ბელიმ მიიჩნია ის ეფემერობად. აქ იმან გაიმეორა დოსტოევსკი, მხოლოდ, როგორც დარწმუნებულს სლავიანოფილს, დოსტოევსკის რუსეთის სჯეროდა. ანდრეი ბელიმ რუსეთიც მიიჩნია ეფემერობად, ეს დასკვნა მისი წიგნის... ძალიან ტრაგიკულია, ეს წიგნი დანაცრებული შეგნების“ (89).

ტიციანი შეძრულია ანდრეი ბელის ტრაგიზმით სავსე განწყობილების გამო. რუსეთში მცხოვრები მწერლების უიმედო მდგომარეობა ტიციანსაც უიმედოდ განაწყობს და ქართველებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

„მტრისგან ყოველი მხრივ გარემოცული რუსეთი მიაგავს აჯანყებულ გარნიზონს, რომელიც შიშისაგან და შიმშილისაგან გარეტე-

ბული მირბის უკვე გაღებული ჭიშკრებიდან და მტერთან შესახვედ-
რად გამზადებული რაზმები ერთი-მეორეს ესევიან და მოსპობას
უპირობებ... პეტროგრადს უკვე ასდის „დამწვარი ხახვის“ სუნი, რო-
გორც ერთხელ გარემოცულ პარიზზე ამბობდა ბისმარკი“ (94).

საგაზეთო სტატიაში „წინა აზია“ ტიციანი საქართველოს არჩე-
ვანზე მსჯელობს. მისი დაფიქრება პირველი ეროვნული კრების შემ-
დეგ დაიწყო და ლაზთა საერო ყრილობას გადასწვდა, რომლის
შესახებ ცნობები ბიზანტიულ მწერალს აგათია სქოლასტიკოსს შე-
მოუნახავს. მეფე აიეტი მომხრე იყო სპარსელების ორიენტაციის,
მაგრამ კრებაზე სიტყვა მოითხოვა მოხუცმა ფარტაზმა, რომელმაც
უპირატესობა მისცა ძველ მოკავშირე ბიზანტიულებს, რადგან ისინი
კულტურულად აღმატებულნი იყვნენ სპარსეთზე და თან ერთი რე-
ლიგიისანი. „ამ ისტორიულ ოფორტში გასაოცარია სიტყვის ძალა და
ორატორული ფიგურები... ამ ოფორტში იშლება მთელი ისტორია
ქართველთა ერის, მუდმივი ძიება ახალი ორიენტაციის, როცა დამო-
უკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობის იმედი არ იყო. ასე უდგათ
საკითხი საქართველოს უკანასკნელ მეფეს და მის კანცლერს სო-
ლომონ ლეონიძეს“ (96).

საქართველოს პირველ საერთო ყრილობაზეც ასე დააყენა სა-
კითხი ნოე ჟორდანიამ. ტიციანი თავს იკავებს საკითხი პოლიტიკუ-
რად დააყენოს და საერთო კულტურული თვალთახედვიდან აპი-
რებს გამოსავლის პოვნას, რომელსაც იგი მაინც პოლიტიკურ გა-
დაწყვეტილებამდე მიჰყავს. ტიციან ტაბიძისთვის მთავარი კვანძი
დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირებაშია. „ეს მანიაკე-
ბი რევოლუციისა საკმაოდ თანამედროვე (ბარბაროსები) არიან
ამისათვის და უდიდესი გალიუცინატი ჩვენი დღეების ლენინის-
თვის რევოლუციურ პაროქსიზმში უახლოვდება ნაცნობ სახეებს
რუსულ ხლისტებისას... რუსეთში უკვე გადაწყდა ევროპის და რუ-
სეთის დამოუკიდებლობის ბედი. „ის „პატარა ფანჯარა“, რომელიც
რუსეთმა გამოსჭრა ევროპისაკენ, არ იძლეოდა საკმაო სხივებს,
მაშინაც, როცა გაღებული იყო. და ჩვენ მუდამ ვიკვებებოდით იმ
სუროგატით, რომელიც რუსეთიდან მოგვქონდა“ (იქვე).

„საქართველო წარსულში წინა აზიის გაღებული კარი იყო. ბევრი სხვადასხვა კულტურის გავლენამ ვერ მოშალა დამოუკიდებელი შემოქმედება. ერთი დაღუპულია, თუ იმას არა აქვს საკუთარი ორიენტაცია და თავისი შემოქმედების იმედი. თქმა არ უნდა, „ნათელი აღმოსავლეთით“ ხშირად დაბნელებულა. „ჩრდილოეთის განათება“ პოლიუსის სიცივეში ჰქონდა, ჩვენ ველით საკუთარ მზეს, საკუთარ ნათელს“ (იქვე).

ტიციანი იოანე კესარიელის ხვლიკის ანალოგიას იშველიებს, რომელსაც კბილები დასცვივდა და 100 წელია მღვიმეში სძინავს, ხოლო მზეზე გამოსული ახალგაზრდავდება. საქართველოც ასი წელია დამწყვდეულია მღვიმეში და „კბილებიც დასცვივდა, მაგრამ ახალ მზეში ისიც ახალგაზრდავდება“, ამ გაახალგაზრდავებას კი ბევრი რესურსი სჭირდება. მათ შორის პირველი ჯარის რეორგანიზაციაა, – თვლის ტიციან ტაბიე (128). სუსტი ჯარი მენშევიკების უდიდეს ნაკლად მიაჩნია. წითელი კონდუქტორებისაგან შედგენილმა წითელმა გვარდიამ ბათუმი დამარცხებამდე მიიყვანა.

პოეტის აზრით, მენშევიკები არ სწყალობენ არც ხელოვნებას. რევოლუციის დაწყებიდან საქართველოში წიგნი არ გამოსულა. თუ რუსეთში ლუნაჩარსკი მაიაკოვსკისთან ერთად მუშებს ლექციებს უკითხავს, მენშევიკების პროპაგანდისტები მოდერნისტ პოეტს პოეზიის საღამოს მოწყობას უკრძალავენ... ხალხი მოცდებაო (130).

„არასდროს არ ყოფილა ასეთ მდგომარეობაში ქართველი მწერლები და არტისტები, როგორც დღეს, უამრავი ფული იხარჯება სუბსიდიების სახით სხვადასხვა საქმეებზე და ხელოვნებაზე არაფერი. ქართული პარლამენტი მენშევიკების დავალებით ათი-ათასს მანეთს აძლევს ამიერკავკასიის უნივერსიტეტს და ქართული უნივერსიტეტისთვის კი იმართება ლატარეა, უნიჭობს ეძახიან ქართველ პროფესორებს... სასწაულით უკან დავიბრუნეთ ჯავახეთი, იმედი არის ბათუმიც დავიბრუნოთ, მაგრამ როგორ დაბრუნდეს მწერლობა, რომელიც გააძევეს მენშევიკებმა საქართველოდან, რადგან თავიანთ წრეში არა ყავთ ხალხი, რომელთაც ჰქონდეთ თაოსნობა და ნიჭი რამის გარიგების, სხვებს კი კეთროვანივით არ იკარებენ“ (იქვე).

ეს „სხვები“, ვისაც მენშევიკები არ იკარებენ, სწორედ ის ძალაა, რომელსაც არსებობის უდიდეს თვისებად ერის ღირსება მიაჩნდა, ქართველი ერის დიდი პოტენციალის იდეას თავგამოდებით იცავდა. სიმბოლისტი ტიციან ტაბიძე ძალიან მკვეთრი იყო პროცესების შეფასებაში. ღრმა ანალიზით გამოირჩევა მისი წერილები. ეროვნული ყოფის პრობლემები და ლიტერატურული ცხოვრების განახლების აუცილებლობა – ეს ტიციანის თვითმიზანია. ტიციან ტაბიძის დოკუმენტური ნარკვევები, ლიტერატურული წერილები და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები გაუდენთილია სამშობლოს სევდით, ეროვნული თავისუფლებისა და თავისთავადობის იდეით. „ცისფერყანწელები“ ამბიციურად შემოვიდნენ ქართულ ლიტერატურაში, საკუთარი იდეალები და ინდივიდუალური პათოსი შემოიტანეს.

ტიციანს დიდ პატივს სცემდა გრიგოლ რობაქიძე და ლექსიც („პანი“) მიუძლვნა, რომელიც გაზიეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა. პანი ბერძნულ მითოლოგიაში მწყემსების მფარველი ღმერთია. ლექსი სიმბოლურია და ლიტერატურულ ასპარეზზე არსებულ ჭიდილს უკავშირდება. როგორც პანის გამოჩენაში

„მთებზე კეცილი ათასთვალი ფერთა ხალიჩა

ააფრიალა სადროშედ, აჟერა, „გახლიჩა“,

ისე გააპო ლიტერატურული სიჩუმე „ცისფერყანწელთა“ გამოჩენაში და მკვეთრი ინდივიდუალიზმი და თავისუფლება შემოიტანა:

„შრიალით, თარეშით,

შიგ გადავეშვით...

აინვა წყალი, ასხლტა ტანით: გვახრჩობს – აცოფდა,

პა, ჩავიძირეთ, –

თავმოკვეთილი დასისხლული მზე ბარბაცობდა“ (100).

1917-1918 წლები საინტერესო პერიოდია ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში. ილიას და აკაკის შემდეგ, მე-20 საუკუნეში, მხოლოდ რამდენიმე პოეტმა თუ შეძლო საკუთარი დიდი განცდით, დიდი აღტაცებით, ახლებურად მოეტანა ქართველი მკითხველისთვის ეს გრძნობა:

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას ულელი“(50).

გიორგი ლეონიძე

გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე აქტიურად თანამშრომლობს გიორგი ლეონიძე თავისი მაღალმხატვრული ლიტერატურული ნარკვევებითა და ლექსებით. „26 მაისი“, „საქართველოს მზე“, „არმაზი“, „აბობოქრებული არაგვი“, „ქართლი“ და ბევრი სხვა მისი ნაწარმოები ამშვენებს გაზეთის ფურცლებს. ავტორი „მზის გამოჩენას“ და „ნათელ სხივებს“ სულმოუთქმელად ელოდებოდა, განსაკუთრებით იმ დღეებში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობას დღეები და წუთები აკლდა. განსხვავებით მისი მეგობრებისგან, გიორგი ლეონიძეს დიდი იმედები არ დაუმყარებია რუსეთის რევოლუციაზე: „ანდრე შენიე იტყოდა: „რევოლუცია აქ-რობს ხელოვნების ჩირალდანსო“. ეს კი რუსეთის რევოლუციაზედ არის გამოკვეთილი... მრავალსაუკუნოვანი ძალაა დაგროვილი და ელის აყვავილება-აფეთქებას. საქართველოს ბნელით ნათლისად გასვლა სულ ახლოსაა. ბედისნერით ივნო საქართველო და დღეს მზევდება თავისუფლებით, უსათუოდ სულიც დაუბრუნდება საკუთარ სხეულს, როგორც ნაზამთარი მერცხალი გაზაფხულიდან სამშობლოს.

აინთება არმაზი...

აინთება ქართული სული...“ (90).

გიორგი ლეონიძე წუხს იმის გამო, რომ რუსეთის მიერ დამონებულმა საქართველომ „ესთეტიური სვინდისიც“ დაკარგა, რამაც სამუდამო დაცემის სიმპტომები შექმნა. შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი, რასაც იგი გრიგოლ რობაქიძის მსგავსად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, „ნესტანივით მიემწყვდა ბნელ დილეგში“ და თუ ხარკს ადრე მეფეები გაიღებდნენ, ახლა მწერლებიც მათ რიცხვეშია. მისთვის მიუღებელია ყველა ის ხელოვანი, ვინც „რუსეთით დაიბნიდა“. იგი ქართველი პოეტებისგან ორიგინალობას ითხ-

ოვს, განსაკუთრებით, ძიების სურვილს.

გიორგი ლეონიძის „არაგვიელნი“ „საქართველომ“ პატარა ფე-ლეტონის რუპრიკით დაბეჭდა. გაზეთი ხშირად მიმართავდა ამ ხერხს და ცნობილი ავტორების მნიშვნელოვან ნარკევებს პატარა ფელეტონის „ქუდს“ უკეთებდა. „არაგვიელნი“ – ლიტერატურული შეძახილი და „ნიშნისმოგებით“ მზაობაა საქართველოს დასაცა-ვად. ბოლშევიკების რევოლუცია უკვე მომხდარია, საქართველოს დამოუკიდებლობაც გამოცხადებულია, მაგრამ მტერი არ ისცე-ნებს. გიორგი ლეონიძე გრძნობს მტრის ავ ზრახვებს და ბობოქ-რობს. „არაგვი“ ის ამბოხებული სულია, რომელსაც ვერც ერთ დროს ვერ გატეხენ, რომელიც ჯიქურ მიემართება საწადელისკენ. არაგვის პროტესტანტული სული ვერ ეგუება მტრის სურვილს – საქართველო ხელახლა დააჩოქოს.

„საქართველოში მხოლოდ არაგვის სიმღერაა სხვანაირი;

სევდისმჩქეფი, ნელი, მიმწუხრი ბიბლიური ტირილი დაკარ-გულ სამშობლოზე... არაგვზე მეორედ ჰკვდებოდა საქართველო, როცა იგი კუბოს მოაცურებდა და „მთებში გარბოდა ბაგრატიო-ნი“... მერე შავ ჯვართან მესამედ მოჰკულეს საქართველო და როცა მეოთხედ მოინდომეს მისი სიკვდილი – „ძმა აღსდგა ძმაზედ“.

საქართველოში წლეულს მრავალი სამხედრო ასპარეზი აშიშ-ვლდა – „არაგვის ასპარეზი“ კი, ყველას აზრიალებდა... ახლა არაგ-ვზე ისევ ჯანყი იკრიფება, რადგანაც წვიმების დროა და ეს წვიმები სისხლისა იქნება...

„ტერორი დადის წითელი ჩოხით...“ (129).

წითელ ტერორთან საბრძოლველად გიორგი ლეონიძე მზადაა, „ოღონდაც კი მდევარმა იკივლოს“.

იმავე ემოციითაა დატვირთული მისი ლიტერატურული ჩანა-ხატი „ქართლი“, რომელიც თეთრი ლექსის სტილს უფრო მოგვაგო-ნებს. „ქამელეონით დაკენილი შუადლები“, „მზეში ნაზელი უდაბ-ნოები“, „გველივით ანივლებული ტრამალები“, „შხამით ამწვარი სივრცე“ – ეს ლეონიძისეული ქართლია. იგი შედარებების ვირტუ-ოზია. სამშობლოზე შეყვარებული პოეტი 26 მაისის გამოძახილს

კიდევ უფრო მძაფრად გვაწვდის:

„დავიწყებული არაგვის წყლები გიდგამენ ტახტებს კეთროვან ჩრდილთა სიჩუმეში; შენ გახვალ წარსულ დღეთა ჯირითზე და არ იცი, ვინ წაიღებს შენ სილამაზეს. მკერდი შენი ვრცელია ცხელ რუ-შებში და ვინ ანივლებს შენ ტუჩებს... ბედი შენი დააკრეს ქარის ფა-ფარს და სარაცინი უკივის შენ სარეცელს....

იქნება შამქორი და იქნება ნუქარდინი...

ხალიფას დროშით აინთება შენი ქოხები შიშით მზირალნი სა-ფირონივით. შენი ნაზი ქუსლი ჩასველდება სისხლში და თვალნინ გაგიტარებენ დროშით ჯვარცმულ მოურავს.

მინდვრებიდან მოვა მთვრალი სუნი და მრუში სუნთქვა შეგინ-ვავს სახეს“(132).

გიორგი ლეონიძე სიცოცხლის, განახლების მოტრფიალეა. მი-სი ყოველი ფრაზა ქართულ სინამდვილეში ღრმა წვდომის სურვი-ლითაა სავსე. ბოლომდე ინაჩრუნებს ეროვნული სიამაყისა და ღირსების შეგრძენებას. რუტინული ატმოსფეროს შეზანზარება და მუდმივი გამოფხიზლება – ასეთი ძალა აქვს გიორგი ლეონიძის თი-თოეულ ფრაზასა და სიტყვას (28). მისი მიზანი ეროვნული მეობის ამაღლება, თავისუფლებისთვის ბრძოლა და გაერთიანებაა. სხვა ლექსებთან ერთად „საქართველოში“ დაიბეჭდა „სონეტი ქართველ პუსარებს!“ იგი უმღერის მათ, ვინც საქართველოს დამოუკიდებ-ლობა უნდა მოიტანოს(106).

საინტერესოა გიორგი ლეონიძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი ქართულ მოდერნიზმსა და სიმბოლისტებზე. წერილში „პრომეთე“ და „აისი“(112) მისი მხრიდან მცდელობაა დაასაბუთოს „ცისფერყანწელთა“ და სიმბოლისტთა ადგილის მნიშვნელობა და ნაკლი ქართულ ლიტერატურაში. სტატია წმინდა ლიტერატურული კვლევაა, სადაც ლეონიძეს შეიძლება მოედავო კიდეც, თუმცა მის მიერ მოყვანილი არგუმენტები საინტერესოა სპეციალისტების-თვის. ჩემი თემის მთავარი მიზანი კი არის სიმბოლიზმიც 1917-1918 წნ. თავისუფლების იდეასთან მიმართებაში განვიხილო. ახა-ლი ქართული სტილი, რომელიც „ცისფერყანწელებმა“ დაამკვიდ-

რეს ერთგვარი პროტესტი იყო არსებული სინამდვილის წინააღმდეგ და მანიფესტი უფრო მაღალი ლიტერატურული გემოვნების დასაფუძნებლად.

მიხეილ ჯავახიშვილი

საინტერესოა **მიხეილ ჯავახიშვილის** მოღვაწეობა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე, სადაც იგი ძირითადად ფსევდონიმებით წერდა. „ალი“, მ.ად-ლი, მ ადამაშვილი, მ. ა., მ.ჯ.- მიხეილ ჯავახიშვილის ფსევდონიმებია (69). გაზეთში ქართველი მწერალი აქვეყნებდა კორესპონდენციებს საომარი მოქმედებების შესახებ, მსჯელობდა ფინეთსა და საბერძნეთში მიმდინარე პროცესებზე, გერმანიის პოლიტიკასა და ოსმალეთის განზრახვაზე. „ომის მეოთხე წელი“, „ჩვენი დამფუძნებელი კრებისათვის“, „ახალი ფეოდალიზმი“, „ნაადრევი სიხარული“, – სულ ოცდათხუთმეტამდე წერილი გამოაქვეყნა მიხეილ ჯავახიშვილმა 1917-1918 წლების „საქართველოში“.

წერილში „შენიც მე და ჩემიც მეო“ იგი ეხმიანება „კავკაზი სლოვოს“ 24 მარტის ნომერს სომხეთის საკითხებზე. წერილში ხაზგასმულია და ნათლად ჩანს, თუ როგორ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ამიერკავკასიის ქვეყნებში, განსხვავებით ბალტიისპირეთისა. „თუ სომხეთი მოითხოვს ავტონომიას – ხელი მოუმართოს, რატომ უშლის ხელს იგივე ხალხი მეორე ერს – ქართველ ერს – განახორციელოს და დაამკვიდროს თავისი უფლება თავის ისტორიულ ტერიტორიაზე? შევადაროთ ძალა ამ ორი უფლებისა. სომხებმა უფლება დაჰკარგეს ექვსის საუკუნის წინ, ხოლო ქართველებმა – ერთი საუკუნის წინ; სომხები თავიანთ ისტორიულ ქვეყანაში ერთ მეოთხედს შეადგენს, ქართველები კი სამ-მეოთხედს; ოსმალეთმა დაიპყრა სომხეთი მახვილის უფლებით, საქართველო პირობით შეეკრა რუსეთს და ამ პირობას ეხლაც ძალა აქვს“ (83).

მიხეილ ჯავახიშვილს ვერ გაუგია, სომხეთის სურვილი საქართველოს წინააღმდეგ რატომაა მიმართული. იგი ლოცავს სომხების

მისწრაფებას, ოღონდ მოუწოდებს, რომ საქართველოს ნუ შეუშლიან ხელს.

მწერლის ყურადღებას იქცევს რუსეთის პოლიტიკური განზრახვებიც. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ რუსეთი რთულ დიპლომატიურ და სტრატეგიულ ქსელში გაება. „პირველ ხანებში თავისუფლებით დამთვრალმა რუსეთმა თვითონვე დაიჯერა თვისი მესიანობა. იგი არწმუნებდა თავის თავსა და მთელს ქვეყანას, რომ მზე მსოფლიო სიმართლისა რუსეთში ამოვიდა და თავისუფლებას და იმ მუდმივ მშვიდობას, რომელსაც დაღლილ-დაქანცული მსოფლიო ნატრობს“ (69).

მართალია, სოციალისტურმა და დემოკრატიულმა ევროპამ გულწრფელად მიულოცა რუსეთს განთავისუფლება, მაგრამ ტახტების დანგრევაზე უარი უთხრა. რუსეთში უკვე სხვა ვითარებაა, იგი თავის თავის გადარჩენას ცდილობს. რუსეთის დაშლამ რამდენიმე სახელმწიფოს აღმოცენება გამოიწვია. მიხეილ ჯავახიშვილი ამიტომ წერს: „სახელმწიფოსთვის და ერისთვის არ არსებობს უმაღლესი და უდიდესი კანონი, თვინიერ თვისი ფიზიკურ არსებობის დაცვისა. ადვილად იცავს და ინახავს თავის თავს ის ერი და ის სახელმწიფო, რომელიც ბუნებრივ ჩარჩოშია მოქცეული. უდიდესი ბოროტება იქნება წინაშე ჩვენის ერისა და მისი მომავლისა ამ ბუნებრივ ჩარჩოს დარღვევა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ამა თუ იმ მცირე კუთხეში ქართველი უმცირესობას შეადგენს. ამ მთლიან ჩარჩო-საზღვრების შესაქმნელად ჩვენს წინაპრებს ზღვა სისხლი დაუღვრიათ და მრავალი თაობა მისთვის შეულევიათ. და თუ ეხლანდელ თაობას არ დაჰკარგვია იდუმალი ალღო თავის დაცვისა და შეგნება უდიდესი ვალდებულებისა წინაშე მომავალისა, იგი ნებაყოფლობით ვერ გადაუხვევს ათასი წლობით გაკაფულ გზას“ (69).

მიხეილ ჯავახიშვილი გადამწყვეტ სიტყვას ეროვნულ საბჭოს უთმობს. იგი დარწმუნებულია, რომ თუ ერი ერობს, თუ მას შერჩენია სიცოცხლისა და განვითარების უნარი, იგი თავისას გაიტანს. ავტორი ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებაზე აკეთებს აქცენტებს

და დარწმუნებულია, რომ დემოკრატიული რეზიმები ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების გარეშე ვერ მიიღწევა.

„საქართველოში“ მოღვაწეობით მწერალი განსხვავებული ამ-პლუით წარმოგვიდგება. იგი საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზითაა დაკავებული და საქართველოს მდგომარეობას საერთაშორისო კონტექსტიდან გამომდინარე გვიხსნის. მიხეილ ჯავახიშვილს აინტერესებს ყველაფერი, რაც ევროპაში, რუსეთსა თუ აზიაში ხდება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა პოლიტიკური დისკუსიისა და მსჯელობის ფორმები დახვენა და ამ მხრივაც საინტერესო გახდა ეს პერიოდი ჩვენთვის.

* * *

„საქართველოს“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ავტორია **შალვა ამირეჯიბი**. იგი იყო დიდი პატრიოტი, პოეტი და ეროვნული მოღვაწე. ის 1924 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდა, რის გამოც იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და ემიგრაციაში დაესრულებინა სიცოცხლე. შალვა ამირეჯიბი რუსეთში დაწყებულ პროცესებს თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდა და ვარაუდობდა, რომ რასაც რუსეთი კაკასიაში დაგეგმავს, „შეუძლია ცუდ ავანტიურაში ჩაითრიოს კავკასიის რუსი მოსახლეობა“ (109). შალვა ამირეჯიბი სიხარულით გამოეხმაურა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, თუმცა ქართულ სამღვდელოებაზე თავისი მოსაზრება ჰქონდა. წერილში „ავტოკეფალისტები“ ვკითხულობთ: „ყოველ „თავისუფლებას“ ის თვისება აქვს, რომლის გაგონებაზე შილერის როლლერს თახთახი მოსდიოდა. ასე ხდებოდა „ყაჩაღების“ ვიწრო წრეში და მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ რევოლუციის დროს და რევოლუციონერ დემოკრატიას სინდისის თავისუფლება არ ათ-რთოლებდეს“ (86). ამირეჯიბი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ეკლესიის გათავისუფლებას და ამბობს, რომ გათავისუფლდა ქართული კულტურა, ქართული არქიტექტურა, ქართული მხატვრობა, ხატები, როგორც „უმაღლესი ნიმუში ხელოვნებისა და ყოველი

წვრილმანი ნივთი, რომელზედაც ისტორიამ ხალხის შემოქმედება აღბეჭდა“ (იქვე).

მწერალი კითხულობს, რა დაემართებოდა მიქელანჯელოს უკ-ვდავ ქმნილებებს, და ვინჩის, რაფაელს და მთელ იტალიურ რენე-სანსა, „რომელმაც თავი ეკლესიას შეაფარა – ეს ეკლესია რომ ტყვედ წაეყვანა ვინმეს?!“ (იქვე).

შალვა ამირეჯიბს მიაჩნია, რომ თუ ეკლესია თავისუფალია, ე.ი. სულიც გათავისუფლებულია. სულიერად გათავისუფლებული ხალხი კი უფრო დიდ ქვეყანას შექმნის. სულის თავისუფლება კი ის ციტადელია, რომელმაც კარგი პერსპექტივა უნდა განსაზღვროს. თუმცა ამირეჯიბიც, ტიციან ტაბიძესავით, მუდამ სიფხიზლისკენ მოუწოდებს ქართველებს, რადგან იცის, რომ თავისუფლებას ძალიან ბევრი მტერი ჰყავს საქართველოში და არა მარტო აქ.

„ჩვენი ეკლესია იმ ლამაზს ჰგავდა, რომელიც ყველა თავისი სამკაულებით ტყვედ იყო წაყვანილი.

დღეს ეს ლამაზი თავისუფალია!

დღეს ეს სამკაულები დახსნილია!

და საჭიროა სიფხიზლე, რომ თავისუფლების მტრებმა ისევ არ დაატყვევონ ისინი!“ (86).

შალვა ამირეჯიბს თავისუფალი საქართველო თავისუფალი ადამიანების ასპარეზად მიაჩნია. დამოუკიდებელ ქვეყანას მხოლოდ ძლიერი, ენერგიული და მცოდნე პატრიოტები უნდა ემსახურებოდნენ. რაც უფრო მეტია ძლიერი პიროვნებები, მით ძლიერია სახელმწიფო. ასეთ ძლიერ პიროვნებად მიაჩნდა მას ვალერიან გუნია, რომელსაც არაჩვეულებრივი ლიტერატურული ჩანახატი მიუძღვნა. შალვა ამირეჯიბის მოქნილი კალამი, მწერლისა და პუბლიცისტის ერთდროული ნიჭი მის საგაზეთო მოღვაწეობას ძალიან საინტერესოს ხდის. შალვა ამირეჯიბის წერილები გაუღენთილია პატრიოტიზმით. ძლიერი ქართველების ჩვენებით, იგი პრიორიტეტს ანიჭებს ჭეშმარიტ შემოქმედებაზე საუბარს, მიაჩნია, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს მათი ფასი, მათი მოღვაწეობის ნამდვილი სულისკვეთება და ის ლირებულებები, რითაც ძლიერი ქარ-

თველები ცხოვრობენ. მათ შორისაა ვალერიან გუნია.

გუნიას მოღვაწეობაში იგი ხედავს თავისუფლების გამარჯვებას, ხოლო თავისუფლება ის შთაგონების წყაროა, რომელიც შეუძლებელს შეგაძლებინებს:

„მოკვდა ძველი რუსეთი!
მოკვდა ძველი საქართველო!
ცოცხალია მხოლოდ თავისუფლება!
და მეც მხოლოდ ამას გულოცავ!“ (87).

შალვა ამირეჯიბი გამორჩეულად სცემდა პატივს ინდივიდუალური ნიჭისა და სიძლიერის პიროვნებებს, აქტიურ ადამიანებს, რომლებსაც ნიჭი ილიასავით ყოველდღიურ საქმიანობაში ამოქმედებდა და აცოცხლებდა. ასეთი ინდივიდუალები საკუთარ ნიჭს მხოლოდ მუზეუმად და უძრავ ექსპონატად როდი აქცევენ, არამედ ყოველდღიურობის ფერხულში რთავენ და საზოგადოებას ასაზრდოებენ. მხოლოდ ასეთი ადამიანები მიიყვანენ საქართველოს დამოუკიდებლობამდე და თავისუფლებამდე.

შალვა ამირეჯიბი ასეთი მოქმედებისკენ მოუწიდებდა არა მარტო ქართველ შემოქმედებს, არამედ ხელისუფალთ. მან ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 10 დღით ადრე დაწერა ძალზე საინტერესო სტატია „კონსტიტუცია“(86), სადაც ბევრ გამოჩენილ ქართველ პოლიტიკოსზე ადრე იწინასწარმეტყველა მომავალში განვითარებული პროცესები. შალვა ამირეჯიბი გულდაწყვეტილია იმ ფაქტზე, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში კონსტიტუციის ძირითად საფუძვლებზე უფრო იძულებით და უღიმდამოდ საუბრობენ, „ვიდრე თავისუფლების ხარტიის შექმნის სურვილით ნაკარნახევი გაბედული აზრები“ ამოძრავებდეთ“ (იქვე).

მას ეს არც უკვირს, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ეროვნული თავისუფლებისაკენ მისწრაფება არც ჰქონიათ. ამდენად, 26 მაისი მათი ბრძოლისა და გამარჯვების ბრწყინვალე შედეგი კი არ იყო, არამედ იძულებითი ნაბიჯი. 26 მაისი ქართველი შემოქმედებისთვის იყო შთაგონების წყარო, თორემ მოქმედი მმართველი პარტია მის სი-

დიადეს ვერც კი გრძნობდა. „და ის, რაც დამარცხებულ რევოლუციის ნაფერფლებზე ხდება დღეს – ნაციონალური განთავისუფლება ერქისა – ეს ყოვლად კანონიერი მოვლენაა ჩვენთვის, მხოლოდ „ფიქცია“ მათთვის, გამომძვრალი ისტორიულ მოვლენათა განვითარების პროცესში, უსიამოვნო მეჭეჭი ცხვირზე, რომელსაც ძალაუნებურად მოვლა და პატრონობა სჭირია...

როდესაც წერეთელს შეეკითხნენ, რა არის მიზეზი, რომ არ უხარიან მას ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, მან უპასუხა:

– არ მიხარიან, რადგანაც ეს დამოუკიდებლობა ისე მოვიდა, როგორც შედეგი დამარცხებისაო... და ჩვენ ვიცით, თუ ვინმე დამარცხდა, დამარცხდა მენშევიზმი, რევოლუცია, რუსეთი! საქართველო ჯერ კიდევ დაუმარცხებელი იყო. მაგრამ წერეთელი და მისი მეგობრები უკვე საბოლოოდ განიცდიდნენ იმ იდეის გავლენას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა მოსულიყო, როგორც შედეგი სრულის და ყოველმხრივი დამარცხებისა, როგორც ნაყოფი რეაქციისა და მანამდე არ შეუდგნენ საქართველოს კონსტიტუციის წერას, სანამ თვით საქართველოც არ დამარცხდა.

როდესაც საქართველო ბათუმის ფორტებზე დაიხვრიტა – მაშინ გვითხრეს:

– დასწრეთ საქართველოს კონსტიტუცია!

და მე მესმის, რატომ გაისმიან ის მოწყენილი სიტყვები, უცეცხლო და აღფრთოვანებას მოკლებულნი, რომელთა მწუხარე კილო და ხმა როგორც მუხლები, მაგრამ „დაჩიქილი მუხლები“, ისე უნდა შევიდნენ ჩვენი კონსტიტუციის ტექსტში.

ეროვნულ საბჭოში ეხლა საკითხი ასე დგას:

– ფედერაცია

– კონფედერაცია

– თუ სრული დამოუკიდებლობა საქართველოსი? ალბათ საჭიროა კიდევ ახალი დამარცხება, რომ გვითხრან:

– აჰა, წაიღეთ სრული დამოუკიდებლობა! მაგრამ, ბატონებო, ამდენი დამარცხება სად მიგვიყვანს?“ (იქვე).

შალვა ამირეჯიბი ძალიან წუხს იმ მოუმზადებელ და გაუთ-

ვლელ პროცესებზე, რომელიც სოციალ-დემოკრატიამ მოახვია სა-ქართველოს. „საქართველოს“ ირგვლივ შემოკრებილ მწერალთა ხმა არ იყო საკმარისი ქართველი მენშევიკების გამოსაფხიზლებლად. სოციალ-დემოკრატები თავიანთი მენტალური და სულიერი მდგომარეობით შინაგანად არ ეთანხმებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას და ამიტომაც სხვადასხვა ენაზე მოსაუბრებს ჰყავდნენ.

* * *

საქართველოს სრული დამოუკიდებლობის იდეის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ საეკლესიო პირებსაც. **ეპისკოპოსი ლეონიდე** წირვის დროს სიონის ტაძარში ამბობს, რომ მას ვერ წარმოუდგენია ეკლესიის თავისუფლება საქართველოს განთავისუფლების გარეშე. საქართველოს ეკლესიის პირველი პირები მოქალაქეობრივი პოზიციებიდან მოუნიდებენ ხალხს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისკენ: როგორ აღორძინდება ქვეყანა, „თუ ჩვენ, თავისუფალი ეკლესიის შვილები, მოქალაქეობრივად ისევ მონებად დავრჩებით, თუ ისევ სხვის თვალებში შემცქერალნი ვიქნებით, თუ თვითონ ჩვენ არ გავხდით ჩვენი ბედის გამჭედნი, თუ მთელი სამშობლო არ გავათავისუფლეთ. თავისუფალი ეკლესია მონობაში მყოფი ერით, დამეთანხმებით, არაბუნებრივი მოვლენაა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ეკლესია ვერასოდეს ვერ აყვავდება, ფრთებს ვერ გაშლის და ძირს ვერ მოიმაგრებს. თავისუფალი ეკლესია თავისუფალ ერში..“ (81).

ლეონიდე მიმართავს სამწყსოს, მთელ ქართველ ერს, მსხვერპლად შეენირონ სამშობლოს და გაათავისუფლონ საქართველო. „თამარის დროის საქართველო იყო დამოუკიდებელი, თვით არსი და თავისუფალი. თუ გვსურს თამარის სულის გახარება, უნდა ზვარაკებად შევენიროთ დიდი და პატარა და კვლავ შევმოსოთ სამშობლო სანატრელი თავისუფლებით“ (88).

რომ არა საქართველოს ეკლესიის მყარი გადაწყვეტილება,

შესაძლოა, 26 მაისის დამოუკიდებლობა კიდევ დაგვიანებულიყო.

გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 57-ე ნომერში გამოქვეყნებულია მიტროპოლიტ ლეონიდეს სიტყვა, რომელიც მან ავტოკეფალიის წლისთავზე სვეტიცხოველში წარმოთქვა: „ადამიანთა საბეჭნიეროდ არ არსებობს საღმრთო და ძვირფასი სიტყვა თავისუფლება, რომლის მარტო გაგონება სიხარულის ფრთებს ასხავს და საამოოცნებათა ფიანდაზად ეფინება გაგებული კაცის სულსა და გონებას. დედამინა არ იძლევა მეორე ღირებულებას, მეორე ისეთ საუნჯეს, რომ გვერდში ამოუდგეს, დაედაროს და შეეფარდოს თავისი მინშვნელობით თავისუფლებას. ძვირფასია, მაგალითად, სწავლა-განათლება, დიდი ბედნიერებაა ჯანსაღობა და დღეგრძელობა, საგრძნობელი სიკეთეა სიმდიდრე, მაგრამ თუ კაცი მოკლებულია თავისუფლებას, თუ მისი არსება დაფუძნებული არ არის თავისუფლების საღმრთო ნიჭზე... – ღირსებას მოკლებულია მისთვის სწავლაც, სიმდიდრეც და ჯანმრთელობა-დღეგრძელობაც“ (108).

მიტროპოლიტ ლეონიდეს სიტყვა თავისუფლებაზე გულისხმობს არა მარტო ეკლესიის თავისუფლებას, არამედ ადამიანის თავისუფლებას, ხოლო კონკრეტულ ისტორიულ ასპექტში, იგი სწორედ ყველაზე მეტად ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გამოხატულებაა.

„შევქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდაო“, – ბრძანა ლმერთმა და აი, სწორედ ეს ღვთისადმი მსგავსება და ხატებაა ის თავისუფლება, რომლითაც კაცი კაცობს, ის მადლიანი ძალა, რომელიც ადამიანს განაცდევინებს ქვეყანაზე მეფობას, აზიარებს უკვდავებას და მიაფრენს განუსაზღვრელ წინსვლასა, გონება-ზნეობრივი განვითარებასა და სისრულისაკენ. ამიტომ სრულებით ბუნებრივი და გასაგებია, რომ კაცის გულსა და გონებას ასე ძალუმად სწყურია თავისუფლება და იმ ნათელ წამს, როდესაც იგი (კაცი) ხელთ გდებულობს ამ ქვეყნიურ საუნჯეთა შორის უძვირფასეს საღირალს, უბრწყინვალეს და უსაღმრთოეს დღესასწაულად ისახავს თავისთავსა და თავისი მოდგმა-ჩამომავლისათვის“ (იქვე).

ოდა თავისუფლებას – ასე შეიძლება ეწოდოს მიტროპოლიტ ლე-

ონიდეს არაჩვეულებრივ სიტყვას, რომელიც, ქართველი მწერლებისა და პოლიტიკოსების ბრძოლასთან ერთად, საფუძვლად დაედო 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს.

* * *

ცნობილმა კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა **იპოლიტე ვართაგავაშ** „საქართველოს“ ფუცლებზე გამოაქვეყნა ორნაწილიანი ვრცელი წერილი „სული ახალი საქართველოსი“, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილს მიუძღვნა. გაზეთი „საქართველო“ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას ეხმიანება. „ნ. ბარათაშვილი ერთგვარი გონიერივ-ზნეობრივი კვანძია, სადაც საკვირველის სიცოცხლით და სიცხადით თავმოყრილია ის ნებისყოფა, ის თვითშეგნება და სიცოცხლის უშრეტი ძალა, ალღო, რომელსაც არა ერთხელ უხსნია განნირული საქართველო სიკვდილისაგან, მოსპობისაგან. იგი სიმბოლოა საქართველოსი... ნ. ბარათაშვილი საქართველოს მთაწმინდაა, საქართველოს წმინდა „ლოცვაა“ – „ქართვლის ბედის“ „მზეებრ ცხოველი ვარსკვლავი“ (103).

რუსეთის მიერ საქართველოს დამორჩილება ნ. ბარათაშვილის ყველაზე დიდი ტკივილია. იპ. ვართაგავა პარალელს ავლებს XX საუკუნის 20-იანი წლების შემოქმედი თაობის სულისკვეთებასთან და ამაყობს დიდი წინაპრით, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა აქამდე აღელვებს და აფორიაქებს ქართველ ხალხს. „იგი საქართველოს სხეულში ისტორიულად ანთებული მოგიზგიზე სიცოცხლის წყურვილის ალია, რომლის გრძნობით აღსავსე გულიც საქართველოს საბედისწერო მდგომარეობაშიც სასიცოცხლო მაჯისცემას ეძიებს და „განცეცხლებული „მწველის გულის ძგერით, მოწადინებულია „ჩრდილოეთის უდნობი ყინული“ თავის ოცნებით და გიუურ სურვილებით გაადნოს („საფლავი მეფის ირაკლისა“) (იქვე).

„ჩრდილოეთის უდნობი ყინულის“ გალღობას ცდილობდნენ „საქართველოს“ გარშემო შემოკრებილნიც, მაგრამ ძლიერი აღმოჩნდა „ჩრდილოს“ სუსხიანი ქარი, ჯერ კიდევ XIX საუკუნის და-

საწყისში მობერილი, რომელმაც „საქართველო გაყინა და სასიკ-ვდილოდ განამზადა“...

ნერილი მთლიანად დაკავშირებულია იმ პერიოდის საქართველოს ვითარებასთან. ამყოდან და მისი განწყობილებებიდან უყურებს ავტორი ბარათაშვილის პოეზიას და ხედავს იქ მისი მამულისა და ეროვნული იდეის ბრძოლისათვის გამამხნევებელ სტრიქონებს. უკვდავ ქმნილებებს განიხილავს აწყოსთან და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასთან კავშირში (17).

ბარათაშვილი მისთვის დიდი მოქალაქეობრივი ჟღერადობის პოეტია, რომელმაც ამ მხრივ გავლენა იქნია მთელ შემდგომ ქართულ მწერლობაზე. მისი სიტყვით, ქართველ პოეტთა „შემოქმედების ბალი“, სადაც ადრე ბულბულის სტვენისა და შეზარხოშებულ უდარდელ მოქეიფეთა თარის ხმის მეტი არაფერი ისმოდა, გადაიქცა „სევდის ბალად“, სადაც იჭედებოდა საქართველოს ბედი და თანდათანობით იმსხვრეოდა ამირანის ჯაჭვები; „აქ იზრდებოდა ის ოქროს აკვანი, რომელშიც იწვა ყრმა – ეს ჩვენთვის სანატრელი და საოცნებო ეროვნული თავისუფლება. აი, ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი – ეს გონების ძიების და გულის განცდის უდიდესი რომანტიკოსი, აი ვინ შეიტანა და ვინ გაბედა ჩვენს მწერლურ ფილოსოფიურ პესიმიზმთან ერთად საღი მოქალაქეობრივი მოტივი“ (103).

* * *

საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით არიან მოცული მონიავე მწერლები და ხელოვანი ადამიანები. თავისუფლების იდეას ემსახურებიან თეატრში რეჟისორები და დრამატურგები, მწერლობაში – საუკეთესო ქართველი კორიფეები. დიდი ქართველი რეჟისორი აღ. ახმეტელი წერილში „ტყის ძმები“ (82) აღწერს, თუ როგორ აღმოჩნდა იგი კახეთში, სადაც შეხვდა თელავის მიტინგიდან წამოსულ ხალხს. „ტყის ძმებს“ როგორც კი გაეგოთ ძველი მთავრობის დამარცხება, მაშინვე გადაეწყვიტათ, თავიანთი მოქმედება შეეჩერებინათ და ხელი აღარავისთვის ეხლოთ. აღ. ახმეტელმა სა-

კუთარი ინიციატივით ინახულა სოფელ წინანდალში დაბანაკებული „ტყის ძმები“. ქართველ ხელოვანთან შეხვედრამ ისინი სულ სხვა ენთუზიაზმით აავსო, მათ საქმიანობას სულ სხვა სიძლიერე მიეცა.

ქართული საზოგადოება რაღაც დიადს ელოდებოდა, ყველა გრძნობდა, რომ საქართველოში სხვა დრო დგებოდა, უფრო დიდი მოქმედებებისა და გარდატეხის. **დავით კასრაძე** სთავაზობს ყველას, რომ „დროშაზე გაჩნდეს დევიზი – „ეხლა, ან არასოდეს!“ (80).

„ეხლა, ან არასოდეს“ – თითქმის საქართველოს ყოველ ეპოქაში გაისმის. წერილში „ერის ტრიბუნა“ დავით კასრაძე წერს: „სამარადისო იდეათა შორის უკვდავება წილად ჰქვედრია ერს, ეროვნულ იდეას, როგორც კოლექტიურ პიროვნების ცოცხალ აზრს. ჰეგიძლიათ მოსპოთ შურდულით არა თუ პატარა, არამედ დიდი ერიც კი, მაგრამ მის დასამარება არ გულისხმობს ეროვნული იდეის ჩაკვლას, როგორც პიროვნების მოვალეობა არ ჰგულისხმობს ადამიანის ზოგად არსებობის უსაფუძვლობას. უდიდესი მიზანი ეროვნული იდეისა ერის ჯან-საღობაა, ერის გაღონიერება, გაძლიერება, გასპეტაკება... ოდესალაც ჩვენი ქვეყანა არ იყო მოკლებული ამ საზოგადო მსვლელობის ფერხულს, ვიდრე რუსეთთან საშველად გაწვდენილ ხელზე მონობის ბორკილი არ გამოუჭედეს ყოფილმა სატრაპებმა. სრული ასთექსმეტი წელია ამ შებორკილების ქვეშ ჰკვნესის სამშობლო ჩვენი... ითმენს ვაებას, შეურაცხყოფას...“ (იქვე).

თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს იდეითაა გაუღენთილი **კოტე მაყაშვილის** ლექსი „მისალმება“. წამყვანი თემა საქართველოს ქება და ქართველი მწერლების მიზნებსა და ამოცანებზე მსჯელობაა. მაყაშვილი აქ გვევლინება როგორც წინამდლოლი და ტონის მიმცემი მთელი ქართველი მწერლებისაა. მისი აზრით, ქართველი მწერალი სამშობლოს სამსახურში უნდა იდგეს და თავისუფალ საქართველოს უნდა ემსახურებოდეს. კოტე მაყაშვილის ეროვნული პოზიცია დაადასტურა დრომ. მისმა ასულმა, მარო მაყაშვილმა კოჯრის ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა და 1921 წელს დაიღუპა რუსეთის ჯართან შეტაკებისას.

„საქართველო ედემია, აკვანია ხმათა;

ჩვენსა ანბანს ვით ედაროს ალფაბეტი სხვათა!“ (111)

მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე სულით ხორცამ-დე შეძრულია თავისი ქვეყნის მდგომარეობით. მისი კალამი ერთგულად ეხმიანება ყველა იმ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინდელ საქართველოში. „მისალმება“ მთავ-რდება შემდეგი სიტყვებით:

„გაუმარჯოს ახალ ღმერთსა
მშრომელ ხალხის გულით შობილს
ცის და ქვეყნის შემაერთსა
მზის გვირგვინით ტურფად მკობილს!
გაუმარჯოს ერს მშვენიერს,
ეროვნულსა სამმართველოს,
გაუმარჯოს სულით ძლიერს
თავისუფალ საქართველოს!“ (იქვე)

აი, ასეთი ტრიბუნა იყო გაზეთი „საქართველო“, რომლის ფურცლებზე დაუფარავად ეტრფოდნენ ახალი საქართველოს და-მოუკიდებლობას, რომელმაც საშუალება მისცა ქართულ საზოგა-დოებას, გაბედულად ეფიქრა თავისუფლებაზე და პოლიტიკური ძალები პოლიტიკური თავისუფლების აღიარებამდე მიეყვანა. მა-თი შეგნებული მისწრაფება თავისუფლებისკენ დაგვირგვინდა კი-დეც 26 მაისის დეკლარაციით. „საქართველომ“ საზოგადოებრივი აზრის სრული კონსოლიდაცია მოახდინა და ყველაზე ადრე იწინას-წარმეტყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები საქარ-თველოშიც და მსოფლიოშიც.

|| თავი

გაზეთი „სახალხო საქმე“ ერის უფლებისა და თავისუფლების შესახებ (1917-1918 წნ.)

ქართული პოლიტიკა ქართველი პუბლიცისტებისა და მწერლების მთავარი განსახილველი თემა აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, პრესის ტრიბუნა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ პოეტური კალამი მწერლებს პოლიტიკური დეკლარირებით შეაცვლევინა.

გაზეთი „სახალხო საქმე“ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორგანო იყო. იგი გამოსცა ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა სამსონ ფირცხალავამ, რომელიც, ამავე დროს, პარტიის მთავარი კომიტეტის რწმუნებული იყო (54).

„სახალხო საქმის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1917 წლის 16 ივლისს. სოციალისტ-ფედერალისტებს მანამდე რამდენიმე პერიოდული ორგანო ჰქონდათ, მაგრამ წმინდა პარტიული, ოფიციალური ორგანო მათ არ გააჩნდათ. პარტიული გაზეთის არსებობა გულისხმობს პარტიის ინტენსიურ მუშაობას, აზრთა მკაფიო ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, ერთგვარი ტაქტიკის დამკვიდრებას, პარტიულ ტრადიციებს. ყოველივე ეს 1917 წლისთვის მოეპოვებოდათ სოციალისტ-ფედერალისტებს. პოლიტიკური ვითარების ძირფესვიანად შეცვლამ ბუნებრივი გახადა პარტიული გაზეთის გამოცემა.

„სახალხო საქმე“, მართალია, პარტიული მიმართულებისაა, მაგრამ, როგორც თვითონ განსაზღვრავს, „იგი არ დაახშობს კოლეგების თავისუფალ აზრს... გაზეთი ქვეყნის ყოველდღიურ მოვლენებს გამოეხმაურება. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა უნდა იყოს – „სინდისის და სიმართლის მეტყველი“ – იუნიება პირველი ნომრის მოწინავე სტატია (133).

„სახალხო საქმეში“ თანამშრომლობდნენ სახელგანთქმული ქართველი მოღვაწენი: შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, სამსონ დადიანი, თედო ლლონტი, აკაკი პაპავა, გრიგოლ რცხილაძე, ლევან მეტრეველი, სამსონ ფირცხალავა, ბორჩელი, მებრძოლი, არჩილ ჯაჯანაშვილი, ალ. მდივანი და სხვები.

1903 წელს პარიზში დაარსდა გაზეთი „საქართველო“, რომელსაც მოჰყვა სოციალისტ-ფედერალისტთა გამოსვლა საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ გაზეთის პირველ ნომერშივე დაიბეჭდა „ლია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ“: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება – განსაკუთრებული, საქართველოს პირობებთან შესაფერი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყოთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“(155).

ეს სიტყვები 15 წლით ადრე დაწერეს სოციალისტ-ფედერალისტებმა. ვინ არიან ისინი 1917 წლისთვის?

„მშრომელი ხალხის მუშათა და გლეხთა პარტია, მებრძოლი ქართველი ერის უფლებისათვის; ის, ვინც პირველად ააფრიალა დროშა ეროვნული განთავისუფლებისა და მოითხოვა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია“(134).

რა არის ფედერაცია?

გაზეთი თვლის, რომ ფედერაცია – ეს არის კავშირი, შინაურ საქმეებში თავისუფალი და დამოუკიდებელი ოლქების შენაერთი, შეკავშირება საერთო საქმეების გასაკეთებლად. „ფედერაცია – შეთანხმება, შეკავშირებაა, თანასწორობა და თავისუფლებაა. ის მოითხოვს პატარ-პატარა თვითმმართველობების შექმნას. მაგრამ პატარას და უძლურ სახელმწიფოს ადვილად მოერევა დიდი სახელმწიფო, გასრესს მას. ამიტომ ფედერაციული მოძღვრება აუცი-

ლებლობად თვლის პატარა სახელმწიფოების შეკავშირებას და სა-ერთო წესების შექმნას. 1917 წლისთვის რუსეთი გუბერნიებად არის დანაწილებული. ფედერაციული რესპუბლიკა ასეთ დანაწილებას შეცვლის. ერთეულები, შტატები ან ე.წ. ფედერაციები პატარა სახელმწიფოების სურათს შექმნიან. ამ ერთეულებში ხალხს ექ-ნება საკუთარი პარლამენტი, კანონმდებლობა და ყოველ საშინაო საქმეს ადგილობრივად მოაგვარებს“ (134).

გაზეთი მსჯელობს, როგორი მოწყობა უნდა ჰქონდეს ფედერა-ციულ სახელმწიფოს. დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებობს პარლამენტი (სათათბირო), რომელიც განაგებს სახელმწიფოს ცხოვრებას, არის ხალხის არჩეული პრეზიდენტი, რომელიც ლაპა-რაკობს მთელი ქვეყნის სახელით. პარლამენტი და პრეზიდენტი გა-მოხატავენ მთელი ერის სურვილებს. ხალხი, განურჩევლად სქესი-სა, ქონებრივი მდგომარეობისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და განათლებისა, სარგებლობს საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭისყრის უფლებით. ამ უფლების ძალით ხალხი ირჩევს პარლამენტის წევრებს და პრეზიდენტს. ამგვარად, სახელ-მწიფოს უმაღლესი უფლების მატარებელი და გამომხატველი ხდე-ბა მთელი ხალხი. ამ საფუძველს იცავს ფედერალიზმი, მოძღვრება სახელმწიფოს ფედერაციებით შექმნისა, მაგრამ ფედერალიზმი კი-დევ უფრო შორს მიდის და მოითხოვს სახელმწიფოს ფარგლის ისე შეზღუდვას, რომ ხალხის ძალა უფრო თვალსაჩინო იყოს ცხოვრებაში. დიდ სახელმწიფოში ადვილად იკარგება ხალხის ხმა. ფედერა-ციის დროს ქართველ ხალხს უფლება ექნება, წმინდა ქართული საქმეები მოაგვარონ ქართულ სეიმში, ქართულ საკანონმდებლო, სამმართველო და სასამართლო დაწესებულებებში. მაგრამ ამავე დროს ქართველ ერს უფლება ექნება რუსეთის სხვა ერებთან ერ-თად თანასწორი ხმით წარმომადგენლები გაგზავნოს რუსეთის ფე-დერაციულ პარლამენტში, სადაც ყველა ერისათვის საერთო სა-კითხები საბოლოოდ გადაწყდება. წმინდა დემოკრატიულ წესებზე აგებული ფედერაცია, მაშასადამე, გულისხმობს თითოპალატიან ორ პარლამენტს: ეროვნულს და საერთოს.

სამსონ ფირცხალავა აკონკრეტებს შეხედულებას, თუ როგორ ესმოდათ სოციალისტ-ფედერალისტებს „ეროვნული“ და „სოციალური“.

გაზეთი ასე განსაზღვრავს ფედერაციის იდეას: „თუ ერი შეგნებულია და ფხიზელი, თუ არა აქვს ჩაკლული ეროვნული გრძნობა და შემეცნება, აქვს თავისი კულტურა, თავისებურება, სახე და არ დასდგომია გადაგვარების გზას, თუ უნდა განვითარება მშობლიურ ნიადაგზე და ენაზე, თუ ერი არის მართლა თავისუფლების მოყვარული და მისი ღირსია, თუ სწამს მშრომელ ხალხის – დემოკრატიის ინტერესები, თუ უნდა იქონიოს კეთილი განწყობილება მეზობლებთან, ერებთან, მაშინ მას უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება და დამყარდეს საერთო ინტერესების მიხედვით ფედერაცია“(135).

უკრაინელების რადამ საქართველოში პარტნიორად სოციალ-ფედერალისტების პარტია აღიარა, რასაც გაზეთი იმით ხსნის, რომ ის ერთადერთი პარტიაა, რომელიც ეროვნულ მთლიანობას აღიარებს, ყველა ერის თავისუფლებას იცავს.

„სახალხო საქმე“ იმედოვნებდა, რომ რუსეთის რევოლუციური მთავრობა ეროვნულ პოლიტიკას დაეყრდნობოდა, მაგრამ მოტყუვდა. რევოლუციურ მთავრობას თავიდანვე დაეტყო იმ პოლიტიკური მიმართულების გავლენა, რომლის წიაღშიც ახალი ძალები განვითარდნენ, მათ წიჰლისტური დამოკიდებულება გაუჩნდათ ეროვნული პოლიტიკის მიმართ. მათვის არსებობდნენ მხოლოდ ტერიტორიები და ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა მოდგმის ადამიანები. ეროვნული საკითხი, მათი შეხედულებით, უნდა გაირკვეს არა ერის ცხოვრების თვალსაზრისით, არამედ ტერიტორიის მიხედვით.

რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელობა ისტორიამ სოციალ-დემოკრატიას დააკისრა, სწორედ აქ ჩაისახა მისი ტრაგიზმი. ყოველი ერი, რაგინდ მცირე უნდა იყოს, პოლიტიკური სრულუფლებიანობისაკენ მიისწრაფვის.

უკრაინაში, პოლონეთში, ლიტვაში და სხვაგან სოციალ-

დემოკრატები ეროვნულ ნიადაგზე დადგნენ. „სახალხო საქმე“ აცხადებს: „გამონაკლისს მარტო საქართველო შეადგენს. ჩვენებური სოციალ-დემოკრატია კვლავინდებურად რუსეთის პარტიის ნაწილად აღიარებს თავს და თავისი მოღვაწეობის თითოეულ ნაბიჯს საერთო რუსეთის მასშტაბით ზომავს; მოქმედებს არა მარტო ქართველთა შორის, მას თავის სამოქმედო სარბიელად მთელი კავკასია და რუსეთი მიაჩნია“(136).

ნათელია, რომ „სახალხო საქმე“ იმავეს წერს, რასაც „საქართველო“. უმთავრესი მიზეზი ამგვარი დამოკიდებულებისა ის არის, რომ რევოლუციის ხანაში რუსეთში გაბნეულმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აუცილებლობად არ მიიჩნიეს თავის სამშობლოში დაბრუნება, მათ იქ გააჩაღეს მოღვაწეობა და ზოგი მათგანი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც კი მოექცა სათავეში. ისინი რუსების ეროვნულ-პოლიტიკურ ინტერესებს იცავდნენ და ველიკორუსების სახელით ფინეთსა და უკრაინასთან მართავდნენ მოლაპარაკებებს. მათ არ შეეძლოთ ქართული საქმის წარმოება. გაზეთი იხსენებს, რომ როცა საქართველოში მოქმედმა სოციალ-დემოკრატებმა ეროვნული საკითხის შესახებ ფიქრი დაიწყეს, მათ საქართველოს საკითხი როდი წამოაყენეს, ისინი საერთოდ კავკასიის მოწყობის შესახებ მსჯელობდნენ და ეროვნულ პროექტში საქართველოს სწორედ იმდენი ადგილი დაუთმეს, რამდენიც სომხეთს ან კავკასიის სხვა ერს. ხოლო, როცა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობა აღიარეს, სამსონ ფირცხალავა წერდა: „დიდად, დიდად შემცდარა ყველა, ვისაც ეს გარეგნული ქართველური გამოხატულება მიაჩნია ქართველი ეროვნების არსების სახედ. არ უნდა მოვახვიოთ თავს ჩვენს სოციალ-დემოკრატიას, რაც მის ბუნებას სრულებით არ ეთვისება. მისი მოქმედების სარბიელი საქართველო არაა... ქართული საქმე მისთვის არ არსებობს, ეროვნება სასხვათაშორისო მოვლენად მიაჩნია, რომელიც შეიძლება კიდეც გადაალაგოს, თუ წინ გადაელობა მის პარტიულ მოღვაწეობას“ (137). ავტორი შემუშავებას ვერ ფარავს, რომ ეროვნების უარმყოფელი მოძვრება ფართოდ არის საქართველოში ფევგადგმული.

აკაკი პაპავა თავის სტატიაში „მესამე რგოლი“ მკვეთრად გა-
მოხატავს სოციალ-ფედერალისტებისა და გაზეთ „სახალხო საქ-
მის“ პოზიციას. მისთვის მთავარია ეროვნული საკითხი (138).

გაზეთის ფურცლებზე საინტერესოა ვახტანგ კოტეტიშვილის
წერილების სერია: „სოციალ-ფედერალიზმი, როგორც აუცილებ-
ლობა სოციალ-დემოკრატიისათვის“. „დღეს მარქსიზმი არსებობს,
როგორც ეკონომიური მოძღვრება მხოლოდ, სხვა მხრივ იგი კარგა
ხანია დამარცხებულია“(140).

კოტეტიშვილი წერს: „მარქსიზმის „ისტორიის ფილოსოფია“
მხოლოდ ინგლისის და უკიდურეს შემთხვევაში ევროპის ცხოვრე-
ბაზე არის აგებული. რუსეთში გადმონერგილი მარქსიზმი ისეთსა-
ვე პირობებში იყო, როგორც ტროპიკული მცენარე, ციმბირის
ტუნდრებში გადანერგილი. რუსეთში მარქსიზმი ჩამოიქნა „ხალ-
ხოსნურ“ მიმდინარეობასთან პრძოლაში და მარქსიზმის გენეზისი
რუსეთში მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ იღუნებოდა ის სოცი-
ალ-ეკონომიური მოძღვრების ღერო, რომელიც გერმანიაში თამა-
მად აიშოლტა. მარქსიზმი, სოციალ-დემოკრატიის სახელით, პო-
ლიტიკურ და სოციალურ პარტიად გამოცხადდა. სინამდვილემ ამ
პარტიას ბევრი საკითხი დაუყენა, განყენებულ აზრთა სამყაროდან
ძირს, საქმეთა ქვეყანაში ჩამოიყვანა და თეორია ვერ მიუდგა სი-
ნამდვილეს. სიტყვა საქმისთვის უცხო გამოდგა და მარქსიზმიც
დანაწილდა... ყველაზე დიდი საკითხი, რომელმაც შეარყია ეკონო-
მიკურ-მატერიალისტური გაგება, ეს ეროვნული საკითხია.

ეროვნული გრძნობის პოლიტიკურ ძონით შემოსვა საფრანგე-
თის რევოლუციის შედეგია. საფრანგეთმა ასწავლა ხალხს ეროვ-
ნული თავისუფლებისათვის პრძოლა. იქიდან გერმანიაში გადმო-
ვარდა ეროვნული ალორდინების ცეცხლი და ფიხტეს პირვენება
იქცა იმ ჯადოსნურ ძალად, რომელმაც გამოიწვია გერმანიის ალ-
დგომა. ფიხტესეული ნაციონალიზმის გაგება სამაგალითო იყო.
მან ეროვნება გამოიყვანა, როგორც შემდგომი ხანა ძველი კლასი-
კური კოსმოპოლიტიზმის განვითარებისა. ფიხტეს ნაციონალიზმი
იყო კულტურული, დემოკრატიული და სოციალური“(140).

ამგვარად, გაზეთი „სახალხო საქმე“ ანგრევს მარქსიზმის იდეოლოგიას. ვახტანგ კოტეტიშვილს საზოგადოების ცნობიერებაში მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს. მისი აზრით, კლასობრივი შეგნების განსამტკიცებლად ეროვნების მოსპობა კი არ ყოფილა საჭირო, არამედ მისი განმტკიცება.

პლეხანოვ-ლენინ-ტროცკი კი კონგრესებზე არამცთუ ერთა ავტონომის, არამედ იმის წინააღმდეგაც კი ილაშქრებდნენ, რომ პირველდაწყებით და საშუალო სასწავლებლებში უცხო ერთა შორის მშობლიურ ენაზე ყოფილიყო სწავლება. თუმცა, რაც გასაგებია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მოქმედებაში, გაუგებარია ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან. ეროვნული საკითხის შესახებ შესაძლოა ვერ იმსჯელოს მან, ვისაც არ გამოუცდია ეროვნული ჩაგვრა და შევიწროება. ეროვნულ საკითხზე ისაუბრებს მხოლოდ ის, ვინც „სამშობლოში სამშობლოს დაექებს“. ამდენად, ვ. კოტეტიშვილი საყვედურობს ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომ მათ არ აირჩიეს ავსტრიელთა გზა. „როგორც რუსეთში მარქსიზმი ჩამოყალიბდა ხალხოსნებთან ბრძოლაში, ისევე საქართველოში, სოციალ-დემოკრატების პარტია ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტებთან ბრძოლაში“ (იქვე).

დიმიტრი უზნაძე ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში ქართულ პარტიებს შეერთებისაკენ მოუწოდებდა: „ერის სინიდისი, ერის კოლექტიური ხელი უნდა შეეხოს ერის უდიდეს საქმეს, ერის განთავისუფლებას, ამისათვის ბრძოლას, რომ ღირსეული სახე მიიღოს ღირსეულმა მიზანმა, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ქართულ პარტიათა შეთანხმება და დამფუძნებელ კრებაზე ეროვნული სახით გამოსვლა“ (144).

გრიგოლ რცხილაძე თავის სტატიაში „ეროვნული მოძრაობა და ეროვნული თვითშეგნება“ (146) წესს, რომ საქართველოს ცხოვრების ზედაპირზე ეროვნული მოძრაობის ტალღები არ ჩანს. საქართველოში რევოლუციამდე გაბატონებული აზროვნება სპეციფიკური ქართული სოციალ-დემოკრატიული აზროვნება იყო, რომელიც თავის უპირველეს მოვალეობად ქართულ ეროვნულ-პოლი-

ტიკური აზროვნებისთვის ხელის შეშლასა და დაბრკოლებათა გა-
ჩენას მიიჩნევდა.

კოკი აბაშიძე ეროვნულ-დემოკრატების თვალსაზრისს ეროვ-
ნულ საკითხში ყალბად და უსაფუძვლოდ მიიჩნევს. ეროვნულ-დე-
მოკრატები მისთვის „ბურჟუაზიული კლასის მოსარჩლე შოვინის-
ტები“ არიან (147).

„სახალხო საქმეს“ მიაჩნია, რომ ეროვნულ-დემოკრატებმა თა-
ვიანთ პროგრამაში მხოლოდ აღიარეს ეროვნულ-ტერიტორიული
ავტონომია და აქ შეჩერდნენ. მათ არ გადადგეს მეორე ნაბიჯი,
რომლისაკენ ბუნებრივად მიისწრაფვის სახელმწიფოს კონსტრუქ-
ციის განვითარება. ავტონომია და ფედერაცია ორი საწინააღმდე-
გო მხარეს გამწევი ძალაა: „ავტონომია თითოეული ერის მისწრა-
ფებაა დამოუკიდებლობისაკენ, ფედერაცია ერთმანეთისკენ მის-
წრაფებაა. როგორც არ იყო სასურველი ერთი ცენტრალისტური
რუსეთის სახელმწიფოს არსებობა, აგრეთვე არ არის სასურველი
პატარ-პატარა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობა, რადგან
პირველი უსამართლობისა და ძალადობის ნიადაგზეა აღმოცენე-
ბული და მეორე, დაუშრეტელი წყაროა ერთა შორის დაუსრულებე-
ლი შუღლისა, ბრძოლისა და სისხლის ღვრისა“ (149).

ავტორის აზრით ავტონომია, რაც უნდა ვრცელი კომპეტენცი-
ისა იყოს, არ არის სახელმწიფო, რადგან იმ ერთეულს, რომელსაც
ცოტათი მაინც შეზღუდული აქვს სუვერენიტეტი, სახელმწიფოებ-
რიობა, უზენაესობა, არ არის უკვე სახელმწიფო. როგორც კონსტი-
ტუციური მონარქი არ არის მონარქი, ასევე ავტონომიური ერთეუ-
ლი არ არის სრული სუვერენული სახელმწიფო.

და გაზეთის რეზიუმე: „ვინც იცავს პოლიტიკურ ავტონომიას
ერისას, ცხადია, იგი არ არის მომხრე დამოუკიდებელი ნაციონა-
ლური სახელმწიფოსი. ასეთი ავტონომიური ერთეული, ცხადია,
რჩება ისევ მთლიან სახელმწიფოს საზღვრებში“ (იქვე).

ერთადერთი ძალა, რომელსაც უნდა დავემყაროთ, არის ეროვ-
ნება, ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ყველაზე მე-
ტად შეგვაერთოს, არის ერი, ერთადერთი მოქმედება, რომელიც

გვიჩვენებს გონივრულ გზას, არის ეროვნული შემოქმედება. ისე არასოდეს ყოფილა ჩვენთვის ძვირფასი და საჭირო ეროვნება, ეროვნული შეგნება, ეროვნული კავშირი, როგორც დღეს არის – ასეთია გაზეთის პოზიცია.

მაშინდელ მმართველ პარტიას – სოციალ-დემოკრატებს, გაზეთის სიტყვებით, დიდი სენი სჭირდათ – ეროვნების შიში, ეროვნული არსებობის შიში, რაც დამახასიათებელი თვისება იყო მათ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობაში. ისინი ერს ანგარიშს არ უწევდნენ, ყურადღების ღირსად არ მიიჩნევდნენ. ზოგი შეუგნებელი და უვიცი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ეროვნება განვითარებას, თავისუფლებას აპრკოლებს. როცა გარემოება შეიცვალა, სოციალ-დემოკრატებმაც დაიწყეს ფიქრი ეროვნებაზე. თუ სრულად არა, დაახლოებით მაინც აღიარეს ის, რაც ჯერ კიდევ პირველი ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ „საერთაშორისო მუშათა მოძრაობა ემყარება ყველგან თავისუფალს და სრულს ეროვნულ განვითარებას, რომ ყოველმა ერმა თავის სახლში უნდა გასწმინდოს თავისი კერა, გადაწყვიტოს თავისი ეროვნული საკითხი, დაამკვიდროს მოქალაქეობრივი თავისუფლება და მოიპოვოს ეროვნული დამოუკიდებლობა“(153). მიუხედავად ყველაფრისა, სოციალ-დემოკრატებს ბოლომდე გაჰყვათ ერისადმი უნდობლობა.

„ფედერალიზმი – ეს ის პრინციპია, რომელიც საშუალებს გვაძლევდა შეგვერიგებინა ორი უკიდურესი მიმდინარეობა ჩვენი საზოგადოებრივი აზრისა – უკიდურესი ნაციონალიზმი და უკიდურესი უარყოფა ნაციონალური იდეალისა“ – წერდა „სახალხო საქმე“(155).

ვახტანგ კოტეტიშვილის წერილის სერია „ერის უფლება და საქართველოს საკითხი“(156) თვით რედაქციაში იწვევდა წინააღმდეგობებს. იდეა ერის უფლებისა ქართველ პუბლიცისტს ყველაზე ამაღლვებელ იდეად მიაჩნია და სურს, საზოგადოება გააცნობიეროს ერის უფლებების რაობაში. ავტორის აზრით, ერი არის კონკრეტული საზოგადოება, ცოცხალი სოციალური ინდივიდუა-

ლობა, აღმოცენებული განსაზღვრულ ადგილზე და შედუღებული ბუნებრივი და კულტურული ერთობით. რა ზღვარი ჰყოფს ერსა და სახელმწიფოს? „ერი საზოგადოებაა, ანუ პიროვნებათა ჯგუფი, თავისი საკუთარი სოციალური შინაარსით. საზოგადოების ელემენტები მის ფიზიკურ საფუძველში იმაღლებიან. ეს ფიზიკური საფუძველი მოსახლეობაა. საარსებო ბრძოლის პროცესში, ესა თუ ის მოსახლეობა თანდათანობით ამუშავებს მოქმედების ტიპს, რასაც შედეგად მოსდევს განსაკუთრებული ხასიათის შექმნა, ანუ შექმნა თავისუფლებისა. ამ პროცესის შედეგია ენა, ცხოვრების წყობილება და სხვა... ჩემი ერის მდევნელი ჩემს წარმოდგენაში ჩემი მდევნელია, ჩემი ერის მოყვარე – ჩემი მოკეთეა. ამბობენ, რომ სახელმწიფომ შექმნა ერი. სახელმწიფო არის გარეგნულად მოწესრიგებული რამ ორგანიზაცია და ვიდრე მომწესრიგებელი რამ საშუალება შეიქმნებოდეს, ხომ უნდა არსებობდეს ის, რასაც მოწესრიგება, ანუ გარეორგანიზაცია ეჭირვება. სახელმწიფო ერთი, მთავარ საშუალებათაგანია, რომელიც ამტკიცებს ეროვნულ შეგნებას“ (156).

ვ. კოტეტიშვილი ავაზაკობას უწოდებს დიდი სახელმწიფოს მიერ წარმართულ მსჯელობას ერის უფლების შესახებ, ხოლო რაც შეეხება ე.წ. „ერთა თვითგამორკვევის უფლებას“, ეს მისთვის აბსურდია: „ჯერ აბსურდია თავისი შინაგანი წინააღმდეგობით და შემდეგ თვით საკითხია უგუნურად დაყენებული. ვისგან ეძლევა ერს თვითგამორკვევის უფლება? ერისგანვე. იტყვიან, არა, სახელმწიფოსაგანო. ეს იგივეა. სახელმწიფო პოლიტიკური ფორმაა ერისა, და დღესდღეობით კი გაბატონებული ერისა. ეს ბატონყმობაა“ (იქვე).

ავტორი აღმოჩენას გამოხატავს და ასკვნის, რომ პარლამენტის გზით და საერთაშორისო სამართლის წყალობით განთავისუფლებული ერი არ ახსოვს ისტორიას. კანონები ქაღალდებზე რჩება, ხოლო კონგრესები მხოლოდ მაშინ იხილავდნენ ამა თუ იმ ერის საკითხს, როცა მოძრაობას სერიოზულ კბილს დაუნახავდნენ. ავტორი გულდანყვეტით ამბობს, რომ ფინეთი და უკრაინა რევოლუციის გზით ახორციელებენ თავიანთ უფლებებს, ქართველები კი რუ-

სეთის დამფუძნებელ კრებას შესცეკრიან, რომელიც შეიძლება სულაც ვერ შედგეს. ქართველები არა მარტო ფიზიკურად, სულიერადაც სუსტები აღმოჩნდნენ. ეროვნული საკითხის გადაჭრა დამფუძნებელ კრებას მიაკუთვნეს. რუსეთის დამფუძნებელი კრების საქმე მხოლოდ რუსთა ცხოვრების მოწესრიგებაა. „ერთა ცხოვრებას კი მოაწესრიგებს საერთაშორისო დამფუძნებელი კრება, სადაც ყველა ერი სწორუფლებიანად იქნება წარმოდგენილი, ერის რაოდენობის მიხედვით. რაოდენობა ლირსება არ არის“ (იქვე).

დაბოლოს, ავტორის რეზიუმე: „ჩვენ უფლება კი არ უნდა ვეძებოთ, რადგან იგი გვაქვს, არამედ უნდა შევებრძოლოთ იმათ, ვინც ამ უფლებებს თრგუნავს, და ამ პრძოლაში უნდა ვიყოთ მუდამ შეურიგებელნი“ (იქვე).

გაუგებარი იყო „სახალხო საქმის“ მხარდაჭერა ოქტომბრის რევოლუციისადმი. „შეუძლებელია, არსებითად უარყოფა ბოლშევიკების პროგრამისა. შეუძლებელია არ თანაუგრძნოთ იმათ, რომელთაც უდიდესი თავისუფლება და სამართლიანობა მოაქვთ... შეუძლებელია დავგმოთ მათი დღევანდელი თავგანწირვა, მაღალი სულისკვეთება და გავიხაროთ იმათ საფლავებზე, რომელნიც კაცობრიობის უდიდეს იდეალებს ემსახურებიან“ (80).

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რამდენიმე დღეში საქართველოში ეროვნული ყრილობა გაიხსნა, რომელსაც ასევე აღფრთვანებით შეეგება „სახალხო საქმე“: „ქართველი ერის ყრილობა ქართველი ერის არსებობაა“ (161).

„სახალხო საქმეს“ ვერც რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ გაუმართლა იმედები. კრება ბოლშევიკებმა გარეკეს. პოლიტიკურმა ქაოსმა მოიცვა მთელი რუსეთი. კავკასიის პოლიტიკური ცხოვრების პორიზონტზე ახალი პოლიტიკური ძალა ისახება – სეიმი.

გაზეთი ინტერესდება სეიმისა და ეროვნული საბჭოების ურთიერთობით. ამიერკავკასიის სეიმს მხოლოდ უნდა გამოეხატა ეროვნებათა შეთანხმება; მას, როგორც დროებით ორგანიზაციას, ხელი უნდა შეეწყო ეროვნულ დამფუძნებელ კრებათა მოწვევასა და ავტონომიურ ერთეულების შექმნაში. გაზეთი მოუწოდებს ყვე-

ლას, რომ დაუყოვნებლივ შედგეს ქართული მთავრობა და „გა-მოცხადდეს სრული დიქტატურა ეროვნული ორგანიზაციისა სა-ქართველოს ტერიტორიაზე“ (163).

სეიმს, როგორც გარდამავალ დაწესებულებას, უნდა მოემზა-დებინა ნიადაგი შეთანხმებისა და ეროვნულ-ტერიტორიული ერ-თეულების ჩამოყალიბებისა. ამ საქმის შესრულების შემდეგ მას ადგილი უნდა დაეთმო ამიერკავკასიის ფედერალური საბჭოსთვის, როგორც ამიერკავკასიის მუდმივი ორგანოსთვის.

ამასობაში ოსმალეთი ბათუმში შემოიჭრა. გაზეთი წუხს, რომ ასეთი განსაცდელის ჟამს, ქართველ ხალხს გონიერი არა აქვს შეგ-ნებული და გრძნობით განცდილი საქართველო, როგორც ერთი მთელი სხეული. საქართველოს ერთი ნაწილი რაღაც პასიური გულგრილობით ეკიდება მეორე ნაწილის დარღვევასა და დაშლას.

ოსმალეთმა გამოააშარავა ნამდვილი სულისკვეთება: მთელი ამიერკავკასიისა და საქართველოს ხელში ჩაგდება. იგი რკალივით შემოერტყა საქართველოს: „ოსმალეთის მიზანი მხოლოდ ერთი შე-იძლება იყოს: დაპყრობა ქვეყნისა, რომელიც ისე ძალიან დაეცა სულით, ისე გათახსირდა და გაიხრწნა, რომ აღარავითარი უნარი არა აქვს თავის დაცვის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართველი ხალ-ხის ფართო მასა ადვილად ვერ შეურიგდება ოსმალეთის მონო-ბას... მაგრამ ერს არ შეუძლიან თავის საკუთარ მონობას თითონ მოაწეროს ხელი. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები ზვარა-კად შეენირებიან სამშობლოს თავისუფლებას“ (167).

გაზეთი გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ბრესტ-ლიტვაკის ხელშეკრულების მიმართ და ფიქრობს, რომ ამ ხელშეკრულებით რუსეთი გერმანიის იმპერიის კოლონია ხდება. ასეთი გადაწყვეტილების მიღებით და დამორჩილებით კი ამიერ-კავკასიის მოსახლეობის ინტერესები გაიყიდება.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას რომ ნიადაგი არ გამოე-ცალოს, გაზეთი აცხადებს, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ორიენტაცია ერთა საყოველთაო ორიენტაცია უნდა გახდეს. „სახალხო საქმე“ აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავს სო-

ციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატების მიმართ. სოციალისტ-რევოლუციონერები მუდამ იყვნენ რუსული ნაციონალიზმის მატარებელნი. იგი ძველი რუსეთის ნაშთით საზრდოობს და რუს მოხელეთა უმრავლესობას ემყარება. სანამ საქართველოში რუსეთის ჯარი იდგა, ისინი მას შესცეკროდნენ იმედით და ყოველი რეფორმის განხორციელებას ებრძოდნენ, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნულ განთავისუფლებას მოუტანდა. ოსმალეთის შემოსვლის შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონერების ლიდერებმა შექმნეს რუსული ეროვნული საბჭო, სადაც აშკარად და დაუფარავად ისმოდა კონტრევოლუციონერთა მოწოდებები. საქართველოში ასეთ გაჭირვების უამს ისინი აცხადებენ, მართალია, ბოლშევიკები რუსეთს ღუპავენ, მაგრამ ამიერკავკასიაში ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ბოლშევიკებთან ერთად უნდა ვიმუშაოთო. ისინი ყონსვით ხვდებიან, რომ ომბა, რომელსაც მხოლოდ ქართველი ხალხი ენირება, სარგებლობა უნდა მოუტანოს რუსეთს და განამტკიცოს რუსეთის ნაციონალიზმის პოზიციები. და რადგან რუსეთის ერთადერთი გამაერთიანებელი ძალა ამ პერიოდისთვის ბოლშევიზმია, რუსი ნაციონალისტები, კონტრრევოლუციონერები და შოვინისტები, წინააღმდეგ თავიანთი შეხედულებისა და რწმენისა, უკავშირდებიან ბოლშევიკებსაც კი. „დღეს ვიბრძვით ოსმალეთან, რადგან იგი საფრთხეს უმზადებს ჩვენს დამოუკიდებლობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ვიბრძოდეთ რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის. ჩვენისთანა პატარა ერი დღევანდელ პირობებში ასეთ მიზნებს ვერ დაისახავს. ვინც ქართველ ერს ასეთ მიზნებს დაუსახავს, ის პოლიტიკური სპეციალიანტია და ჩვენ მას მთელის ჩვენის ძალლონით შევებრძოლებით“ (იქვე).

როცა სოციალ-დემოკრატები ბოლშევიზმს ბრძოლას უცხადებდნენ, გაზეთი დარწმუნებული იყო, რომ ისინი გულწრფელად იყვნენ აღშფოთებულნი იმ ვერაგული საქციელით, რომელმაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხე ისმალეთის მისცა და ამით დიდი ხნით ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტი-

კურ კეთილდღეობას ძირი გამოუთხარა. გაზეთი ფიქრობდა, რომ მმართველი პარტია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გზას და-ადგა. ომის შემდეგ გამოჩნდა, რომ ამიერკავკასიის ორიენტაცია მათვის დიპლომატიური ხერხი ყოფილა და არა მიზანი. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბორბა“ (ფ. მახარაძე) მოუწოდებს ყველას, საქართველომ ომი აწარმოოს, რათა რუსეთის მზემ გამოაშუქოს და დანგრეულ-დამსხვრეული რუსეთი ქართველი ხალხის სისხლით აღსდგეს.

„სახალხო საქმე“ ბოლომდე იმედს არ კარგავს, რომ ამიერკავკასიის ორიენტაციის განსამტკიცებლად საერთო ენა გამოიძებნება და აუცილებლობად მიიჩნევს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხის დასმას. ამიერკავკასიის ორიენტაცია გამოიჭედა მსოფლიო ომის ოთხი წლის წიაღში, ამან შეგვაერთა ქართველი ერის სხვადასხვა ძალები, ამიერკავკასიის ყველა ერი და ამ უდიდეს საფუძველს კი ერთი ხელის დაკვრით დღეს ანგრევს სრულიად უსაფუძვლოდ „ბორბა-ედინსტურო-იზვესტია-ერთობას“ პუბლიცისტიკა“(168).

„სახალხო საქმე“ გეგეჭყორის მთავრობას „ომის მთავრობას“ უწოდებს და ამბობს, რომ მას სურდა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა რუსეთის მიზნებისთვის. გეგეჭყორის მთავრობა შეცვალა აკაკი ჩხერიმელის მთავრობამ, რომელიც მოწადინებულია განამტკიცოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. „თავისუფლება და დამოუკიდებლობა ისეთი ძვირფასი განძია ყოველი ერისთვის, რომ არ შეგვიძლიან უბრძოლველად დავთმოთ იგი. მთელის ჩვენის ძალონით დავეხმარებით აკაკი ჩხერიმელის მთავრობას, ვეცდებით მოახერხოს და გაანალიზოს დასახული მიზნები: თუ თავისუფლების მტრები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ჩვენ მზად ვართ დავიხოცოთ თავისუფლებისთვის ბრძოლაში“(170).

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციის გამოცხადება ორ მოვლენას გულისხმობს: საკუთარი და საერთო ცხოვრების მოგვარებას, ავტონომიას და ფედერაციას, დამოუკიდებლობას და დამოკიდებულებას. ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს,

როგორც ერთ ფედერალურ სახელმწიფოს, საკუთარი პარლამენტი და კანონმდებლობა ექნება. ეს კი სოციალისტ-ფედერალისტთა იდეების გამარჯვებაა.

რა სჭირდება დღეს ქართველ ერს არსებობის შესანარჩუნებლად? ამ კითხვას შალვა ნუცუბიძე სვამს სტატიაში „ორი გზა“ მიმდინარე ეტაპზე ეროვნული შეგნებისა და რეალური ძალის არარსებობა ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ავდებს საქართველოს. „ეს არის პირველი საშინელი შედეგი ეროვნულ მესაფლავეთა მოღვაწეობისა საქართველოში. ეროვნულ ტრაგედიად უნდა ჩაითვალოს ის უსაკვირველესი მოვლენა, რომ ქართველმა ერმა 200 ათასი მეომარი სამსხვერპლოდ განმზადებული მოიტანა მითიური მამულის დაცვის კოცონზე და როდესაც საფრთხე მის საკუთარ მამულს სიკვდილის აჩრდილად მოევლინა, არ სჩანან მამულის დამცველნი და ამაოდ გაისმის შეგნებულთა გამწვევი ნაღარა. ქართველმა ერმა სამაგალითო ნიჭი გამოიჩინა სხვის დაცვაში, ის სამაგალითო უნიჭობას იჩენს თავის დაცვაში – ერის ბრალია ეს? – არა“ (166).

შალვა ნუცუბიძე პასუხს სთხოვს ყველას, ვინც ქართველი ხალხი ეროვნულ გზას ააცდინა და თავისი თავის უარყოფის გზა უჩვენა.

მარიამ გარიყული ლიტერატურული ჩანახატით „ვედრება!“ ღმერთს დახმარებას სთხოვს. მას არსებული რეალობა უიმედობაში აგდებს. ხელისუფალთა უმრავლესობაში არ არის განცდა, ქართველი ხალხი თავისუფლებას აზიაროს. ერთადერთი მხსნელი უფალია, რომელმაც უნდა გადმოხედოს ქვეყანას:

„უფალო! უფალო!

გესმის თუ არა სისხლთა მდინარეების შხუილი, ჯოჯოხეთის ცეცხლის გუგუნი და უმწეოთა გოდება? რა თქმა უნდა, შენ გესმის ყოველივე, მაგრამ, სდუმხარ, სდუმხარ რაღაც მოსაზრებით, აღბათ თუ ჰელიქრობ გამოსცადო ადამიანის სიძლიერე. შენ გახსოვს, რომ ჯერ კიდევ გუშინ, შენ გეპოტინებოდნენ, შენ გეძებდნენ, გიახლოვდებოდნენ და დღეს ეს სისხლით დამთვრალი ორგია ფეხ-

ქვეშ გთელავს შენც და ყოველივე შენს შემოქმედებს...

ჩვენ არარანი, მოვდივართ და მივდივართ ვით გაზაფხულის ფოთოლნი, შენ კი ყოველთვის ხარ უცვლელად უძლეველო მარადისობავ, ჰქმნი ათას ფეროვან ისტორიას, არავინ უწყის დასაწყისი შენი და ვინ გაზომოს დასასრული?“(165).

გაზეთის ფურცლებზე უკვე ჩანს გერმანიის ორიენტაციისადმი ინტერესი. თუ გერმანია საბოლოოდ აღიარებდა კავკასიას ბუფერად, ბუნებრივია, იგი ითხოვდა საქართველოს ამ ბუფერის დაცვას და ჩვენი ქვეყანა ნებსით თუ უნებლიერ გერმანიის გავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდა.

1918 წლის მაისისთვის ის ნიშნები ჩანდა, რომ ამიერკავკასიას მეორე ბალკანეთად გადაქცევა ემუქრებოდა. არამცთუ ოსმალეთი და გერმანია, ინგლისი და თვით „სოციალისტური“ რუსეთიც კი მას უცქერდნენ, როგორც „გემრიელ ლუკმას“. ამ პერიოდისთვის გაზეთი „საქართველო“ უკვე მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ხოლო „სახალხო საქმე“ ქართველ ხალხს შეიარაღებისაკენ მოუწოდებს და მასში ხედავს ქვეყნის თავისუფლებისთვის მოქმედებას. თუ „საქართველო“ უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებით ფიქრობს „მადამოსული“ სახელმწიფოების შეჩერებას, „სახალხო საქმე“ აქ უფრო კონკრეტული ნაბიჯისაგან თავს იკავებს და წერს: „იარაღი, იარაღი და ლრმა რწმენა იმისა, რომ ჩვენი თავგანწირულობა უნაყოფოდ არ ჩაივლის და ადრე თუ გვიან, ჩვენს გვამებზე ამობრწყინდება საქართველოს თავისუფლების მზე!“(172).

26 მაისს 5 საათზე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ხოლო მანამდე, იმავე 26 მაისის დილას, „სახალხო საქმე“ კატეგორიულად აცხადებს: „დადგა დრო, როცა საქართველომ თავის თავს უნდა უშველოს და პოლიტიკურმა პარტიებმაც მოიხადონ ვალი ქართველი ხალხის წინაშე, რადგან საქართველომ მოიხადა ვალი რუსეთისა და ამიერკავკასიის წინაშე. იგი სრულიად თავისუფალია ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. მან სცადა ყოველნაირი გზა, რომელსაც კი შეეძლო ამიერკავკასიის მთლიანობა გადა-

ერჩინა, მაგრამ არცერთმა მათგანმა ნაყოფი არ გამოიღო, რადგან ამიერკავკასიის ერებს ერთნაირად არ სურდათ ეს მთლიანობა. დღეს საქართველო ვალდებულია თავის დამოუკიდებელ გზას და-ადგეს და დამოუკიდებლად ეძიოს ახალი გზები თავისი ხსნი-სა”(173).

საქართველოს ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. ხალხი, რომე-ლიც ძლიერ შეეჩინა ბედის ცვალებადობას, დაიღალა კიდეც მისი უკუღმართობით და აღარაფერი ახარებს თითქოს. მაგრამ საქარ-თველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტმა. გაზეთის აზ-რით, დაამტკიცა, რომ კიდევ ყოფილა ქართველ ხალხში ენთუზი-აზმი. ეს დღე სტიმულია დაძაბუნებული საზოგადოების ამოძრავე-ბისთვის. აქტიური ადამიანი, უფრო მეტად მომთხოვნი საზოგადო-ება და უკომპრომისო ბრძოლა – ასეთია „სახალხო საქმის“ პუბლი-ცისტიკის დედაზრი.

26 მაისი და „სახალხო საქმე“

1918 წლის 26 მაისს გაზეთი „სახალხო საქმე“ დიდი აღფრთო-ვანებით გამოეხმაურა. მეორე დღესვე, 27 მაისს, გაზეთში დაიბეჭ-და იოსებ გრიშაშვილის ლექსი მიძღვნილი საქართველოს დამოუ-კიდებლობისადმი, რომლის ტექსტს აქვე მოვიხმობთ:

საქართველოს ზაღიკი

მე დღევანდლამდე – ყველამ იცოდა –
მეჯავრებოდა წითელი ფერი;
ბევრჯერ მუზამაც ხომ შემიცოდა:
არ მომცა ლექსი გადასაწერი.
მეუბნებოდა, უცადე დროსა
და როცა აღსდგეს ერი ქართველი,
მაშინ მომიხმე! და შენი დროშა
აღარ დარჩება აუმართველი.
და, წამოვისხი გლოვის პორფირი,

და ვსვთქვი: „აწ, მართლაც რა მემგოსნება?“
 მძულდა ჩრდილეთი ფლიდი, ორპირი,
 მძულდა თვით ქართლის პატიოსნება...
 მაგრამ დღეს, როცა მზე ლამეც მნათობს,
 როცა დასცვივდა მთას ყინვის თვლები:
 ჩემი აზრიც კი სხლტება, კამათობს,
 რომ ქართველ მგოსნად მეც ჩავითვლები.
 მიყვარდა ტუჩი! – და შევიძაგე,
 თვით ალერსსაც კი ვეტყვი უარსა.
 რად მინდა ვარდი! რად მინდა ბაგე!
 დღეს საქართველო ჯვარს იწერს, ჯვარსა.
 და მეც დამკოცნის სხვა ანგელოსი
 და მეც დღეიდან დამეუფლება:
 თავისუფლება საქართველოსი
 და ჩემი ლექსის თავისუფლება!“
ი. გრიშაშვილი
 დედაქალაქი, ვარდისთვე, 26”(174)

აი, ასეთ ლექსს მიუძღვნის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას იოსებ გრიშაშვილი, რომელიც პირველი გამოქმაურა 26 მაისს ლექსით. ამ ნანარმოებს პოეტის შემოქმედებაში ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორც თავისი მაღალმხატვრული ლირებულებით, ისე ისტორიული მნიშვნელობითაც. პოეტისადმი მიძღვნილ უამრავ გამოკვლევაში, რომლებიც საბჭოთა პერიოდში იქმნებოდა, ეს ლექსი არ ფიგურირებდა, მისი არსებობის შესახებ არ იცოდნენ. იგი არ იბეჭდებოდა პოეტის საბჭოთა პერიოდის კრებულებში. ლექსი გამოქვეყნდა 1994 წელს კრებულში „დაუბეჭდავი ლექსები“, რომელიც შეადგინა ნოდარ გრიგორაშვილმა.

27 მაისს გაზეთი „სახალხო საქმე“ პირველ გვერდზე დიდი ზე-იმით აცხადებს: „გაუმარჯვოს საქართველოს რესპუბლიკას“. გაზე-თის მოწინავე სტატიაში ვკითხულობთ: „სეიმმა თავისი თავი დაშ-

ლილად გამოაცხადა და მისი ადგილი დაიჭირა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც თავის პირველ ისტორიულ სხდომაზე სასახლის დარბაზში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა“. აქვეა (გაზეთის I-II გვერდებზე) წერილი „ამიერკავკასიის სეიმში“, სადაც 26 მაისის სეიმის სხდომის ზოგადი სურათია წარმოდგენილი. მოხმობილია გამომსვლელთა სიტყვები, წარმოჩენილია ცხარე კამათი და ვნებათაღელვანი, რომელსაც სეიმის ამ ისტორიულ სხდომაზე ჰქონდა ადგილი. ორ. წერეთელი, ნოე რამიშვილი, გ. ლასხიშვილი, აკ. ჩხერიძელი და სხვა პოლიტიკოსები აქ ერთმანეთს ცვლიან. ხოლო სტატიაში „ეროვნული საბჭოს სხდომა“ აღნერილია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღება:

„ნაშუადღევს 4 სთ. 30 წთ. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე უორდანია თავმჯდომარის ადგილს იჭერს. მას მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით ხვდება. მის გარშემო პრეზიდიუმის მაგიდაზე თავის ადგილს იკავებენ თავმჯდომარის ამხანაგები გიორგი ლახშიშვილი, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ ვეშაპელი და ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი“.

მოვიხმობთ შემოკლებით ნოე უორდანიას სიტყვას ამ წერილიდან: „თქვენ იყავით დღეს მოწმე ერთი ისტორიული, იშვიათი აქტისა. დღეს ამ ზალაში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა იმავე ზალაში ედება საფუძველი, ეყრება ნიადაგი მეორე სახელმწიფო... ახალი საქართველოს სახელმწიფო, დღეს დაარსებული, არ იქნება მიმართული არც ერთი ერის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია, რომ დღევანდელ ისტორიულ ქარტეხილში დაიფაროს თავისი თავი, და მერე ის დაეხმარება მათ, ვინც დღეს განსაცდელშია ჩავარდნილი.... ნ. უორდანია კითხულობს „აქტს საქართველოს დამოუკიდებლობისას. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ისმენს ამ აქტს. პირველ მუხლს – „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო“ – ეროვნული საბჭოს წევრები და მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოება ძლიერი ტაშითა და „ვაშა“-ს ძახილით ხვდება. ყოველი მუხლის წაკითხვას

ტაშით აჯილდოვებს მთელი დარბაზი“ (174).

ამ წერილს იქვე მოჰყვება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი. გაზეთის ამავე ნომერში საქართველოს დროებითი მთავრობის შემადგენლობაა გამოცხადებული. სულ რვა მინისტრი: ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხერიძე, გრიგოლ გიორგაძე, გიორგი უშურული, ნოე ხომერიკი, შალვა მესხიშვილი, ივანე ლორთქიფანიძე. შემდეგ ნომრებში გადმოცემულია აღფრთოვანება და სიხარული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. იბეჭდება ლევან მეტრეველის ლიტერატურული ხასიათის წერილი „აწ განუსვენე!“ დაუკებელი ყიუშინაა და აღტაცება თავისუფლების მისამართით: „თავისუფალი საქართველო! მწყურის ალვიდე მწვერვალზედ იალბუზის და იქედან ვასმინო გარემოს მთელსა ხმა ჩემის სიხარულისა. მინდა ვქუხდე, მინდა ვგრგვინავდე სივრცის მორევში, რომ ვაგრძნობინო ყოველსა მსმენელს სასწაულთა სასწაული – მკვდრეთით აღდგენა. ელვის ნაწილი მსურს გავსტყორცნო ჩემი გულის ძერა, რომ დავანახო ყოველს მხილველს უდიდეს ნატვრის ძლევა და ხორც-სხმა. აღვმართოთ მთებზედ დროშა ქართლისა? დავრეკოთ ზარნი ცათა სასმენად! გაზაფხულის საზეიმოდ გაშლილ მკერდზედ აღვანთოთ კოცონი ნეტარებისა! მთიდან მოწყვეტილ ამაყ არწივებს დავაბაროთ შორიდან შორედ

დღესასწაული ქართველი ერის!...

დაბნელდეს მთვარე! ჩაჰერენ ვარსკვლავნი! მზემ აიფაროს შავი პირბადე! სინათლის მომფენ სხივად გვეყოფა ბედნიერების ჭიაკოკონაც!

რწმენის უფსკრულში დამარხული ნატვრა, გლოვის ჰიმნად ქცეული ნატვრა, წამების ჯვარზედ გაკრული ნატვრა დღეს ხორც-შესხმულა და წინ მიდგას თვალმჭრელ ქანდაკებად, ღვთაებრივ ქანდაკებად... თვალთ არ ვუჯერებ ამ სინამდვილეს, აზრი ვერ სწვდება მის სასწაულს, მაგრამ გულში ვგრძნობ სიხარულის ჭიაკოკონას და ბაგენი ჩემნი უწმინდეს ლოცვად იმეორებენ, მხოლოდ ორ სიტყვას:

„თავისუფალი საქართველო!“ (175).

ლევან მეტრეველის წერილის ტექსტი ნაწილობრივ რიტმული პროზითაა შესრულებული. ჩანს ამ წერილმა დიდი გავლენა მოახდინა, რადგან გაზეთის მომდევნო ნომრებში ქვეყნდება ამ ხასიათის ლიტერატურული წერილები.

იმავე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ვახტანგ კოტეტიშვილის წერილი „ქართლის ცხოვრება“, სადაც ავტორი მღელვარედ და ხატოვნად გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო და ერს მის დასაცავად ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მოვიხმობთ ამონარიდებს ამ წერილიდან:

„დაიხა ფარდა და ქვეყნიურ სცენაზე კისკასი საქართველოც გამოჩნდა. რა უყოთ, რომ ირგვლივ ხმლებს ულესავენ, რა უყოთ, რომ ცეცხლსაც უნთებენ, რომ მის კვამლში გამოახრჩონ ძველი რაინდი. სულ ერთია. ისტორიული მონოლოგი მანც ითქვა, განახლდა „ქართლის ცხოვრება“. ინყობა საქართველოს ისტორიის ახალი ხანა. ქართველი ერი, აქამდე კოლექტიურ ცნებად ანუ ლოლიკურ აბსტრაქციად გადაქცეული, დღეიდან იქნება ცოცხალ შემოქმედებით დასაბამად, სულიერ ორგანიზმად, რომლის წიაღშიც ყოველი წევრი მაცოცხლებელ კავშირით შედულდება და შესხეულდება. ამიერიდან ჩვენი ქართული სული სტიქიურად უნდა გამომჟღავნდეს ეროვნული შემოქმედების მრავალსახეობით, და უნდა იპოვოს თავისი ლოგოსი. ამას მოითხოვს ჩვენი ერის ისტორიული პროცესი. აქეთ არის მიმართული ჩვენი შევნებული საქმიანობაც“ (176).

ვ. კოტეტიშვილი აღტაცებულია, რომ დიდი ხნის პასივობის შემდეგ ქართველობამ კვლავ მოძებნა თავისი არსებობის „ტან-საბური“, სახელმწიფო. „თუ 15 საუკუნის წინ ქართველი ერი მოინათლა რელიგიის ემბაზში, დღეს კულტურულ ემბაზს გავიჩენთ და მოვინათლებით“ (იქვე).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გამოწვეული ემოციებითაა სავსე ვიქტორ ასათიანის ლიტერატურული ხასიათის პატარა წერილი: „არ მომკვდარა, გაიღვიძა“ (177) და უცნობი ავტორის „თავისუფალ საქართველოს...“ ორივე წერილში ისმის ხოტბა-დიდება გათავისუფლებული საქართველოსი:

„ჩემი ნეტარება, ჩემი უაღრესი ლტოლვანი, განუშორებელი
ფიქრები, იმედები, რომელიც საქართველოს განთავისუფლების
გარშემო ტრიალებდა, ამისრულდა!

ვიხილე საქართველოს განთავისუფლება!
თავისუფალი საქართველო!..
და ეს სანეტარო ხმა გულს ჩამწვდა...
ჩემის ყურით ვისმინე,
ჩემის თვალით ვიხილე
და ჩემის მთელი არსებით ვიგრძენი.
თავისუფალ საქართველოს ხელი შევახე!..
ქართველ ერს თავისუფალს ვხედავ, რომელსაც უპყრია ამი-
რანის დროშა...
საქართველოს ერის ყიჯინა მესმის:
„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“
დუშიკი“ (178).

1918 წლის 26 მაისს ეძღვნება ი. მჭედლიშვილის ლექსი „მეთ-
ვრამეტე გაზაფხულზე ჩემი სამშობლო“ და ი. ვადაჭკორიას ლექსი
„გაუმარჯოს საქართველოს!“ დამოუკიდებლობამ ქართველი პოე-
ტების შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაიწყო – ოპტიმიზმის ეტაპი.
გათავისუფლების სიხარულმა სევდა გაფანტა და იგი შთაგონების
წყარო გახდა. ყველა ნამდვილი ხელოვანისთვის იმ დღეებში მთა-
ვარი მუზა 26 მაისი იყო.

„მაგრამ მაინც აღარ ვკვნესი,
გულს არ ვიტეხ შავ ფიქრებით
და სამშობლოს თავს ვევლები
ლალ ოცნების ლალი ფრთებით.
და ვიძახი: გაუმარჯოს
ამაყ მთებს და ტურფა მდელოს,
გაუმარჯოს ჩემს სამშობლოს,
გაუმარჯოს საქართველოს!!!“(180).

გაზეთის ფურცლებზე გრიგოლ რცხილაძე წერს: „საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა იმ დროს, როცა მას ყველა მხრიდან მტრის რაზმები აწვებიან. ასეთ გამწვავებულ საგარეო მდგომარეობის პირობებში მეტად ძნელია შინაური სახელმწიფოებრივი შემოქმედების გაღვივება, მაგრამ თუ შინ წესიერება არ აღსდგა, საგარეო პოლიტიკა, რაც უნდა ნიჭიერი დიპლომატები ანარმოებდნენ მას, მაინც ქვეყანას ვერ იხსნის. საგარეო პოლიტიკის ძალა სახელმწიფოს შინაგან ძლიერებაზეა დამყარებული. მთავრობა სახელმწიფოებრივი აქტივობის ელემენტია“ (179).

„სახალხო საქმე“ იწყებს საუბარს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის თაობაზე.

გაზეთი დაარსებიდან 1918 წლის 26 მაისამდე საზოგადოების-თვის ერთგვარ შემცნებით ფუნქციას ასრულებდა. ვაჟას, ილიას, აკაკის ერს მაინც სჭირდებოდა საკუთარ თვითმყოფადობაზე საუბარი, იდენტურობაზე ზრუნვა, ეროვნული გრძნობის გაღვივება, თავმოყვარეობის აღდგენა, უფლების გაცნობიერება, იმდენად მძიმე იყო სოციალ-დემოკრატია და შემდეგ ბოლშევიკთა მიერ თავსმოხვეული ბურუსი, რომ მისი გაფანტვა მხოლოდ ჭეშმარიტ პუბლიცისტიკას თუ ხელენიფებოდა. ამ აზრით, „სახალხო საქმე“ არ იყო მხოლოდ პარტიული გაზეთი, იგი სწორედ იმ „მოღვაწის ტიპი“ გახდა, რომელსაც გაზეთის შემქმნელი პირველ ნომრებში მიზნად ისახავდნენ. „სახალხო საქმემ“ სერიოზული ანალიტიკური საქმიანობა გასწია და მკითხველი თავისუფლებისთვის ბრძოლის თანამონაწილე გახადა.

გზა 1917 წლის 16 ივლისიდან 1918 წლის 26 მაისამდე „სახალხო საქმემ“ წარმატებით გაიარა, ზოგჯერ წინააღმდეგობებით, პოზიციების დათმობით, მაგრამ მთავარს იგი არასოდეს ღალატობდა: ყოველი მოვლენა თუ ფაქტი მისთვის იმდენად იყო მისაღები, რამდენადაც მასში ქართული ეროვნულობა აისახებოდა. რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და სტრატეგიულ პრინციპებს არ ემსახურებოდა, გაზეთი ცალსახად უარყოფდა. „სახალხო საქმე“ ზნეობრივი პოლიტიკის მომხრე იყო. მისი გამომ-

ცემელი სამსონ ფირცხალავა არაერთხელ მიუთითებდა ამის შესახებ: „ქართველ ხალხს აკლია პოლიტიკური გაწვრთნა, კულტურული ტრადიცია და ჩვენი პოლიტიკა ძალიან ხშირად შორდება ზნეობას. პოლიტიკას არ ვუყურებთ ფართოდ, არ ვუკავშირებთ საზოგადოებრივ განვითარებას, პიროვნებათა დამარცხება უფრო გვაინტერესებს, ვიდრე განსაზღვრული საზოგადოებრივი წესის დამყარება და არავითარ სახსარს არ ვერიდებით, ოღონდ კი ჩვენი გავიტანოთ“ (154).

აქ სამსონ ფირცხალავა ქართული პოლიტიკური ძალების საზოგადო უბედურებაზე წერდა, რაც ასე დამახასიათებელია თითქმის ყველა დროის ქართველი პოლიტიკოსებისათვის.

კონსტანტინე გამსახურდია

შთამბეჭდავია კონსტანტინე გამსახურდიას მოღვაწეობის პერიოდი გაზეთ „სახალხო საქმეში“. მწერლის მახვილ თვალს არ გამორჩენია არც ერთი პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენა, რომელმაც საქართველოს ისტორიაში გარდამტეხი როლი შეასრულა. „ტროანელი ცხენი“, „ველიკორუსები და არარუსები“, „ხელოვნება თუ პოლიტიკანობა“, „კულტურული მუშაობისთვის!“, „ქართულ არტილერიას“, „ერი თუ რასსა?“, „ქართველ მწერლებს“ – ეს არასრული ჩამონათვალია მისი პუბლიცისტურ-ლიტერატურული წერილებისა, რომლებიც 1917-1918 წლების „სახალხო საქმის“ ფურცლებზე იძეჭდებოდა.

ყველაზე მთავარი, რასაც კონსტანტინე გამსახურდია გაზეთის საშუალებით ამკვიდრებდა, იყო ის, რომ მწერლობას სთხოვდა პოლიტიკისგან ზომიერ დისტანციის გადასაცემად და იშველიებდა ფრიდრიხ ნიცშეს მაგალითს: 1870-71 წელს, როცა ელზას-ლორენში ფრანგ-გერმანელთა ზარბაზნები გრგვინავდნენ, ნიცშე წერდა „ტრაგედია წარმოშობას“.

„დღეს ჩვენი კულტურის ერთი ტრაგიკული ნასკვთაგანი ის გახლავთ, რომ ქართველი ერის სულიერი ძალა უმთავრესად პო-

ლიტიკაზე იხარჯება. თვით ჩვენი „მაშენებელი“ წინაპრების ან-დერძიც გვიკარნახებს და გვასწავლის – პოლიტიკურ აურზაურში კულტურული მუშაობის წერაქვსა და ყალამს ხელი არ გაუშვათ. ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველი ერის ნერვიანი პოლიტიკური ნარსული ნებას არ მისცემდა ქართველ ხელოვანსა და კულტურულ მუშაქს ცხოვრების ყრუ და უხმო ლაპირინთში ჩუმი კულტურული მუშაობა ენარმოებინა. როცა მხედარნი მამულის ბჭებზე წერდნენ საკუთარის სისხლით ეროვნული არსებობის გარანტიას, ხელოვანნი და მოძღვართმოძღვარნი მტვრიან ფოლიანტებს აბარებდნენ სულისა და ესპრის ქმნილებათ“ (148).

გამსახურდის გულისტყვილი გამოწვეულია ხელოვნების ასპარეზზე არსებული სიცარიელით. მისთვის არ არის საკმარისი არსებული ლიტერატურული თუ პუბლიცისტური მოღვაწეობა. „ხელოვანს თავისი სარბიელი აქვს, ხელოვანს თავისი საკუთარი მეტეორები ეგულება ცის ალიონზე და ნუ უშლით მას იქითკენ ქროლვას“ (იქვე).

კ. გამსახურდია თვლის, რომ თავისუფალ ქვეყანას განათლებულ ადამიანთა პლეადა დასჭირდება. იგი საუბრობს წიგნების, რუკების, ლექსიკონების შექმნაზე, განათლების საკითხებზე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაზე. ამ წერილის პათოსს ტიციან ტაბიძეც ეხმიანება, რომელმაც მოგვიანებით „საქართველოში“ მენშევიკებს ბრალი დასდო ქართული ხელოვნებისა და კულტურის უყურადღებობაში. იმავე გულისტყვილს გამოხატავს კონსტანტინე გამსახურდია წერილში „ტროანელი ცხენი“ (142), რომელიც აკადემიკოს ნ. მარის პასუხად დაწერა. მწერალი ეკამათება მარს, რომელიც კავკასიური და ინტერნაციონალური უნივერსიტეტის დაარსებას ემხრობოდა. ინტერნაციონალური უნივერსიტეტი რომ ასეთი მნიშვნელოვანი ყოფილიყო, გონიერ და გამჭრიას ევროპელებს ვერავინ დაასწრებდაო, ფიქრობს ავტორი. „შვეიცარიის უნივერსიტეტიც კი არ ეყრდნობა კულტურულ უნივერსალიზმს. იქაურ უნივერსიტეტში მხოლოდ ისეთი ენებია გაბატონებული, რომელზედაც უახლოეს კანტონების უმრავ-

ლესობა ლაპარაკობს და წერს. ეს რომ სხვანაირად ყოფილიყო, ერთ კათედრას მაინც დაუთმობდნენ დღემდის „რუსულ მეცნიერებას“ ან ბაზელში, ან უნივერსიტეტში, ან ლოზანაში. კულტურულმა უნივერსალიზმა დაახმო ქრისტიანული აღმოსავლეთის ერების შემოქმედებითი ენერგია, იმავე უნივერსალიზმა აამდვრია რომისა და ბიზანტიის ბასტარდული კულტურის წყარო“ (142).

„კულტურული კონტრაბანდა“ – აი, რას ენინააღმდეგება კონსტანტინე გამსახურდია. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იმ „ხუნდების“ ბრალია, რომელიც „არა-რუს ერების მაჯებზე“ დევს. თუ შედარებით თავისუფლად ამოისუნთქა რუსმა ერმა, სამაგიეროდ ხელში შერჩა „ის ტორმაზი, რომელიც დღემდისაც აპრკოლებს სხვა ერების წინსვლასა და განვითარებას“. ველიკორუსების ინიციატივით აგებული რუსეთის სახელმწიფოს სტრუქტურის დახასიათებაში იგი გერმანელ პროფესორს იშველიებს, რომელმაც საგაზეთო წერილში „მოსკოვიტელების“ სათაურით დაწერა, რომ „ამ ვეებერთელა ტერიტორიის ცენტრსა და განაპირებს თითქმის არაფერი აერთიანებს ტლანქი, უხეში ძალის მეტი... კავკასიაში მოსკოვიტელებმა ისევე მკაცრი და დაუნდობელია, როგორც მისი კოლეგები. „1801 წლიდან ქართველობის პოლიტიკურ ორიენტაციაში გაიკვანდა ფატალური „იდეე ფიქსი“ მოვალეობისა. ამ „იდეე ფიქსმა“ გაწენა დიმიტრი ყიფიანის გული. ყიფიანი მანამდის ინახავდა ამ ფიცისა და ამა ერთგულების სიწმინდეს, ვიდრე ბნელი ავაზაკის ხელმა ქვის სატეხ ლომით არ გაუპო თავი. ამ საშინელი ფიცის ჯადოსნური ძალა ამაგრებს დღესაც რუსის პოზიციებზე ქართველ მეომრებს“ (143).

რუსეთის პოლიტიკის დახასიათებისას კონსტანტინე გამსახურდია ისევე მკაცრი და დაუნდობელია, როგორც მისი კოლეგები. „1801 წლიდან ქართველობის პოლიტიკურ ორიენტაციაში გაიკვანდა ფატალური „იდეე ფიქსი“ მოვალეობისა. ამ „იდეე ფიქსმა“ გაწენა დიმიტრი ყიფიანის გული. ყიფიანი მანამდის ინახავდა ამ ფიცისა და ამა ერთგულების სიწმინდეს, ვიდრე ბნელი ავაზაკის ხელმა ქვის სატეხ ლომით არ გაუპო თავი. ამ საშინელი ფიცის ჯადოსნური ძალა ამაგრებს დღესაც რუსის პოზიციებზე ქართველ მეომრებს“ (152).

კონსტანტინე გამსახურდია ქართველ მწერალთა პირველ ყრილობასაც მიესალმა, თუმცა მხარი არ დაუჭირა კონსტანტინე ბალ-

მონტის თავმჯდომარედ გაყვანას, რამაც გრ. რობაქიძეში დიდი გალიზიანება გამოიწვია. რობაქიძემ გამსახურდიას „შოვინისტი“ და „კაციჭამია ნაციონალისტი“ უწოდა. იგი გამსახურდიას აკრიტიკებს, რომ ის ბრძოლა, რომელიც ცხოვრებაში არსებობს ერთა შორის, ხელოვნებაში არ უნდა გადავიდეს. თუ მეფეები ერთმანეთს ებრძვიან, მწერლები და ხელოვანნი ძმურად უწვდიან ერთმანეთს ხელს.

„როცა ორი ერის, ორი კულტურის, ორი სამყაროს ბრძოლაა, იქ უსათუოდ მწერალთა ბანაკშიც ცეცხლი ანთია... ერთი მეორეს ებრძვის არა მარტო დიპლომატიის და ზარბაზნების პირით, არა-მედ მთელი კულტურული სისტემით, წიგნებით, გაზეთით, კალმი-თაც და მახვილითაც“ (158). ამით კ. გამსახურდია ასაბუთებს, რა-ტომ იყო ბალმონტის თავმჯდომარეობის წინააღმდეგი.

გამსახურდა ზოგადად ემსრობა მწერლების მიერ მიმდინარე პროცესებზე აზრის გამოთქმას: „ყველაფერი სივრცესა, დროს და გარემოებას ექვემდებარება, და ამასთან მწერალიც. მე მგონია უხუცესი ყველა მგოსანთა და აპოლოს მსახურთა შორის ჰომერი, უსათუოდ მონაწილეობას იღებდა ილიონის წინაშე ატეხილ ომში... დანტე არა მარტო დიდი პოეტი იყო, იმავე დროს ფანატიკური კა-თოლიკე, ჰიუგო რესპუბლიკანელი, ლესსინგი ფრანგოფობი. კორ-ნერი და არნედი არ იყვნენ ხმალით და სიმღერით რომ მიუძღვოდ-ნენ გერმანელებს მამულიშვილურ ომებში?.. ბელგიის აოხრების დროს თვით მუდამ სევდიანმა მისტიკოსმა მეტერლინკმა დასტოვა თავისი მშვენიერი ბალი და სამშობლოდან განლტოლვილი ბელგიის ჯართან და უბედურ გვირგვინმოხდილ მეფესთან ერთად განაგ-რძო მახვილითა და კალმით ბრძოლა თავის გაჩანაგებულ მამულის ალსადგენად“ (158).

ამით კ. გამსახურდია ასაბუთებს, რომ ყველა დროს ყველა მწერალი ერის წინამძღოლობას ეწევა და ნურავის ეგონება პოლი-ტიკა მხოლოდ პოლიტიკოსთა საქმე. „უამიანობის“ დროს „მუხამ-ბაზობის“ შესაძლებლობა არ არის. 19 წლის გამართულმა ეროვნულმა ყრილობამ იმედი მისცა მწერალს და დაარწმუნა, რომ

ქართველობას 117 წლის მონობაში ყველაფერი არ დაუკარგავს. იმ დღეს გაორებული საქართველო შეერთდა. 1917 წლის 19 ნოემბრის ეროვნული ყრილობა რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი და განაცხადი იყო, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ინტელექტუალური ძალები.

საინტერესოა კ. გამსახურდიას წერილი „ერი თუ რასსა“ (169), სადაც იგი ერისა და რასის რაობებს ერთმანეთისგან განასხვავებს, ასიმილაციის პრობლემაზე საუბრობს, რომელიც ზოგჯერ საჭიროა ენერგიის გასაუმჯობესებლად: „დიდი საკითხია“, ამბობდა ერთი გერმანელი მეცნიერი, „საბერძნეთმა შექმნა პომერი თუ პომერმა საბერძნეთიო“. ათასისა და ათი-ათასის ნაგრძნობს, ნაფიქრსა და ნამდერს თუ როგორ მღერის ერთი პიროვნება, ეს ისე რთული ამოცანაა, როგორც პრობლემა გენიალობისა... დამოკიდებულება რასსასა და მის პირმშოს შორის ისეთია, როგორც პირამიდის მწვერვალის უმაღლეს სამკუთხედ ქვასა და პირამიდის კედლების ლოდებს შორის. პირველის სიმაღლე უკანასკნელთ ემყარება. უკანასკნელნი პირველს უმაგრებენ წელს. მხოლოდ სიჭარბე შეჰქმნის სიდიადეს. ეს ის სიჭარბეა, რომელიც უსესხებია ფრანგის ერს ჰიუგოსთვის, გერმანელს – კანტისთვის და ქართველ ერს რუსთველისთვის... რასსა იმ განსაკუთრებულ ერსა და თვალისჩინს ნიშნავს, რომლითაც არაბული ცხენი განსხვავდება ყაბარდულისაგან“ (169).

კ. გამსახურდია ევროპული კულტურის სიძლიერეს მათი ხალხების ენერგიას უკავშირებს: გერმანულ-რომაულ რასათა შედუღაბებამ იტალიელები და ფრანგები მოგვცა, მოცარტის სამშობლო, შვაბების ქვეყანა, დასახლებულია ნახევრად კელტურ და ნახევრად გერმანულ ხალხთა სისხლის ნარმომადგენლებით. პრუსია, ემანუელ კანტის სამშობლო, შეიცავს სლავიანურს, და გერმანული სისხლის ელემენტებს. „იგივე პრუსია სამიოდე საუკუნის შვილია და მან კაცობრიობას მეტი მისცა, ვიდრე 150 მილიონიანმა ველიკორუსმა... ალმოსავლეთ სლავიანებისა და მონღოლების სისხლის შერევამ მოგვცა ყოველივე სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა და ცივილიზაციურ

ინიციატივისთვის გამოუსადეგარი რუსის ერი, რომელსაც ერთმა გერმანელმა მეცნიერმა „იდიოტი ერი“ უწოდა“ (იქვე).

ამით კ. გამსახურდია ამძაფრებს ბრძოლის სურვილს თავი-სუფლებისკენ და რუსეთის პოლიტიკისგან დაშორება სურს. მისი არეალი ევროპა და ის დასავლური ცივილიზაციაა, სადაც ქართველი უფრო შემოქმედებით ცხოვრებას შეძლებს (47).

მას გერმანელთა ეროვნული თვითშეგნება სამაგალითოდ მიაჩნდა. გერმანიდან წამოსულმა ქარიშხალმა ქართულ აზრში დიდი პატივით დაიმკვიდრა ადგილი.

„მზერა გერმანიისკენ!“ – ეს იყო „სახალხო საქმის“ დევიზი, ისევე როგორც გაზეთ „საქართველოსი“. გერმანია აღმოჩნდა დაუშრეტელი სულიერი რეზერვუარი, საიდანაც მთელი ევროპა იღებდა სულიერ საზრდოს, მათ შორის ქართველი მოღვაწეები.

1918 წლის აგვისტოდან კონსტანტინე გამსახურდია თავის სათაყვანებელ გერმანიაში მიემგზავრება საადიპლომო ნაშრომის დასაწერად. 26 მაისის აქტზე იგი მოგვიანებით დაწერს სტატიას „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს“, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამდე, 1921 წლის 25 მაისს დაიბეჭდება. სტატიაში იგი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ თარიღისადმი და აანალიზებს საქართველოს გზას 1801 წლიდან 1918 წლამდე. სტატია იწყება ფიხტეს სიტყვებით: „ვინ დამოუკიდებლობას დაჰკარგავს, იგი ამასთანავე დაჰკარგავს შესაძლებლობას, წილი დაიდგას დროის მიმდინარეობაში და მას თავისებური ფორმა მისცეს“. მას შემდეგ მოჰყვება პირველი სიტყვები: „საქართველოს ისტორიაში მე არ ვიცნობ უფრო დიდნიშვნელოვან დღეს“ (48).

ლევან მეტრეველი

ლევან მეტრეველი გაზეთ „სახალხო საქმეში“ მოღვაწე ერთერთი საინტერესო მწერალია. მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები გამოირჩევა სამშობლოს სევდით, მისი სტილი კოლორიტულია და ხატოვანი, დიდებით მოსავს ძველ საქართველოს

და ელოდება მის გათავისუფლებას, გაბრწყინებას. ეროვნული მე-ობის ამაღლება ლევან მეტრეველის მთავარი ძახილია.

„სალამი სამშობლოს“(141) – ლევან მეტრეველის ეს ლიტერატურული ჩანახატი თითქოს ილიას „მგზავრის წერილების“ თემას აგრძელებს.

„ჰოი, სამშობლოვ! ჩრდილოეთით მომავალი იალბუზის მწვერვალზე დავეძებ შენთვის აღნთებულ თავისუფლების კელაპტარს და პირველ სალამს იმას მოვუძღვნი. შენი შვილი, შენი მონა, შეყვარებული შენსკენ მოვილტვი, რომ შენს განთიადს, შენს აღდგენას მეც მივეგებო მუხლის ჩოქით, ნატვრა-ვედრებით; და სასოებანი ჩემი ჩავადნო მსხვერპლად თავისუფლების პრწყინვალე მზის პირველ სხივებში... საფლავში ირყევიან მამა-პაპათა ძვლები. გულს ანათებენ ხსოვნანი უწმინდეს დედათა, რომელთაც აღაგეს სამი უდიდესი ტაძარი საქართველოს ათასწლოვან მკერდზე, ტაძარი სულისა, დიდებისა და წამებისა; აბჯარ-შესხმულნი საუკუნენი საქართველოსი სისხლ-ნადენი, დაქანცულნი, კეთილშობილნი, თითქოს ახლად წამოიშალენ ბედის წინაშე და იწოდებენ საქართველოს ახალ სიტყვად, ახალ სიცოცხლედ, ახალსა ბრძოლად“(141).

ასევე საინტერესოა მისი წერილი, რომელიც „ქართულ ენას“ მიუძღვნა. ავტორის აზრით, მშობლიური ენა სახელმწიფოს უმთავრესი ბურჯია, ერის სულიერი ცხოვრების უდიდესი სიმაგრეა, მისი საშუალებით ერი „ებაასება კაცობრიობას, ცას, სამყაროს, თავის თავს“.

„გაგიზომიათ ოდესმე სიდიადე ჩვენი პატარა ქვეყნისა?
...ქართული ენა ეს ქართველის მკერდია მტრის წინაშე შეუპოვრად მდგომი... ის კაცთა მქროლავი არწივია, რომელსაც ჯერ ვერ მისწვდომია ბედის ისარი. მაგრამ ვაჲ, რამდენია ქართველისავე ძუძუთი აღზრდილი, ვისაც ქართული მეტყველება უცხოთა ხმად მიაჩნია... მაგრამ მე მათ სიწითლეს ვერა ვხედავ. ჩვენს ცხოვრებაში – სჩანს აღარ არის აღარც სირცხვილი, აღარც შეგნება... მისწვდით სხვადასხვა ენათა ულამაზეს მწვერვალებს! ადით ქართული ენის იალბუზზე და იქ, ზევიდან, ციდან მაინც მოგესმით

უდიდესი ქართველი სიტყვად გენაცვალე“(147).

რუსეთის საუკუნოვანმა პოლიტიკამ ქართული ენის კულტუ-
რაზეც ძლიერ იმოქმედა. მიუხედავად ილიას თაობის უდიდესი
ბრძოლისა ენის გადასარჩენად, მე-20 საუკუნის დასაწყისშიც იყ-
ვნენ ქართველები, რომლებსაც ქართულ ენაზე საუბარი უჭირდათ
და ზოგჯერ ესირცხვილებოდათ. ლევან მეტრეველის ეს ლიტერა-
ტურული შემოძახილი სწორებ მათ გამოსაფხიზლებლადაა მიმარ-
თული. ასეთი დამოკიდებულებით მწერალი ილაშქრებდა ერის უფ-
ლებისა და ღირსების შელახვის წინააღმდეგ.

შემდეგ მწერალი იხსენებს აგრეთვე სოლომონ ლეონიძეს, რო-
მელმაც ერეკლე მეფეს წინააღმდეგობა გაუნია და საქართველოს
დამოუკიდებლობას ბოლომდე იცავდა.

„სოლომონ ლეონიძე – ეს უკანასკნელი სიტყვაა თავისუფალი
საქართველოსი. დროთა სიღრმეში, ცათა-შემბოჭავ პირქუშ ღრუ-
ბელთა შორის საქართველოს თავისუფლების ნაპრალზე უდიდეს
ქანდაკებად გამოკვეთილია მშვენიერი სახე სოლომონ მსაჯულისა.
და სამშობლოს ჩამავალი მზის უკანასკნელნი სხივნი ოქროს ფერ-
ბად მასზე სტყდებიან, მას განაპრნებინვენ. უთვალავ ბრძოლათა
შორის მრავალჯერ დაკოდილა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ არ დასახიჩ-
რებულა კი. და მასში მარად პბორგავდა ამაყი და ნუგეშის მიმნიჭე
ძლიერი სული ქართველობისა. სული ეროვნულის თავისუფლებისა
და უკვდავობისა, რომელიც დაძაბუნებულ ტანში მაინც აღანთებს
წყურვილს ბრძოლისას და თუ ღირსეულ სიცოცხლედ ველარ
აღადგენს, ღირსეულ სიკვდილად მაინც გადააშლევინებს მკერდსა
თავისას“(157).

ეს სული უკანასკნელად სოლომონ ლეონიძის მკერდში აენთო,
მაგრამ ველარ იხსნა რუსეთისკენ გადახრილი საქართველო. სო-
ლომონ ლეონიძე აღმოჩნდა ერთადერთი პიროვნება, რომელმაც
განჭვრიტა ქართველის ბედი. იგი გრძნობდა, რომ რუსეთთან დამე-
გობრება ნიშნავდა დამონებას. „საქართველოს ბედს და მომავალს
ის უფრო თავისუფლად ანდობდა საქართველოსვე დაქანცულ მარ-
ჯვენას, ვიდრე რუსეთის განუსაზღვრელ ძლიერებას“(იქვე).

მეტრეველი გაკვირვებულია იმით, რომ, რაც 120 წლის წინ განჭვრიტა სოლომონმა, ბევრი ახლაც ვერ გრძნობს. დაუნდობელია იმ ადამიანთა მისამართით, რომელთაც საქართველოს თავისუფლებაზე ხმის ამოღების ეშინიათ და ღრმად სწამს, რომ სოლომონში დღევანდელი სიტუაცია „აღმფოთების ქარიშხალს გამოიწვევდა და გასწირავდა მთელ საქართველოს ახალ სასოწარკვეთილ ბრძოლად, თუნდაც სიკვდილად, მხოლოდ თავისუფლად, დამოუკიდებლად... სოლომონ ლეონიძე ეს არის გედის სიმღერა დამოუკიდებელი საქართველოსი“ (იქვე).

ლევან მეტრეველი აკრიტიკებს ყველა იმ ქართველს, ვინც საქართველოს თავისუფლების ნატვრას არ შეუპყრია და ირონიულად დასძენს: „მხოლოდ ქართველს შეუძლიან შექმნას ასეთი მცნება: სიყვარული მტრისა და სიძულვილი მეგობრისათვის... „შეიყვარე თავი შენი – ვითარცა მტერი შენი!“ (159) – მიმართავს იგი თავის თანამემამულებს და არ მოსწონს ის პარტიული დაპირისპირება, რომელსაც ადგილი აქვს ქართველთა შორის.

ვახტანგ კოტეტიშვილი

ვახტანგ კოტეტიშვილი – ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე და ფოლკლორისტია. „სახალხო საქმეში“ მისი მოღვაწეობის პერიოდი გაჯერებულია ფილოსოფიურ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული ხასიათის წერილებითა და სტატიებით. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად კოტეტიშვილი საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. „სახალხო საქმის“ ერთ-ერთ პირველ ნომერში გიორგი ზდანოვიჩისადმი (მაიაშვილისადმი) მიძღვნილი წერილით გამოჩნდა. „დიდი კატორდელი“ – ასე ჰქვია იმ წერილს, რომელიც ვ. კოტეტიშვილს ზდანოვიჩის გარდაცვალებამ დააწერინა. ცნობილ საზოგადო მოღვაწეს იგი „ცხოვრების ცოცხალ წყაროსა“ და „შუქმფენ ჩირალდანს“ უწოდებს. ის ეპოქა, როცა ზდანოვიჩი მოღვაწეობდა, იყო ეპოქა „მძიმე გამოცდების, ყოველგვა-

რი ძალმომრეობის, მონისლული ცხოვრების, როდესაც რუსეთის ინტელიგენცია დაავადდა გლებ უსპენსკის თქმისამებრ გულითაც და სინდისითაც...“(139)

1918 წლის მაისში ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „პიროვნების განთავისუფლების ფილოსოფიას დაუდგა კიდევ ახალი ხანა... ახალი გზა და ახალი შეგნებაა საჭირო. მიდის ხელოვნების წითელი ეტლი, რომელზედაც ცხოვრების ყოველი ნაწილია მოთავსებული. გარდიქმენით, გაიხადეთ ძველი ტან-სამოსი, ფეხ-სამოსი და ისე მიდით მასთან, როგორც არონი მივიდა ცეცხლოვან ჯაგთან! წინააღმდეგ შეჰპილნავთ და დაირისხებით. მოემზადეთ. ხელოვნების ვულკანიც მაღა ამოხეთქს და ცეცხლის ლავა წალეკავს ძველ წაებს. ჰაერში ცეცხლის სუნი უკვე ტრიალებს“(171).

ეს სიხარული მაღა აუხდა ვ. კოტეტიშვილს. ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთ კვირაში საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ვ. კოტეტიშვილი რუსეთის ბიუროკრატიას საქართველოს ეროვნულ დამახინჯებაში ადანაშაულებს. „ეროვნული თვითმკვლელობის პროცესი ჯერ არ შენელებულა. ცოცხალთა სასაფლაოდ გადაქცეულა ჩვენი კისკასი ქვეყანა. ჯერ არ დასდგომია გამოფხიზლების გზას დიდი ხნის მონობით გადაგვარებული ჩვენი ხალხი. მაგრამ უკეთესი იყო, რომ ამოუცნობ სფინქსად მაინც დარჩენილიყო საქართველო. ის საქართველო, რომელმაც რუსეთის რევოლუციისთვის ყველაზე დიდი ცეცხლი თავის ლამაზ მკერდზე დაანთო, მაგრამ საქართველოს განთავისუფლებისთვის კი დაიფერფლა და დაიშალა. მხოლოდ 26 მაისის თარიღი ღირსეულად აღიბეჭდება ჩვენი მატიანეს ფურცლებზე. ამ დღეს წერტილი დაესვა ქართველი ერის შეუგნებელ ხეტიალს, ამ დღეს გაირღვა ის მოჯადოებული წრე, რომელშიც ქართველი ერი იყო მომწყვდეული, და იქ, სადაც ქართული სულისთვის ფარული გილიოტინა იყო აღმართული, იქ აღიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის ელვარე დროშა“(183).

ვ. კოტეტიშვილის შეფასებით, დასრულდა ქართული ტრაგედიის ხანგრძლივი ანტრაქტი და დაიწყო უკანასკნელი მოქმედება. სცენაზე კი გამოდის ძველი რაინდი, საქართველო, მოღლილი, მო-

ქანცული, მტრებით გარშემორტყმული. ყველას უნდა ცეცხლის შენთება, რომ კვამლში გამოახრჩონ ფეხზე დამდგარი ძველი რაინდი. ამიტომ, ფინალი გაურკვეველია. როგორ დასრულდება ეს უკანასკნელი მოქმედება, არავინ იცის. „ვიცით მხოლოდ, რომ ძველ რაინდს საქართველოს წამოზრდილი შვილები უნდა დაირაზმონ ყოველმხრივ და თავისუფლების სამსხვერპლოზე დაანარცხონ ყოველი მისი მტერი.

რუსული ანდაზაა: „ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც ჰგონიათო“. მაშ, რევოლუციის წითელ ეტლგადავლილ ქართველობას ყვავილოვან მკერდზე ნუ გადავატარებთ შავი იმპერიალიზმის მძიმე გუთაანს“ (იქვე).

ვახტანგ კოტეტიშვილმა „სახალხო საქმეში“ მთელი ფილოსოფიურ-მხატვრული კონცეფცია ჩამოაყალიბა და საქართველოს დამოუკიდებლობას ისტორიული და ფსიქოლოგიური საფუძველი შეუქმნა. მისი პოლიტიკური პუბლიცისტიკა და ანალიზი მკითხველს მოვლენების განსხვავებულ აღქმასა და კონტექსტს სთავაზობს.

* * *

გაზეთ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე მწერლობის როლზე საუბრობს გიორგი ჭუმბურიძე. მიუხედავად ამისა, მწერალთა პირველი თავურილობა წაადრევად მიიჩნია, რაზეც საკადრისი პასუხი მიიღო კონსტანტინე გამსახურდიასგან. „სახალხო საქმეში“ იგი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას იხსენებს, რომელმაც „მიზნად დაისახა ერის ხსნა, მისი აღდგენა“. იგი საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოაგონებს ილიას წვლილს ქართველი ერის მიძინებული სულის გამოფხიზლებაში და მიაჩნია, რომ ეროვნულ გათვითცნობიერებას ილიასთან ერთად აკაკი წერეთელმაც შეუწყო ხელი – „თვითცნობიერებასთან ერთად საჭირო იყო უწმინდესი და უმაღლესი სიყვარული. ერმა შეიყვარა თავისი თავი და საქართველოც“, წერს იგი(150).

გიორგი ჭუმბურიძე ამ წერილს 29 აგვისტოს ნომერში აქვეყ-

ნებს, ანუ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს და დიდი მწერლის ხსოვნას უძღვნის. იგი თვლის, რომ საზოგადოებამ ილიას რევოლუციონერობა მოსთხოვა, რაც მისთვის ბუნებრივად შეუძლებელი იყო. ასეთი მისის დავისრება ნაჩქარევი ნაბიჯი იყო ქართველი ხალხის მხრიდან – ესაა ჭუმბურიძის დასკვნა. აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა რევოლუციური იყო თავიდან ბოლომდე. სიტყვის, კალმის ნოვატორი სახელმწიფოებრივ საქმეებშიც ნოვატორი იყო. არაჩვეულებრივად ესმოდა ეკონომიკური საკითხები. ასეთი უნივერსალური და მრავალმხრივი პროფესიონალის დეფიციტს განიცდიდა 1917-1918 წლების საქართველო. ილიას სიდიადეს კი ვერ ხვდებოდნენ ხელისუფლებაში მყოფთა უმრავლესობა. ილიასი ესმოდათ და გრძნობდნენ ისინი, რომლებიც პარტიულ უმცირესობას წარმოადგენდნენ.

* * *

1917 წლის 29 აგვისტოს ნომერში იქნება **არჩილ ჯორჯაძის** წერილი – „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“. მართალია, წერილი 1913 წელს დაიწერა მ. გედევანიშვილის შეკვეთით ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისთვის, მაგრამ პირველად 1917 წელს „სახალხო საქმემ“ დაბეჭდა. წერილი ძირითადად ეხება ილია ჭავჭავაძის აზროვნების ხასიათს. არჩილ ჯორჯაძეს სურს, ბოლომდე ჩაწვდეს და ერთმანეთისგან განასხვაოს რეალისტი ილია და იდეალისტი ილია. ქვეყნის საკითხებით მოცული ილია ჭავჭავაძის აზროვნებას „აინტერესებს არა მარტო ის, რაც არის, არამედ ისიც, რაც უნდა იყოს. რეალიზმი ჭავჭავაძის მატერიალისტური მიმართულებისა არ არის, პირიქით, იგი ხშირად რომანტიულ-იდეალისტური სამოსელით იმოსება... იგი არაფერს არ ანგრევდა წინასწარის განზრახვით. უკიდურესობა არ ეგუებოდა მის ბუნებას. მასში, როგორც დიდ აუზში, შეგროვილი იყო თავის დროის და ეპოქის ზრახვანი და იგი თითქოს უფრთხილდებოდა, ელოლიავებოდა მასში თავმოყრილ საგანძეს, არ იმეტებ-

და გასახლეჩად და გასარღვევად“ (151).

არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისით, ფილოსოფიაში ილია პოზიტივისტია, გაურბის საიდუმლოებასა და ბუნდოვანებას. მას უყვარს ხილული და ხელშესახები საგანი, მიუწვდომელი სიდიადე მას არ ხიბლავს. ამის დასაბუთებაა „მგზავრის წერილები“, სადაც ილია გულგრილი რჩება მყინვარის წინაშე.

„იგი სდევს ცხოვრებას კვალ-და-კვალ, აღნიშნავს მის ავ-კარგიანობას, ხოლო არასოდეს თავისად არ ჰქდის სხვის აზრს და სხვის იდეალს, თუ ეს სხვისი აზრი და სხვისი იდეალი სახიფათო და გამოუსადეგარ საგნად მიაჩნია“ (იქვე).

არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურული კვლევის გამოქვეყნება „სახალხო საქმეში“ კიდევ ერთი ქედის მოხრაა დიდი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წინაშე. „სახალხო საქმე“ კი ხაზს უსვამს მის მემკვიდრეობითობას 60-იანელების იდეებთან.

როგორც ცნობილია, არჩილ ჯორჯაძეცა და კიტა აბაშიძეც ფედერალისტთა პარტიის თავკაცები იყვნენ. ილია ჭავჭავაძის შემდეგ „სახალხო საქმე“ კიტა აბაშიძის ხსოვნასაც ეხმიანება. დავით კლდიაშვილი კიტა აბაშიძეს ახასიათებს, როგორც ქართველი ერის დიდ მოამაგესა და ქომაგს, რომელიც ვერ ურიგდებოდა ვერავითარ მონობას და დაჩაგვრას და მთელი თავისი არსებით იპრძოდა ქართველი ერის გათავისუფლებისთვის. გრ. ქვარიანს კი კიტა აბაშიძე მიაჩნდა დიდ ესთეტად, რომელიც ადვილად ვერ ურიგდებოდა უხეშ მატერიალისტურ და უტილიტარულ მსოფლმხედველობას. მშვენიერება კი მისი კულტი იყო, რომლისკენაც უსაზღვრო გატაცებით მიისწრაფვოდა (162). ილია ჭავჭავაძეცა და კიტა აბაშიძეც საქართველოს თავისუფლების იდეით ანთებული ორი დიდი მამულიშვილია.

„სახალხო საქმე“ კიდევ უფრო განამტკიცებს თავის პოზიციებს მწერლობის მისის მიმართ სამსონ ფირცხალავას წერილში „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“, სადაც მწერლობის რაობასა და მწერლის მოვალეობებზეა საუბარი. წერილი სამ ნომერში გრძელდება. ავტორი თვლის, რომ მწერლობა ერის სარკეა, რომელშიც სა-

ზოგადოება ხედავს თავის თავს და არკვევს თავის ვინაობას. „მწერლობა არსებითად ეროვნულია, ეროვნული იმიტომ, რომ გამოხატავს ერის სულსა და გულს, იმიტომ, რომ მისი სიცოცხლე ერის სიცოცხლეა. ევროპის საშუალო საუკუნეების მწერლობის აყვავება დაიწყო იმ დღიდან, როცა საერთო „საკაცობრიო“ ლათინურ ენის მწერლობას გამოეყო ეროვნული მწერლობანი, ყოველმა ერმა საკუთარი მწერლობა გაიჩინა. ამ დღიდანვე იწყეს დამოუკიდებელი არსებობა ამ ერებმა, შეჰქმნეს საკუთარი კულტურული ნრები. იტალიის ერი შექმნა დანტეს „ლვთაებრივმა კომედიამ“. ქართველი ერის შეგნებისთვის აუცილებელი პირობა იყო მთაწმინდელების, ეფრემ მცირის, პეტრინის და სხვების სამწერლო მოღვაწეობა X-XI საუკუნეებში. ჩვენი ეროვნების უმთავრეს სიმტკიცეს „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს“ (182).

შემდეგ იყო მონობის დიდი პერიოდი. XVIII საუკუნეში მწერლობა აღორძინებას იწყებს და საქართველოც ვითარდება. XIX საუკუნეში კი, საყოველთაო მონობის დროს, ქართველი ერის ერთადერთი თავშესაფარი მწერლობა იყო. თუმცა, საერთო მიწა-წყალი, საერთო ენა, საერთო ისტორია და მწერლობა ჯერ კიდევ არ ქმნის ეროვნებას, არ წარმოშობს ერს. ერისა და ეროვნების შესაქმნელად კი სამსონ ფირცხალავა ეროვნულ შეგნებას მიიჩნევს. იქ არის ერი მტკიცე, ძლიერი შემოქმედი, სადაც მისი შვილები განმსჭვალულნი არიან იმის ღრმა შეგნებით, რომ მზად არიან დაიცვან და შეინარჩუნონ თავისი ბუნება, ენა, ხასიათი, ჩვეულება თუ კულტურა. „სიყვარული, შეგნება და სიამაყე“ – რამდენადაც ძლიერია ეს შეგნება, იმდენად სრულია და ძლიერი ეროვნება, იმდენად უფრო შემოქმედია ერი.

სამსონ ფირცხალვას უტოპიურად მიაჩნია სოციალიზმისა და ეროვნების დაპირისპირება. სოციალიზმმა, რომელიც აგებულია კლასთა წინააღმდეგობასა და ბრძოლაზე, უნდა მოსპოს ერი და ეროვნული ადამიანი. მათ წაცვლად წარმოშვას უნივერსალური ადამიანი, უსახო, ერთფეროვანი კაცობრიობა. „თავისუფლების სამეფოში“, სადაც იშლება მთელი სულიერი აგებულება ადამიანისა,

შემოქმედად გამოდის ის ერთეული, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთად ცხოვრობდა და შეიმუშავა ერთი ენა, ერთი ხასიათი, ერთი სახე და მეტყველება, სიტყვა, ლექსი, სიმღერა, ტაძარი სიმშვენიერისა, რწმენა, ოცნება – ყველაფერი ეს გამოსახავს, რაც განუცდია, უგრძვნია და შეუქმნია მთელს ერთეულს, ყველაფერი ნაციონალური გენიის წარმოშობილია“ (182).

ს. ფირცხალავა ფილოსოფიურ რაკურსში განიხილავს საკითხს და ლიტერატურული მაგალითებით წარმოაჩენს ერის ბუნებას და მისი თავისუფლების აუცილებლობას ამტკიცებს. საკითხი საიმდროოა, იგი საზოგადოების ცოცხალ ინტერესს უკავშირდება. ერის თავისუფლების იდეა გაძლიერებულია და დღედღეზე ხალხი მოელის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ასეთი საზოგადო განწყობილების ფონზე ინერება ს. ფირცხალავას წერილი და მისი ბეჭდვა იწყება კიდეც 26 მაისს. ავტორი ცდილობს ისტორიის მაგალითებით გვიჩვენოს ერთა წარმოშობის სპეციფიკა და გარემოპირობების გამო სხვადასხვაგვარად ჩამოყალიბება. ამის შემდგომ იგი ეხება ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს და კულტურის ნაყოფს. იგი წერს: „ადამიანი ბუნების და კულტურის ნაყოფია, ხოლო კულტურა საზოგადოებაა, საზოგადოებრივი ატმოსფეროა, რომელშიაც ვცხოვრობთ და ვიზრდებით. ადამიანი კვდება, როგორც კი მოსწყდება ბუნებას, მაგრამ იღუპება მაშინაც, როდესაც განკვეთილია საზოგადოებისაგან. ადამიანი, კერძო პიროვნება, რაც უნდა მდიდარი და მაღალი იყოს, ჰქონდება, მიდის, საზოგადოება უკვდავია. ადამიანის ფიქრი და გრძნობა წაიშლება, საზოგადოებრივი შეგნება და კულტურა მუდამ არსებობს... ადამიანი მოკვდა, წავიდა, მაგრამ ის მომხიბლავი ხმა, რომელიც ამღერდა მის გულს, წაზი სიმღერა, მოხდენილი მისი ცეკვა, გმირული საქმე, სათნო მოქმედება, მადლი, სიკეთე? არა. ყველაფერი ეს აღბეჭდილია მომავლის გულის ფიცარზე“ (იქვე).

სამსონ ფირცხალავას ეს სიტყვები ერთგვარი გაფრთხილებაა და მოწოდება კარგი საქმეების საკეთებლად, რადგან არაფერი უკვალოდ არ ჰქონდება, მით უმეტეს ქვეყნის სამსახურში გალეული

დღეები. ავტორი ცალსახად ემხრობა ძლიერ სამოქალაქო საზოგა-დოებას და უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს.

სამსონ ფირცხალავამ ლიტერატურული მოღვაწეობა გაზეთ „ივერიაში“ დაიწყო. იპ. ვართაგავას მოგონებით, მას „ნმინდანს“ ეძახდნენ. რამდენჯერმე წავიდა ემიგრაციაში და რამდენჯერმე დაატუსალეს კიდეც. სხვათა შორის, როდესაც მან გამოსცა 6. ბა-რათაშვილის კრებული, ეტლში მჯდომ პატიმრისთვის სასიგნალო ეგზემპლარი იოსებ გრიშაშვილს მიუწოდებია. საბჭოთა პერიოდის 50-იან წლებშიც დაპატიმრეს სხვა ემიგრანტებთან ერთად. გიორგი ლეონიძე ამაოდ სთხოვდა საბჭოთა ხელისუფლებას ფირცხალა-ვასთვის პერიოდისა და ენიშნათ. „სახალხო საქმის“ რედაქტორობა მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია.

* * *

„სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა ალექსანდრე ნერეთლის სა-ინტერესო ლიტერატურული კვლევა „ივანე კარამაზოვი“, რომე-ლიც მან მეგობრებს მიუძღვნა. დოსტოევსკის პერიოდი ის პერიო-დია, როდესაც ძველი მსოფლმხედველობა ახლის წინაშე პოზიცი-ებს სთმობდა. დოსტოევსკის სულს კი „მწარედ სერავდა ძლიერი ეჭვი, ნამდვილად ღრმა ურნმუნობა იმ ახალ მოძღვრებისადმი, ადამიანთა მრავალტანჯულ არსებობის გამაცისკროვნებელ იმე-დად რომ შექმნილიყო“ (164). რელიგიისა და სოციალიზმის პირვე-ლი დიდი კონფლიქტი ივანე კარამაზოვში წარმოიშვა და ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეს გმირი ქართული რეალობის-თვისაც 1918 წელს. „ყველასთვის სავალდებულოა თუ არა ის ზნე-ობრივი მოთხოვნილება, რომელიც გვავალებს ადამიანთა ბედნიე-რების სამსხვერპლოზე მივიტანოთ პირადი ბედნიერება და პირადი ინტერესები (კარამაზოვის აზრით, თუ არ არსებობს ღმერთი, სუ-ლის უკვდავება, მაშ რაღას აქვს მნიშვნელობა ამ ქვეყნად?), სამარ-თლიანია თუ არა ის დებულება, ვითომც მომავალი თაობის ბედნი-ერებას შეუძლია გამოისყიდოს ეხლანდელი თაობის უბედურება

(აქაც კარამაზოვი იმავე კითხვით მოგმართავს: არსებობს უკვდავება?) და დასასრულ, განა არ არის კაცობრიობის ის მომავალი, რომელსაც ამდენი მსხვერპლი ეწირება: აი უმთავრესად ის საკითხები, რომელთაც სულის სიმშვიდე დაურღვევია დოსტოევსკ-კარამაზოვისთვის“ (იქვე). სოციალიზმის პრობლემა ვიწრო ეკონომიკურ თვალსაზრისს სცილდება და ზნეობრივი, ეთიკური მსოფლმხედველობის მიხედვითაა აღძრული ნაწარმოებში.

ალ. წერეთელი განმარტავს ადამიანის რაობას, რომ იგი მზადაა ის მოძღვრება აღიაროს, რომელსაც მეტი სულიერი ტანჯვა და მწუხარება შესწირა და რომელიც მიიღო ხანგრძლივი კრიტიკისა და მრავალი გზის აწონ-დაწონის შემდეგ, ხოლო სადაც გონება ერთ წერტილზეა გაყინული, სადაც ადამიანი გაურბის რწმენისა ცხარე კრიტიკას, იქ ადამიანის სულიერი ცხოვრება სიცოცხლეს მოკლებული და ერთფეროვანია. ავტორი ამკვიდრებს საკითხისად-მი პლურალისტული მიდგომის კულტურას და კრიტიკული აზრის აუცილებლობის იდეას, რაც დემოკრატიული სისტემის განუყოფელი ატრიბუტია.

„ამგვარადვე, მთის მწვერვალზე მოდუდუნე ნაკადი ხშირად მიწაში იკარგება მოულოდნელად, რომ ქვევით, მთის ძირში ცხოვრების ტვირთისაგან მოქანცულთ წყურვილი დაუცხროს. და მოძრაობას მოკლებული, აშმორებული ტბა კი მრავალ ქვეწარმავალთა და ბინძურ ცხოველთა ბუნაგია, რომელთაც ყოველგვარი მოძრაობა სიმშვიდეს ურღვევს და მათი დახავსებული სტომაქიდან საზიზღარ ღრიანცელს იწვევს“ (იქვე).

ალ. წერეთელი შემდეგ განიხილავს იმ მიმდინარეობებს, რომლებმაც ისტორია შეცვალეს და სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარი სამოსელით შეიბურნენ. ივანე კარამაზოვის მწარე და კაეშნიანი ფიქრები – საიდან მოვედით? საით მივდივართ? რა მიზანი გვაქვს? – ქართველ შემოქმედთა მთავარი ფიქრი იყო XIX საუკუნეშიც და მთავარი ფიქრია 1917-1918 წლებშიც.

კარამაზოვი უარყოფს არა ლმერთს – შემოქმედს, არამედ მის მიერ შექმნილ ქვეყანას და არც სურს მიიღოს იქ გამეფებული წეს-

რიგი. მისი სასოწარკვეთა შემდეგშია:

„მე ღმერთს კი არ უარვყოფ, არამედ მას უმორჩილესად ბილეთს ვუბრუნებთ, – ამბობს იგი.

– ეს ბუნტია! – წყნარად წარმოსთქვამს ალიოშა.

– წარმოიდგინე, – უპასუხებს ივანე, – რომ შენ თვითონ აშენებ ადამიანის ხვედრის შენობას, რომ საბოლოოდ ბედნიერ ჰყო იგი, მისცე მას მშვიდობა და მოსვენება, მაგრამ ამისათვის აუცილებლად საჭირო რომ იყვეს მხოლოდ ერთი პატარა არსების, თუ გინდ აი იმ ბავშვისა, გულში მუშტებს რომ იცემდა, დატანჯვა და მის აუნაზღაურებელ ცრემლებზე დაფუძნება ამ შენობისა, დათანხმებოდი თუ არა ამ პირობებში არქიტექტორობასო, სთქვი და ნუ იცრუებ!“(იქვე).

ასე დასვა საკითხი დოსტოევსკიმ და საფიქრალი გაუჩინა არა მარტო თავის საუკუნეს, არამედ ამ საჭირბოროტო კითხვით იგი XX საუკუნესაც გადასწევდა. ბოლშევიკურ რუსეთში კი საკუთარ რელიგიას ამკვიდრებდნენ, რომელიც არც პატარა ბავშვს ინდობდა და არც დიდ ადამიანს. ბოლშევიზმი მუსრავდა ყველას, ვისაც კი მის მიმართ შეკითხვა გაუჩნდებოდა. ახალი ივანე კარამაზოვი რომ დაბადებულიყო რუსეთში, შეიძლება იმ საშინელებას ასცდენოდნენ ისინიც და მისი მეზობელი ერებიც. ის, რაც ივანეს აღელვებს, ყველა დროის პროგრესული ადამიანის საფიქრალია. ალ. წერეთელიც უსვამს ამ შეკითხვებს თავის თავს და თავის მეგობრებს, რომლებსაც მიუძღვნა ეს წერილი. „სახალხო საქმემაც“ ამიტომ გადაწყვიტა მისი გამოქვეყნება.

ამრიგად, „სახალხო საქმე“ თავისი სულისკვეთებით ქართველი ხალხის მხარეს დგას და თავისუფლებისთვის იბრძვის. იქ მოღვაწე პუბლიცისტებისა და მწერლებისთვის სხვა ალტერნატივა არ არსებობს. პოლიტიკური თუ ლიტერატურული კრიტიკა ერთ მიზანს ემსახურება – საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნებას. იმ იდენტურობის აღდგენას, რომელმაც საქართველოს თავისი ბუნებრივი მდგომარეობა უნდა დაუბრუნოს და ევროპული სამყაროს ნაწილი გახადოს.

III თავი

გაზეთი „ალიონი“ პოლიტიკური ავტონომიიდან დამოუკიდებლობის დეკლარაციამდე (1917-1918 წწ.)

„ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო სოციალ-დემოკ-
რატიული“ გაზეთი „ალიონი“ პავლე საყვარელიძის რედაქტორო-
ბით 1917 წლის პირველ მაისს გამოვიდა. გაზეთი იწოდებოდა რუ-
სეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანოდ. 1918
წლიდან „ალიონი“ გახდა ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუ-
ფის „ალიონის“ პერიოდული გამოცემა. გაზეთს პირველი ნომრი-
დან უკანასკნელ ნომრამდე ლოზუნგად ჰქონდა: „პროლეტარებო,
ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

„ალიონში“ თანამშრომლობდნენ: ი. გომართელი, ლ. ქიაჩელი,
შ. შარაშიძე (თაგუნა) ს. ტაიფუნი, ს. აბაშელი, ვ. ბურჯანაძე, დ.
ჩხეიძე (თურდოსპირელი), დ. სულიაშვილი (ლიხელი), ვ. რუხაძე, ფ.
რუშაველი, ი. რუხაძე, ნ. საქარელი, ნ. ჩხიკვაძე, ს. ჭანტურიშვილი,
ი. ჯაფარიძე, ი. ხელაძე, ვ. მალაქიაშვილი, გ. ტაბიძე, ქ. შარაშიძისა,
თ. იანელი, ალ. რუხაძე და სხვ.

„ალიონის“ გამომცემელი გახლდათ ლ. სანაძე. გაზეთი ოთხ-
გვერდიანი იყო და გამოდიოდა კვირაში ორჯერ, ხუთშაბათობით
და კვირაობით. სულ გამოვიდა „ალიონის“ 101 ნომერი (1917 წლის
მაისიდან 1918 წლის ოქტომბრამდე) და ყოველი ნომრის ძირითადი
საკითხი, ძირითადი სადისკუსიო თემა ეროვნული საკითხი იყო. გა-
ზეთის პუბლიკაციებით თვალსაჩინო ხდება სოციალ-დემოკრატი-
ულ პარტიაში ეროვნული საკითხის ფორმირების პროცესი. „ალიო-
ნის“ ჯგუფი თანდათან, ფრთხილად და დამაჯერებლად ავითარებ-

და აზრს ეროვნული საკითხის მნიშვნელობის შესახებ. გაზეთი ცდილობს ამოავსოს ის ღია ადგილი, რომლის არსებობა სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობას აფერხებდა. ძალზე საინტერესოა, თუ როგორ მივიდა გაზეთი „ალიონი“ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე, რამდენჯერ განიცადა „ფერისცვალება“, რის გამოც არაერთხელ შერისხულა თანაპარტიელებისაგან.

ეროვნულ საკითხს ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ბურუჟუაზის მონაგონად თვლიდნენ. დაარსების პირველი დღიდან ქართულ სოციალ-დემოკრატიას მწვავე ბრძოლა ჰქონდა ეროვნულ მოძრაობასთან. ნოე ქორდანიასა და ილია ჭავჭავაძეს შორის 1900 წელს გამართული პოლემიკა ამის დასტურია. ეროვნულ ძალებთან ბრძოლით გატაცებულმა სოციალ-დემოკრატიამ უარყო ყოველივე, რასაც ეროვნული შინაარსი ჰქონდა. ეროვნული საკითხისადმი ქართველ სოციალ-დემოკრატებში ნიპილიზმი გაბატონდა. სოციალ-დემოკრატები დარწმუნებული იყვნენ, რომ სოციალიზმის, დემოკრატიული რესპუბლიკის, რვასაათიანი სამუშაო დღისა და აგრარული საკითხის გარდა, პრობლემა არ არსებობდა. როდესაც ქართველმა ფედერალისტებმა ეროვნული საკითხი დააყენეს, სოციალ-დემოკრატია ამას ღიმილით შეხვდა: რა საჭიროა ეროვნული საკითხის წამოყენება, თუ რევოლუციამ გაიმარჯვა, ეროვნული საკითხიც გადაწყდება(13).

ამდენად, ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ აინტერესებდათ ეროვნული საკითხი, მას კლასობრივი საკითხის ნაწილად თვლიდნენ და მისი ცალკე წამოყენება ნაციონალიზმად მიაჩნდათ. მიუხედავად ამისა, დრო ნელ-ნელა ამწიფებდა ეროვნული თვითგამორკვევის იდეას ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ ნაწილში.

ასეთი იდეური მემკვიდრეობა დახვდა გაზეთ „ალიონს“, რომელსაც უკვე ჰქონდა გამომუშავებული საკუთარი კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიმართ.

„ალიონი“ პირველი ნომრის სარედაქციო სტატიაში ესალმება 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის და დიდ იმედებს ამყარებს მასზე: „ჩვენს გაზეთს დიდებულ დროს უხდება გამოს-

ვლა, რუსეთის ხალხმა რევოლუციის კოცონი აანთო, სულთამხუ-
თავი თვითმპყრობელობითი წყობილება დაამხო და ახალი თავისუ-
ფალი ცხოვრების შენებას შეუდგა“ (184).

რევოლუციის პროცესში წარმოიშვა, ერთის მხრივ, დროებითი
მთავრობა. გაჩნდა ორი ცენტრი, ორი ძალა, ორი დარაზმულობა.
მალე მათ შორის თავი იჩინა წინააღმდეგობამ, რასაც გაზეთი შემ-
დეგნაირად ხსნის: „მთავრობა წარმოადგენს ლიბერალური და დე-
მოკრატიული ბურუუაზის ინტერესებს. რევოლუციონური დემოკ-
რატია საბჭოს სახით მას მხარს უჭერს, რამდენადაც ის აღთქმული
გზით ივლის და რევოლუციას არ უდალატებს... ყველა მცირე და-
ჩაგრული ერი ენერგიულად და შეკავშირებულად უნდა გამოექო-
მაგოს მათ ტაქტიკას, მათ გამოსვლებს, რომ მერე გახდეს შესაძ-
ლებელი ეროვნული თავისუფლების საყოველთაო აღიარება. ქარ-
თველი ერი, დარწმუნებული ვართ, ამ გზას არ გადასცდება და რო-
დესაც უზრუნველყოფილი რევოლუცია დამფუძნებელ კრებაზე
სხვადასხვა ერთა ბედის გადაწყვეტას შეუდგება, იგი ვერ დაივიწყ-
ებს ქართველი ერის საკითხსაც და მას ეროვნულ-ტერიტორია-
ლურ თვითმმართველობას მიანიჭებს“ (184).

ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა – აი, გაზეთ
„ალიონის“ მთავარი თემა და სამუშაო პროგრამა. აქვე დავსძენთ,
რომ „ალიონელები“ ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილის მიმდევრებად
თვლიან თავს. ლადო დარჩიაშვილი პირველი სოციალ-დემოკრატი
იყო, რომელმაც ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს ხმამაღლა განაცხ-
ადა საქართველოს ფართო ავტონომიის საჭიროების შესახებ.

ლადო დარჩიაშვილის მიმდევართა, ანუ „ალიონისტთა“ პუბ-
ლიცისტიკა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ირგვლივ
ტრიალებდა.

გაზეთის პირველ ნომერში საინტერესოა კალ. ქავთარაძის
სტატია „რუსეთის რევოლუცია და ჩვენი ტაქტიკა“. ავტორი აღ-
ნიშნავს, რომ ბრძოლა რომანვების რეჟიმის წინააღმდეგ ჯერ კი-
დევ დეკაპრისტებიდან მოდის, ხოლო მას შემდეგ ხდება სისტემუ-
რი და შეუპოვარი, რაც ჩვენში კაპიტალისტური მეურნეობა შემო-

იჭრა. სტატიის ავტორს ბურუუაზიის მოქმედება არ აკმაყოფილებს: „ბურუუაზიის პოლიტიკური პროგრამა რადიკალურია სულით, მაგრამ მოქმედებით ეს კლასი სუსტი და მშიშარა გამოდგა. საფრანგეთში ბურუუაზიამ წარმოშვა მირაბო, რობერტი, დალტონი, ჩვენში კი საქმიანობენ მილიუკოვ-მაკლაკოვები, რაშია საქმე, რამ გარდაქმნა ასე ჩვენი ბურუუაზია, შესცვალა მისი პსიხიკა“ (185).

„ალიონის“ პირველ ნომერში იწყება სტატიების სერია – „რუ-სეთი და მცირე ერები“, რომელიც დაიბეჭდა ფსევდონომით „პ.ქ“. სტატიის შესავალში საუბარია, თუ როგორ აამოძრავა და ჩაითრია ყველა კლასი, ყველა წოდება, ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი რევოლუციამ. ძველის ნანგრევებზე უნდა აშენდეს თავისუფლების ტაძარი, იშვას ახალი რუსეთი. ამ მოვლენამ, ავტორის აზრით, სხვა მრავალ საკითხთან ერთად წარმოშვა ეროვნული საკითხი. მართალია, ყველა ერმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი იმ დიად საქმეში, „ხალხის თავისუფლება რომ ჰქვია“, მაგრამ ამავე დროს „ერს არ შეუძლია დაივინყოს საკუთარი ეროვნული ტკივილები, უგულებელჲოს საკუთარი ჭირ-ვარამი და არ ეცადოს თვითვე მოაწყოს თვისი განსაკუთრებული საქმე ეროვნული აღორძინებისა“ (186).

ამ სტატიების სერიალი ეხება პოლონეთის, ფინეთის, უკრაინის, ასევე ლიტველების, ლატვიელების, ესტონელების, ბელორუსების, სომხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

„ალიონის“ პირველ ნომერში იწყება გაზეთის რედაქტორის პავლე საყვარელიძის წერილების სერია რუბრიკით „რევოლუცია და ეროვნული საკითხი ჩვენში“. ავტორის შეხედულება თამამად შეიძლება ჩაითვალოს გაზეთისა და ქართული სოციალ-დემოკრატიის „ალიონისტთა“ ჯგუფის კონცეფციად, მოღვაწეობის მთავარ მიმართულებად.

პავლე საყვარელიძის პირველ სტატიაში ვკითხულობთ: „რუ-სეთის მრავალი დამორჩილებული ერის მდგომარეობის შეცვლა, მათი კულტურულ-პოლიტიკური განთავისუფლება, საერთოდ ნაციონალური საკითხის ფართეთ და რადიკალურად გადაჭრა, რუ-სეთის დიდი რევოლუციის მორიგ მთავარ საკითხთაგანია. დემოკ-

რატიული რესპუბლიკა, გლეხთა საკითხის გადაჭრა, რვა საათიანი სამუშაო დღე, ეროვნული საკითხის მოწესრიგება. აი, რა უნდა მოგვიტანოს რევოლუციამ... თავისუფალ რუსეთში თავისუფალი ერები – ამ პასუხს არ აცდება რუსეთის გამარჯვებული რევოლუცია... თუ რევოლუცია დამარცხდა, რეაქციამ გაიმარჯვა, თავისუფლებას სისხლში ჩააღრჩობენ, მაშინ ერთა განთავისუფლებასა და ავტონომიაზე ფიქრსაც დიდი ხნით უნდა გამოვეთხოვოთ”(187).

პავლე საყვარელიძე აღიარებს, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ეროვნულ საკითხს ალმაცერად უყურებდნენ, ან აჩქარებულად და ორაზროვნად წყვეტდნენ. ეროვნული საკითხის გარკვევის საჭიროება არასოდეს ყოფილა ისეთი აუცილებელი, როგორც დღეს. პავლე საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ლადო დარჩიაშვილი სწორდ ამას თვლიდა პარტიის დეფექტად და ყველას აფრთხილებდა ნაციონალური პროგრამის მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ: „ეროვნული საკითხი მთელი თავისი სავსებით არ გადაგვქონდა პარტიის გულში მზგავსათ სხვა დიდი საკითხებისა, ის თითქოს გამოცხადებული იყო რამოდენიმე პირის თავსატეხად და სადავიდარაბოდ; ამა თუ იმ ვიწრო დაწესებულების კუთვნილებად და „სარეზოლუციოდ“, რაღაცა ერთობ აფერხებდა კითხვის გაფართოება-განსაზოგადებას და უწყობდა ხელს ერთხელვე გაბატონებულ შემცდარს და პრიმიტიულ აზროვნებას“ (იქვე).

ამასობაში რევოლუციამაც იფეთქა, ქვეყნის წინაშე გადასაჭრელად დაისვა პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული საკითხები. ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ეროვნული საკითხის წამოყენებას კვლავ უდროოდ თვლიდნენ იმის შიშით, რომ საერთო რევოლუციური ბრძოლა არ შეფერხდესო. გაზეთი „ალიონი“ გაბედულად აცხადებს: „ეროვნული საკითხი ან ახლა უნდა გაირკვეს და გადაიჭრას ან არასოდეს. ამას გვიკარნახებს ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მოვალეობა. ამას თხოულობს სწორად გაგებული ერის ინტერესები და დემოკრატიის მომავალი“ (იქვე).

პავლე საყვარელიძის აზრით, საერთაშორისო დემოკრატიაში ერისა და ეროვნულობის შესახებ ორი მიმართულება წარმოიშვა:

ერთი, ნიპილისტური, უარმყოფელი და მეორე, საერთაშორისო, ინტერნაციონალური. ისინი, ვინც უარყოფდნენ ეროვნებასა და ეროვნულ საკითხს, უმთავრესად ემყარებოდნენ „კომუნისტური მანიფესტის“ ცნობილ სიტყვებს: „პროლეტარებს სამშობლო არა აქვთ“. ავტორის აზრით, „მანიფესტში“ ეს ფრაზა მოყვანილია პოლემიკის მიზნით ბურუუაზიული იდეოლოგების წინააღმდეგ, რომლებიც ქადაგებდნენ, მუშებს სამშობლოს მოსპობა უნდათო, ისინი ოჯახებაც სპოპენო.

სტატიაში ავტორი ერისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების განმარტებისთვის იხსენიებს ცნობილი სოციალისტების ბებელისა და ჟორესის პოლიტიკურ წერილებს, საპარლამენტო და სააგიტაციო სიტყვებს. პირველი მართლმორწმუნე მარქსისტი იყო, მეორე არა. ამ საკითხში კი ისინი ერთმანეთს ემსგავსებოდნენ. პროლეტარიატის ვალდებულებაა, დაიცვას სამშობლოს დამოუკიდებლობა, ამბობდა ბებელი, უნდა დაიცვას იმიტომ, რომ მათ უნდათ სამშობლოს – შრომის სამშობლოდ გადაქცევა. „ჩვენი სამშობლოს და ჩვენი ერი უნდა დავიცვათ განსაცდელის დროს. ჩვენ გვინდა ჩვენი ერი და ჩვენი სამშობლო იყოს სხვები-სათვის მშვენიერების და სამართლიანობის მაგალითი“ (187).

„განზოგადებული სამშობლო, განთავისუფლებული ერი განთავისუფლებულ კაცობრიობაში“ – აი ბებელის პასუხი. სტატიის ავტორის აზრით, ჟორესს სწამდა, რომ ერი და სამშობლოს დამოუკიდებლობა და სოციალური ემანსიპაცია განუყოფელია. მუშათა კლასი ყოველთვის დაიცავს სამშობლოს, მაგრამ ის არ გახდება იმათი „მოსატყუარი“, ვინც ვიწრო კლასობრივი ინტერესებისათვის სამშობლო იდეას ყვლეფს. მუშათა კლასს სწყურია თავისი ერი თავისუფალი, თავისი სამშობლო განზოგადებული და სოციალისტური იყოს. რაც უნდა ძლიერი იყოს კლასობრივი განხეთქილება, წერდა ნოე ჟორდანია, არის ისეთი საზღვარი, „სადაც მებრძოლნი ერთათ დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ ულელში ებმიან. ეს ქმნის იმას, რასაც ეწოდება ერი, ეროვნული ძალა. აქ არის საერთო ფარგალი, ამას გარეთ სხვა ერია, ამას შიგნით კლასებია, ირ-

გვლივ კი ეროვნული კულტურა, ეროვნული შენობაა“ (189).

პავლე საყვარელიძე ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ეროვნული საკითხის შესახებ სამ მთავარ მიმდინარეობას აყალიბებს. პირველი მიმდინარეობა ბუნებით ნიჰილისტურია. მისი მიმდევრები ეროვნულ საკითხს ბურჟუაზიულ აზროვნებას და პოლიტიკას აკუთვნებს, დაუუინია ეროვნული საკითხი ბურჟუაზიული საკენკია, არ გავეკაროთო. ეს მიმართულება პარტიულ-ფრაქციული ტრადიციების დიდი მოთაყვანეა, პარტიული დისციპლინის ღრმად მოყვარული (ფ. მახარაძე და მისი თანამოაზრენი „კავკასკი რაბოჩის“ რედაქციიდან). მათი აზრით, თანამედროვე კაპიტალიზმისა და კლასთა ბრძოლის გამწვავების პირობებში პატარა ერები კვდებიან.

მეორე მიმდინარეობა ავსტრიელ სწავლულთა, ბაუერისა და შპრინგერის, შეხედულებას იზიარებს ერის ექსტერიტორიულობის შესახებ და ეროვნული საკითხის გადაჭრის გზად ეროვნულ-კულტურული ავტონომიას მიიჩნევს (ნ. უორდანია). ეროვნულ-კულტურული ავტონომია პროგრამად გაიხადა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციამ. ეს იყო მიმდინარეობა დასელთა შორის. ისინი ავითარებდნენ განსხვავებულ შეხედულებას: ერები კი არ ქრებიან, კი არ კვდებიან, არამედ იფანტებიან. გაზეთი „ალიონი“ არ იზიარებს შპრინგერის შეხედულებას, რომლის მიხედვით, ერი წმინდა კულტურული მოვლენაა და ტერიტორიასთან არ არის დაკავშირებული. ერი სულიერი კავშირია და არა ტერიტორიული. ნარიძის აზრით (ნ. უორდანიას ფსევდონიმი), ადრე ქართველობა, როგორც ერი, განუყრელი იყო საქართველოსაგან. მაგრამ საქართველოში კაპიტალიზმის შემოსვლამ მდგომარეობა შეცვალა: „ქართველობა გავიდა საქართველოს გარეთ, მოედვა კავკასიას, შავი ზღვის პირას, თვით შორეულ აღმოსავლეთსაც. მეორე მხრით, საქართველოში შემოვიდა მრავალი უცხო ერები. გააჩაღეს დიდი ალექ-მიცემობა და მუშაობა, ხოლო ძველი შემოხილნი გამოეყვნენ ნაციონალურათ ქართველთ და თავისი საკუთარი კულტურა შეიმუშავეს... ქართველები აითქვიფნენ სხვა ერებში და სხვა ერები ქართველებში. საქართველო აღარ ფარავს

ქართველობას, ქართველობა აღარ ფარავს საქართველოს“ (189).

ეს მიმდინარეობა პირველისაგან განსხვავდება იმით, რომ ერი არ კვდება. ეკონომიკურად ერები „ითქვიფებიან“, ხოლო კულტურულად ერთდებიან და ვითარდებიან. ნარიძე დაასკვნის: „ნაციონალური ინტერესების გამოყოფა სახელმწიფო ინტერესებისაგან ერთადერთი სამუალებაა ნაციონალური ბრძოლის შესასუსტებლად და ნაციონალური კულტურის თავისუფლათ გასავითარებლად“ (189). აქ თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ქართველი მოაზროვნე მომავალი გლობალიზაციის საწყისებზე წინასწარმეტყველებს.

ერმა სახელმწიფოსგან გამოყოფილ ეროვნულ-კულტურულ საქმეებს თვითვე უნდა უპატრონოს და გაუძლვეს ავტონომიურად. ეს არის ეროვნულ-კულტურული ავტონომია. „ალიონის“ შეხედულებით, ასეთი ავტონომია ერთობ სუსტ გარანტიას იძლევა ერის უფლების დასაცავად და მისი კულტურულ-საზოგადოებრივი განვითარების უზრუნველსაყოფად. ნარიძე შემდგომ თმობს თავის ძველ პოზიციას და აღიარებს ტერიტორიულ-ეროვნული მმართველობის აუცილებლობას.

მესამე მიმდინარეობას, რომლის სათავეშიც ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილი დგას, საფუძვლად უდევს ტერიტორიული პრინციპის აუცილებლობა ეროვნული საკითხის გადასაჭრელად. ამასვე იცავდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ყოფნის დროს და მერეც ივანე გომართელი და აკაკი ჩხენკელი. ანჩინი (აკაკი ჩხენკელი) წიგნში „ერი და ჩვენ“ აღიარებს მეოთხე მიმდინარეობის არსებობასაც. ეს მიმდინარეობა ფართო თვითმმართველობას იცავს, ხოლო კულტურულ-ეროვნული ანუ პერსონალური პრინციპი მას შეაქვს თავის გეგმაში, როგორც კორექტივი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველსაყოფად. ანჩინის ეროვნულ პროგრამაში ერის ტერიტორიალიზმი და ერის შინაური საქმეების თვითგამგებლობის პრინციპი მთავარ და გადამწყვეტ როლს ასრულებს.

ტერიტორიული მოწყობის საკითხი აერთებს ლადო დარჩიაშვილს, აკაკი ჩხენკელს (ანჩინს) და „ალიონის“ ჯგუფს. ბოლოს მათ-

თან დადგა ნოე ჟორდანიაც (15). ამ მიმდინარეობის მიხედვით, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, პატარა ერები ვითარდებიან, იღვიძებენ, ეროვნულ-კულტურულად ძლიერდებიან და ცდილობენ თვითონ მოაწყონ, მოაწესრიგონ თავისი ეროვნული ცხოვრება, გაუძლვნენ საკუთარ ეროვნულ საქმეებს.

ლადო დარჩიაშვილი სრულ პოლიტიკურ ავტონომიას ითხოვს.

აკაკი ჩხერიელი არ ეთანხმება ლადო დარჩიაშვილს ამ საკითხში. იგი „ბუნდოვანს“ უწოდებს ლადო დარჩიაშვილის შეხედულებას და ანათესავებს მას სოციალ-ფედერალისტების მიმართულებასთან.

პავლე საყვარელიძე არ ეთანხმება აკაკი ჩხერიელს, რადგან ეროვნული თვითმმართველობა გულისხმობს კულტურული საკითხებისადმი სახელმწიფოებრივ პრინციპს.

ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების ყრილობაზე (1917 წლის ივნისი) ეროვნული საკითხის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა ნოე ჟორდანია (14). ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც აღიარებდა ამიერკავკასიაში ერების ტერიტორიულ თვითმმართველობას. ამ მოვლენის გამო „ალიონი“ უკავილებას გამოთქვამდა და რეზოლუციით განსაზღვრულ ავტონომიას „მორცხვს“ და „შეკვეცილს“ უწოდებდა. გაზეთი აცხადებდა: „ჩვენ კი ვიცავთ და დავიცავთ დემოკრატიულ ავტონომიას უფრო ფართოს და სრულს“. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიის პირველ ნაბიჯს გაზეთი მიესალმა მეორე, უფრო სამართლიანი და დემოკრატიული ნაბიჯის მოლოდინში.

პავლე საყვარელიძე თავის სტატიაში ურყევად იცავს გაზეთის მიერ არჩეულ გზას და ამბობს: „ჩვენ რაღა თქმა უნდა, უარვყოფთ გამოყოფას და ვალიარებთ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმმართველობას ანუ ავტონომიას დემოკრატიულ რესპუბლიკანურ რუსეთში“ (იქვე).

პავლე საყვარელიძემ თავის სტატიაში „რევოლუცია და ეროვნული საკითხი ჩვენში“ ნათლად ჩამოაყალიბა, თუ რას უწევდა გაზეთი პროპაგანდას, რას ითხოვდა და რისთვის იპრძოდა „ალიონის“ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. „ალიონი“ შიშობდა და მო-

ითხოვდა რევოლუციის მოღვაწეთაგან უფრო ეფექტურ მოქმედებას. გრძნობდა, რომ ლენინიზმის გაბატონების საფრთხე რეალური ხდებოდა. ამდენად, გაზეთი პარტიათა შორის ეროვნულ საკითხზე ატენილ პოლემიკას დემოკრატიული წყობილების დამკვიდრების შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევდა. „პარტიები ვალდებული არიან, რაც შეიძლება მალე შეთანხმდნენ ამ საკითხში და რაიმე საზოგადო, არსებითად ყველასათვის მისაღები და დამაკმაყოფილებელი გადაწვეტილებით წარსდგნენ ქართველი ერის წინაშე. ხალხი სწორედ მაშინ ამოისუნთქებს ნორმალურად და მთელ თავის ყურადღებას დემოკრატიულ აღორძინებას მიაქცევს“(189).

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევკების მიერ განხორციელებულმა კონტრრევოლუციურმა სახელმწიფო გადატრიალებამ იმედი გაუცრუა „ალიონს“. ერთადერთ იმედად კი დარჩა რუსეთის დამფუძნებელი კრება. „ალიონს“ კარგად ესმოდა, რომ ეროვნული საკითხის გადაწვეტა ჯერ სოციალ-დემოკრატთაგან უნდა მომხდარიყო, რაც გააადვილებდა პარტიათა შორის შეთანხმებას. ამის გამო ბევრი წინააღმდეგობა ჰქონდა გაზეთს როგორც თანაპარტიელების, ისე მკითხველებისაგან. ვინმე მეთუნუქე ვანო წერდა: „ავტონომისტ სოციალ-დემოკრატებო, გაზეთის თავზე წერია „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ წერილები კი მარტო საქართველოს ყივის“. არც „ალიონის“ პასუხი იყო ურიგო: „შეერთდნენ ყველა თავიანთ ქვეყანაში, ამას გულისხმობს ლოზუნგი!“(193).

სოციალ-დემოკრატები ნელ-ნელა თავისუფლდებოდნენ დოგმატური აზრებისაგან. საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული თვითგამორკვევა აერთიანებდა ქართული საზოგადოების ყველა წრეს – სოციალ-ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატებს, ასევე სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებს. უთანხმოება ავტონომიის საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციის შესახებ როდი არღვევდა ქართული პოლიტიკური სპექტრის პრინციპულ ერთობას (ბოლშევკების გარდა) ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობის საკითხში. გაზეთი ქართული ეროვნული აზრის უდიდეს გამარჯვებად თვლიდა ამ ფაქტს. „ალიონი“ პრესას, განსა-

კუთრებით კი გაზეთ „ერთობას“ მოუწოდებდა, უფრო ეფექტურად გაეწია ეროვნული საკითხის პროპაგანდა.

ბოლშევიკების შესახებ საუბარი არ სურდა „ალიონს“, რადგან მათ თავიანთი პროგრამაც კი ავიწყდებოდათ, როცა საქართველო-ზე იყო ლაპარაკი.

გაზეთის ფურცლებზე საინტერესო და მნიშვნელოვანია ივანე გომართელის სტატიები: „ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა“; „ერის უფლება და თავისუფლება“; „ეროვნული საკითხი და რევოლუცია“; „ამიერკავკასიის ერები და სეიმი“; „ქართველ ერს!“ „გარეული და შინაური მტერი“, „მნარე სინამდვილე“, „ჩვენი მდგომარეობა“, „ლენინი“, „მთავარსარდალი კრილენკო“, „აფხაზები და ჩვენ“, „აჭარა“. ივანე გომართელის პუბლიცისტიკა ცალკე გამოკვლევის საგანია. ივანე გომართელი წერდა გასაგები ენით, ლამაზად, უბრალოდ და ღრმად. საკუთარ აზრს იცავდა თავისუფლად და პროფესიონალურად. შეუძლებელია, არ შევეხოთ მის წერილებს, რადგან გაზეთმა პავლე საყვარელიძის საინტერესო ინტერპრეტაციებით დაიწყო გამოსვლა და ივანე გომართელის არანაკლებ საინტერესო პუბლიკაციებით დაასრულა.

ივანე გომართელმა ერთ-ერთმა პირველმა „ალიონის“ ფურცლებზე კერძნსკის მთავრობის უნიადაგობა დაასაბუთა, ერთ-ერთმა პირველმა ინინასნარმეტყველა რუსეთში მომავალი სამოქალაქო ომი: „ვინც ჭეშმარიტი დემოკრატია და სოციალ-დემოკრატი, მისთვის ცხადია და ეჭვს გარეშეა შემდეგი რამ: დღევანდელს გარემოებაში არის ისეთი კითხვები, რომელთა გადაწყვეტაში უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის მთელ ერს და არა რომელიმე პარტიას, რაც უნდა ძლიერი იყოს ეს პარტია. პარტია არის პარტია და არა მთელი ერი...“ (202).

ივანე გომართელი მომხრე იყო საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევისა, რათა ქართველ ხალხს მისცემოდა საშუალება, გამოეთქვა თავისი აზრი. ივანე გომართელს მიაჩნდა, რომ „შესაძლებელია რომელიმე პარტია ავტონომიის წინააღმდეგი იყოს, მაგრამ მაინც ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდეს, შესაძლებელია

რომელიმე პარტია ავტონომიის მომხრე იყოს, მაგრამ ის არავითარ ეროვნულ პოლიტიკას არ აწარმოებდეს“ (38). ივანე გომართელის აზრით, ამის მაგალითი იყო მენშევიკური პარტია, რომელმაც მიიღო ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა, მაგრამ არავითარ ეროვნულ პოლიტიკას არ აწარმოებდა. არადა ეს დიდი პარტია ნდობით იყო აღჭურვილი.

„როგორ უნდა გვესმოდეს დღეს ეროვნული პოლიტიკა?“ – კითხულობს ივ. გომართელი და დასძენს: „დღევანდელ პირობებში ეროვნული პოლიტიკა წარმოადგენს ყველა იმ საშუალებასა და თან გზას, რომელთა შემწეობითაც შეიძლება ქართველი ერის გადარჩენა და გამარჯვება; ყველა იმ მოთხოვნას, რომელთა დაკმაყოფილება ქართველი ერის კეთილდღეობისათვის აუცილებელია. შესაძლებელია რევოლუციამ გაიმარჯვოს, მაგრამ ქართველი ერი დამარცხდეს. როგორ? ეროვნულ ურთიერთობათა უფლებათა უარყოფითა და ანარქიის შემწეობით“ (97).

სტატიის ავტორი ბოლშევიკებს განუმარტავს: „ერთა თანასწორობა არის მოქალაქეობრივი უფლება, ერთა ეროვნული თავისუფლება არის სახელმწიფოებრივი უფლება... მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ქართველმა ერმა რევოლუციის ბედ-იღბალი ეროვნულ უფლებებს ანაცვალოს, არა, ქართველი ერი უნდა ერთგულად ემსახუროს რევოლუციას, რადგან რევოლუციის გარეშე მისი ხსნა და საშველი არ არის. მაგრამ ამავე დროს თავისი თავიც უნდა კარგათ ახსოვდეს, თორემ შესაძლებელია, ის აღარ გაახსენდეთ...“ (202).

როგორ უნდა ესმოდეთ ქართველებს ეროვნული თავისუფლება? კითხულობს ივ. გომართელი და ხატოვნად პასუხობს: „მოგაგონებთ ფრიდონის სიტყვებს: ძალი შემწევდეს ქადილისაო. სრული დამოუკიდებლობა ერთგვარი ქადილია ყოველი დამოკიდებული ერისათვის. ქადილის სისრულეში მოსაყვანად კი ძალაა საჭირო: ერს უნდა შესწევდეს ძალა, მოიპოვოს სრული დამოუკიდებლობა. მარტო ესეც არ კმარა. ერს უნდა შესწავდეს ძალა იცხოვროს დამოუკიდებლად“ (202).

სტატიის ავტორი საქართველოს სრულ გამოყოფას სასურვე-

ლად არ მიიჩნევს, რასაც ქართველების მცირერიცხოვნებით ხსნის. ივანე გომართელი არც დამოუკიდებელი კავკასიის რესპუბლიკას ემხრობა, რადგან კავკასიელები ერთმანეთისაგან კულტურით, ზნე-ჩვეულებით, სარწმუნოებით განსხვავდებიან. ივანე გომართელი ასკვნის: „ქართველმა ხალხმა უნდა მიიღოს სრული პოლიტიკური ავტონომია და ამავე დროს უნდა დარჩეს რუსეთის მფარველობის ქვეშ... ქართველ ერს აქვს ერთი უდიდესი და უპირველესი მოვალეობა: ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის და ამ თავისუფლების მოპოვება“ (98).

ივანე გომართელი 1917 წელს მიიჩნევს ეროვნული გათვით-ცნობიერების, ეროვნული აღდგენის პერიოდად. მუშა ხალხი, მისი აზრით, ყველაზე ეროვნული კლასია, ხოლო „ლენინ-ტროცკის მთავრობა თავისი მოქმედებით სრული უარყოფაა დემოკრატიული მიმართულებისა. რუსეთს ნიკოლოზი ეყოლება თვითმშეყრობელად თუ ლენინ-ტროცკი ერთი და იგივეა. მართალია, ლენინ-ტროცკის თვითმშეყრობელობას „სოციალიზმის“ ქურქი ასხია, მაგრამ ამ ქურქის ქვეშ ისეთივე ძალმომრეობა და ხალხის ნების ჩაწილა სწარმოებს, როგორც ეს ნიკოლოზის დროს იყო“ (202).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი 1918 წლიდან ნელ-ნელა შემოდიოდა „ალიონის“ ფურცლებზე, შემოდიოდა შექმნილი ვითარების კვალდაკვალ. რუსეთი დაიშალა, ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს, დახვრიტეს მანიფესტაციები, ბოლშევიზმი ძალადობით იმაგრებდა პოზიციებს. „რუსეთი დაიშალა და საერთო ცენტრი აღარ არის, შეიძლება იძულებული გავხდეთ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ. ეს ჩვენი სურვილი არაა, რადგან საქართველოს დამოუკიდებლად ცხოვრება ეხლა არ შეუძლია. მაგრამ ცხოვრება ხშირად მოგახვევს თავს იმას, რაც შენ არ გსურს“ (205).

„ალიონი“ აუცილებელ პირობად თვლიდა მოეწვიათ საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც ჩაიბარებდა ქვეყნის ბედს: „ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის ინტერესი გვიკარნახებს, რომ ჩვენ თვით ვიხსნათ ჩვენი თავი განსაცდელისაგან, თვით დავიც-

ვათ ჩვენი თავისუფლება, წესიერება, ჩვენი მიწა-წყალი, დადგა უმი, როდესაც ერმა თვით უნდა უპატრონოს თვის თავს, თვის სურვილისამებრ მოაწყოს თავისი შინაური ცხოვრება, წარმომადგენლების სახით თვით ჩაუდგეს სათავეში ეროვნულ ცხოვრებას“ (206).

გაზეთი გვიან, მაგრამ მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი ქართველმა ერმა უნდა გადაწყვიტოს.

ივანე გომართელი საჭიროდ მიიჩნევდა ამიერკავკასიის სეიმის მოწვევას, ხოლო ეროვნული ცხოვრების მოწესრიგებას ყოველი ერის ეროვნული დამფუძნებელი კრების კომპეტენციად თვლიდა.

1918 წელს „ალიონის“ ფურცლებზე ახალი ლოზუნგი გაჩნდა: „თავისუფალ ამიერკავკასიაში თავისუფალი საქართველო“. ივანე გომართელი შესანიშნავად ასაბუთებდა თავისუფლების არსს, მის აუცილებლობას: „...როდესაც თავისუფლება არ არის, ეროვნული ცხოვრება დუნდება, ჩლუნგდება, ერის სული სნეულდება, ერი ნელ-ნელა ისპობა და ბოლოს კვდება... მთელი ჩვენი ისტორია ბრძოლაა თავისუფლებისათვის და ქართველ ხალხს არავითარი ღმერთისათვის არ შეუწირავს ამდენი მსხვერპლი, რამდენიც მან თავისუფლებას უძლვნა... დადგა უდიდესი ჟამი ჩვენი ისტორიისა, უდიდესი წამი ჩვენი არსებობისა, ჩვენი ყოფნა-არყოფნისა, ან უნდა დავრჩეთ ისევ მონებად და მოვისპოთ, მოვკვდეთ, ან არ გავუშვათ ხელიდან, არავის დავანებოთ ის თავისუფლება, რომელსაც ბედი და ისტორია გვაძლევს... ჩვენ უნდა შევქმნათ, მოვიპოვოთ ეროვნული თავისუფლება, ქართველი ერი თავის საკუთარ მიწა-წყალზე სრულებით თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს. ჩვენ უნდა ავაფრიალოთ დროშა, შემოვკრძეთ ყველა ამ დროშის ქვეშ და განვუცხადოთ მოსულს, რომ ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება და დღეს უკვე თავისუფალი დამოუკიდებელი ერი ვართ“ (211).

ივანე გომართელის სტატიამ გარდატეხა მოახდინა გაზეთის მიმართულებაში. „ალიონმა“ უფრო მედგრად დაიწყო ბრძოლა

ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ივანე გომართელმა თავისი სიტყვებით თითქოს გაარღვია წლების მანძილზე აღმართული ჯებირები, ერთბაშად იფეთქა თავისუფლების წყურვილმა. ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ საბოლოოდ დაიწყო „ფერისცვალება“ და ეს, უპირველეს ყოვლისა, „ალიონის“ ჯგუფის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ამიერკავკასიის სეიმმა ვერ გაუმართლა იმედები „ალიონს“. მოვლენათა შეფასებებში გაზით „საქართველოს“ დაუმსგავსა. „ალიონი“ უფრო მომთხოვნი და კატეგორიულიც გახდა, მოითხოვდა ამიერკავკასიის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას“ (215).

„ალიონს“ ქვეყნის გადარჩენის მთავარ საკითხად პოლიტიკური ორიენტაცია მიაჩნდა. გაზითი მიიჩნევდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მას „ნიადაგი გამოეცალა“. „ალიონს“ საქართველოს დამცველად გერმანია წარმოედგინა, რადგან მსოფლიო ომმა გაზარდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების ძლევამოსილება, რაც აიხსნება გერმანელი ერის ეროვნული ხასიათით, ამ ხალხის არაჩვეულებრივი ნების სიმტკიცითა და დისციპლინით. „ალიონის“ აზრით, გერმანიამ უნდა იტვირთოს საქართველოს ფიზიკური და პოლიტიკური არსებობის უზრუნველყოფა.

ოსმალეთთან მოლაპარაკების გაჭიანურებამ (1918 წლის მაისი) ბევრ პოლიტიკოსს აუხილა თვალი. საქართველოს ხელისუფლება და ამიერკავკასიის რესპუბლიკა უხერხემლო პოლიტიკას აწარმოებდა. ივანე გომართელი წერდა: „შეიძლება ერი დამარცხდეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ თუ ერს ვერ შეუგნია, რომ ის ვალდებულია თავისუფლებისათვის, ასეთი ერი არ არის ღირსი თავისუფლებისა, შეიძლება ერი დამარცხდეს დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლაში, მაგრამ თუ მას ვერ შეუგნია, რა მნიშვნელობა აქვს მისთვის ეროვნულ დამოუკიდებლობას, თუ ის არ იბრძვის ამ დამოუკიდებლობისათვის, ასეთი ერი არ არის ღირსი არსებობისა; ის უნდა მოისპონს, აღიგავოს დედამიწის ზურგიდან,

რომ უდირსმა ღირსეულს დაუთმოს ადგილი“ (214).

როგორც ვხედავთ, ფრიად მძიმე სასჯელი გამოიტანა „ალიონ-მა“. ჩანს, რომ „ალიონი“ ერის არსებობის მიზანს მხოლოდ თავი-სუფლებისთვის ბრძოლაში ხედავს. გაზეთმა საკმაოდ საინტერე-სოდ ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკური შეხედულებები და მოქნი-ლი პოზიციაც აჩვენა, როცა ამის საჭიროება დაინახა.

26 მაისი და „ალიონი“

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამო-ცხადდა.

1918 წლის მაისის თვეში „ალიონი“ არ გამოსულა. მიზეზი აუხ-სნელია.

8 ივლისის ნომერში გაზეთი ალფროვანებით ესალმება ამ ფაქტს. ნ. ელიანი თავის სტატიაში „ჩვენი მდგომარეობა“ ამბობს: „ჩვენი დროებით იძულებითი ლიტერატურული სიჩუმის დროს მოხდა ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში უდიდესი ამბა-ვი. გამოცხადდა დამოუკიდებლობა... როცა იმეორებენ საქართვე-ლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა არ გვინდოდა, იგი მხო-ლოდ დამარცხებამ მოგვახვია თავზე, ამით ნებსით თუ უნებლიერ ამცირებენ დამოუკიდებლობის აქტის მნიშვნელობას, ასუსტებენ ახალი სახელმწიფოებრივი სხეულის ძალასა და გავლენას, აბათილე-ბენ თვითგამორკვევის ხელშეუხებელ უფლებას. საქართველოს და-მოუკიდებლობის გამოცხადება ისტორიული აუცილებლობაა“ (216).

შემდეგ ავტორი მთავარ საზრუნავზე საუბრობს – რა გზით და რა საშუალებით უნდა შენარჩუნდეს ჩვენი დამოუკიდებელი არსე-ბობა. იგი მიუთითებს იმ ანარქიაზე, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მძვინვარებს, რაც საფრთხეს უქმნის დამო-უკიდებლობას. ნ. ელიანს მიაჩნია, რომ ბოლშევიკურ-შავრაზმული მოძრაობა და შავი ჯანყი მიმართულია საქართველოს დამოუკი-დებლობის და თავისუფლების წინააღმდეგ. იგი უარყოფს რეპრე-სიებს და ხელისუფლებას დადებით და გონიერ სახელმწიფოებრივ

შემოქმედებას ურჩევს.

გაზეთს ეტყობა 26 მაისით გამოწვეული სიხარული. გიორგი ქუჩიშვილი ლექსით ესალმება ნითელ გვარდიას, რომელმაც, მისი აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა განამტკიცოს:

დიდება და ქებათ-ქება
დროშა დაუხრელებს,
თავისუფლების დარაჯებს
მტერთა შიშის მგვრელებს!
სიკვდილი და დამარცხება
ყველა შავ-რაზმელებს;
სიცოცხლე და გამარჯვება
ნითელ გვარდიელებს! (217)

ს. პართენაშვილი ამ დღეს უძღვნის ლიტერატურულ ჩანახატს „გაცოცხლებული ტაძარი“. ერის თავისუფლება საუკუნეებამოვლილმა ტაძრებმაც იგრძნეს, ხავსმოკიდებულნი უფრო გაცოცხლდნენ და ბუნების ტრფიალს დაეწაფნენ: „დედა ბუნების და კაცთა ცხოვრების ყრუ უდაბნოში, სადაც ადამიანი მონობის და ჯოჯოხეთის უფსერულში უმწეოთ ფართხალებდა, სადაც ცხოვრების ჭაობში ადამიანობის დამამშვიდებელი და ამაყვავებელი სულიერი სამყაულები იხრწნებოდა, სადაც ცხოვრების სიმახინჯეს ადამიანის სალი და მაღალი ბუნებაც დაემახინჯებინა და ბოროტებასაც ღრმათ გაედგა თავისი შხამიანი ფესვები, ნეტარება – ბუნების ამ ხელთუქმნელ ტაძრის წიაღში იდგა საუკუნით დაუქმებული, ძველ-თა-ძველი ტაძარი“ (218).

ეს ტაძარი ავტორის ალეგორიით „საქართველოა“, რომელსაც დროთა სრბოლამ წაართვა ლირსება და ჩამოანგრია მისი კედლები; ჩრდილოეთის ცივ ქარს დაენგრია მისი სარკმელი, ძირს ჩამოეგდო მისი წკრიალა ზარი და ენა მოეტეხა. ტაძრიდან დევნილნი ერის ქურუმნი ასკეტურად ცხოვრობდნენ და გულში იკლავდნენ თავის გრძნობებს და ოცნებებს. ასე ელოდა ტანჯულ-წამებული ქვეყანა განთიადს. დიდმა გრიგალმა ქვეყანა შეარყია და თავზარი დასცა კაცობრიობას. ბუნება ისევ აფორიაქდა. საბედისწერო გრიგალმა

გაუქმებულ ტაძარსაც გადაუქროლა და ძირ-ფესვიანად შეარყია. ამ საერთაშორისო ჭექა-გრგვინვაში სასწაულებრივ აღსდგა ერი.

„და აღმდგარი ერის ხელით ტაძრის განახლებული სამრეკ-ვლოდან კვლავ გაისმა ზარის ხმა, რომლის ნატვრაშიც რამოდენი-მე თაობას ამოხდა ტანჯული სული. და ერმა კვლავ იწყო თავისუ-ფალი ღალადისი... ერის ერთგულნი ქურუმნი, მისი სვე-ბედის მჭე-დელნი მის ცხოვრებას აშენებენ, კალატოზობენ, ერის ცოცხალ სხეულს თავისუფლების ფარგლებში აქცევენ და აყალიბებენ... ალორძინებულ ტაძარში მისი ერთგულნი ქურუმნი კვლავ ღალადე-ბენ, რომ ძმობა-ერთობას სიყვარულის ტახტი დაუდგან“ (იქვე).

ასეთია „ალიონის“ განწყობა და ის სიხარული, რომელიც 26 მაისმა დააგვირგვინა. ამგვარად მივიდა გაზეთი „ალიონი“ საქარ-თველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ბრძოლით, მოქნილი, საკმაოდ ლავირებული პოლიტიკური მოსაზ-რებებით. გაზეთმა დისკუსიის, დებატებისა და პროფესიული სტან-დარტების საკმაოდ მაღალი დონე აჩვენა. დემოკრატიისთვის ბრძო-ლა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მისთვის პარალელუ-რი პროცესი იყო. ამიტომ „ალიონელთა“ პოლიტიკური ანალიზი უფ-რო არგუმენტირებულად შეიძლება ჩავთვალოთ, სადაც ნაკლებია დეკლარირების ტონალობა და მეტია თავისუფალი განსჯა.

ივანე გომართელი

ექიმი, სწავლული, ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე და დი-დი პარტიოტი, ივანე გომართელი 1918 წლის 26 მაისის საქართვე-ლოს დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერს როგორც დამფუძნებე-ლი კრების წევრი (3). იგი სოციალ-დემოკრატთა „ალიონის“ ჯგუ-ფის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და აქტივისტი იყო. პოლიტიკუ-რი სტატიების გარდა, ივანე გომართელი გაზეთ „ალიონის“ ფურ-ცლებზე ლიტერატურულ ნარკევებსა და სამეცნიერო ხასიათის წერილებს აქვეყნებს. თანაუგრძნობს „შრომის შვილებს“ და პოლი-ტიკურ ანგარიშს უსწორებს ყველას, ვინც საქართველოს თავი-

სუფლებას ეწინააღმდეგება. მას არ სურს იხილოს დამოუკიდებელი ქვეყანა ისეთი, სადაც ადამიანს დაფასება არ ექნება, სადაც მისი შრომის ნაყოფი უკვალოდ ჩაივლის. წერილში „შრომის შვილს“ ავტორის თითოეული სიტყვა გაუდენილია სევდით, თანაგრძნობით. პირველ ეტაპზე ივანე გომართელისთვის პოლიტიკური ავტონომია ოცნება იყო, რადგან ვერც წარმოიდგენდა მისი ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობამდე რაღაც ერთი წელი აშორებდა. დარწმუნებული იყო, რომ პოლიტიკური ავტონომიის პირობებში ადამიანს უფრო მეტი საშუალება მიეცემოდა და ამოისუნთქავდა:

„როდესაც პირველად გაჩნდა მონა, ის შენ იყავი, შენ, საბრალო მონა, უბედური მონა, რომლისთვისაც ადამიანის სახელს არავინ იმეტებდა ქვეყანაზე.

პირველად რომ გაჩნდა ულელი, ის შენთვის გაჩნდა. შენ დაგადგეს კისერზე ამ ქვეყნის ბატონებმა, რომ შენის შრომით მათი ძლიერება გაგემტკიცებინა.

როდესაც პირველად გაჩნდა ოფლი, ის შენს შუბლსა და გულმკერდს დაასხა აუტანელმა ბედმა.

როდესაც პირველად გაჩნდა ცრემლები, ის შენი თვალებიდან გადმოყარა სევდამ... პირველად რომ სახრჩობელა ამართეს, ის შენთვის ამართეს, რადგანაც შენ აუჯანყდი, შენ აუმხედრდი, შენ შეებრძოლე უსამართლობას, ძალმომრეობას“ (195).

ივ. გომართელის ფიქრი სწვდება ყველა იმ ადამიანს, რომელმაც აქამდე სამართალი ვერ იპოვა, რომელმაც დაღვარა უმანკო სისხლი.

„ურიცხვმა საუკუნეებმა განვლეს, – შენ არ იყავი; ურიცხვი საუკუნეები გავლენ და ჩაივლიან, – შენ ალარ იქნები.

მაშ რა არის სიცოცხლე?

დღის სიზმარი.

ლამის სიზმარივით მალე ჰქონდა ის.

აქამდინ ეს დღის სიზმარი მახინჯი, მწარე, ბნელი იყო შენთვის. დღეის შემდეგ ის უნდა გახდეს ლამაზი, მომხიბვლელი, ტკბილი.

შენ შეგიძლია, ეს სიზმარი სპეტაკის სხივებით – ბედნიერი ქარ-
თველი ერის სიმღერით შემოსილ ჩარჩოში ჩასვა და უნდა ჩასვა!

ეს ჩარჩო ქართველი ერის პოლიტიკური ავტონომია“ (იქვე).

ივანე გომართელის თითოეული წინადადება ტრანსპარანტის ფუნქციას იძენს და ქართველ კაცს ვალდებულებას ახსენებს. არც ერთი ხელისუფლება ხალხზე ზრუნვით თავს არ იკლავს, თუ თავად საზოგადოებამ არ მოსთხოვა პასუხი და არ მოითხოვა საკუთარი უფლებების დაცვა. უფლებააყრილ საქართველოში კი ნებისმიერ მის მოქალაქეს უუფლებობის განცდა ჰქონდა. ივანე გომართელი არ ინდობს არავის, ვინც საუბრობს, თითქოს მას საკუთარი სამ-
შობლო არ სწამს და ინტერნაციონალისტად მოაქვს თავი. თუ რუ-
სეთის მშრომელ ხალხს და გერმანიის მუშებს თავიანთი სამშობლო
გააჩნიათ, ქართველებს რატომ არ გააჩნიათ? – კითხულობს ავტო-
რი. „გააჩნიათ, გააჩნიათ და მეტსაც გეტივით. როდესაც არც რუ-
სეთის, არც გერმანიის ერი არ არსებობდენ, როგორც ერი, ქარ-
თველი ერი არსებობდა თავისი კულტურით, თავისი ისტორიით!..

ბედნიერი ერი მხოლოდ თავისუფალი ერია.

ჩვენი თავისუფლება – ჩვენი ავტონომია“ (196).

ივანე გომართელი თვლის, რომ ხალხს მუდმივი შეხსენება სჭირდება იმისა, თუ რა გამოიარა და რა შეემთხვა ისტორიის მან-
ძილზე, რა მაგალითები დაგვიტოვა წარსულმა. მისთვის არ არის დამაკმაყოფილებელი ქართველი საზოგადოების მზაობა თავი-
სუფლებისთვის. მაშინ, როცა ევროპა უდიდესი განსაცდელის წი-
ნაშე იდგა და ომის ალში იყო გახვეული, ბევრი რამ საქართველოში თავად ქართველებზე იყო დამოკიდებული. მრავალსაუკუნოვანი ისტორია კი უფლებას გვაძლევს ლირსეული პასუხი გავცეთ ყვე-
ლას. 1917-1918 წლებში ის სახითათო, ის გადამწყვეტი ჟამი იდგა,
როცა მთელი შეგნებით და ძალ-ღონით უნდა მოეტრიალებინათ ისტორიის ჩარხი. ქართველ მოღვაწეებს კი სიტყვისა და კალმის გარდა სხვა ბერკეტი არ ჰქონდათ ხალხში სამშობლოსა სიყვარუ-
ლის გასაღვიძებლად. ივანე გომართელის ლიტერატურული ჩანა-
ხატი „დედა სამშობლო“ სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულის, თავ-

დადებისა და თავისუფლების ქადაგება. „ბალლი ვიყავი, უმწეო, უსუსური და როდესაც გონების კარი პირველად გამეღო, როდე-საც ვიხილე მშვენება მზისა, უზომო, უძლიერესი სიყვარული ვიგ-რძენ შენდამი. მწყუროდა დამენახე, მწყუროდა შენი სახე მეხილა.

მწყუროდა, გულში ჩაგევროდი, დამეძახა, დამეყვირა: დედა, დედა-მეთქი...

შენ არსად იყავი; მე ვიტანჯებოდი...

მე ვხატავდი ჩემს ოცნებაში შენს სახეს...

მე სიმღერა მწადია, მე უნდა ვუმღერო თავისუფალ დედა-სამ-შობლოს! ამ ფურცლებზედ უკვე დაწერილია წაუშლელი ასოებით: თავისუფალი საქართველო!

განთავისუფლებული დედა სამშობლო მობრძანდება, სიმღე-რითა და ფერხულით შევეგებოთ!“ (204).

მეტად საგულისხმოა ივანე გომართელის ლიტერატურული პორტრეტი ვლ. ლენინზე. იმ პერიოდის პოლიტიკოსები ვერ შეაფა-სებენ ლენინს ისე, როგორც ამას გომართელი ახერხებს. იგი ქარ-თველ ხალხს გარკვევით უხსნის, ლენინის სახით თუ რა დიდ უბე-დურებასთან და როგორ ლიდერთან გვქონდა საქმე.

„ვინ არის ლენინი? – მისი სიტყვა და საქმე, მიზანი და მოქმე-დება არ ეთანხმება ერთმანეთს. ებრძოდა თვითმპყრობელობას და იმის ნანგრევებზე ნამდვილი თვითმპყრობელობა დაამკვიდრა. მი-ისწრაფვოდა თავისუფლებისკენ და შემდეგ მოსპო, გაანადგურა, ფეხქვეშ გათელა და გაანიაგა თავისუფლება. ხალხის ბედნიერები-სა და კეთილდღეობის ნაცვლად ანარქიის ქარცეცხლი, რბევა-აწი-ოკება გაამეფა. ოცნებობდა სამართლიანობაზე, თუმცა საშინელი უსამართლობა და ძალმომრეობა დაატრიალა.

თავისი მოღვაწეობა დაიწყო მეცნიერული რეალიზმით და და-აბოლოვა უტოპიით. საკუთარი მზის ამოსვლას შეხვდა მარქსის სა-ხელით და ჩასვლას კი ბლანკით. მისი ბუნება სავსე იყო წინააღ-მდეგობებით. მის სახელს თავს აფარებდნენ უკიდურესი მემარ-ცხენენი, უკიდურესი მემარჯვენენი, უკიდურესი სოციალისტი და უკიდურესი მონარქისტი. მას უკან მოჰყვებოდნენ როგორც უკი-

დურესი იდეალისტები, ისე ნამდვილი ხულიგნები, შავ-რაზმელები. დაჩაგრულები ოცნებობდნენ, ლენინი განახორციელებს საერთო ბეჭინიერებებს და გვიხსნისო, დამჩაგვრელები ერთმანეთს ულო-ცავდნენ: ლენინის წყალობით ისევ ჩვენი დრო დადგებაო“ (207).

გომართელი მიიჩნევს, რომ ლენინს უნდოდა მონარქიისა და ბურუაზის განადგურება და თავისი მოღვაწეობით რესპუბლიკა გაანადგურა. ლენინის თვისებების განხილვაში ივანე გომართელი ხაზს უსვამს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ახირებული და უციცი ადა-მიანების გადაწყვეტილებებს. ლენინის მოქმედებამ რუსეთი სასო-ნარკვეთამდე მიიყვანა, ხოლო მისი სოციალიზმი რუსეთმა მოწინა-ალმდეგების უაზრო და მხეცური ხოცვით გაიგო. ივანე გომარ-თელმა ერთ-ერთმა პირველმა ამოიცნო ლენინის ფსიქოლოგიური სახე და ყველაზე საღად შეაფასა რუსეთის „ბელადის“ მიერ ჩადე-ნილი ქმედებები. ავტორი გრძნობს, რომ ვერც საქართველო ას-ცდება წითელ ტერორს და აფრთხილებს თავის თანამოაზრებს. თუმცა, ლენინმა მაინც იპოვა დასაყრდენი ძალა საქართველოში.

ასეთივე ხასიათის ლიტერატურული ნარკვევია ივანე გომარ-თელის „მთავარსარდალი კრილენკო“. ეს წერილი უფრო მეტად ირონიულია და სარკაზმებით ნაზავი. ავტორი საუბრობს კრილენ-კოს როლზე რუსეთის პოლიტიკაში და ხაზს უსვამს იმ ულირსს საქციელს, რითაც მთავარსარდალმა დაამახსოვრა თავი.

„საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა მთავარსარდალი ნა-პოლეონი;

რუსეთის რევოლუციამ წარმოშვა მთავარსარდალი კრილენკო.
დედა-მინის ზურგზე არა ჰყოფილა ჯერ ამის მზგავსი მთავარ-სარდალი, არც იქნება არასოდეს, თუ ისევ რუსებმა არ გამოიგო-ნეს. ყველა ქვეყანამ და ყველა ერმა რამე შექმნა; რუსეთმა კრი-ლენკო შექმნა და ისახელა თავი. ასეთი გამოგონების შემდევ ღირს დასვენება! სამაგიეროდ კრილენკომაც ასახელა რუსეთი: დაამარ-ცხა, მიწასთან გაასწორა ის, ისე მძლავრათ, ისე სასტიკათ, ისე და-უზოგავათ, როგორც არც ერთ სარდალს არასოდეს არავინ დაუ-მარცხებია ჯერ... უბედური რუსეთი! იმის ისტორიას ერთი კრი-

ლენკო აკლდა და ამიერიდან ესეც მიემატა“ (212).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სულ უფრო აქტუალური ხდებოდა. რუსეთს თავისი გასაჭირო ჰქონდა და ჯერ-ჯერობით ვერ იცლიდა სხვა ერებისთვის. „ალიონის“ ჯგუფი „საქართველოს“ მსგავსად დამოუკიდებლობის გამოცხადებას აჩქარებს ხელისუფლებას. იგანე გომართელმა პირველმა გააუღერა ეს სიტყვები სოციალ-დემოკრატიული ხასიათის გაზეთში და, ამდენად, საუბარი დაიწყო პარტიული ორიენტაციის ცვლილებებზეც. მისი ლიტერატურული ნარკვევი „ქართველ ერა!“ არის „ოდა თავისუფლებას“. შეიძლება გაგახსენდეთ ბეთავოვენის მეცხრე სიმფონია, როდესაც ივნე გომართელის ამ ნარკვევს წაიკითხავთ. მედიტაციური, მუსიკალური ულერადობის წერილი რეტროსპექტულად გვთავაზობს საქართველოს ბუნების მთავარ შტრიხებს, ქართველი ერის ჰეროიკული წარსულის მიმართ რევერანსსა და მომავლის იმედს, რომელსაც საქართველოს თავისუფლება უნდა დაერქვას:

„ერთი უდიდესი ჭეშმარიტება თავისუფლებაა.

მონობა, ბორკილები, ულელი გამოგონილია.

ბუნებამ მონობა არ იცის, ბუნება თავისუფლებას ქმნის.

პირველიდგან იყო თავისუფლება...

და შემდეგ გაჩნდა სიცოცხლე...

თავისუფლება მზე არის მთელი ერისა, მისი ეროვნული ცხოვრებისა. ის აძლევს ერს სინათლეს, სითბოს, ძალას...

ქართველი ხალხის გული არაფერს არ აუძგერებია ისე მძლავრათ, როგორც მას თავისუფლება აძგერებდა.

რამ გახადა გმირათ ქართველი ერი?

თავისუფლებამ –

რამ გაანათლა და დააწინაურა ქართველი ერი?

თავისუფლებამ

რამ ააყვავა საქართველო?

თავისუფლებამ...“ (211).

ივანე გომართელი შემდეგ უფრო ხატოვნად ამძაფრებს ქართველი ერის მდგომარეობას და სწრაფვას თავისუფლებისაკენ. მო-

ნის უდელს საქართველო ასჩვიდმეტი წელი ატარებდა და იყო გულჩათხრობილი, თვალცრემლიანი და უმწეო. თუმცა, ოცნების-თვის თავი არასოდეს მიუნებებია და საქართველოში კი ოცნებისა და ნატვრის ასრულების დრო დადგა:

„საქართველოში არ შეიძლება, არ ფრიალებდეს თავისუფლების დროშა!

საქართველოში უნდა ფრიალებდეს დროშა თავისუფლებისა!“ (იქვე).

ასეთია ივანე გომართელის ვერდიქტი. თუ ის 1917 წლის წერილებში უფრო მოკრძალებულად საუბრობს საქართველოს დამოუკიდებლობაზე, 1918 წლიდან თვითონაც თავისუფლდება პარტიული დოქტრინის მარწუხებიდან და თავად აძლევს „აღიონელებს“ ახალი გადაწყვეტილების მიღების საბაბს და დარწმუნებულია, რომ დევგმირებად იქცევიან, თუ სამშობლოს დასჭირდება მათი თავგანწირული ბრძოლა.

ივანე გომართელის ასეთი სულიერი განწყობა აკაკი წერე-თელთან და გიორგი წერეთლის ოჯახთან სიახლოვემაც განაპირობა(53). გ. წერეთელმა ივანე გომართელს „კვალის“ კრიტიკის განყოფილება ჩააბარა. „კვალი“ 1898 წ. „მესამე დასელების“ ლეგალური ორგანო იყო. გომართელი, გ. წერეთლის მსგავსად, არ ეთანხმებოდა იმათ, ვინც გაიძახოდა: „რაკი მე სოციალისტი ან სოციალდემოკრატი – დასისტი და სხვა ვარ, ჩემთვის ეროვნული საკითხი არ არსებობსო“ („თემი“, 1913, 1, გვ. 150).

სოციალ-დემოკრატებთან სიახლოვე ივ. გომართელს არ უშლიდა ხელს თერგდალეულების იდეებით ესაზრდოვა. ექიმი გომართელი ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, ხოლო ლიტერატორი და პუბლიცისტი გომართელი ხალხის სულიერ მდგომარეობას აუმჯობესებდა. სინამდვილე თავის ასპარეზად მიაჩნდა და ყველას მოუნდებდა ეწერა ისე, რომ სარგებელი ენახა საზოგადოებას მათ ნაშრომებში. მიიჩნევდა რა დავით კლდიაშვილს ძლიერ მწერლად, მეორე მხრივ, აკრიტიკებდა სიმბოლისტებს: „სიცხადის ნაცვლად – ბუნდოვანება; სინამდვილის ალაგას – ქიმერები; სილამა-

ზის ალაგას – სიმახინჯე; ჯანსაღობის ნაცვლად – სწეულება; სიცოცხლის სიყვარულის ნაცვლად – სიცოცხლის სიძულვილი და უარყოფა; საღი ადამიანის ნაცვლად – შეშლილები, თავის მკვლელები“ (12; 65). სიმბოლისტებზე ამბობდა, რომ მათი პოეზია რეაქციულია და ბურჟუაზიული სულისკვეთების გამომხატველი.

ივ. გომართელის შეხედულებებმაც ბევრჯერ განიცადა ტრანსფორმაცია, განსაკუთრებით 1917-1918 წლების შემდეგ. თუმცა, ერთ-ერთმა პირველმა აღმოჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საკითხში არასწორ გზაზე იდგნენ და მოგვიანებით იტყვის: „თავისუფლება სრული, თავისუფლება ყოველმხრივი, თავისუფლება განუსაზღვრელი“ (3).

1918 წლის 26 მაისის თავისუფლებას კი მან უშუალოდ მოაწერა ხელი.

თაგუნა (შალვა შარაშიძე)

თაგუნას ფსევდონიმით „სახალხო საქმეში“ საინტერესო ფელებონები იძეჭდებოდა. ავტორის არჩევანი, რომ იუმორითა და სატირით გვიჩვენოს იმდროინდელი მოვლენები, საქმაოდ ორიგინალურია. თაგუნა ძირითადად საქართველოს პოლიტიკურ მოწყობაზე აკეთებს აქცენტს და ლიტერატურულად ანადგურებს ყველას, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ენინააღმდეგება, ვინც არ ეთანხმება ქართული ნიშნით შერჩეული სტრუქტურების არსებობას. თაგუნა, ისევე როგორც მისი კოლეგები და მეგობრები, თავდაპირველად ფედერალიზმის პრინციპს ემხრობოდა.

„სათვალიანები და უსათვალოები“ მოგვითხრობს ორად გაყოფილ კრებაზე, რაც ქართული ინტერპარტიული ბიუროს არსებობამ გამოიწვია. „სათვალიანი ამხანაგები აფთრებივით ეკვეთნენ ინტერპარტიულ ბიუროს, ხოლო უსათვალო ამხანაგები, თუმცა გაუბედავათ, მაგრამ მაინც აშკარად იცავდნენ მას. თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა კავშირი უნდა ჰქონოდა თვალთახედვის სისუსტეს ამ საგანთან და სათვალე რათ გახდა ნიშნობლივ ატრიბუ-

ტათ ინტერპარტიულ ბიუროს უარმყოფელთათვის. მაგრამ კამათი რომ გაჩაღდა და სათვალიანებმა მთელი თავისი საბუთები დააღა-გეს უკლებლივ, მაშინ კი დავინახე, რომ სიბეჭეს დიალ დიდი გავ-ლენა მოეხდინა მათ აზროვნებაზე ამ საგნის ფარგლებში“ (200).

თაგუნა პრეტენზიებს უცხადებს ხელისუფლებაში მყოფ სო-ციალისტებს, რომლებმაც პარტიების შეთანხმება გადაწყვიტეს. თუმცა პარტიები სიახლოვეს არ მიიკარეს.

თაგუნა ახსენებს მათ, თუ როგორ მიიღეს ეროვნული პროგრა-მა იძულებით. საჯაროდაც დაიძახეს „გაუმარჯოს ეროვნულ-ტე-რიტორიულ თვითმმართველობასო“, ხოლო საქმით ადგილიდან არ დაძრულან. „სათვალიან ამხანაგებში“ იგი ეროვნულობისაგან დაცლილ უსუსურ ადამიანებს ხედავს, რომლებიც სიტყვით ერთს ჰყვირინან, საქმით კი სხვას აკეთებენ:

„ჭეშმარიტათ იმ კედლის საათს დაემსგავსნენ, ისრებით რომ პირველის ნახევარს აჩვენებს და თორმეტს კი რეკავს ამ დროს“.

თაგუნას ხელი აქვს ჩაქნეული „სათვალიან ამხანაგებზე“ და ფიქრობს, რომ ისინი ეროვნულ ნიადაგზე ვერასოდეს დადგებიან.

თაგუნას კალამი „მოხვდა“ სოციალ-დემოკრატიების სხვა ჯგუფსაც. ლიტერატურულ ნარკვევში – „აგრეთვე ავტონომისტე-ბი“ თაგუნა სოციალ-დემოკრატიების სამ ჯგუფს გამოჰყოფს. სამი-ვეს სამნაირი დამოკიდებულება აქვს ეროვნული საკითხის მიმართ. ესენი არიან „ნილილისტები“, „ალიონელები“ და „ერთობელები“. მათ შორის განსხვავებას თაგუნა მარტივი ოსტატობით გვიხსნის: „ე.ნ. – „ნილილისტები“.

ესენი დღესაც კაჭკაჭებივით იმეორებენ ძველისძველ განყენე-ბულ ფრაზას, და ვინაიდან ფრაზეოლოგია რევმატიზმს, ანუ ქა-რებსაც ჰგავს, მათი ტვინიც ისეა შებორკილი, როგორც ქარები შეჰბორკავს ხოლმე რომელსამე სახსარს. ესენი გაიძახიან:

მომწონს კალინა, მალინა,

მძულს ვარდები და იაო!

სამშობლო რასა მიქვიან,

მეწყერსაც წაუღიაო!.. ამათი წირვა გამოსულია. ესენი საფ-

ლავში მისაღები არც არიან და არც ვინმე იღებს.

მეორე – ე.წ. „ალიონელები“ –

ესენი ამბობენ: „კალინა და მალინა“ ღმერთმა ახაროს და გაფურჩქნოს, მაგრამ, მოდი ნურც ვარდსა და იას დავჩაგრავთ: იყოს საერთო დიდი ბალი. – გაუმარჯოს რუსეთის რესპუბლიკას და წვრილი ერების (მათ შორის საქართველოს) სრულ ავტონომიასო.

ამათ წირვა ახლა იწყება. საფლავში ჯერჯერობით არც ამათ ავდებენ...

მესამე – „ერთობელები“.

ესენი ძალიან ჰგვანან „კანში მწოლარ“ აბრეშუმის ჭიას; ზოგს რომ დაუგვიანდება კანის გამოცვლა ვითომ, ჰა, კიდეც ამოდის, მაგრამ ვერც ამოდის და ამგვარ წვალებასა და ჭაპანწყვეტაში რომ იკლაკნება დაუსრულებლივ.

ესენი ვითომ ნიღილისტებსაც ჰგმობენ, მაგრამ ავტონომისტებისგანაც იმიჯნებიან, ოქროს შუაგულს ეძებენ და, ჰამლეტის თქმის არ იყოს, სარტყელთან მიუგნიათ ბინა, „სადაც ყველაზე უფრო წყალობის გამცემი ადგილია“ (იქვე).

ავტორი მიიჩნევს, რომ მათ ეროვნული საკითხი არ აღელვებთ და იაპონური ზღაპრის გმირივით არიან, რომელსაც არც ცხვირი ჰქონდა, არც პირი და არც თვალ-წარბი, არამედ ბრტყელი, შემზარავი სიტიტვლე, რომელიც შიშის ურუანტელს ჰგვრიდა ყველას. ასეთ უსახურობას წარმოადგენენ თაგუნასათვის სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც სურთ, ტერიტორიალურ თვითმმართველობის ნიღბით დაიფარონ სახე, თუმცა როგორც კი საქმე პრაქტიკულ ნაბიჯებზე და ეროვნული პოლიტიკის წარმოებაზე მიდგება, ეს ნიღაბი იმწამსვე ვარდება. თაგუნას ასეთი გაბრაზება გამოიწვია გაზეთ „ერთობის“ (177, 1917) წერილმა, სადაც სოციალ-დემოკრატებმა სახელმწიფოებრივ მოწყობის მოდელად, სხვა მოდელებთან ერთად, განიხილეს „აგრეთვე ავტონომია“ და ეს საკითხი უმაღვე სტრიქონებს შუა მიაფურჩეჩეს.

დაბოლოს, თაგუნა ურჩევს „აგრეთვე ავტონომიას“ ჩამოაშორონ პირველი „ცბიერი“ სიტყვა და მოითხოვონ ერებისათვის მხოლოდ „შიშველი“ ავტონომია (203).

თაგუნა უპასუხოდ არ ტოვებს „ბრძოლასა“ (ბოლშევიკების ორგანო) და „ალიონს“ შორის ატეხილ კონფლიქტს.

საინტერესოა ბოლშევიკების თაგუნასეული დახასიათება: „გასჭერით რომელიმე ბოლშევიკი, სულ ერთია – ვინც იყოს, ალალ-ბედზე, აი თუნდ ჩვენი თედორე კალანდაძე (თუ, რა თქმა უნდა, საერთაშორისო პროლეტარიატი გასაჭრელად გაიმეტებს მას) და თედორეს ღვიძლის ქვემოთ, ზედ ნალვლის ბუშტან, ნახავთ კარგა მოზრდილ ორგანოს, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანს, არა ბოლშევიკს, არ მოეპოვება. როგორც ადამიანის ღვიძლი ამზადებს ნალველს და კუჭს – ე.ი. კუჭის წვენს, ისე ბოლშევიკის ეს ახალი ორგანო გამოსცემს ლანძღვა-გინებას და ამ თვისების გამო მისი მნიშვნელობა ბოლშევიკისათვის ბევრად უფრო დიდია, ვიდრე, ვთქვათ, ფილტვის, გულის და ტვინისაც კი. ამ ორგანოს ეწოდება „შეკურთხების“ ორგანო და რამდენადაც უფრო განვითარებულია ის, იმდენად უფრო ნარჩინებულია ბოლშევიკი“ (206).

ამ სიტყვებით თაგუნამ აჩვენა ის საფრთხე, რაც მომავალში საქართველომ ბოლშევიზმის დამკვიდრებით იხილა. მან მოუთითა, ბოლშევიზმზე, როგორც საერთაშორისო და სახალხო უბედურებაზე.

„– ამხანაგო, სოციალიზმის ბარძიმი წმინდაა ჩვენთვისაც და თქვენთვისაც, მოდით, ნუ გადასცემთ სოციალიზმის ბარძიმს მთვრალ ჯარისკაცს და სანახევროდ ველურ მუჟიცს, თორემ ისინი ფეხქვეშ გაიგდებენ მას, გათელავენ, შეაგინებენ და „აღავსებენ ყოველთა არა წმინდებითა“.

ამის პასუხად ბოლშევიკი აამუშავებს შეკურთხების ორგანოს და გეტყვის: – შენ კარგად გიცნობ, რა მუტრუკიც აგდიხარ: ნამუსი შენ არა გაქვს, ჭკუა და პატიოსნება, შენი სიდედრი კუდიანია და ქვეყანამ იცის, რომ შენს რძალს წინა კბილები ჩაყენებული აქვს. მომშორდი შენი...“ (იქვე).

სოციალ-დემოკრატების ლიდერს ნოე ჟორდანიას მიუძღვნა მან პატარა ფელეტონი, რომელშიც დიდი ოსტატობით გამოძერნა ჟორდანიას პორტრეტი. სოციალ-დემოკრატების მეთაური მის-თვის ტიპური არაქართველია, რომელიც საკუთარი სამშობლოს

გაყიდვითა და მოკვლითაა დაკავებული, რომელიც არ აღიარებს და არ სცნობს წარმატებულ ქართველს. ნოე ჟორდანიას დიდი მიზნები მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვებას გულისხმობს. ავტორი ხაზს უსვამს ჟორდანიას მზაკვრულ ჩანაფიქრს საქართველოს დანაწევრების შესახებ: „როდესაც მოახლოვდა ნოე ჟორდანიას დაბადების დღე, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ბრძანება გასცა, რომ საქართველოში ორი წლის ვადით შეეჩერებინათ ყრმათა დაბადება. მაგრამ ნოე ჟორდანიამ წინდანინვე შეიტყო მეფის განზრახვა, დაასწრო მის გამოქვეყნებას და არალეგალურად დაიბადა ერთი თვით ადრე კანონიერ ვადამდე... ნოე ჟორდანიას შეშურდა ქართველების ასეთი მწყობრი და პარმონიული ცხოვრება, ხელი აიღო სწავლაზე, დაჰყო მთლიანი საქართველო რამოდენიმე საზოგადოებრივ კლასებათ და მათ შორის დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა ასტეხა. შემდეგ გააღატაკა ქართველი გლეხების დიდი ნაწილი... ამ გაღატაკებულ გლეხებს პროლეტარიატი დაარქვა და ყოვლად უწყალოთ, ნადირებივით მიუსია დანარჩენ კლასებს. ესეც რომ არ იქმარა, მიანგრ-მოანგრია და მიწასთან გაასწორა საქართველოს ყველა ისტორიული ნაშთები, დალენა ძველი ტაძრები და ეკლესიები და საქვეყნოდ გამოაცხადა, საქართველოს ისტორია არ გააჩნიაო“ (191).

ასეთ მძიმე ბრალდებებს უყენებს თაგუნა სოციალ-დემოკრატების ლიდერს, რომელსაც პასუხს არავინ სთხოვს საქართველოს-თვის საზიანო საქმეების გაკეთების გამო. „ისტორიის მოსპობის შემდეგ მან დააარსა ყოვლად უცნაური სექტა და მსგავსათ ებრაელების ცნობილ სექტისა, ერთი ბარბაროსული წესი შემოილო – საუკეთესო ქართველ მამულიშვილთა რიტუალური მკვლელობა.

6. ჟორდანია ამტკიცებდა, ქართველ მამულიშვილთა სისხლი სოციალიზმს გვაახლოებსო და ისე ვერც ერთ პუბლიცისტურ წერილს ვერ დაწერდა, წინდანინ რომ ერთი ღვინის ჭიქა ნამდვილი ქართული სისხლი არ დაელია თბილათ“ (იქვე).

ასეთია თაგუნას მიერ გამოძერნილი ნოე ჟორდანიას პორტრეტი. ავტორის ენა საკმაოდ გამოკვეთილი შტრიხებითაა სავსე.

წერილში „ჩვენი პარნასი“(201) თაგუნა ეხმიანება მწერალთა ყრილობას. იგი აღაშფოთა ზოგიერთი ქართველი მწერლის საქციელმა, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს ბალმონტის თავმჯდომარეობას. ავტორი არ ასახელებს, თუ ვინ აღაშფოთა იგი, მაგრამ ცნობილია, რომ ბალმონტის წინააღმდეგ გამოვიდნენ კონსტანტინე გამსახურდია და იოსებ გრიშაშვილი. თაგუნა თვლის, რომ მწერლები არ უნდა ახარისხებდნენ ეროვნების მიხედვით ადამიანებს, რომ „მუზებს პოლიტიკა მაინც და მაინც არ აინტერესებს“. „ეს „ქართველი დენდი“ (ამ სახელით მოგვევლინა სიმწრით დაწერილ ერთ ლექსში, რომელიც ჩემს მეტს, მგონი, არც კი წაუკითხავს ვისმე) ისეთ „აგიტაციას“ ეწეოდა მუზებში, რომ აპოლონს, ალბათ, ჯერაც ვერ შეუწყვეტია ხარხარი და ამ წუთშიც უმწეოთ დაგორავს ისტერიული სიცილით შეპყრობილი.

– ამხანაგო მუზებო! მიაფურთხეთ რუსის მწერალს ბალმონტს, ქართველი ხალხის ამ დაუძინებელ მტერს, და ჩაეწერეთ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიაში!.. „ქართველი დენდის“ მეტიჩრულ პროვოკაციას მთელი ყრილობა აჰყვა“ (იქვე).

თაგუნას გულისტკივილი გასაგებია მაშინ, როცა პოლიტიკური პარტიები ერთმანეთთან კინკლაობით ერთობიან და დროს კარგავენ. პუბლიცისტებისა და მწერლების მხრიდან შეუთანხმებელი ქმედება თაგუნას გულისწყრომას იმსახურებს.. ავტორმა ვერ დაინახა მწერალთა ყრილობაზე ის ძალა, რომელიც ყველას გააერთიანებდა და პოლიტიკური ძალების დაქსაქსულობას ნიადაგს გამოაცლიდა. მაშინდელი მწერლებიც სხვადასხვა პარტიულ დაჯგუფებებს ეკუთვნოდნენ და სწორედ ამ დაპირისპირებამ იფეთქა ყრილობაზე.

ლეო ქიაჩელი

„ტარიელ გულუას“ ავტორი სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელთა რიგებში აღმოჩნდა. საინტერესოა მისი მოღვაწეობა „ალიონის“ ფურცლებზე. შეუძლებელია მისი პუბლიცისტური წე-

რილების გარეშე ლეო ქიაჩელის, როგორც შემოქმედის, წარმოჩენა. „ალიონში“ იგი 1917 წელს აქვეყნებდა წერილებს. თებერვლის რევოლუციამ არც ქიაჩელი დატოვა უიმედოდ და სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი გაუღვიძა. „ალიონელებთან“ ერთად ისიც ავტონომიის მოპოვებაზე საუბრობდა. თავის კოლეგებთან ერთად ამ იდეის აქტიური და მიზანმიმართული მხარდაჭერა დაიწყო. თავდაპირველად საჭიროდ თვლის ხალხისთვის განემარტათ, რას ნიშნავდა ავტონომია, რას მოუტანდა იგი ქვეყანას და თითოეულ მოქალაქეს.

„ალიონის“ გამოცემიდან რამდენიმე ნომრის შემდეგ ლეო ქიაჩელი ბეჭდავს წერილს „გზა და გზა“, რომელშიც იგი იწყებს ავტონომიის იდეის ქადაგებას. ამისთვის საკმაოდ ეფექტური ფორმაც მოიძებნა – დილიუანსში შვიდ თანამგზავრთან ერთად იწყებს მგზავრობას. მათ შორის უმეტესობა გლეხები არიან. სიმრავლით კი ქალები ჭარბობენ. ჩანს, მდედრობითი სქესი მაშინაც პოლიტიზირებული იყო. ლეო ქიაჩელმა თანამოსაუბრენიც თავისებური პრინციპით შეარჩია. ავტონომიაზე საუბარიც გლეხს დააწყებინა. ამით ხაზი გაუსვა, რომ საზოგადოების ყველა ფენა ადევნებს თვალყურს პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებს და დაინტერესებულია, რას ნიშნავს ავტონომია, რომელიც ასეთ განხეთქილებად იქცა სოციალ-დემოკრატებში. გლეხმა იკითხა, ავტონომია რას ნიშნავს და „ავტონომიის გაგონებაზე ყველამ ყური ცქვიტა, სიჩუმე ჩამოვარდა და საერთო სმენა მე მომაპყრო“ (190).

ლეო ქიაჩელმა მარტივი მსჯელობა გადაწყვიტა, რათა ამგვარად აეხსნა მგზავრებისათვის თვითმმართველობის მთავარი პრინციპი: სოფელი ირჩევდა მამასახლისს, მის თანაშემწეს, მოსამართლეს. იწვევდა ყრილობას, ღებულობდა გადაწყვეტილებას, რომელიც სისრულეში მამასახლისს უნდა მოეყვანა. შემდეგ მწერალმა მეორე პრობლემა წამოჭრა – საქმეების უცხო ენაზე წარმოება: „განა თითოეულმა თქვენგანმა არ იცის, თუ რა უბედურებაა „პერევოლჩიკებთან“ საქმის დაჭერა? ესეც რომ არ იყოს, ხომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია კანონები იცოდეს. ვინმემ რომ დანაშა-

ულობა ჩაიდინოს, თავს იმით ვერ იმართლებს, აქაოდა მე კანონი არ ვიცოდი და ამიტომ შევცდიო! კანონი რომ ხალხმა იცოდეს, საჭიროა ეს კანონი ხალხის ენაზე იწერებოდეს, ამის გარდა საჭიროა, რომ კანონის შედგენაშიც ხალხმაც მიიღოს მონაწილეობა“ (იქვე).

შემდეგ ავტორი ისევ განაცრძნობს: „ყოველს სოფელს აქვს თავისი მიჯნა, საზღვარი, რომლის იქით სხვა სოფელი იწყება. ჩვენს ქვეყანასაც, საქართველოს, აქვს თავისი საზღვრები, რომლის იქით სხვა ხალხი სახლობს; როგორც სოფლის თვითმმართველობა მოქმედებს სოფლის საზღვრებში, ისე საქართველოს თვითმმართველობაც იმოქმედებს თავის საზღვრებში... ეს იმას არ მოასწავებს, რომ იგი მთელი სახელმწიფოდან იქნება გამოყოფილი. სახელმწიფო საქმეები სახელმწიფოდვე დარჩებიან, ხოლო საშინაო, ადგილობრივ – შინაურულ საქმეებად“ (იქვე).

საკუთარი მოსაზრების ნათელსაყოფად იგი კონკრეტული არგუმენტებით საუბარს ირჩევს, რითაც მან სასურველ საზოგადოებრივ აზრს ეფექტური რეკლამირება გაუწია: „თუ მე შენ გინერ კანონს და მით გეუბნები, ასე იცხოვრე შენსა და ისე მეთქი, მე უთუოდ შენი ბატონი ვარ. თავისუფლებას კი ეს არ შეეფერება“ (იქვე). მსმენელთა მხრიდან რეაქციამაც არ დააყოვნა და თანამოსაუბრენი ავტონომიის იდეის მებრძოლებად იქცნებ.

ნაწარმოების მეორე ნაწილში რუსეთის პარლამენტში ქართული დეპუტაციის აუცილებლობაზე საუბრობს. ორმილიონიან საქართველოს ასი დეპუტატი მაინც უნდა ნარედგინა პეტროგრადში. ასეთი მიდგომით კი ვერც ერთი შენობა ვერ დაიტევდა სხვადასხვა ადგილებიდან და ქვეყნებიდან ნარმოდგენილ დეპუტატებს. ლეო ქიაჩელმაც იპოვა გამოსავალი: „ის ასი დეპუტატი, რომლებსაც ჩვენი ხალხი ამოირჩევს, აქვე დარჩენ ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივ საქმეთა საწარმოებლად, იმსჯელონ ჩვენს გასაგებ ენაზე საქვეყნო გასაჭირზე და იკანონმდებლონ ადგილობრივ პირობების მიხედვით“ (190).

საინტერესოა დასასრულიც, სადაც ერთმა გლეხმა თავის მეზობელს მიმართა. მის სიტყვებში ნათლად ჩანს ლეო ქიაჩელის „გა-

მარჯვება“: „მერცხლები ერთად მოფრენენ უცხო ქვეყნიდან, ერთადვე მიფრენენ უცხო ქვეყანაში. აქაც რომ არიან, ერთად სცხოვ-რობენ... მაგრამ თითოეულს თავისი ბუდე აქვს, საკუთარი ოჯახი! ტყვილა ნურავინ იფიქრებს მის ბუდეს ხელი ცუდად შეახოს! თავს შეგაკლავს!... ასეა კაცობრიობაც! ერთია მისი ცხოვრება, მაგრამ ყოველს ხალხს ცალკედ თავისი ბუდე აქვს, და იგი ხელშეუხებელი უნდა იყოს!..“ (იქვე).

მეორე, იგავის ფორმით დაწერილ ნაწარმოებს ლეო ქიაჩელმა „ბერი და ყორანი“ დაარქვა. ბერში იდეალისტი მებრძოლი იგულისხმა, ყორანში – იმპერიული რუსეთი.

ადვილად მორწმუნე, გულუბრყვილო და პატიოსან ადამიანებს სწამთ ყორნის (იმპერიის) გათეთრების შესაძლებლობა. მაშინდელ ქართველებში თებერვლის რევოლუციამ რუსეთის იმპერიის ჰუმანისტური იდეალებისაკენ შემობრუნების რწმენა გააღვივა. პოლიტიკური გულუბრყვილობა აღმოჩნდა ესეც. ლეო ქიაჩელმა არაკის ტრაგიკული ფინალით საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოებაც იწინასწარმეტყველა (192).

„ალიონის“ იმავე ნომერში, პირველ გვერდზე დაიბეჭდა ლეო ქიაჩელის: „ჩემი სიტყვა ამხანაგებისადმი“, რომლითაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო ყრილობის გახსნის დღეს მიმართა თანამოაზრებს. მან ხაზი გაუსვა საქართველოს ბრძოლას თავისუფლებისთვის: „ქართველი ერიც, თქვენს დროშის ქვეშ იბრძვის სახელმწიფოებრივისა და საერთაშორისო თავისუფლები-სათვის...“ (იქვე).

იგი თავის თანამებრძოლებს ერის განთავისუფლების „კალატოზებს“ უნდოდებს და არწმუნებს მათ, რომ აქტიური ქმედებაა აუცილებელი, რადგან მათ სიტყვას „გულისფანცქალით მოელის ერი. იგი უნდა იქნეს თამამი და თავისუფალი გამოცხადება ქართველი ხალხის პოლიტიკურ უფლებათა რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ (იქვე).

ლეო ქიაჩელი დაუინებით ითხოვს პოლიტიკურ ავტონომიას. რა თქმა უნდა, ეს გამოსვლა ბოლშევიკებს შეუმჩნეველი არ დარ-

ჩენიათ და გამოეხმაურნენ კიდეც. სოციალ-დემოკრატების მეორე ფრთის გაზეთ „ერთობაში“ კი მწერალი ლევან ნათაძემ გააკრიტიკა, რომელმაც „ალიონის“ ეროვნული თეზისები არ მოიწონა. ნათაძემ ქიაჩელის გამოსვლა ინტერნაციონალიზმის კანონების ხელყოფად მიიჩნია. ლეო ქიაჩელი პასუხობს მას და თავდაპირველად ხაზს უსვამს ნათაძის მერყევ ბუნებას. მართალია, „ალიონის“ რედაქტორი პ. საყვარელიძე თავს იმართლებდა და ქიაჩელის ტექსტს ბელეტრისტულ ნაწარმოებს უწოდებდა, მაგრამ ავტორმა თავად არ დამალა თავისი მოსაზრება. ლეო ქიაჩელი პუბლიცისტური მეთოდებით ამხელს ლევან ნათაძეს, „მისი აზრია, მისი პრინციპია: ქართველ ხალხის პატონი (სუვერენი) სხვა ხალხი უნდა იყოს (სახელდობრ რუსეთის ხალხი)“ (194).

ლეო ქიაჩელი აღმტვოთებულია ლევან ნათაძის ანტიეროვნული პოზიციით და ხან გერმანიის მაგალითზე ესაუბრება, ხან იტალიის და ხან კიდევ შვეიცარიის. 1918 წლის 26 მაისმა ავტონომიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის არსებული კონფლიქტი დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაასრულა.

* * *

ტაიფუნი „ალიონის“ ფურცლებზე 1917 წლის მეთექვსმეტე წომრიდან ჩნდება. მისი ვრცელი ლექსი „დილა“ ახალი საქართველოსადმია მიძღვნილი. ტაიფუნის წარმოდგენით, ეს ახალი საქართველო უკვე დამდგარია.

ტაიფუნის შემოქმედება „ალიონში“ ძირითადად გაუღენთილია თავისუფლების სულისკვეთებით.

მისი სილუეტი „მზისკენ!“ – თავისუფლებისკენ სწრაფვის სულისკვეთებითაა გაუღენთილი.

ტაიფუნი შეურიგებლად ებრძვის ყველას, ვინც მას მზეს სტაცებს და თავისუფლებას არ ანებებს. ეს ნაწარმოებიც მეტაფორუებისა და შედარებების ნაკრებია, რაც საკუთარი ქვეყნის შესაფასებლად ემეტება:

„და მხიბლავდა ეს სანეტარო, ოცნებით სავსე მშვენების წალ-

კოტი...

მთანჯავდა და ძალას მიღევდა სატუსაღოს ვიწრო,
ნესტიანი კედლები, ვიწროთ დარკანული რკინის ფანჯრები...

და სიცოცხლეს მართმევდა... სულს მიხუთავდა... მზეს მტა-
ცებდა...

და დავყურებდი ზემოდან მძვინვარე, მამოძრავ ქალაქს, მის
ქუჩებს, სადაც ურიცხვმა მდგარმა მებრძოლმა დალია სული.

აქ, ქუჩას შეალია პირველი გიური გატაცებანი, პირველი საი-
მედო წადილი თავისუფლებისა...

მეც მათთან ვიყავ, ჩემ ერთგულ ძმებთან თავგანწირულ მებ-
რძოლთა შორის“(199).

ტაიფუნი შემდეგ გადმოგვცემს, თუ როგორ დაერივნენ ცეცხ-
ლითა და მახვილით ყველა იმ თავისუფლების მებრძოლთ, რომელ-
თაც მხოლოდ ქვეყნის გადარჩენის სურვილი ამოძრავებდა. „აგუზ-
გუზებული ხალხის იმედოვანი კოცონი“ ჩააქრეს და ჩაფერფლეს.
სამკვდრო-სასიცოცხლო უთანასწორო ბრძოლა მტრის გამარჯვე-
ბით დასრულდა:

„უთვალავი შეიქმნა მტრის ბანაკი და ღონე მიხდილი დავეშვით.

და მას შემდეგ განუყრელ მეგობრებათ შეიქმნენ ეს ციხის კედ-
ლები ჩემთვის...

ჩემ ოქროვან, ფირუზოვან სიყრმეს თეთრი სიბერე შემოეპარა...

მწყუროდა მზე, მზე ძმობის, განახლების...“ (იქვე)

სილუეტი „მზისკენ!“ ორნანილიანია. მეორე ნაწილში ტაიფუნი
ხატოვნად აფასებს ციხის კედლებს მიღმა მომხდარ მოვლენებს.

„შორს, მთებს იქით, აღმობრწყინდა ახალი ცხოვრების
შუქმფინარე მზე და გაანათა მთელი სამყარო...

და დაემხო ოქროს კერპი... ხავსი ბოროტების კედლები...

თავისუფლების ნეტარ სხივებმა ჩემ სენაკში შემოანათა.

ხალხი აღუდგა მეფის დარაჯებს, შეანგრია ციხის კედლები.

მეც შევუერთდი ამ მღელვარე ზღვას. მედგრათ შეუტიე ბო-
როტ მტარვალებს... მიყვარს ეს წამი.

არვის მივსცემთ სისხლით მოპოვებულ ჩვენს ერთობას.

მზე ბრწყინვალებს
მზე ელვარებს...
და ჩვენც გავსწიეთ საოცნებო ოქროვან მზისკენ...
– მზისკენ!..“ (იქვე).

ლიტერატურული ესკიზი „თავისუფლება“ მოგვითხრობს, თუ როგორ შეიკრიბნენ ქალაქებით „მომავალი თავისუფლების შვილნი“ და შემდეგ როგორ დააპატიმრეს:

„ვეთხოვებოდი საყვარელ მთებს, ძვირფას სამშობლოს, წყაროს ლიკლიკს, გიუმაჟ მდინარეს, ობოლ-ხავერდოვან მდელოს, ნაცნობ-მეგობრებს და ჩემ კეკლუც მაროს, ძვირფას მეგობარს...“

და მატარებელი კი მიპეროდა გამალებული სადღაც შორს უცხოეთში...“

მეგობრისადმი უდიდესი გრძნობითაა დაწერილი ტაიფუნის მეორე ლიტერატურული სილუეტი „მეგობარს“. იგი იმედს აძლევს მას და სთხოვს დაიჯეროს მომავლის და ნუ მიეცემა სასონარკვეთას:

„და დადგება ფირუზოვანი მხიბლავი დღე...“

უიმედობას ნუ მიეცემ... გულს ჩაიწვეთ!..“ (197).

თუ ტაიფუნის 1917 წლის პერიოდის წერილები თავისუფლების დაუკებელი წყურვილითაა აღვსილი, 1918 წლის ლიტერატურული ნაწარმოებები უფრო გაუღენთილია ამ თავისუფლების შენარჩუნების გრძნობით.

„ჰეი, გმირნო, ქართვლის შვილნო, თქვენ გეძახით საქართველო, თქვენ, თქვენ გიხმობთ დაკოდილი დიად გრძნების შვების მდელო“ (იქვე).

ტაიფუნმა გადაწყვიტა, ქალაქიდან სოფელში გახიზნულიყო და იქ გაეღვიძებინა სოფელი.

„თავისუფლების ნეტარმა სხივებმა უხვად შემოანათეს სოფლის მიძინებულ ზღვა-გულში და დააფრთხო მისი მუდამ ერთფეროვანი, მიძინებული ცხოვრება. ხარბად დაეწაფა სოფელი ამ მაცოცხლებელ სხივებს და შესვა ნექტარი უკვდავებისა“ (იქვე).

ტაიფუნს არ აინტერესებს პარტიული ორთაპრძოლები და პოლიტიკოსთა შორის არსებული კონფლიქტები. ყველა მისი ნაწარ-

მოები, რომელიც 1917-1918 წლების „ალიონში“ დაიბეჭდა, საქართველოს თავისუფლებას და ამ თავისუფლებით გამოწვეულ შინაგან მუხტს აღწერს.

ორ წელიწადში საქართველოს თავს სამი პოლიტიკური კატაკლიზმა დაატყვდა: თებერვლის რევოლუცია, ბოლშევიკების ძალადობრივი რევანში და დამოუკიდებლობის გამოცხადება. სამივე მოვლენამ განაპირობა განსჯისა და ანალიზის ახალი ეტაპის დადგომა პუბლიცისტებისა და მწერლების შემოქმედებაში.

* * *

„რუსეთის დიდი სამსონი“, „ჩირალდნით ხელში“, „ქართლის ბეჭის ვარსკვლავს“, „სურათები“ და სხვა ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები, რომელიც სერგო პართენაშვილს ეკუთვნის, 1918 წლიდან ჩნდება „ალიონის“ ფურცლებზე. მწერალი დამუხტულია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებით. მისი თითოეული ფრაზა გაუღენთილია სამშობლოს სევდით და დაეძებს „ქართლის ბეჭის ვარსკვლავს“, რომლის გამობრწყინებას ას ჩვიდმეტი წელი დასჭირდა. რუსეთის რევოლუციებმა დიდი ტკივილი დაუტოვა, ვერ ხედავს იმედს მდგომარეობიდან გამოსასვლელად. წერილში „რუსეთის დიდი სამსონი“ რუსეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ რყევებზე საუბრობს:

„სამსონ-ძლიერი მთელი თავისი ძალ-ღონით ჩაეჭიდა შხამისა და ბოროტების ბჭებს და სვეტებს; ქვედა სართულის ჭირისუფლები მას აფრთხილებდნენ, რომ თუ ის მთელ შენობას დაანგრევს, ზედა სართულის განცხრომის შვილებთან ერთად ქვედა წამებულებიც დაიმარხებიან ნანგრევებ ქვეშ; ემუდარებიან, ემუქრებიან, მაგრამ კაცობრიობის სიყვარულით და სიძულვილით გაგიჟებული რუსეთის სამსონ-ძლიერი, უდიდესი დონკიხოტი კვლავ თავისას განაგრძობს...“

რუსეთის სინამდვილეს თავის ოცნებას სწირავს, ანაცვალებს...“ (208).

ს. პართენაშვლმა ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი

„ჩირალდნით ხელში“ უნივერსიტეტის გახსნას მიუძღვნა. საკმაოდ ხატოვანი ქართულით დაწერილი მისი წერილებიდან ძლიერი ენერგია მოდის, რაც მყითხველში მძაფრ ემოციას იწვევს. როგორ და სად გაჩნდა საქართველო? ს. პართენაშვილის ალეგორიულ-ჩუქურთმოვანი ვერსია ასეთია:

„მრავალ საუკუნეთა დაუსრულებელ გრეხილში და დროთა ბრუნვაში დაიბადა. მისი აღმზრდელი აკვანი იყო ცათ აზიდული, ამაყი და ჭალარა მთები;

მას ირგვლივ მტრები ელაპარაკებოდნენ, მარგალიტ სამშობლო აკვანში უხტებოდნენ და მოსპობა-განადგურებით ემუქრებოდნენ... ადრევე დაიწყო მან თავისი გრძელი ისტორიის თავისავე სისხლით წერა, რომლის წითელი ფურცლები საუკუნოებით იშლებოდნენ და ერთი მეორეს მისდევდნენ“(210).

ავტორი საქართველოს მიერ საუკუნების წინ გამხელილ სურვილზე საუბრობს. თავისუფალი სიცოცხლე და თავისუფალი სუნთქვა – აი, რა იყო და რა არის ქართველი ხალხის ბუნებრივი სურვილი.

ს. პართენაშვილი ალფროვანებას ვერ მალავს ქართველი ხალხის გადაწყვეტილების გამო – გაიხსნას ქართული უნივერსიტეტი. სწორედ ამ ფაქტში ხედავს იგი იმ გენიას და სიბრძნეს, რითაც ქართველმა ხალხმა საიმედო იარაღი გამონახა და დროის შესაფერისი, მიზანშენონილი გზა იპოვა. „ერთ ხელში წითელი დროშა და მეორეში მეცნიერების დიდებული ჩირალდანი, აი სიმბოლო, აი ემბლემა უკვდავი ერის!“ (იქვე).

ძალზე შთამბეჭდავია ს. პართენაშვილის ლიტერატურული სურათები, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება. თუ მისი ადრინდელი წერილები, სადაც საქართველოს ბედზე, მის წარსულსა და მომავალზე საუბრობს, პატარა ფელეტონის რუბრიკით იბეჭდებოდა, ეს სამნანილიანი ნაწარმოები უფრო გაბეჭდული აზრის გამოხატვა და სიყვარულის ახსნაა თავისი სამშობლოს მიმართ. დამოუკიდებლობა უკვე გამოცხადებულია და, როგორც ჩანს, ცენტურა შერპილებულია. ავტორს უფლება აქვს მთელი გრძნობით უმღეროს საყვარელ სამშობლოს. პირველ ნაწილს ჰქვია „თეთრ დარ-

ბაზში“, სადაც იგი აღწერს სასახლის თეთრ დარბაზში მიმდინარე ეროვნული საბჭოს კრებას (220).

ს. პართენაშვილი მოვალეობებს ახსენებს ქართველ პოლიტიკოსებს, რომ ისინი არიან განახლებული ცხოვრების დარაჯნი და მათი პარტიული ბრძოლა თუ ჯგუფური კინკლაობა უნმინდეს და უდიდეს მოვალეობათა ფარგლებში უნდა ბრუნავდეს. ავტორი სთხოვს მათ, რომ პარტიული უინიანობა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფობრიობის გრძნობას დაუმორჩილონ.

ნანარმოების მეორე ნაწილში („განთიადი მთაწმინდაზე“) ავტორი ერის წმინდანების საუფლოში მიდის. მათ დიდ სახეებს მიაკითხავს.

ავტორი მონუსხულია მთაწმინდის მომხიბლავ-მომაჯადოებელი სურათებით და ქვეყნის გასაგონად გაიძახის: „ავჭექაქუხილდი: დიდება და დღეგრძელობა განთავისუფლებული ამირანის სამშობლოს, სამუდამო ნეტარება სიხარულის ცრემლებით აქვითინებულ მთაწმინდას!“ (იქვე).

ნანარმოების მესამე ნაწილს „ფერხული“ ჰქვია. აქ გადმოცემულია, თუ როგორი ფერხული გაუმართავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებს. ავტორი თავადაც ხარობს საქართველოს სიხარულით. „და აი ამ თაიგულის უცხო ყვავილებზე და მათ ფურცლებზე ისტორიულ გარიურაჟ-განთიადისას ამრავალფეროვანებულს და ამრავალფერადებულს ნეტარებით მთვრალს ქართველ ერს დიადი ეროვნული ფერხული ჩაება.

ჩუქურა ტანსაცმელში გამოკვანწული გურული ბულბულსავით აკრიმანჭულებულიყო, ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწვეპილი იმერელ-მეგრელი ტკბილათ მოძახილობდა, ხოლო ჩოხა გადაკეცილი, ბრძნობა-მორეული ქართლელ-კახელი ბანს ჭექა-ქუხილით ეუბნებოდა... და ეს განახლებული საქართველოს ფერხული იყო, რომ მთელი სამყაროს და კაცობრიობის ცხოვრების ბრუნვა-ტრიალს სიმბოლურად ხატავდა“ (იქვე) (222).

ს. პართენაშვილის ლიტერატურული ჩანახატები ავსებს „ალიონის“ პოლიტიკურ ნაწილში ცივი გონებითა და ანალიზითა გადმო-

ცემული, პოლიტიკური პუბლიცისტიკით გადატვირთულ ფურ-
ცლებს. გაზეთის ლიტერატურული ნაწილი აბალანსებს „ალიონის“
ტონალობასა და ფერებს. ეს არჩევანი საკმაოდ წარმატებული არ-
ჩევანია გამოცემის მესვეურთა მხრიდან. მკითხველს მიეწოდება
ორივე მიმართულება, რაც ვითარების აღქმასა და გარკვევაში
უდავოდ ეხმარება.

* * *

გიორგი ქუჩიშვილს(ჩხეიძე) ლიტერატურის კრიტიკოსები
იროდიონ ევდოშვილის დემოკრატიულ პოეტურ სკოლას აკუთვნე-
ბენ. თავისი მსოფლმხედველობითა და პოლიტიკური შეხედულებე-
ბით მან უფრო გააფართოვა ამ სკოლის თემატიკა, მხატვრული პა-
ლიტრა და იდეური სპექტრი. „ალიონის“ ფურცლებზე იგი პირვე-
ლივე ნომერში ჩნდება ლექსით „ჩემს ერს!“ თავის ხალხს, თავის
სამშობლოს მიმართავს და ალდგენისკენ, ძალების მოკრებისკენ
მოუწოდებს. თავისი უშუალობით, სისადავით, ლალი ინტონაციე-
ბით და ექსპრესიულობით ქუჩიშვილის ლექსი გამორჩეულია და
ემოციური:

„კმარა, რაც მონობაში
ცხარე ცრემლი გდენია!
ალზდეგ! – მოდი ცონბაში!
გეყო, რაც გითმენია“ (188).

„ალიონში“ იგი ნოე ჩხიკვაძესთან, ვარლამ რუხაძესთან,
ალექსანდრე აბაშელთან, დავით თურდოსპირელთან (ჩხეიძე – გ. ქუ-
ჩიშვილის ძმა), დუტუ მეგრელთან, შიო მღვიმელთან, დემნა შენგელაი-
ასთან ერთად იბეჭდება. ქუჩიშვილის პოეტური შემეცნება სათავეს
იღებს პირველი რევოლუციის პერიოდში, თანაუგრძნობს დაჩაგრუ-
ლებს. მისი პოეზიის ბუნება, ბრძოლის პათოსი, მისი შემოქმედება ორ-
განულად უკავშირდება თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებს. გ. ქუ-
ჩიშვილის ლექსები „ალიონის“ თითქმის ყოველ ნომერშია დაბეჭდილი.

აკაკი პაპავა გიორგი ქუჩიშვილის შესახებ წერდა: „იგი რევო-

ლუციამ გახადა პოეტად. მის მუზას ბრძოლის ჭექა-ქუხილმა, გვრგვინვამ ჩაუდგა სული... მას მაშინ შეუყვარდა ქუჩა, როცა იგი ბრძოლის ასპარეზად იქცა და სისხლითა და ოფლით შეიღება. ბრძოლით გატაცებულმა ქუჩიშვილმა მას ჰიმნები შეუთხზა. დამ-შვიდებული, ნორმალური მდგომარეობა მას არანორმალურ მოვ-ლენათ მიაჩნია, იმდენად შეეთვისა და შეექსოვა იგი ბრძოლის სუ-რათს“ (გაზ. „კოლხიდა“, 20, 1912).

გ. ქუჩიშვილის ნებისმიერი ლექსი არის პროტესტის დეკლარა-ცია, ბრძოლის ჟინით ანთებული მანიფესტანტის განაცხადი. ამი-ტომ მისი „ალიონის“ პერიოდის პოეზია განსაკუთრებული ბრძო-ლისუნარიანობით გამოირჩევა. თუ ადრეულ ნაწარმოებებში სუ-ლიერი მოქანცულობა, სევდა და კაეშანი იგრძნობოდა, „ალიონის“ პერიოდში გ. ქუჩიშვილის ლექსები უფრო დიდი ვნებათაღელვით და ოპტიმიზმითაა სავსე:

„საქართველოს მზე ამოდის, თენდება!

თავს იყრიან დაქსაქსული ძალები!

დაფლეთილი ერის გული თენდება!

მისრულდება ნატვრა იდეალები!“ (209)

გ. ქუჩიშვილს კარგად ესმოდა ქართველების გაყოფის, დაქ-საქსის და დანაწევრების საფრთხე. იგი შიშობდა, რომ სხვა გამო-იყენებდა საქართველოში არსებულ სიტუაციას და თანამებრძო-ლებს გაერთიანებისკენ მუდმივად მოუწოდებდა:

„მოდით, შეკრბით, ჩემი ქვეყნის ერთგულწო ძენო,

კმარა დაქსაქსვა! ერის ნებით, ერის სახელით,

ბრძანებასა ვცემ: „საქართველოვ გაერთიანდი!“ (198)

„ალიონის“ ავტორები ძირეულად განსხვავდებიან სოციალის-ტთა მეორე ფრთისაგან „ერთობელებისაგან“. „ალიონი“ უფრო ფხიზლობს და დარაჯობს ცხოვრებას, სვამის უამრავ კითხვას. „ალი-ონელების“ გადაწყვეტილება საქართველოს გათავისუფლების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებაა და, „ერთობისგან“ განსხვა-ვებით, იგი 26 მაისის აქტს ზეიმობს.

* * *

სერგო ყურულიშვილი წერილში „საქართველოს ბედი“ წერს: „ამ მსოფლიო ომის ქარტეხილში, ამ სისხლის ზღვათა ღელვაში და ცეცხლის ალში გამოიჭედა საქართველოს დამოუკიდებლობა, პოლიტიკურმა მსვლელობამ და მისგან გამომდინარე მდგომარეობამ წარმოშვა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ფორმა და მისცა მას რეალური, მტკიცე და სავსე არსებობის სახე. 26 მაისი თქრის ასოებით უნდა ჩაიწეროს საქართველოს ცხოვრების პირველ ფურცელზე“ (219).

სერგო ყურულიშვილი გაბედულად და პირდაპირ საუბრობს ბოლშევიზმზე, როგორც შავ ძალაზე. ავტორი ფხიზელი თვალით ადევნებს თვალ-ყურს საქართველოს მტრების საქმიანობას და აღმფოთებას ვერ მაღავს. მისი ლიტერატურული წერილები დროის შუაგულში მყოფი პიროვნების აფორიაქებული განცდებითაა სავსე:

„თავისუფლების თბილი სხივები უხვად მოეფინა საქართველოს გულ-მკერდს და დაადნო საუკუნოებით გაჭედილი მისი მონობის ბორკილები. თავისუფლად ამოისუნთქა განახლებულმა საქართველომ და მზით მოწყურებული ხარბად დაეწაფა მის მაცოცხლებელ სხივებს.

მაგრამ ეს მხოლოდ წამით იყო...

ცა მოიღრუბლა, ცა დამძიმდა.

მის უფერულ ცაზე გამოჩნდა შავრაზმელთა ჯარი ბოლშევიკებისა და მახვილი საკუთარ თავის მშობლისკენ მიაღერებინა...

ლენინ-ტროცკიმ თავის უგვანო დემაგოგით დაღუპა რუსეთი და მისი ბრწყინავი, შარავანდედით მოსილი მომავალი... ჩვენმა დემოკრატიამ უნდა ძირისვიანად აღმოფხვრას ლენინის მიმდევარნი ჩვენში, რომლებმაც ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტის დროს აღმართეს ძმათა შორის ბრძოლის და ანარქიის დროშა“ (213).

ავტორი შიშობს და წინასწარმეტყველებს 1921 წლის თებერვლის მოვლენებს.

ზოგადად, „ალიონის“ ტონი ჰეროიკულია. „ალიონელები“ დარწმუნებულნი არიან, რომ „გმირი მარტო ის როდია, ვისაც ალაფრთოვანებს გამარჯვება. გმირია ისიც, ვისაც დამარცხებაც არ გასტეს“.

„ალიონის“ პუბლიცისტურ-ლიტერატურულ წერილებში საქართველოს გათავისუფლების პროცესი აისახა მეტად მღელვარედ და შთამბეჭდავად. „ალიონელები“, თუმცა ისინი სოციალისტური ბანაკიდან მოდიან, მგზნებარედ იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. სოციალ-დემოკრატების „ალიონის“ ჯგუფის საბოლოო გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ გაზეთ „ალიონის“ დიდი დამსახურებაა.

IV თავი

1917-1918 წლების გაზეთი „ერთობა“ საქართველოს თავისუფლების შესახებ

გაზეთ „ერთობის“ პირველი ნომერი ვლადიმერ ბობოხიძის რედაქტორობით გამოვიდა 1917 წლის 15 მარტს. როგორც ცნობილია, იგი მენშევიკების ორგანოს წარმოადგენდა. გაზეთი იყო „თანამედროვე აზრის“ გაგრძელება და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების ორგანო. სათაურის ზემოთ გაზეთს ამშვენებს წარწერა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ და ლოზუნგი: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

გაზეთი მიესალმა 1917 წლის თებერვლის რევოლუციას და მხარი დაუჭირა დროებით მთავრობას.

საინტერესოა გაზეთის პირველი ნომრის მონინავე სტატია, რომელშიც „ერთობის“ რედაქცია თავის მიზნებსა და სურვილებს ამცნობს საზოგადოებას: „ჩვენი „ერთობა“, რომელიც დღეს იწყებს გამოსვლას, გაასკეცებულის ენერგიით ემსახურება მებრძოლ პროლეტარიატს, რევოლუციონური ჯარისა და გლეხკაცობის ერთობას. გაუმარჯოს რევოლუციის მედროშე მებრძოლ პროლეტარიატს. გაუმარჯოს რევოლუციის ცეცხლით ანთებულ ჯარსა და გლეხკაცობას. გაუმარჯოს ამ უძლეველ ძალთა ერთობას“ (223).

„ერთობაში“ წერილების უმრავლესობა ანონიმურია. პირველივე ნომრებიდან ირკვევა, რომ გაზეთის რედაქციას საქართველოს თავისუფლების საკითხი ნაკლებად აღელვებს, იგი ერთიანი რუსეთის მეხოტბეა, ამიტომაც აქ ნაკლებად იხილავთ მასალებს, რომლებიც საქართველოს მდგომარეობას ეხებოდეს, სამაგიეროდ ბევრ ინფორმაციას იძლევა იგი პეტროგრადისა და რუსეთის სხვა

რეგიონების მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული საკითხი „ერთობას“ არც აინტერესებს და არც აღელვებს. პირიქით, აკრიტიკებს ყოველ აზრს, რომელიც კი საქართველოს თავისუფლებას ეხება. ასეთი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმრავლესობის მისწრაფება და გაზეთიც მათი შეხედულების გამომხატველად გვევლინება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – გაზეთი „ერთობა“ ეროვნული საკითხის უარყოფით, კრიტიკითა და ქილიკით მივიდა 1918 წლის 26 მაისამდე. უფრო მეტიც, სწორედ ამ გაზეთის მესვეურებმა გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

გაზეთი უკმაყოფილოა ქართველი ნაციონალისტების მოქმედებით და წერს: „ქართველმა ნაციონალისტებმა ვერაფერი ისწავლეს. ისინი საქმით მუდამ ებრძოდნენ რუსეთის რევოლუციას და მთელ თავის იმედებს დიპლომატიურ კომბინაციებზე ამყარებდნენ. მათ რუსეთის ხალხი კაი ხანია დაასამარეს და შინაური ძალებით განახლების იმედი სავსებით დაკარგეს. რასაკვირველია, რომ რუსეთის დიდმა რევოლუციამ მათ თავზარი დასცა და დავთარი აუბნია; რუსეთში ახალი წყობილების განმტკიცება მათ ოდნავ არ აინტერესებს.

რევოლუციამ უნდა გადაჭრას როგორც აგრარული, ისე ეროვნული საკითხიც... ქართველ ნაციონალისტებს რუსეთის რევოლუციის ბედი ფეხებზე ჰკიდიათ, საქართველოს საკითხს უტრიალებენ და დღიდან თავისუფლების გამოცხადებისა, ეროვნული საკითხის გადაჭრას შეუდგნენ. ეროვნული საკითხის გადაჭრას ელტვიან, ხოლო ქართველ ერს ახალ ბორკილებს უმზადებენ. ამიტომაც არის, ამ გზით სოციალ-დემოკრატია ვერ ივლის“ (223).

გაზეთი საჭიროდ თვლის ამიერკავკასიის ყველა ერის წინასწარი თათბირის გამართვას და საერთო ეროვნული პლატფორმის გამომუშავებას. „ერთობისთვის“ ეროვნული ბრძოლა რუსი ერის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს და დასძენს: „დემოკრატია და ნაციონალიზმი ერთად ვერ თავსდება. ჩვენ ვემხრობით დემოკრატიას და ვებრძვით ნაციონალიზმს“ (224).

გაზეთი ფედერალისტების პარტიას უწოდებს გაკოტრებული თავადების, მღვდლებისა და შოვინისტური ინტელიგენციის ლაშქარს, რომელიც ცდილობს გამოიყენოს ფრაქციათა დავა (სოც. დემოკრატებსა და „ალიონის ჯგუფს“ შორის – რ.ვ.): „რანაირი სხვა-დასხვა შეხეძულებაც სუფევდეს სოციალ-დემოკრატიაში – ერთი დღესავით ნათელია: ჩვენ – ყველანი განურჩევლად ფრაქციისა ნა-ციონალისტების წინააღმდეგი ვიქნებით“ (იქვე).

როდესაც ნოე უორდანია მუშათა და გლეხთა საბჭოების დეპუტატთა ყრილობაზე ეროვნული საკითხის შესახებ მოხსენებით გა-მოვიდა და კულტურული ავტონომია აღიარა, გაზეთმა თანდათან დაიწყო მსჯელობა ეროვნული პრობლემების თაობაზე და აღნიშნა, რომ რუსეთის რევოლუციამ ერთა თვითგამორკვევის უფლება აღიარა.

„ერთობა“ ნაციონალისტებს აბრალებს ეროვნული შუღლის გამწვავებას და „უმანკოთა სისხლისლვრას“. იგი გაკვირვებულია, რომ ნაციონალისტებმა რევოლუციის ხანაშიც ვერ „ისნავლეს“ ჭკუა და გათიშვისა და განანილების პოლიტიკას ანარმოებენ. უკრაინის ინტელიგენცია დამფუძნებელ კრებამდე მოითხოვს უკრაინის ავტონომიასა და ფედერაციულ საფუძველზე დამოუკიდებელი რესპუბლიკის აშენებას. ასეთსავე დამოუკიდებლობას მოითხოვენ ლიტვა, ლატვია, საქართველო და სხვ.

საინტერესოა ლევან ნათაძის პასუხი გაზეთ „ალიონისადმი“, რომელშიც ავტორი აყალიბებს მკვეთრ განსხვავებას პარტიის დაჯგუფებებს შორის და მიუთითებს სოციალ-დემოკრატა ერთი ნაწილის, კერძოდ, „ერთობელების“ მისწრაფებასა და მოქმედებაზე: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ის გზა, რომლითაც „ალიონს“ უნდა ჩვენი ნაყვანა (იგულისხმება ტერიტორიული ავტონომია – რ.ვ.), სრულებით არ ვარგა, სახიფათოა... ჩვენი პარტია არსებითად ინტერნაციონალური ორგანიზაციაა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიაში ქართველობა სჭარბობს, იგი, როგორც დაწესებულება, ქართული არ არის... ჩვენ ჩვენი პოზიცია შევინარჩუნეთ და დავრჩით რუსეთის პარტიის ნაწილად, არა-ნაციონალურ პარტიად. მას ნებაც

არა აქვს მარტო ერთი რომელიმე ერის ინტერესების დაცვას და-ადგეს იმისთანა საკითხებში, რომელიც ყველა ერებს ერთნაირად შეეხება“ (225).

ლევან ნათაძე ეწინააღმდეგება ი. იმედაშვილსა და ივ. გომარ-თელს, რომლებიც მოითხოვენ ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსებას. ლ. ნათაძე აკრიტიკებს „ალიონისტთა“ პლატ-ფორმას ნაციონალურ საკითხში: „ტერიტორიალურ ერებს ეროვ-ნულ-ტერიტორიალური ავტონომია, უტერიტორიო ერებს – ეროვ-ნულ-კულტურული ავტონომია“.

ლ. ნათაძე უყურადლებოდ არ ტოვებს არც ლ. ქიაჩელს, რო-მელსაც „ქართველი ერი რაღაც განსაკუთრებულ ერად ჰყავს წარ-მოდგენილი“, რომლისათვისაც ქართველი ხალხის წარსული შარა-ვანდედითაა მოსილი. ზოგადკაცობრიული იდეალებისთვის ჩვენ ბევრი ადამიანი გაგვინირავს და ამიტომაც ასეთ ლირსეულ ხალხს ფართო თავისუფლება უნდა მიენიჭოს და სოციალ-დემოკრატთა ყრილობამ უნდა აღიაროს ქართული ერის უფლებამოსილება სა-ქართველოს ტერიტორიაზე“ (იქვე).

შალვა ნუცუბიძე აკრიტიკებს მარქსის თეორიას, რასაც გაზე-თი „ერთობა“ აღშფოთებით ხვდება. ნუცუბიძის აზრით, კაპიტა-ლიზმი თანდათან ვითარდება, ძლიერდება, ლახავს ვიწრო ნაციო-ნალურ საზღვრებს და მსოფლიოს ეპატრონება. გაზეთი ქართველი მეცნიერის შეხედულებას „კოჭლს“ ეძახის: „ნუცუბიძე მთავარ როლს ინტელიგენციას აკუთვნებს. ნუცუბიძის შეხედულებით კერძო მესაკუთრე გლეხი მდგომარეობითაც და შეგნებითაც სო-ციალისტია, ე.ი. კერძო საკუთრების წინააღმდეგი, ხოლო პროლე-ტარი კი, რომელსაც კერძო საკუთრება არ გააჩნია, არა. კომუნის-ტურ მანიფესტში სწერია: მდგომარეობა ქმნის შეგნებასო. პროლე-ტარის მდგომარეობა პროლეტარულია, მაშასადამე მისი შეგნებაც პროლეტარულია და არა სოციალისტურიო, დაასკვნა ლექტორმა, დასკვნაც ასეთი უნდა!“ (226).

„ერთობა“ აკრიტიკებს მეცნიერის მეორე შეხედულებასაც, რომ რევოლუციის წარმოშობაში მთავარ როლს ასრულებდა ნაცი-

ონალური იდეა; რომ რუსეთში თანდათან ვრცელდებოდა ფედერა-
ციული რესპუბლიკის მოთხოვნა, რომელიც კადეტებმა უკანას-
კნელ ყრილობაზე წამოაყენეს და რასაც მოითხოვენ სოციალისტ-
რევოლუციონერები და გლეხთა ყრილობა; რომ ნაციონალური სა-
კითხის გადაჭრაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ ერთა თვითგა-
მორკვევის პრინციპით, ე.ი. თითოეულმა ერმა თავად უნდა გადაჭ-
რას თავისი ბედი და „არა ტამბოველი გლეხი ახვევდეს თავის სურ-
ვილებს მას თავზე“ (იქვე). გაზეთის მიხედვით: „კარგად ხედავენ
ფედერალისტები, რომ ქართველი ხალხი წინააღმდეგია ფედერა-
ლიზმისა, მაგრამ მათი „ახალი კაცი“ ნუცუბიძე აცხადებს, მართა-
ლია ჩვენს მოძღვრებას ქართველ ხალხში გასავალი არა აქვს, ქარ-
თველი ხალხი არ მოითხოვს ავტონომიას, მაგრამ ჩვენს იმედებს ის
გარემოება ასხავს ფრთებს, რომ პეტროგრადიდან ჩამოუტანენ მას
(ქართველ ხალხს) ფედერაციულ კონსტიტუციასო... ასე ესმით ფე-
დერალისტებს ერთა თვითგამორკვევის უფლება!“ (იქვე).

გაზეთის მსჯელობა ცალმხრივია. რაშიც კიდევ უფრო დავ-
რწმუნდით, როცა ფედერალისტების ორგანოს, „სახალხო საქმეს“
გავეცანით.

ახლა ისევ „ერთობას“ მივყვეთ. ქართველი ხალხის საკითხის
ცალკე საკითხად გამოყოფის წინააღმდეგ ილაშქრებს სოციალ-დე-
მოკრატი ლ. ნათაძე და იგი ედავება „ალიონისტთა“ ჯგუფს, კერ-
ძოდ, ლ. ქიაჩელს: „ყველა სახელმწიფო არ არის სუვერენული, მა-
გალითად შვეიცარიის კანტონები ან აშშ-ს ცალკე შტატები სახელ-
მწიფოები არიან, მაგრამ სუვერენიტეტი არა აქვთ. თუ თქვენ სა-
ქართველოსთვის სუვერენიტეტი გინდათ, თქვენ ყველა ქართველ
შოვინისტებზე შორს წასულხართ, რადგან ეს აშკარა სეპარატიზ-
მია. საქართველოს სუვერენიტეტის აღიარება ნიშნავს საქართვე-
ლოს სრულ გამოყოფას სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ,
მე ვიცი, ამხანაგო, ლ. ქიაჩელო, სეპარატისტი თქვენ არა ხართ,
ამიტომ თქვენ უკან უნდა წაიღოთ თქვენი სიტყვა „უფლება-მოსი-
ლობის შესახებ“... ლ. ქიაჩელს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი სურ-
ვილი, რომ საქართველო უფლებამოსილი იყოს. იგი მიწის საკითხ-

ზე წერს: „თუ ვიტყვით, მაგ. აგრარული კითხვა რუსეთში მხოლოდ რუსეთის ხალხის საქმეა და სხვისი არავისი, ინტერნაციონალიზმს არ ვდალატობთ; მაგრამ როგორც კი ვიტყვით: აგრარული კითხვა ჩვენში მხოლოდ ჩვენი საქმეა და სხვისი არავისი, – უთუოდ ვცოდავთ ინტერნაციონალიზმს“. ამ სიტყვებით სარწმუნო ხდება, რომ „ალიონისტების“ „უფლებამოსილება“ სუვერენიტეტი მარტო წამოცდენილი სიტყვა კი არ არის, ისინი საქმითაც ახორციელებენ მას, თუმცა, იმედია, შეუგნებლად; ლ. ქიაჩელმა უნდა აიღოს ხელი საქართველოს სუვერენობაზე ან აღიაროს, საქართველოს ავტონომია კი არა, ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფა მინდაო“ (227).

ლევან ნათაძე იმ პერიოდში გაზეთ „ბორბას“ რედაქტორი გახლდათ და, ცხადია, მისი დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობაზე უარყოფითი იქნებოდა. ამიტომაც, გაზეთი „ერთობა“ ადგილს უთმობს ნათაძის კრიტიკულ მოსაზრებებს. თუმცა, „ერთობას“ საეჭვოდ მიაჩნია დამფუძნებელ კრებამდე ნაციონალური საკითხის ფართოდ წამოყენება, რაც, მისი აზრით, რუსეთის კონტრრევოლუციური ძალების ამოძრავებას დააჩქარებს და რევოლუციის გაღრმავებას ხელს შეუშლის (228).

დროებითმა მთავრობამ დაითხოვა „ფინლანდიის სეიმი“, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამიტომაც „ერთობა“ შიშობს ეროვნულ-დემოკრატების მოთხოვნამ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რევოლუციას საფრთხე არ შეუქმნას.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ქართული პრესა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა, „ერთობა“ კი ამ ფაქტსა და მის მეხოტბებს არაფრად აგდებს:

„ჩვენი მამულიშვილების და ნაციონალისტების გაზეთები სიხარულით და ზეიმით ეგებებიან ამ ვითომდა დიდ ნაციონალურ მოვლენას... მათ ამ ეკლესიის აღდგენაში ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების აღდგენა ეჩვენებათ, მისი ავტონომიური არსებობის განხორციელებას ხედავენ. ეკლესია თავისუფალია, ეკლესია დამოუკიდებელია, ეკლესია დემოკრატიულია, გაიძახიან ყოველი ფეხის გადადგმაზე თვით სასულიერო წოდების პირნი და მათი

ამყოლ-დამყოლნი. მართლა თავისუფლების და დემოკრატიზმის გამომხატველია დღეს ქართული ეკლესია, ან ასეთი დარჩება იგი მომავალში? ამ კითხვებზე ჩვენ უარყოფითი პასუხით უნდა ვუპასუხოთ“ (230).

„სკინიდისის საქმე ისევ პოლიტიკურ ანგარიშს ემსახურება“ – წერს „ერთობა“ და დასძენს, რომ „იგი არ შეურიგდება არც ქართული ეკლესის პოლიტიკურ მიზნებს და პოლიტიკურ საქმეებში ჩარევას. იგი კვლავინდებურად ენერგიულად განაგრძობს ბრძოლას სარწმუნოებრივი ბურუსის წინააღმდეგ და შეეცდება ხალხს იმ-ქვეყნიური დაპირებების ნაცვლად, გზა უჩვენოს ამქვეყნიური ბედნიერებისაკენ“ (იქვე).

მსგავსი განხილვა ეკლესის როლისა არ უნდა იყოს გასაკვირი ათეისტებისაგან: „ერისთვის ერთი რწმენის, როგორც „ეროვნული“ რწმენის თავზე მოხვევა – მხოლოდ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება და არა სინიდისის თავისუფლებას. ეს იგივე ოფიციალური ეკლესის არსებობაა და ამას ვერწინააღმდეგებით ჩვენ“ (231).

ასეთი იდეოლოგიის გაზეთს, იმედია, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი არ ესმის, მაგრამ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ზოგჯერ იძულებული ხდება, იმსჯელოს ერთა თვითგამორკვევის შესახებ. რუსეთის სხვადასხვა კუთხებიდან ისმის გაუთავებელი მოთხოვნები რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკად ჩამოყალიბების შესახებ. უკრაინის ძალა, კიევში გამართული ნაციონალური პარტიების ყრილობა, ციმბირის საოლქო ყრილობა, ყაზახები და სხვა ყველანი მისიწრაფვიან ფედერალიზმისაკენ, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს წინათ არსებული რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნას და შემდეგ მათ შორის ფედერაციული კავშირის დამყარებას. გაზეთისთვის, რა თქმა უნდა, გაუგებარია მსგავსი მოთხოვნა: „სურვილი – მსხვერპლი არ გაიღონ საზოგადო სახელმწიფოებრივ მიზნისთვის, სურვილი – ცალკე გამოყოფის, საკუთარ საქმეების კეთება – აი, რა უდევს საფუძვლად ფედერაციისათვის ან ფართო ავტონომიისთვის მრავალ მისწრაფებას... ხელსაყრელი არ არის რუსეთის ნაწილ-ნაწილად დაყოფა.

ასეთი დაყოფა შეასუსტებდა პროლეტარიატის ძალას და შეაფერ-ხებდა რუსეთის ეკონომიურ განვითარებას“ (232).

კავკასიაში მოქმედმა რევოლუციურმა პარტიებმა საგანგებო კომიტეტის ეროვნული პრინციპის მიხედვით შედგენა უარყვეს და მიღეს სოციალური წარმომადგენლობის პრინციპი. „ერთობა“ თვლის, რომ ეროვნული პრინციპით მთავრობის შედგენა ერთა ქიშ-პობას, დაუსრულებელ დავას გამოიწვევს. რუსეთის რესპუბლიკა თუ დაინგრევა, მის ქვეშ გაისრისება საქართველოს ინტერესები. გაზეთისთვის მიუღებელია 1848 წლის ავსტრიის რევოლუციის გზა.

ეროვნული საკითხი „განსხვავებული ქვეყნის სახელმწიფოებრიობით“, „ერთობისთვის“ ეკლექტიკური შეხედულებაა, „მაგრამ ფედერალისტებს და ნაციონალ-დემოკრატებს ეს ასე არ ესმით. ისინი ყველაფერს ებლაუჭებიან, რასაც ქართული სახელი ენოდება, თუნდაც ის მუწუკი იყოს ქართველ ხალხის და არა საღი ნაწილი“, ფიქრობს გაზეთი (233).

გაზეთი აქვეყნებს პარტიის საარჩევნო პლატფორმას, სადაც მესამე საკითხად ნაციონალური საკითხია შეტანილი: „სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ეცდებიან განამტკიცონ სახელმწიფოს მთლიანობა და ამავე დროს მოითხოვენ მიეცეს ფართე თვითმმართველობა, აგრეთვე ავტონომია იმ ერებს, რომელნიც განსხვავდებიან ეკონომიურათ ან ზნე-ჩვეულებებით. ამ თვითმმართველ ერთეულთა ტერიტორია განისაზღვრება რეალურად მოსახლეობის მიხედვით“ ... (იქვე).

ქართველებს ისინი ეროვნულ უმცირესობად თვლიან და კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობით აკმაყოფილებენ. გაზეთს აღიზიანებს ქართველ ნაციონალისტთა მოქმედება და მათ გზას ავანტიურისტულს უწოდებს.

როცა გაზეთმა „სახალხო საქმემ“ რუსეთის რევოლუციის ხსნის ერთადერთ გზად ეროვნული თავისუფლების საკითხი აღიარა, „ერთობა“ განიწმატებით გაპეივის: „მაშ აგრარული საკითხი გადაჭრილა, მაშ მუშათა საკითხი აღარ ყოფილა, მაშ კლასთა ბრძოლას არ ჰქონია საფუძვლად რევოლუცია, ან იგი გამქრალა და

დარჩენილა მხოლოდ ეროვნული ბრძოლა და ინტერესები, იგიც მხოლოდ დაჩაგრულ ერებში. ასეა არა, ბრძენო პოლიტიკოსები! მხოლოდ ყველა ერის ნაციონალისტთა ბედზეა დარჩენილი რუსეთის რევოლუციის ბედი? დაშნავ ციუტიუნს, ფედერალისტებს, თათრის და უკრაინის ნაციონალისტებს – აი ვის უნდა დაეყრდნოს თურმე რევოლუცია“ (240).

გაზეთი ეროვნული ყრილობის ფაქტსაც ულიმღამოდ შეხვდა. „ერთობა“ ბრალს სდებს ნაციონალისტებს ყრილობის შინაარსის „გაყალბებაში“, და მიაჩინა რომ ისინი ეცდებიან, მას დამფუძნებელი კრების ხასიათი მიეცეს და ნაციონალური პრობლემები გადაიჭრას.

ეროვნული ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. გაზეთი თითქოს არ ელოდა მსგავს ერთსულოვნებას და აკრიტიკებს გრ. რობაქიძის აზრს („ერი, რომელიც ჰქმნის ასეთს ერთსულოვან ყრილობას, „თავისუფალია“) და მას „მცონა-რე ინტელიგენციის ფილოსოფიას“ ეძახის (235).

გაზეთმა იმთავითვე უარყო 1917 წ. ოქტომბრის რევოლუცია. იგი წერს, რომ ბოლშევიზმმა გამოაჩინა ნამდვილი სახე, იგი საბოლოოდ ჩამოშორდა დემოკრატიზმს და ანარქიზმის საბრძანებელში მოიკალათა, საბოლოოდ გამოეთხოვა სოციალ-დემოკრატიას და თავზე ხელაღებულ ავანტიურისტთა სათამაშო მოედნად იქცა. მან დაჰკარგა ყოველივე დადებითი, რაც რამ ებადა და ერთ დიდ უარყოით, დამრღვეველ, გამხრწნელ მოვლენად მოგვევლინა.

რუსეთის მთლიანობა ირღვევა, „ერთობა“ ნელ-ნელა რწმუნდება, რომ საქართველოს გამოყოფა არ არის მხოლოდ მიუწვდომელი ოცნება. დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ ქართველი ხალხის წინაშე იშლება ახალი პერსპექტივა, სრულიად თავისუფალი იმ ცრუმორნმუნეობისაგან, რომელიც ბედნიერებას ეკონომიკურ და პოლიტიკურ სუბორდინატში ხედავდა, იწყება ახალი ხანა ერების აღორძინებისა. „ერთობას“ არ სწამს „საქართველოს“ აზრი ერის აღორძინების შესახებ და წერს: „ნეტა რამდენი ხანია მას შემდეგ, როცა „საქართველო“ შავრაზმელ თავადებს ესარჩლებოდა

და მიწების ჩამორთმევის წინააღმდეგ ქვეყანას აყრუებდა. ალბათ ერი მემამულების მუქთახორათა გროვას ეწოდება“ (236).

გაზეთი ირონიით უყურებს ფედერალისტების საქმიანობასაც და იძახის, რომ ფედერალისტებმა ნაციონალური დროშა ააფრია-ლეს და ძლიერი ბურუუაზიული სახელმწიფოს შექმნა განიზრახე-სო. „ტყუილად კი არ მოუწოდებდა ამ რამდენიმე დღის წინათ „სა-ხალხო საქმეში“ თედო ღლონტი ქართველ მუშებს – დაივიწყეთ თქვენი ინტერესები, დიდ ქირას ნუ მოითხოვთ, თორემ სამშობლოს წარმოება ამას ვერ აიტანსო. ფედერალისტების მამამთავარი, გან-სვენებული არჩილ ჯორჯაძე, რომელიც დღეს მათი პარტიის წმინ-დანათ ითვლება, ყველა კლასების გაერთიანებას ითხოვდა ეროვ-ნული დროშის გასაძლიერებლათ. ამისთვის დამფუძნებელი კრება მკვდრათ გამოაცხადეს და მის დამარხვას შეუდგნება“ (237).

„ერთობა“ ამბობს, რომ ის ერთი წუთითაც არ ივიწყებს ერს. ერი – ეს მუშათა კლასი, წვრილი ბურუუაზია და გლეხობაა და სა-ნამ მუშათა კლასის და წვრილი მოქალაქის ცხოვრების პირობები არ გაუმჯობესებულა, სანამ გლეხს არ მიუღია მიწა და თავისუფ-ლება, მანამდე შეუძლებელია სხვა რამეზე ზრუნვა. ზემოთ თქმუ-ლის განხორციელება კი ერთი დემოკრატიული ფრონტის შემწეო-ბით შეიძლება. ფედერალისტთა იდეალს, რომ ჯერ ერი უნდა ჩამო-ყალიბდეს და შემდეგ ფედერაცია შეიქმნას, გაზეთი არ ეთანხმება და ცენტრალიზმს იცავს. „ცენტრალიზმი სრულებით არ ნიშნავს ეროვნულ ჩაგვრას, რადგან სხვაა ცენტრალიზმი ბიუროკრატიული და სხვა ცენტრალიზმი დემოკრატიული“ (იქვე).

მოსკოვში ლენინის ავანტიურა მძვინვარებს, სოციალ-დემოკ-რატების იმედს – დამფუძნებელ კრებას – ნიადაგი გამოეცალა. მათ დაიწყეს ფიქრი ამიერკავკასიის სეიმის შექმნაზე, ხოლო ეროვ-ნულ საბჭოებს მხოლოდ კულტურული საქმეებისთვის აარსებენ. ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებასაც არსებული მდგომარეობით ხსნიან.

სტატიაში „ეროვნული მთავრობა“ გამოკვეთილია, თუ როგორ არ ესმოდათ ერთმანეთის საქართველოში არსებულ პარტიებს. გა-

ზეთი ილაშქრებს ეროვნული მთავრობის შექმნის წინააღმდეგ: „დემოკრატიას უნდა საერთო მთავრობა, მისი ინტერესები მთლიანობისკენ მიისწრაფვიან. ნაციონალისტებს კი უნდათ ცალ-ცალკე მთავრობები. მათი ინტერესები გათიშვისკენ მიიღება. ეროვნება და ეროვნული მთავრობა – აი, მათი ხატი, მათი ღვთაება, ყოვლისშემძლე, ყოვლის განმკურნავი“ (238).

ავტორი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ არსებულ ისტორიულ ხანაში პატარა ერების ბედი მეტად უნუგეშოა. გამზვავებულ ბრძოლაში, რომლებსაც დიდი სახელმწიფოები ანარმოებენ ერთმანეთს შორის ბაზრების მოსაპოვებლად, ასეთი ერები ადვილად ხელნამოსაკრავი ერთეულებია, რომელთა ბედს მათ დაუკითხავად ერთი კალმის მოსმით წყვეტენ. ასე გადაწყვიტეს ევროპის დიპლომატებმა ბალკანეთის სახელმწიფოების ბედი, ასე გადაჭრეს კავკასიის ერების მომავალიც ბრესტ-ლიტოვსკის დახელოვნებულმა მოჭადრაკებმა (იქვე).

ასეთ პირობებში, რაც უფრო დიდია სახელმწიფო ერთეული, მით უფრო ადვილია მისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებულობის შერჩენა, ხოლო რაც უფრო დაქუცმაცებულია იგი, მისი დამოუკიდებელი აღორძინების იმედი მით უფრო დაკარგულია, მხოლოდ ფიქტიურია, თვალის ამხვევია, მოჩვენებითია. გაზეთის აზრით, მთლიანი ამიერკავკასია კიდევ წარმოადგენს რაიმე ძალას, რომელსაც შეუძლია თავისი არსებობა უზრუნველყოს როგორც სამხრეთიდან, ისე ჩრდილოეთიდან. ხოლო, ამიერკავკასია სამ ტერიტორიად დაყოფილი, სამ სუვერენულ სამფლობელოდ დაჭრილი – ეს მხოლოდ მეზობელი დიდი სახელმწიფოებისთვის იოლი გადასაყლაპავი ლუკმა იქნება.

„ერთობას“ მიაჩინა, რომ ნაციონალისტებისთვის ამიერკავკასიის დაქუცმაცება პოლიტიკური მრწამსია, რასაც გაზეთი მხოლოდ გაბატონებულთა კლასობრივი ინტერესების დაცვად წათლავს და იშველიებს აკაკი წერეთლის სიტყვებს: „ამიერკავკასიის ერები ან ერთად გადარჩებიან, ან ერთად დაიღუპებიან“.

მათი აზრით, პოლიტიკური დამოუკიდებლობა ომის ასპარე-

ზად აქცევს ამიერკავკასიას. არც ფედერაცია მოიტანს ნამდვილ თანხმობას. „ერთობას“ საუკეთესო ფორმად მიაჩნია ავტონომიური ერთეულების (კანტონების) შექმნა და ერთი ცენტრალური მთავრობის არსებობა. ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი უმწვავესი საკითხია, რომელმაც შეიძლება საყოველთაო ომი გააჩაღოს.

დ. ონიაშვილი სტატიაში „ომი თუ ზავი?“ მსჯელობს რუსეთისა და ოსმალეთისკენ ორიენტაციაზე. როდესაც ესა თუ ის ერი ირჩევს რომელიმე ორიენტაციას, აშკარაა ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, თუ რამდენად სასარგებლოა ეს ნაბიჯი მისთვის. ძველი რუსეთი ისტორიას ჩაბარდა, ახალი კი ჯერჯერობით არ ჩანს, მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა, რომ რუსეთის ნაცვლად მოდიოდეს მეორე სახელმწიფო, უფრო კულტუროსანი და ძლიერი (239).

დ. ონიაშვილი ეკამათება გ. ქიქოძეს, რომელიც გერმანიისკენ ორიენტაციას თავგამოდებით იცავს და ოსმალეთში პარლამენტის არსებობასაც დადებითად უყურებს. ონიაშვილის აზრით, „მარტო პარლამენტით“ არ განისაზღვრება ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური სიმწიფე. „თუ ბატონ გ. ქიქოძეს დავუჯერებთ, „ოსმალეთი უკეთეს შემთხვევაში მოგვცემს დამოუკიდებლობას, ცუდში კი ავტონომიას“. ეს იქნება მაშინ, როდესაც საქართველო შეადგენს საჭირო უფლებებით აღჭურვილ ეროვნულ მთავრობას და დამოუკიდებლად გამართავს ოსმალეთთან ზავზე მოლაპარაკებას. ვარწმუნებთ ბატონ გ. ქიქოძეს, რომ ვერავითარი „ეროვნული მთავრობა“ და „დამოუკიდებელი მოლაპარაკება“ ვერ უშველის საქართველოს, ვიდრე საერთაშორისო მდგომარეობა არ შეიცვლება ჩვენ სასარგებლოდ“ (239).

უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლიდან გაზეთი „ერთობა“ უფრო საინტერესო საკითხავი გახდა, ამასთან იმრავლა პოლიტიკურ-ანალიტიკურმა წერილებმა. რედაქტორი მითითებული არ არის. „ერთობა“ მსჯელობს ქართველ ერზე, ეროვნულ ცნობიერებაზე. რაც ადრე მისთვის მიუღებელი იყო, თანდათან უფრო ინტერესის საგანი ხდება.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება ერთი პი-

რობით მოხდა: ოსმალეთსა და მის მოკავშირეებს – გერმანიას, ავ-სტრიასა და ბულგარეთს უნდა ეცნოთ ამიერკავკასიის დამოუკი-დებლობა და ბათუმ-ყარს-არდაგანზე ხელი აეღოთ. როცა ოსმა-ლეთმა ეს პირობები არ მიიღო, სოციალ-დემოკრატებმა ისევ რუ-სეთთან კავშირი არჩიეს, მაგრამ გაზეთი შეუძლებლად არ თვლის გერმანიასთან კონტრაქტსაც იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ცნობს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას.

სოციალ-დემოკრატიისთვის დამოუკიდებლობის საკითხი არ არის პრინციპული. შექმნილი მდგომარეობის მიხედვით უნდა გა-დაწყდეს: საქართველო ისევ რუსეთის საზღვრებში დარჩება, თუ და-მოუკიდებლად იარსებებს. „ჩვენ პრინციპიალურად სრულს დამოუკი-დებლობასაც კი ვცნობდით შესაძლებლად, არა თუ ავტონომიას, მაგ-რამ იმდროინდელ პირობებში დემოკრატიის დაქსაქსვა მომაკვდინე-ბელ ცოდვად მიგვაჩნდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგაც არ გვიღალატნია ჩვენ ამ გზისთვის... რადგანაც ჩვენ პატარა ერს წარმო-ვადგენთ და დამოუკიდებლად არსებობა არ შეგვიძლია“... (240).

რუსეთმა ზავი შეკრა ოთხთა კავშირთან და ოსმალეთთანაც. ამიერკავკასიას არა აქვს საშუალება საზღვრები დაიცვას, რუსე-თის ახლანდელმა მთავრობამ ომი შეწყვიტა და სრული დემობილი-ზაცია გამოაცხადა. „ერთობა“ თვლის, რომ თუ ასეთ პირობებში ამიერკავკასიამ ომი განაგრძო, იგი აჯანყებულ პროვინციად გა-მოცხადდება, რასაც მოჰყვება ტყვეების მეამბოხეებად შერაცხვა. ამიტომაც რჩება ერთადერთი გზა, ამიერკავკასიის დამოუკიდებ-ლობა. „ჩვენ ახალ ორიენტაციას უბრძოლველად არ მივიღებთ, ვიბრძოლებთ იმ დრომდე, ვიდრე ჩვენს ახალ ორიენტაციას ძლიე-რი და კულტურული სახელმწიფო არ გამოესარჩლება და მისი უზ-რუნველყოფის გარანტიას არ მოგვცემს... მივემხრობით იმას, ვინც ჩვენს არსებობას უზრუნველყოფს და ჩვენი პერსპექტივა, ჩვენი მომავლის ხსნაც აქეთ არის“ (241).

დ. ონიაშვილის თქმით, ორიენტაციის შეცვლა უბრალო პოლი-ტიკური საკითხი კი არ არის, არამედ სულიერი განცდაც.

9 აპრილს სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აქტი მი-

იღო. „ძნელი იყო ასეთი ნაბიჯის გადადგმა, ერთობ მჭიდრო იყო ჩვენი კავშირი რუსეთის რევოლუციონურ დემოკრატიასთან, მაგრამ საუბედუროდ დღეს ეს დემოკრატია დამარცხებულია და ჩვენც მის დამოუკიდებლად გვიხდება ახალი ცხოვრების მოწყობა. ეს არ არის ჩვენი აზრით ლალატი რუსეთისადმი, ეს არის მხოლოდ მწარე სინამდვილე და ცხოვრების ულმობელი კანონის ცნობა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი გაიგებს ჩვენს მდგომარეობას და ეცდება მეგობრული განწყობილება იქონიოს ჩვენთან“(242).

გაზეთი თვლის, რომ რუსეთი ბოლშევიზმის უსაზღვრო რეაქციის ბანაკად იქცა და რომ შენარჩუნდეს რევოლუციის მონაპოვარი, გადადგმული ნაბიჯი აუცილებელია და საგულისხმო.

„ერთობა“ ერთგვარად თავს იცავს იმ ამხანაგებისგან, რომლებიც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას მარქსის და ენგელსის მოძღვრების წინააღმდეგ ნასვლად თვლიან.

საერთაშორისო სარბიელზე შექმნილმა ვითარებამ, მოვლენათა ცვალებადობამ გაზეთი „ერთობა“ ბევრ რამეზე დააფიქრა. იგი უკვე აღარ უარყოფს, რომ „შესაძლებელია პოლიტიკური და საერთაშორისო პირობები ისე მოეწყოს, რომ ჩვენ ამიერკავკასიის დანაწილებაც მოგვიხდეს და საქართველოს ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებას დაუჭიროთ მხარი“(243).

მიუხედავად ამ სიტყვებისა, გაზეთი სასარგებლოდ არ მიიჩნევს კონფედერაციულ მოწყობას და უკვე ფედერაციისკენ იხრება. კონფედერაციის ის ტიპი, რომელიც სესეციის უფლებას გულისხმობს, „ერთობისთვის“ მიუღებელია.

მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოების ტენდენცია არ მოსწონს გაზეთს, რადგან ეს ტენდენცია შლის ფედერაციულ კავშირებს და წარმოქმნის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. გაზეთის აზრით, ქართული სოციალ-დემოკრატია ერიდებოდა ძალთა დაქსაქსგას. როცა რუსეთის რევოლუცია ცოცხლობდა, რუსეთის საზომით მუშაობდნენ, როცა რუსეთი დაიშალა, გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და იურიდიულად ჩამოშორდნენ რუსეთს. მათი სურ-

ვილი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის ჩარჩოებში მაინც შენარჩუნებულიყო ერთი მთლიანი დემოკრატიული ფრონტი, „მაგრამ დღეს, როგორც ეტყობა, პირობები იცვლება და ჩვენც გარემოების მიხედვით უნდა შევცვალოთ ჩვენი მოქმედება, თუ ჩვენ დღემდის თავგამოდებით ვიცავდით ამიერკავკასიის მთლიანობას, დღეს შეიძლება გარემოებამ გვაიძულოს ცალკე მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება... მთლიანობა არ იყო ჩვენი უინიანობის შედეგი, ის გამომდინარეობდა ჩვენი დემოკრატიული პრინციპებიდან“ (246).

რუსეთიდან ბოლშევიკური მუქარა ისმის, ოსმალეთი საქართველოს დაპყრობაზე ოცნებობს. გერმანია თავის ინტერესებს იცავს და ამ ძალთა შორის მოიაზრება საქართველო.

„ერთობა“ ისევ უბრუნდება რუსეთთან ჩამოშორების ფაქტს, რომელიც გამოიწვია რუსეთის მიერ ბრესტში საქართველოს საარსებო ინტერესების უარყოფამ, ხოლო როცა ოსმალეთის საფრთხისგან დახმარება სთხოვეს რუსეთს, მან მუქარით განაცხადა, ქვას ქვაზე არ დავტოვებო, თუ კომისართა საბჭოს მთავრობას არ მიიღებთო. კომისართა საბჭო კი ნიშნავდა სოციალისტური ექსპერიმენტების განმეორებას, რამაც თავად რუსეთი დაღუპვამდის მიიყვანა, მისი ეკონომიკური ცხოვრება აწენა და ბარბაროსულ ხანას დაუბრუნდა. „ჩვენ საბოლოოდ უნდა გამოვეთხოვოთ რუსეთთან დაბრუნებაზე ფიქრს... მომავალში ჩვენ შეგვიძლია მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ რუსეთთან, თუ, რასაკვირველია, გარეშე ძალამ ხელი არ აგვაღებინა ჩვენს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ რუსეთის ნაწილად გახდომა ჩვენთვის შეუძლებელია და ამაზე ფიქრს ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოვეთხოვოთ“ (247).

26 მაისი და „ერთობა“

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, დღე, რომლის მოახლოებასა და აუცილებლობას უკიუინებდნენ „ერთობას“ კონკურენტი გაზეთები: „საქართველო“, „სახალხო საქმე“ და „ალიონი“.

როგორ შეხვდა „ერთობა“ ამ ფაქტს?

საქართველოს დამოუკიდებლობა მან დემოკრატიის დამარცხებად აღიარა.

„ერთობის“ 1918 წლის მაისის ნომრებში, განსაკუთრებით მეორე ნახევარში თანდათან იმატებს სევდიანი განწყობილებით გამსჭვალული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილები, მხატვრული ესკიზები, ნარკევები და ლექსები, რომელთა ავტორები მისტირიან რუსეთთან ჩამოშორებას. „ერთობის“ 97-ე ნომერში (16 მაისი) დაიბეჭდა რ. ჩიხლაძის „საუბარი გლეხებთან“, სადაც ვკითხულობთ: „იმ რუსეთს რომ ჩამოგვაშორეს, ჩვენი საქმეც მაშინ წახდა. იქ თეთრი პურიც ბევრი და იაფიაო – ამბობენ, ჩვენ კი სიმშილით ვიხოცებით. იქ – ფარჩა-სამოსელი ბევრი ყოფილა, აქ კი ჩვენი ცოლ-შვილი, ჩვენი ქალ-ბალანა შიშველ-ტიტველი დაიარება. გზები შეგვიკრეს, კარები ჩაგვიკეტესო“ (245).

გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილია ვრცელი ლექსი ვ. ტუქ-სიშვილისა – „შორს არის“, სადაც გადმოცემულია ავტორის ქმუნვა და მწუხარება არსებული სიტუაციის გამო, რომელსაც იგი საბედისწერო სიზმარს უწოდებს:

„საბედისწერო სიზმარი ახდა –
არის განგება და სასწაული:
მოკვდა, მომავლის იმედი წახდა,
გათავდა ჩვენი დღესასწაული.
გლოვის ჩაღანა გვკიდია ყელზე,
გადაფენილა წინ სისხლის ტაბლა
და ვით ცხოვარნი გვალვიან ველზე
ვლამობთ თავები დავკიდოთ დაბლა“ (იქვე).

აშკარაა ლექსის ავტორის პოზიცია, მას „ოცნებები“ დაეწერა. მისთვის თავზარდამცემია ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მზადდება და რომ უკვე აშკარაა ამ პროცესის შეუქცევადი ხასიათი. იგი წარმომადგენელია იმ პარტიისა და საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელთათვისაც საქართველოს მომავალი რუსეთთან ერთობაში მოიაზრება და არა მის დამოუკიდებლობაში.

„ერთობა“ ფსევდონიმით „ანანია“ რამდენიმე ნომერში აქვეყნებს ვრცელ ნარკვევს „გზა და გზა (გურიაში)“, სადაც ჭარბობს რევოლუციისათვის მებრძოლთა დაღუპვისა და მათი გასვენების ამბების აღწერილობა, რაც გამიზნულია იმისათვის, რომ მკითხველში ტრაგიკული და სევდიანი განწყობილება აღძრას:

„— ასე მარგუნა ბედმა. თოფი მიჭერია ხელში. ვფიქრობდი მშვიდობიან ცხოვრებას და მაინც ვერ მოვესწარი, მითხრა ერთმა ამხანაგმა...“

საღამოს ოთხი საათი იყო, როცა შემოქმედში მივედით. მთელი შემოქმედი ჯარითაა აღვსილი... კუბო მოასვენეს... ჩვენ დაფიქრებული მივედით ცხედართან... ჩემს წინ სახე შემკრთალი სდგას მოხუცი ისიდორე: კუბოს ზედაპირი ააღეს.

მოვალეობის მსხვერპლი, ბრძოლაში დაღუპული, ჩვენი ამხანაგი, ახალგაზრდა მებრძოლი გურის საგანგებო რაზმის წევრი პრაპ. მ. ჭანუყვაძე, ოდესმე მომლიმარი, სიცოცხლით სავსე, სამუდამოდ დადუმებულია“ (244).

ეს ვრცელი ნარკვევი, „გზა და გზა“, ქვეყნდება აგრეთვე 26 მაისის ნომერში, სადაც მთელ ამ საგაზეთო ნომრის საერთო სევდიან სულისკვეთებას სრულად შეესატყვისება:

„გურიაში ჩვენ შევნიშნეთ, რომ მოღალატეები და პროვოკატორები მოქმედებენ, თავიანთ საქმეს აკეთებენ... შეოლის ეზოში ჩვენ ვნახეთ რამოდენიმე გადმოხვეწილნი, რომელნიც დაღონებულნი ისხდნენ. ჩვენ შეკითხვაზე მათ გვიპასუხეს: რომ ძიმითში ლტოლვილნი შიმშილით იხოცებიან. გაჩნდა სახადი, ყვავილი, ყელჭირვება და სხვადასხვა გადამდები სენი“ (247).

ასეთი პესიმიზმით მივიდა „ერთობა“ 26 მაისამდე, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადება არც კი იზეიმა. მოწინავე წერილი „ჩვენი ბედი“ თითქმის სამგლოვიარო ხასიათისაა: „მწარე ბედს განიცდის ამიერკავკასიის დემოკრატია. იგი ჯერ კიდევ მთელი ხალხის ბედის გამგეა, მაგრამ ამ ბედის გადაჭრა მას შეუძლია არა თავის სურვილისა და მისწრაფების თანახმათ, არამედ იმ გარეშე ძალების კარნახით და ბრძანებით, რომელიც მას შემოსეული ჰყავს.“

ეს ძალები კი იმპერიალისტური ქვეყნებია, რომელთაც ამიერკავკასია თავისი ინტერესებისთვის სურთ გამოიყენონ... შეგნებულ დემოკრატიას, მართალია, აქვს ერთი გზა – თავგანწირულათ ბრძოლა და გმირულათ სიკვდილი... მაგრამ ხელმძღვანელ პოლიტიკურ პარტიას უფლება არა აქვს მთელი ხალხის ბეჭი, არსებობა, სიცოცხლის სასწორზე დადოს, როცა ბრძოლის მოგების რაიმე, თუნდ მცირედი გარანტია არ მოეპოვება. და აი ეს განსაკუთრებული მდგომარეობა ხელმძღვანელ პარტიას აიძულებს მის მეთაურთ ინატრონ თავისთავს კატორდა... ვიმეორებ ხსნის ძალა ჩვენს ხელთ არაა. იგი უცხო ელემენტებს უჭირავს... ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომელზედაც იტყვიან: საითაც გავიძეცი, იქით წავიქეცი“ (247).

ნერილში გამოხატულია შიში იმ ომის რეალისა, რომელიც გარს შემოერტყა საქართველოს. რუსეთი ბოლშევიკურ მუქარას აგზავნის. ოსმალეთი დაპყრობაზე ოცნებობს, გერმანია თავის ინტერესებს იცავს. ამ ძალებს შუა კი, „ერთობის“ შეფასებით, საქართველო იჭყლიტება. გერმანიის მფარველობა „მიგვაჩნია საუკეთესოთ ამ სამ ბოროტებათაგან. ამიტომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, თუ გერმანიის მხრივ იქნება რამე უზრუნველყოფა ჩვენი ერის არსებობის... მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია, როგორც მცირე ერს, დიდი სახელმწიფოების გარეშე თავის დაცვა. აქლემების ბრძოლაში კოზაკი ყოველთვის იჭყლიტება. ამჟამათ, ჩვენ ვფიქრობთ გაჭყლეტას გერმანიის აქლემთან თავის შეფარებით გადავრჩეთ“ (იქვე).

„ერთობა“ თავს იმართლებს და ალიარებს, რომ სოციალ-დემოკრატები იძულებული არიან ასეთი ნაბიჯი გადადგან, გამოაცხადონ დამოუკიდებლობა გერმანიის დახმარებით. „არა ჩვენი ნება, არამედ ისტორიული აუცილებლობა გვიკარნახებს ამას. და თუ მაინც ვერ გვიხსნა, ვერ გადაგვარჩინა სრულიად, თუ ბედისა-გან საპედოთ განწირული ვართ, იმას მაინც ვიტყვით, რომ ჩვენ არ დაგვიტოვებია არც ერთი საშუალება, რომ ხალხისთვის უბედურე-

ბა თავიდან აგვეცდინა“ (იქვე).

წერილი ხელმოუწერელია და, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნოე ჟორდანიას უნდა ეკუთვნოდეს. წერილი დაწერილია 26 მაისამდე, სავარაუდოა, 25 მაისს, და ვის შეძლო წინასწარ განეცხადებინა, რომ „ჩვენი პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა“, თუ არა პარტიისა და მთავრობის მეთაურს?

წერილი გამოხატავს არა სიხარულს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო, არამედ გლოვას. ეს სამგლოვიარო წერილია და გაზიერის მთელი ნომერიც, ასევე, სამგლოვიარო განწყობილებითაა გამსჭვალული. აქ გამოქვეყნებულ წერილთა ავტორები უჩივიან ბედს, რომ ცხადდება საქართველოს დამოუკიდებლობა. ისინი, პარტიის მეთაურის მსგავსად, გლოვას გამოთქვამენ, დასტირიან „იძულებით“ გათავისუფლებას, ათასგვარ ლიტერატურულ-პუბლიცისტური ხერხებით წარმოსახავენ ამ მათ-თვის არასასურველ „საბედისწერო“ ფაქტს.

„ერთობის“ 26 მაისის ნომერში ფსევდონიმით „ეშმაკი“ დაბეჭდილია ორი ვრცელი სატირული ლექსი, სადაც გამოხატულია მკვეთრი უკმაყოფილება საქართველოს მდგომარეობით. ლექსებში ბათუმის დაცემის და თურქთა შემოტევის თემაა გამოყენებული, მაგრამ ავტორის მკვეთრი უკმაყოფილებისა და აღელვების მთავარი მიზეზი, რომელიც სტრიქონებს შორის აშკარად გამოსჭვივის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, ეროვნული პოზიციის გამარჯვებაა, რომელსაც მუდამ ბრძოლას უცხადებდა „ერთობა“, ხოლო ახლა იძულებით შეურიგდა. მოვიხმობთ ამონარიდს „ეშმაკის“, პოეზიიდან:

„ესეც მეორე აღდგომა... (თავისუფლების ხანაში)

და დღენი ჩემნი გავლიან...

ზმორებით... თავის ფხანაში...

რა ვქნა, ბათუმის ამბებით ჯერ კიდევ მძიმეთ... ორსულ ვარ,

ვფიქრობ და მათგან ტყვევქმნილი გონს კარგა ვერც კი მოვსულვარ.

დღეს, ირგვლივ თვალებს ვაცეცებ...

შველას არსაით არ ველი.

ჩრდილოდან რუსი მიბლვერის, დასავლეთიდან ალია,

ლამის გამიხდეს სამშობლო მხოლოდ ტყვეობის გალია.

ვსინჯე ჯერ ამის, მერე სხვის ძმობა, ორიენტაცია

ეს დარჩა „ძალი მგლის ფერი“

ის ნამდვილ მგელი... ტაცია

ჩვენ მტაცებელთა მათ შორის არ გვეყოლება მიმფერი

ერთია, მგელი წაგიღებს, თუ ძალი შეგვჭამს მგლისფერი.

ძმობა არ უნდა არავის, ყმად ყოლა ყველას სწყურია,

(ყვლეფა, ტყავისა გაძრობა ადვილი სამსახურია).

მტრად თუ არ ვარგხარ, ვინ გიძმობს? ვის უნდა შენი მოყვრობა?

ლაჩრის და ქალაჩუნასი სხვაგვარ იციან მოპყრობა“ (248).

როგორც ჩანს, „ერთობა“ ძალიან მძიმე პერსპექტივას ხედავს, სასოწარკვეთილია და უიმედო. სოცალ-დემოკრატები იმთავითვე არ არიან დარწმუნებული საკუთარ ძალებში, რომ ისინი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას შეძლებენ. არც ბოლშევიკური რუსეთი მოსწონთ, არც გერმანია, არც დამოუკიდებლად ცხოვრება სურთ. „ერთობელები“ საზოგადოებას უფრო საინტერესო ალტერნატივას ვერ სთავაზობენ და წინასწარ სურთ შეაგურნ სახელმწიფოს მმართველობაში თავიანთ უხერხემლობას. ასეთი ირონია და აგდებული დამოკიდებულებაა გამოხატული „ეშმაკის“ მიერ შეგროვებულ „ანდაზებშიც“:

„არა შეჯდა მწყერი ხესა, არ იყოს გვარი მისი“

(ქართველმა სთქვა: სულ ერთია, ვინც წამიყვანს, ვარ იმისი)...

„თუ გაჭირვებას მიჩვენებ, გიჩვენებ გაქცევასაო“

(ჩვენ არ გვიჭირდა... მოვრბოდი... ამით ვაჯობეთ სხვასაო) ... (იქვე).

ასეთივე წუხილით, მჭუნვარებით და ირონიითაა გამსჭვალული სხვა პუბლიცისტურ-ლიტერატურული ხასიათის წერილები. ვლ. ვოიტნიკი წერილში „წითელი გვარდია“ წერს: „სევდიან დღეებში“, როცა ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, გელაპარაკება დემოკრატიის იდეების დამსხვრევაზე, როცა ყველაფერი უიმედობის ბურუსშია გახვეული, გაისმა მაგარი, დამშვიდებული ხმა.

ეს ხმაა ამხანაგ წითელგვარდიელებისა. წითელი გვარდია არჩევდა თფილისის დაცვის საკითხს. აქ არ ისმოდა სიტყვები იმაზე, თუ ვინ არის დამნაშავე, ვინ დააყენა მთელი ქალაქი ასეთი მწარე განსაც-დელის წინ. აქ ლაპარაკობდნენ იმაზე, როგორ გადაარჩინონ, რო-გორ დაიცვან მოპოვებული თავისუფლება; სიფაქიზე რევოლუცი-ონური დროშისა, თუ მთელი მხარის დაცვა დემოკრატიამ ვერ შეძ-ლო, წითელმა გვარდიამ გამოიტანა დადგენილება: „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ თბილისი მტრებისაგანო..“ ეს დად-გენილებაა იმ ხალხის, რომლის სიტყვა საქმეს არ გაშორებია. რო-ცა ასეთი დადგენილება გამოჰქონდათ – წითელი გვარდიის წარ-მომადგენლებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ თვითოული ასო მათი დადგენილებისა სისხლით იქნება ჩაწერილი ამიერკავკასიის ისტო-რიის ფურცლებში... ჩვენ ვიცით, რომ ის ხალხი, რომელმაც თავის მკერდით გზა გადაუღობა ოსმალებს ნატანებთან, ძვირად დაუჯ-ენს მტერს ამიერკავკასიის რევოლუციონურ გულში შემოჭრას... ჩვენ ამის შემდეგ დარწმუნებული ვართ, რომ საფრთხე სამარ-ცხვინოდ მტრის წინაშე ქედის მოხრისა და უომრად თავის დანებე-ბისა არ არის... სევდიან და მწუხარე დღეებში ჩვენ მხურვალე სა-ლამს ვუძღვნით მათ, ვინც მედგრად სდგას რევოლუციის და თავი-სუფლების დაცვის ნიადაგზე“ (249).

აი, როგორ წერილს აქვეყნებს 26 მაისს გაზეთი „ერთობა“. „სევდიან და მწუხარე დღეებში“ ამ წერილის ავტორი ქება-დიდე-ბას ასხამს წითელ არმიას და ამ წითელი არმიით ემუქრება საქარ-თველოს დამოუკიდებლობას. გასაკვირი არაა, რომ სამიოდე წლის შემდეგ ამ წითელ არმიას მიეგება სოციალ-დემოკრატიული პარ-ტიის დიდი უმრავლესობა, არა მარტო ბოლშევიკები, არამედ მენ-შევიკებიც, რომლებიც სიამოვნებით გადაბარგდნენ ბოლშევიკთა ბანაკში, ოლონდ კი ისევ შეენარჩუნებინათ გარკვეული მდგომარე-ობა და პრივილეგიები ახალი ხელისუფლების პირობებში. ისინი ხომ გლოვით შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და მათ-თვის წითელი არმიის მოსვლა საოცნებო იყო უკვე 26 მაისსაც.

„ერთობის“ 26 მაისის ნომერში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე

დეპრესიული განწყობილებით სავსე წერილი ვინმე „ოდიშელი ყა-
ყაჩოსი“ – „ბრძოლის ველიდან“(250). წერილის ქვესათაური გვამ-
ცნობს, რომ ეძღვნება „სამეგრელოს“, ხოლო სათაურის ქვეშ
ვკითხულობთ შემდეგს:

„სხვა საქართველო სად არის
რომელი კუთხე ქვეყნისა?..“ (აკაკი)

დადგა საბედისწერო მომენტი ქართველი ერისა.

კვლავ ჩამოჰკრა გლოვის ზარმა, ამოჰქუხდა წყრომის გრიგა-
ლი და უკუღმა გადაფურცლა ჩვენი ისტორიის შავი ასოებით აღ-
ბეჭდილი ფურცლები... დღეს ჩვენ მოწმენი ვხდებით იმ შორეული
წარსულისა, როდესაც ოსმალეთი მოსაწყვეტად ეპოტინებოდა ამ
ედემის ყვავილს.

დღეს მე უკანასკნელათ ნებას ვაძლევ ჩემს თავს, როგორც
დამცველი სამშობლოს და თავისუფლების, მოგმართოთ დიდებუ-
ლი მგოსნის სიტყვებით: „სხვა საქართველო სად არის, რომელი
კუთხე ქვეყნისა?..“

მიპასუხეთ!..

რათ გვინდა ათასი წელი ვიცხოვროთ პირუტყვული ცხოვრე-
ბით ოსმალეთის ბრჭყალებს ქვეშ?!

დაე მოვკვდეთ, სისხლის ზღვაში ამოვხაროთ დროშა „თავი-
სუფლების და სამშობლოს დახსნისა“, ავიტანოთ იმ მთის მწვერვა-
ლამდე, სადაც ოდნავ ბუუტავენ ამომავალი მზის ბროლის სხივები
და იქ გამარჯვებით გადავსცეთ მომავალ თაობას ნიშნად სამარად-
ჟამო არსებობისა“ (250).

ამ დიდი გზნებით, მხატვრულ სახეებით აღსავსე წერილის ავტო-
რია ვინმე ოდიშელი ყაყაჩო. ფსევდონიმთა ლექსიკონში (იხ. გ. მიქაელე,
ფსევდონიმთა ლექსიკონი, 1984, გვ. 93) ცნობილია ოდიშელი პ. – პარ-
მენ იონას ძე რურუა, რომელსაც 1927 წელს ბათუმში გამოუცია ლექ-
სები. მაგრამ არის თუ არა იგივე პირი „ოდიშელი ყაყაჩო“ ვერ ვიტყ-
ვით, ისე კი ნაწერის სტილი და განწყობილება იძლევა საშუალებას,
რომ მისი ავტორის მელექსეობა წარმოვიდგინოთ. ერთი კი ცხადია,
ამ მელექსეს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისგან ეკ-

ლესიასტესეულ მწუხარებაში ჩავარდნილ კოსმოპოლიტ-სოციალისტს, სამარცხვინო შეცდომა მოსდის თავისი მშობლიური ლიტერატურის ცოდნის საქმეში. საქართველოს სკოლებში იმ პერიოდშიც და დღესაც, ყველა სამოსანმა და, ალბათ, ოროსანმა მოსწავლემაც იცოდა და იცის, რომ „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“ ჩვენი „მღელვარე“, პოეტურად განწყობილი ავტორი, ვინმე ოდიშელი, რომ აკაკი წერეთელს მიაკუთვნებს, გრიგოლ ორბელიანის სიტყვებია. „საგულისხმოა ისიც, რომ გაზეთის რედაქციამაც ასეთივე უზუსტობა გამოიჩინა და არ შეუსწორა ამ „პოეტს“ შეცდომა.

26 მაისის „ერთობაში“ დაიბეჭდა მაქსიმ გორკის წერილი „დროის შეუფერებელი ფიქრები“, სადაც რუსეთის რევოლუციის მიერ მოტანილი ცხოვრების მთელი საშინელებანი მეტად ხატოვნად და შთამბეჭდავადაა წარმოჩენილი. ეს წერილი ზუსტად შეუფერება გაზეთის მთელ სამგლოვიარო განწყობილებას და ვფიქრობთ, მისი აქ მოხმობა კარგად წარმოსახავს იმ საერთო სურათს, გაზეთ „ერთობას“ რომ ჰქონდა. სხვათა შორის, მაქსიმ გორკის ეს წერილი „ალიონმაც“ დაბეჭდა.

„დაჩლუნგებამდე მივიწყებული მწარე სინამდვილე, მთვრალი, საძაგლობამდე მომთმენი, თავისებურად ცბიერი მოსკოველი ხალხი ყოველთვის პსიხოლოგიურად შორს ედგა და ახლაც უდგას რუსინტელიგენტს, რომელიც მდიდარია მწიგნობრული ცოდნით, მაგრამ ღამ ღარიბია რუსული სინამდვილის ცოდნით.

ძარცვავენ გასაოცარ არტისტულად, ეჭვი არაა, რომ ამ რუსეთის თავად გაძარცვის პროცესს ისტორია მოუთხრობს დიდის პათოსით მომავალ თაობას. ძარცვავენ და ყიდიან ეკლესიებს, სამხედრო მუზეუმებს, ჰყიდიან ზარბაზან-ვინტოვკებს, ჰქურდავენ საინტენდანტო საწყობებს; ძარცვავენ თავადების სასახლეებს, სტაცებენ ყველაფერს, რის გაყიდვაც შეიძლება.

ფეოდოსიაში ჯარისკაცები ადამიანებით ვაჭრობენ. მოიყვანეს კავკასიიდან თურქების, სომხების და ქურთების გოგოები და 25 მ. ყიდიან თითოს. ეს ყველაფერი თავისებურია; საფრანგეთის დიდ რევოლუციაში ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია, ჩვენ ამით შეგვიძ-

ლია ვიამაყოთ.

პატიოსანი ხალხი, რომლის ნაკლებობას ჩვენ მუდამ განვიც-დიდით, ახლა მთლად გაქრა. აი ასეთ უძლურ, ბნელ, ორგანიულად ანარქიზმის მოყვარულ ხალხს მოუწოდებენ იყოს იდეური ხელ-მძღვანელი მსოფლიოს და ევროპის მუშათა კლასის მესსიათ.

ერთი შეხედვით, ვფიქრობ, რომ ამ კურიოზულმა და სენტი-მენტალურმა იდეამ არ უნდა დააბნიოს ტრალიკული თამაში სა-ხალხო კომისარებისა, მაგრამ ხალხის „მეთაურები“ არ მალავენ, რომ მათ სურთ რუსულ ნესტიან ჯარისკაცებისაგან გააჩაღონ დი-დი კოცონი, რომლის სინათლე ევროპას გაანათებს; იმ ევროპას, სადაც ცეცხლი სოციალური შემოქმედებისა უფრო მძლავრად და გონიერად ანთია, ვიდრე ჩვენთან რუსეთში.

კოცონი გავაჩაღეთ, მაგრამ მას სუსტად ეკიდება, მას სუნი უდის ტალახიანი, მთვრალი და ტლანქი რუსეთის და აი ამ საწყალ რუსეთს ეზიდებიან გოლგოთაზე, რომ იქ ჯვარს აცვან მთელი მსოფლიოს სახსნელად. დასავლეთი კი მკაცრია, დაუნდობელი, ის სავსებით მოკლებულია სენტიმენტალიზმი. იქ ადამიანის შეფასება უბრალო საქმეა: თქვენ გიყვართ და შეგიძლიათ მუშაობა? – თუ ასეა თქვენ ქვეყნისთვის საჭირო ხართ, თქვენ ხართ სწორედ ის ადამიანი, რომლის ძალით იქმნეს ყველაფერი ძვირფასი და მშვენი-ერი. თუ თქვენ არ გიყვართ და არ შეგიძლიათ მუშაობა, მაშინ თქვენ, მიუხედავად დანარჩენი თვისებებისა, ხართ ზედმეტი ადა-მიანი..

და რადგანაც დასავლეთმა ევროპამ იცის, რომ რუსებს მუშაო-ბა არ უყვართ და არც შეუძლიანთ, ამიტომ ჩვენ მოგველის იმაზე მეტი უბედურება, რასაც მოველით („ნ:ჟ“)

მ. გორკი“(251).

დასავლეთისადმი ასეთი მიღვომა არც დღეს შეცვლილა რუ-სეთში. ევროპული ლირებულებების არასწორი გაგება დღემდე შე-ნარჩუნებულია რუსი ხალხის ცნობიერებაში, უფრო მეტიც, სა-ხელმწიფოებრივი მანქანის მთავარ იდეოლოგიას წარმოადგენს. ის სევდიანი ტონი, რომელიც თან ახლავს მ. გორკის წერილს, სრული-

ად შეეფერება „ერთობის“ მთელ განწყობილებას. აქ არ არის ლაპა-რაკი რევოლუციით მოტანილ თავისუფლებაზე, მუშათა კლასის და გლეხობის გამარჯვებათა ზეიმზე, რევოლუციით აღფრთოვანებაზე, აქ წარმოდგენილია მართალი სურათი იმ სავალალო შედეგებისა, რაც თან მოაქვს რევოლუციებს და ამით გამოწვეულ შიდა ომებს. წერილში ნაჩენებია მთელი ის ტრაგედია, რაც თან მოიტანა რუსეთის რევოლუციამ თვით რუსეთის ცხოვრებაში, ძარცვა, გლეჯა, ადამიანთა ხოცვა, ტყვეთა სყიდვის წესის აღდგენა, კულტუროლოგიურ დაწესებულებათა დარბევა, განადგურება ერის სულიერ მონაპოვართა. დამარწმუნებლად და დამაჯერებლადაა წარმოდგენილი რუსეთის გოლგოთაზე ასვლის გზა. რუსეთის ტანჯვა-წამება ქრისტეს ჯვარცმასთანაა შედარებული – „საწყალ რუსეთს ეზიდებიან გოლგოთაზე, რომ იქ ჯვარს აცვან მსოფლიოს სახსნელად“.

გორკი, რომელიც ცნობილია როგორც რუსეთის რევოლუციის მომღერალი და მხარდამჭერი, ამ წერილით წარმოგვიდგება სრულიად განსხვავებული კუთხით. გორკის წერილში რევოლუცია ნაჩენებია მთელი მისი ნეგატიური შედეგებით. სწორედ ეს უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციის მონაპოვართა მიმართ 26 მაისს „ერთობას“ მიაჩნდა ერთგვარ გამოძახილად ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე დატრიალებული პროცესებისა. სოციალ-დემოკრატები გლოვობენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ეს აქცია ესახებათ როგორც მარცხი მათი პოლიტიკისა.

ასე ულიმღამოდ შეხვდა გაზეთი „ერთობა“ 26 მაისის ფაქტს, რომლის მნიშვნელობა მას არც მანამდე უგრძვნია და უღიარებია. პარადოქსია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა იმ პარტიამ და იმ პერიოდულმა ორგანომ, რომელიც ეროვნულ თავისუფლებას თავგამოდებით ებრძოდა.

დასკვნა

1917-1918 წლების პრესის ანალიზი გვიჩვენებს რეალურ სურათს, თუ როგორ ყალიბდებოდა და მწიფდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და როგორ იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი. ჩვენი ნაშრომი სიახლეა ამ მიმართულებით. დემოკრატიული წყობის მკრთალი კონტურები აშკარად ისახება განხილული პრესის პუბლიკაციების ანალიზის მიხედვით: მრავალპარტიული საკანონმდებლო ორგანო, პლურალისტული და თავისუფალი პრესა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა, კერძო საკუთრება. ჩანს, რომ საქართველოში მყარდება დემოკრატიული რესპუბლიკა. 1917-1918 წლების პრესამ საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფუნდამენტურ უფლებებს. ქართველი პუბლიცისტები და მწერლები ფიქრობდნენ, რომ გამოხატვის თავისუფლებაა დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი, რადგან ამ უფლების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებათა დამკვიდრება.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევრები ვალში არიან 1917-1918 წლების პრესის შესწავლის საქმეში. დღემდე არ შექმნილა ფუნდამენტური ნაშრომი ამ ეპოქის პერიოდიკის შესახებ, არადა, იგი ყველაზე უტყუარი წყაროა იმდროინდელი პოლიტიკური ძალების გასაცნობად, პარტიათა მოღვაწეობის შესაფასებლად, მთავარი საერთაშორისო მოთამაშეებისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად.

1917-1918 წწ. საქართველოში გამოდიოდა ათეულობით გაზეთი ქართულ და რუსულ ენებზე. ისინი შეძლებისდაგვარად სრუ-

ლად ასახავდნენ იმდროინდელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენებს. მათ დააჩქარეს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის მომწიფება. 1917-1918 წწ. პრესის ფურცლებზე ნათლად იკვეთება ის სიძნელეები, რომლებიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე საქართველოს სკლას აფერხებდა. ქართული პრესა გამოხატავს სხვადასხვა პარტიის ინტერესებსა და იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობდა თვით დამოუკიდებლობის იდეის გარშემო, რაც ასახულია მთელ რიგ პოლიტიკურ, ანალიტიკურ და პუბლიცისტურ წერილებში.

ჩვენ მიერ განხილულია ოთხი წამყვანი გაზეთი, რომელთა გარშემო შემოიკრიბნენ ცნობილი ქართველი მწერლები, პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწეები. გაზეთი „საქართველო“ – ეროვნულ დემოკრატიული მიმართულებისაა, გაზეთი „სახალხო საქმე“ – სოციალ-ფედერალისტური პარტიის ორგანოა, გაზეთი „ალიონი“ – სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ალიონის“ ჯგუფის ორგანო, გაზეთი „ერთობა“ – ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების ორგანო.

კვლევაში ცალკე გავამახვილეთ ყურადღება მთავარ ავტორებზე, რომელთა პუბლიკაციები ძალიან საინტერესო და უცნობი იყო ამ მიმართულებით. „საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა 1917-1918 წლების პრესაში“ გულისხმობს, ერთგვარად თვალი შევავლოთ იმ ავტორთა დამოკიდებულებას 26 მაისისადმი, რომლებიც ზემოგანხილულ გაზეთებში აქტიურად იღვწოდნენ პოლიტიკურ და სოციალურ სარბიელზე. ქართველი მწერლების მიერ ნათქვამი თითოეული სიტყვა ანარეკლია იმ განწყობისა და მოლოდინის, რითაც სავსეა ქართველი ხალხის სულისკვეთება.

გრიგოლ რობაქიძეს, ტიციან ტაბიძეს, შალვა ამირეჯიბს, კონსტანტინე გამსახურდიას, ვახტანგ კოტეტიშვილს, სამსონ ფირცხალავს, ივანე გომართელს, ლეო ქიაჩელს, თაგუნას და ბევრ სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს ვიცნობთ მათი სამწერლო შემოქმედებით, ხოლო პრესაში მოღვაწეობის პერიოდზე ძალიან მნირი ინფორმაცია და კვლევაა ცნობილი. სავსებით არაფერია ცნობილი

1917-1918 წლების ქართულ პრესაში მათ აქტივობაზე ამიტომაც, გადავწყვიტეთ, რამდენიმე მათგანი ცალკე გაგვეხილა და იმ პერიოდის მთავარი ავტორები წარმოგვედგინა. ასეთი მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო ნათელს ჰქონის იმ პერიოდის განწყობასა და პროფესიულ სტანდარტებს.

ეს ეპოქა, როგორც ამ გაზეთების ფურცლებიდან ირკვევა, ხასიათდება პლურალიზმით, შესაძური გულწრფელობითა და არგუმენტირებული მიდგომებით. თითოეული გაზეთი საქართველოს დამოუკიდებლობის დღემდე (1918 წლის 26 მაისამდე) თავისი გზით, თავისი შეცდომებითა თუ ღირსებით მივიდა. თითოეული სტატია საინტერესოა ამ მოღვაწეთა ჭეშმარიტი პორტრეტის შესაქმნელად. საგულისხმოა, რომ თითოეული მათგანი ბოლომდე ერთგული დარჩა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეისა, რომლის გამარჯვებისთვისაც იბრძოდნენ პრესის საშუალებით. „საქართველოს“, „სახალხო საქმეს“, „ალიონსა“ და „ერთობას“ თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ „იდეათა თავისუფალი ბაზარი“, რითაც თამამად ვუერთდებით იმ დასავლურ ცივილიზებულ სივრცეს, სადაც გამოხატვის თავისუფლება უპირატესი თავისუფლებაა. ჩვენი კვლევით გვსურს დემოკრატიული პრესის ტრადიციის დეფიციტის შევსება, რომელიც სამოცდაათნლიანმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა გაწყვიტა და გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აღდგა.

ოთხი გაზეთი და ოთხი სხვადასხვა გზა დამოუკიდებლობისკენ. 1917-1918 წლების პრესის შესწავლა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის წარმოსაჩენად საინტერესო და მრავალფეროვანი დასკვნის უფლებას გვაძლევს და ი. ჭავჭავაძის გზის გაგრძელებად გვესახება. ილიადან – მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 10-იანი წლების დასასრულამდე – ქართველი ხალხის შინაგანი ენერგიის ბიძგი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის სიტყვით ბრძოლა იყო, რაც 26 მაისს რეალობად იქცა.

„თუ უურნალს უნდა კეთილსინდისიერად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს ანინდელ ცხოვრებას, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტს თვალი და გონება

ადევნოს, ყოველი აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმის გასამჯობინებლად, გასაკეთებლად“ (66).

1918 წლის 26 მაისი და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ქართული უურნალისტიკის ისტორიაში შესაძლოა კიდევ ცალკე გამოკვლევათა საგანი გახდეს, რადგან ერთი ნაშრომით ვერ ამოიწურება სათქმელი, რაც მომავალში ამ ტაბუდადებული ეპოქის გამომზეაურებას დასჭირდება.

შესაძლოა, დღევანდელ დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, ფიქრობენ, რომ საჭირო არ არის აქცენტები გაკეთდეს ისტორიაზე და, განსაკუთრებით, ნაციონალურ საკითხებზე. მაგრამ, როცა ისტორია საერთოდ მივიწყებულია და ჯერ არ დაუწერიათ, როცა ტოტალიტარული რეჟიმები უმაღლავდნენ ადამიანებს სიმართლეს და მხოლოდ საკუთრ შეხედულებებს ახვევდნენ თავს, სწორედ რომ აუცილებელია ახლებური გაანალიზება იმ პერიოდის, როცა დემოკრატიული, პლურალისტული პრესის კიდევ ერთი საინტერესო ეტაპი არსებობდა. 1917-1918 წლების საქართველო კი იმის ნათელი მაგალითი იყო, რომ დემოკრატიული რეჟიმის სრულად დამყარება სწორედ უმთავრესი ნაციონალური საკითხის გადაჭრას საჭიროებდა – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და თავის დაღწევას რუსეთის იმპერიისგან.

დღეს, როცა სახელმწიფო საზღვრის ცნება პირობითად იქცა და ტრანსნაციონალური ურთიერთობების ეპოქაში ვცხოვრობთ, გლობალიზაციის წარმატება შეუძლებელი იქნებოდა ძლიერი და ფეხზე დამდგარი დემოკრატიული სახელმწიფოების გარეშე. ჩვენ ეს ყველაფერი ჯერ ისევ გასავლელი გვაქვს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. აბაშიძე კ., ცხოვრება და ხელოვნება, თბ., 1971.
2. ავალიშვილი ზ., დამოუკიდებელი საქართველო, თბ., 1929.
3. ავბენაშვილი მ., ივანე გომართელის ცხოვრება, ესთეტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები (სადისერტაციო ნაშრომი), 1994.
4. ასათიანი გ., უკეთეს დროთათვის, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1985.
5. ბარამიძე ალ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI ტომი, თბ., 1975.
6. ბაქრაძე აკ., მწერლობის მოთვინიერება, თბ., „სარანგი“, 1990.
7. ბენაშვილი გ., წყურვილი წვდომისა, თბ., „მერანი“, 1986.
8. ბენდიანიშვილი ალ., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წ.), თბ., 2001.
9. გაბაშვილი რ., რაც მახსოვს, დაბრუნება, III ტ., თბ., 1992.
10. გამეზარდაშვილი დ., ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, IV ტ. თბ., 1978.
11. გვაზავა გ., საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, პარიზი, 1928.
12. გომართელი ივ., რჩეული თხზულებანი, I-II ტომი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966.
13. გრძელიძე რ., საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924წ.), თსუ, 1998.
14. გურული ვ., ნოე ჟორდანია – პოლიტიკური პორტრეტი (1869-1953), თბ., 1999.
15. ვადაჭკორია შ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., „მეცნიერება“, 2001.
16. ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბ., „მეცნიერება“, 2001.
17. ვართაგავა იპ., წერილები და მოგონებები, თბ., 1975.
18. თაყაიშვილი ექ., ემიგრანტული ნაშრომები, თბ., „მეცნიერება“, 1991.

19. თევზაძე დ., ქართული ლიტერატურის კრიტიკა თანამედროვე ეტაპზე, თბ., 1975.
20. თევზაძე დ., კრიტიკის ბუნება, თბ., „მერანი“, 1978.
21. თევზაძე დ., ქართული საბჭოთა ლიტერატურის კრიტიკა, თბ., „მერანი“, 1982.
22. თევზაძე დ., ქართველ მწერალთა ლიტერატურული გაერთიანებანი, თბ., 1994.
23. თოიძე ლ., ინტერვეციაც, ოუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, „ივერთა მხარე“, 1991.
24. თოიძე ლ., საქართველოს პოლიტიკური ისტორია, თსუ, 1999.
25. კალანდაძე ალ., ლიტერატურული ნარკვევები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1974.
26. კვანჭილაშვილი ტ., ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, თბ., 1974.
27. კვერენჩილაძე რ., როგორ იქმნებოდა ქართველ მწერალთა კავშირი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 52, 2003.
28. კვიტაიშვილი ე., ქართული სიტყვის ბაზიერი, თბ., „თეთრი გიორგი“, 2003.
29. კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ქუთ., „მეცნიერება“, 1927.
30. კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1959.
31. კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები, წიგნი 2, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1967.
32. ლაშქარაძე დ., ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977.
33. ლეონიძე გ., ლექსები, პოემები, თბ., 1980.
34. ლეონიძე გ., საქართველოს ცრემლები, თბ., 2000.
35. ლეონიძე გ., ლექსების კრებული, თბ., „საარი“, 2001.
36. ლორთქიფანიძე ლ., გრიგოლ რობაქიძის მხატვრული აზროვნების საკითხები(სადისერტაციო ნაშრომი), 1997.
37. მალალურაძე თ., ლეონ ქიაჩელის ადრეული პუბლიცისტური წე-

- რილების ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემატიკა, თსუ, 1998.
38. ნადარეიშვილი გრ., ივანე გომართელი, თბ., 1967.
 39. ნათაძე ნ., ერი და ეროვნული კულტურა, თბ., „მეცნიერება“, 1988.
 40. ნანიტაშვილი ლ., ქართული წიგნის ამაგდარი, თბ., 1985.
 41. ნიკოლეიშვილი ავ., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიის ნარკვევები, ქუთ., „მოწამეთა“, 1994.
 42. ნოზაძე ვ., ბრძოლა საქართველოს აღდგენისთვის, პარიზი, 1936.
 43. ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990.
 44. ჟურნალისტიკის საკითხები, VII-VIII, თსუ, თბილისი, 1981.
 45. რადიანი შ., ნარკვევები და შთაბეჭდილებები, თბ., 1962.
 46. სიგუა ს., ლიტერატურა და ტრადიციის ბარიერი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1988.
 47. სიგუა ს., კ.გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1989.
 48. სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი, I-II ტომი, თბ., „განათლება“, 1991.
 49. სიგუა ს., ქართული მოდერნიზმი, თბ., „დიდოსტატი“, 2002.
 50. ტაბიძე ტ. თხზულებანი, I ტ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966.
 51. შანშიაშვილი ს., თქვენც რომ გახსოვდეთ, ახალგაზრდებო, თბ., 1977.
 52. შენგელაია ი., სიმბოლიზმი საქართველოში, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 22, 1993.
 53. ფარეხელაშვილი ნ., ივანე გომართელი – ლიტერატურის კრიკიოსი, 1998.
 54. ფირცხალავა ს., მოგონებათა ფურცლები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988.
 55. ქართული ლიტერატურის ისტორია, III ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1956.
 56. ქიქოძე გ., ასეთი იყო ჩემი ცხოვრება, თბ., 1987.
 57. ჩხეიძე ნ., კრიტიკული წერილები, თბ., „საბჭოთა საქართვე-

ლო“, 1977.

58. ჩხენკელი თ., წერილები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1972.
59. ცაიშვილი ს., ლიტერატურული ეტიუდები, თბ., „მერანი“, 1984.
60. ციციშვილი გ., სანდრო შანშიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1962.
61. წერეთელი ალ., რჩეული ნაწარმოებები V ტომად, I ტ. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988.
62. წერეთელი ვ., ლიტერატურული წერილები, მემუარები, თბ., „მერანი“, 1998.
63. წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, თსუ, თბ., 1990.
64. წითელი მიხაკის ლეგენდა, თბ., 1985.
65. წონელია ვლ., ივანე გომართელი, წიგნი I, თბ., „მეცნიერება“, 1979.
66. ჭავჭავაძე ი., საქართველოს მოამბეზედ, თხზულებანი, VII ტ., პუბლიცისტური წერილები-1882-1886, თბ., 2004.
67. ჭილაძა ს., XX საუკუნის ქართული მწერლობა, თბ., 1956.
68. ჭილაძე ო., ბედნიერი ტანჯული, „ლოგოს პრესი“, 2003.
69. ჯავახიშვილი მ., წერილები, თბ., 2001.
70. ჯანელიძე ო., 26 მაისიდან 25 თებერვლამდე, თბ., 1989.
71. ჯიბლაძე გ., იოსებ გრიშაშვილი, კრიტიკული ეტიუდი, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1955.
72. ჯიბლაძე გ., კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1974.
73. ჯორჯაძე ა., წერილები, თბ., 1989.

პერიოდიკა გაზეთი „საქართველო“ /1917-1918წ./

74. 1915წ. 1, სარედაქციო წერილი.
75. 1917წ. 3, რ.ინგილო „ძველი ფიქრები ახალ წელს“.
76. 1917წ. 13, გივი გოლლენდ, „ანარქიის სტიქიონი“.
77. 1917წ. 55, სარედაქციო წერილი.
78. 1917წ. 12 მარტი, სარედაქციო წერილი.
79. 1917წ. 58, სპირიდონ კედია, ***

80. 1917წ. 65, დავით კასრაძე, „ერის ტრიბუნი“.
81. 1917წ. 67, მიტროპოლიტი ლეონიდე, სიტყვა წარმოთქმული სიონის ტაძარში.
82. 1917წ. 67, ალ. ახმეტელი, „ტყის ძმები“.
83. 1917წ. 68, მიხეილ ჯავახიშვილი, „შენიც მე და ჩემიც მეო“.
84. 1917წ. 71, ტიციან ტაბიძე, „რუსეთის რევოლუცია“.
85. 1917წ. 74, ტიციან ტაბიძე, „ლია ბარათი“ (ქართველ მწერლებს).
86. 1917წ. 90, შალვა ამირეჯიბი, „ავტოკეფალისტები“.
87. 1917წ. 92, შალვა ამირეჯიბი, „ვალერიან გუნია“.
88. 1917წ. 97, მიტროპოლიტი ლეონიდე, „თამარობა“.
89. 1917წ. 134, ტიციან ტაბიძე, „პეტერბურგი“.
90. 1917წ. 216, გიორგი ლეონიძე, „ჩაბნელებული არმაზი“.
91. 1917წ. 233, გრიგოლ რობაქიძე, „რუსეთის ტრაგედია“.
92. 1917წ. 237, გივი გოლლენდ, „ბოლშევიკების აჯანყება“.
93. 1917წ. 250, გრიგოლ რობაქიძე, „დიონისოს კულტი და საქართველო“.
94. 1917წ. 252, ტიციან ტაბიძე, „ეროვნულ-დემოკრატიას“.
95. 1917წ. 257, გრიგოლ რობაქიძე, „ქართული რენესანსი“.
96. 1917წ. 264, ტიციან ტაბიძე, „წინა აზია“.
97. 1917წ. 269, გრიგოლ რობაქიძე, „გურია და სოციალიზმი“.
98. 1917წ. 271, გრიგოლ რობაქიძე, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“.
99. 1917წ. 278, გრიგოლ რობაქიძე, „კიტა აბაშიძე“.
100. 1917წ. 281, გრიგოლ რობაქიძე, „პანი“.
101. 1918წ. 5, გრიგოლ რობაქიძე, „ქართული ლექსი“.
102. 1918წ. 16, გივი გოლლენდ, „პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი“.
103. 1918წ. 23, იპოლიტე ვართაგავა, „სული ახალი საქართველოსი“.
104. 1918წ. 45, გრიგოლ რობაქიძე, „გიორგი შარვაშიძე“.
105. 1918წ. 52, გრიგოლ რობაქიძე, „რაინდული საქართველო“.
106. 1918წ. 54, გიორგი ლეონიძე, „სონეტი ქართველ ჰუსარებს!“.
107. 1918წ. 55, გრიგოლ რობაქიძე, „აისი“.
108. 1918წ. 57, მიტროპოლიტი ლეონიდე, ავტოკეფალიის წლის-

თავი სვეტიცხოველში.

109. 1918წ. 58, შალვა ამირეჯიბი, სარედაქციო წერილი.
110. 1918წ. 62, გრიგოლ რობაქიძე, „არჩილ ჯორჯაძე“.
111. 1918წ. 66, კოტე მაყაშვილი, „მისალმება“.
112. 1918წ. 68, გიორგი ლეონიძე, „პრომეთე“ და „აისი“.
113. 1918წ. 71, სარედაქციო წერილი.
114. 1918წ. 72, სარედაქციო წერილი.
115. 1918წ. 78, ტიტე მარგველაშვილი, „ჩვენი ორიენტაცია“.
116. 1918წ. 89, ა. ასათიანი, „გერმანეთის მფარველობა“.
117. 1918წ. 90, ა. ასათიანი, „საქართველოს პოლიტიკური წყობილება“.
118. 1918წ. 90-91, გრიგოლ რობაქიძე, „თამარ!“.
119. 1918წ. 92, შალვა ამირეჯიბი, „კონსტიტუცია“.
120. 1918წ. 94, სარედაქციო წერილი.
121. 1918წ. 95, სარედაქციო წერილი.
122. 1918წ. 97, სარედაქციო წერილი.
123. 1918წ. 99, სარედაქციო წერილი.
124. 1918წ. 100, სარედაქციო წერილი.
125. 1918წ. 101, სარედაქციო წერილი.
126. 1918წ. 103, შ. ქ-ძე,***
127. 1918წ. 110, გიორგი ლეონიძე, 26 მაისი.
128. 1918წ. 187, ტიციან ტაბიძე, „ჯარის რეორგანიზაცია“.
129. 1918წ. 193, გიორგი ლეონიძე, „არაგვიელნი“.
130. 1918წ. 202, ტიციან ტაბიძე, „მენშევიკები და ხელოვნება“.
131. 1918წ. 214, გრიგოლ რობაქიძე, „სონეტი საქართველოში“.
132. 1918წ. 232, გიორგი ლეონიძე, „ქართლი“.

გაზეთი „სახალხო საქმე“ /1917-1918წელ/

133. 1917წ. 1, სარედაქციო წერილი.
134. 1917წ. 3, სარედაქციო წერილი.
135. 1917წ. 3, სამსონ ფირცხალავა „ეროვნული“ და „სოციალური“.

136. 1917წ. 5, სარედაქციო წერილი.
137. 1917წ. 7, სამსონ ფირცხალავა, სარედაქციო წერილი.
138. 1917წ. 7, აკაკი პაპავა, „მესამე რგოლი“.
139. 1917წ. 15, ვახტანგ კოტეტიშვილი, „დიდი კატორლელი“.
140. 1917წ. 17, ვახტანგ კოტეტიშვილი, „სოციალ-ფედერალიზმი, როგორც აუცილებლობა სოციალ-დემოკრატიისთვის“.
141. 1917წ. 17, ლევან მეტრეველი, „სალამი სამშობლოს!“.
142. 1917წ. 23, კონსტანტინე გამსახურდია, „ტროანელი ცხენი“.
143. 1917წ. 25, კონსტანტინე გამსახურდია, „ველიკორუსები და არა რუსები“.
144. 1917წ. 26, დიმიტრი უზნაძე, „გარდამავალი ხანა“.
145. 1917წ. 28, ლევან მეტრეველი, „ქართული ენა“.
146. 1917წ. 30, გრიგოლ რცხილაძე, „ეროვნული მოძრაობა და ეროვნული თვითშეგნება“.
147. 1917წ. 31, კოკი აბაშიძე, სარედაქციო წერილი.
148. 1917წ. 32, კონსტანტინე გამსახურდია, „ხელოვნება თუ პო-ლიტიკანობა.“
149. 1917წ. 37, ბორჩელი, „ჩვენ, ავტონომისტები და ფედერალიზმი“.
150. 1917. 38, გიორგი ჭუმბურიძე, „სულიერი შემოქმედება“.
151. 1917წ. 38, არჩილ ჯორჯაძე, „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“.
152. 1917წ. 43, კონსტანტინე გამსახურდია, „წარლტოლვილ სი-ლუეტს!“.
153. 1917წ. 52, სამსონ ფირცხალავა, „ეროვნების შიში“.
154. 1917წ. 58, სამსონ ფირცხალავა, სარედაქციო წერილი.
155. 1917წ. 58, ალექსანდრე ჯავანაშვილი, „ფედერალისტური აზრების გამარჯვება“.
156. 1917წ. 58, ვახტანგ კოტეტიშვილი, „ერის უფლებისა და სა-ქართველოს საკითხი“.
157. 1917წ. 70, ლევან მეტრეველი, „სოლომონ ლეონიძე“.
158. 1917წ. 77, კონსტანტინე გამსახურდია, ქართველ მწერალთა

კონფერნციაზე.

159. 1917წ. 84, ლევან მეტრეველი, „ქართველ კაცა!“.
160. 1917წ. 91, ქართველ მწერალთა მოწოდება.
161. 1917წ. 107, სამსონ ფირცხალავა, „ეროვნულ ყრილობას“.
162. 1917წ. 132, დავით კლდიაშვილი, „კიტა აბაშიძე“.
163. 1917წ. 148, ალ. მდივანი, „დღევანდელი საფრთხე და ჩვენი საჭიროებანი“.
164. 1918წ. 98, ალექსანდრე წერეთელი, „ივანე კარამაზოვი“.
165. 1918წ. 181, მარიამ გარიბული, „ვედრება!“.
166. 1918წ. 189, შალვა ნუცუბიძე, „ორი გზა“.
167. 1918წ. 211, სარედაქციო წერილი.
168. 1918წ. 213, თედო ლლონტი, ამიერკავკასიის ორიენტაცია.
169. 1918წ. 214, კონსტანტინე გამსახურდია, „ერი თუ რასსა“.
170. 1918წ. 219, სარედაქციო წერილი.
171. 1918წ. 235, ვახტანგ კოტეტიშვილი, „დაუდგრომელი ხელოვნება“.
172. 1918წ. 239, სარედაქციო წერილი.
173. 1918წ. 241, სარედაქციო წერილი, „მოვალეობა ერის წინაშე“.
174. 1918წ. 242, იოსებ გრიშაშვილი, „საქართველოს ზადიკი“.
175. 1918წ. 243, ლევან მეტრეველი, „ან განუსვენე!“.
176. 1918წ. 243, ვახტანგ კოტეტიშვილი, „ქართლის ცხოვრება“.
177. 1918წ. 243, ვიქტორ ასათიანი, „არ მომკვდარა, გაიღვიძა“.
178. 1918წ. 243, დუშიკო, „თავისუფალ საქართველოს“.
179. 1918წ. 243, გრიგოლ რცხილაძე, „საქართველოს დამოუკიდებლობა“.
180. 1918წ. 244, ი.მჭედლიშვილი, „მეთვრამეტე გაზაფხულზე ჩემი სამშობლო“.
181. 1918წ. 244, ი.ვადაჭკორია, „გაუმარჯოს საქართველოს!“.
182. 1918წ. 245-248, სამსონ ფირცხალავა, „ერი და ეროვნული თავისუფლება“.
183. 1918წ. 254, ვახტანგ კოტეტიშვილი, „ამიერკავკასია და საქართველო“.

184. 1917წ. 1, სარედაქციო წერილი.
185. 1917წ. 1, კალქავთარაძე, „რუსეთის რევოლუცია და ჩვენი ტაქტიკა“.
186. 1917წ. 1, პ.ქ. „რუსეთი და მცირე ერები“.
187. 1917წ. 1, პავლე საყვარელიძე, „რევოლუცია და ეროვნული საკითხი ჩვენში“.
188. 1917წ. 1, გიორგი ქუჩიშვილი, „ჩემს ერს!“.
189. 1917წ. 4-10, პავლე საყვარელიძე, „რევოლუცია და ეროვნული საკითხი ჩვენში“.
190. 1917წ. 4-5, ლეო ქიაჩელი, „გზა და გზა“.
191. 1917წ. 5, თაგუნა, ნოე ჟორდანია.
192. 1917წ. 12, ლეო ქიაჩელი, „ბერი და ყორანი;“ „ჩემი სიტყვები ამხანაგებისადმი“.
193. 1917წ. 17, მეთუნუქე ვანო, სარედაქციო წერილი.
194. 1917წ. 22, ლეო ქიაჩელი, პასუხი ლევან ნათაძეს.
195. 1917წ. 30, ივანე გომართელი, „შრომის შვილს!“.
196. 1917წ. 33, ივანე გომართელი, „სამშობლო!“.
197. 1917წ. 33, ტაიფუნი, „თავისუფლება“.
198. 1917წ. 36, გიორგი ქუჩიშვილი, „სრულიად საქართველო“.
199. 1917წ. 41, ტაიფუნი, „მზისკენ!“.
200. 1917წ. 46, თაგუნა, „სათვალიანები და უსათვალოები“.
201. 1917წ. 49, თაგუნა, „ჩვენი პარნასი“.
202. 1917წ. 50-55, ივანე გომართელი, „ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა“.
203. 1917წ. 52, თაგუნა, „აგრეთვე ავტონომისტები!“.
204. 1917წ. 59, ივანე გომართელი, „დედა სამშობლო!“.
205. 1918წ. 1, სარედაქციო წერილი.
206. 1918წ. 2, თაგუნა, „შემკურთხებელნი“.
207. 1918წ. 5, ივანე გომართელი, „ლენინი“.
208. 1918წ. 7, ს. პართენაშვილი, „რუსეთის დიდი სამსონი“.

209. 1918წ. 8, გიორგი ქუჩიშვილი, „საქართველო“.
210. 1918წ. 9, ს.პართენაშვილი, „ჩირალდნით ხელში“.
211. 1918წ. 8, ივანე გომართელი, „ქართველ ერს!“.
212. 1918წ. 10, ივანე გომართელი, „მთავარსარდალი კრილენკო!“.
213. 1918წ. 13, სერგო ყურულიშვილი, „კმარა სიტყვები!“.
214. 1918წ. 16, ივანე გომართელი, „გარეული და შინაური მტერი!“.
215. 1918წ. 18, სარედაქციო წერილი.
216. 1918წ. 28, ნ. ელიანი, „ჩვენი მდგომარეობა“.
217. 1918წ. 28, გიორგი ქუჩიშვილი, „წითელ გვარდიას!“.
218. 1918წ. 28, ს.პართენაშვილი, „გაცოცხლებული ტაძარი“.
219. 1918წ. 34, სერგო ყურულიშვილი, „საქართველოს პედი“.
220. 1918წ. 37, ს.პართენაშვილი, ლიტერატურული სურათები.
221. 1918წ. 38, ტაიფუნი, „სევდის სტრიქონები“.
222. 1918წ. 40, ს.პართენაშვილი, „ფერხული“.

გაზეთი „ერთობა“/1917-1918წწ./

223. 1917წ. 1, სარედაქციო წერილი.
224. 1917წ. 55, სარედაქციო წერილი.
225. 1917წ. 79, ლევან ნათაძე, „პასუხი „ალიონს.“
226. 1917წ. 86, სარედაქციო წერილი.
227. 1917წ. 87, ლევან ნათაძე, წერილი ლეო ქიაჩელისადმი.
228. 1917წ. 117, ლევან ნათაძე.
229. 1917წ. 147, სარედაქციო წერილი.
230. 1917წ. 149, სარედაქციო წერილი.
231. 1917წ. 152, სარედაქციო წერილი.
232. 1917წ. 158, სარედაქციო წერილი.
233. 1917წ. 170, სარედაქციო წერილი.
234. 1917წ. 180, სარედაქციო წერილი.
235. 1917წ. 205, სარედაქციო წერილი.
236. 1918წ. 8, სარედაქციო წერილი.
237. 1918წ. 10, სარედაქციო წერილი.

238. 1918წ. 65, „ეროვნული მთავრობა“.
239. 1918წ. 77, დ. ონიაშვილი, „ომი თუ ზავი“.
240. 1918წ. 80, „რატომ არ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა?“.
241. 1918წ. 81, „ჩვენი პერსპექტივა“.
242. 1918წ. 83, „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა“.
243. 1918წ. 92, „ფედერაცია თუ კონფედერაცია?“.
244. 1918წ. 96, ანანია, „გზა და გზა“.
245. 1918წ. 97, რ. ჩიხლაძე, „საუბარი გლეხებთან“.
246. 1918წ. 105, „იძულებითი ნაბიჯი“.
247. 1918წ. 106, სარედაქციო ნერილი, „ჩვენი ბეჭი“.
248. 1918წ. 106, ეშმაკი, „პატარა ფელეტონი,“ „ანდაზები“.
249. 1918წ. 106, ვლ. ვოიტნიკი, „წითელი გვარდია“.
250. 1918წ. 106, ოდიშელი ყაყაჩო, „ბრძოლის ველიდან“.
251. 1918წ. 106, მაქსიმ გორკი „დროს შეუფერებელი ფიქრები“.
252. 1918წ. 108, სარედაქციო ნერილი.

გამომცემლობის რედაქტორი **ცირა ჯიშვარიანი**
კომპ. უზრუნველყოფა **ხათუთა ბადრიძე**

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.
www.press.tsu.ge (25-14-32)